



Center for Social Sciences

STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

---

სოციალურ მეცნიერებათა სერია

# გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი

სალექციო კურსი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

მზია წერეთელი

თბილისი  
2006

## სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია `სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის~ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ლია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

**ISBN: 99940 - 871 - 1 – 8**

## სარჩევი

კურსის ზოგადი დახასიათება: მიზანი, ამოცანები, სტრუქტურა სწავლებისა და შეფასების მეთოდები	5
<b>თემა #1 – გენდერი - სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი. გენდერულ-როლური იდეოლოგია. გენდერული სტერეოტიპები. მასკულიზაცია-ფემინიზაცია. კროსკულტურული კვლევები.</b>	7
გენდერული კვლევების წარმოშობა და მისი ადგილი სოციალურ მეცნიერებათა შორის სქესი და გენდერი გენდერის ძირითადი კატეგორიები და კროსკულტურული კვლევები ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა	
<b>თემა #2 - გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული როლების ათვისების თეორიები (ფსიქოლოგიური, სოციალურ-კოგნიტური, კოგნიტური განვითარების თეორიები, ანდროგინიის კონცეფცია, გენდერული ტრანსცენდენციის სტადიების და გენდერული სქემის თეორია)</b>	17
გენდერის გაგება ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში გენდერის გაგება პიროვნების სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში გენდერის გაგება კოგნიტური განვითარების თეორიაში ანდროგინიის კონცეფცია ტრანსცენდენტული გენდერული ტიპირების თეორიები: გენდერული როლის ტრანსცენდენციის სტადიების თეორია გენდერული სქემის თეორია ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა	
<b>თემა #3 - სქესის სოციალიზაცია და მისი ინსტიტუტები. კულტურის როლი გენდერულ სოციალიზაციაში</b>	33
სოციალიზაციის ცნება, დიფერენციალური სოციალიზაცია და მისი მექანიზმები განსხვავებული სამუშაოს დავალება ბავშვების მოვლა და მათზე ზრუნვა თანატოლები განათლება მასმედია სათამაშოები ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა	
<b>თემა #4 - გენდერული როლები და სტერეოტიპები. კროსკულტურული მონაცემები</b>	40
კროსკულტურული მონაცემები გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შესახებ უმცროსებზე ზრუნვა აგრესია უფროსებთან სიახლოვე და მოღვაწეობის ხასიათი საკუთარი ღირსების გრძნობა მამაკაცურობის იდეოლოგია	

ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები  
სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა  
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა

**თემა #5 - ოჯახი და საზოგადოება. ქალბისა და მამაკაცებს შორის ურთიერთობები. კროსკულტურული განსხვავებები** 52

ოჯახის ცნება. ოჯახი და საზოგადოება  
ოჯახის ტიპები  
ოჯახის ფუნქციები, მისი სტრუქტურა და დინამიკა  
ცოლქმრული ურთიერთობა და მისი სტილები  
ქორწინების თანამედროვე პატერნები  
ოჯახური შრომის სქესის ნიშნით განაწილება  
ოჯახის კროსკულტურული სხვაობები  
ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები  
სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა  
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა

**თემა #6 - გენდერული სტრატეგიკაციის პატერნები. შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები სხვადასხვა კულტურაში** 64

გენდერული სტრატეგიკაციის პატერნები  
შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები სხვადასხვა კულტურაში  
გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია  
ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები  
სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა  
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა

**თემა #7 - გენდერული ასიმეტრია: დისკრიმინაცია თუ ნორმა. გენდერული თანასწორობის ცნება. კულტურა და გენდერული თანასწორობის მოძრაობა** 78

გენდერული ასიმეტრიის წარმოშობის მოკლე ისტორია  
გენდერული თანასწორობის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა  
გენდერული თანასწორობის მიღწევის ამოცანები და ღონისძიებები  
Gender Mainstreaming–ი. მისი მოდელები  
ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები  
სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა  
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა

**თემა #8 - ქალი სამხრეთ კავკასიის კულტურაში. ქართული კულტურის გენდერული ანალიზი** 88

სამხრეთ კავკასიელი ქალის სტატუსის ზოგადი დახასიათება  
ქალი აზერბაიჯანულ კულტურაში  
ქალი სომხურ კულტურაში  
ქალი ქართულ კულტურაში  
სქესობრივი ურთიერთობების ფორმები საქართველოს მთაში  
გენდერული ცვლილებები სამხრეთ კავკასიაში  
ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები  
სემინარის სტრუქტურა; სემინარისათვის მოზადების გეგმა  
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა

**GENDER: CULTURAL RESEARCHES (GENDER, CULTURE AND SOCIETY)** 103

**კურსის ხანგრძლივობა და განრიგი:** 96 სთ (8 კვირა);

მათ შორის:

სააუდიტორიო მუშაობა: 32 სთ;

სტუდენტთა დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობა: 64სთ;

**სააუდიტორიო მუშაობა მოიცავს:**

ლექციებს პრაქტიკული ილუსტრაციებით (როლური თამაშები, შემთხვევის განხილვა და ა.შ.) – 16 სთ;

სემინარ-დისკუსიებს - 16 სთ;

**სტუდენტთა დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობა მოიცავს:**

სტუდენტთა მიერ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის წაკითხვა-დამუშავებას, თითოეული სტუდენტის მიერ ესსეს – 18-20 გვ.-ის მოცულობის საბიბლიოთეკო-კვლევითი სტატიის მომზადებას და სემინარზე პრეზენტაციას; სტუდენტების მცირე ჯგუფების მიერ ჯგუფური პროექტის მომზადებას შემთხვევის შესწავლასა და პრეზენტაციაში. თითოეული ჯგუფის მიერ შესწავლილი შემთხვევები წარმოდგენილი, განხილული და შეფასებული იქნება ჯგუფში.

**კურსის აღწერა:** გენდერი, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი. გენდერულ-როლური იდეოლოგია, გენდერული სტერეოტიპები და მასკულინობა-ფემინურობა კროსკულტურული თვალსაზრისით. გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული როლების ათვისების თეორიები (ფსიქოდინამიკური, სოციალურ-კოგნიტური, კოგნიტური განვითარების თეორიები, ანდროგინიის კონცეფცია, გენდერულ-როლური ტრანსცენდენციის და სქემის თეორია). სქესის სოციალიზაცია და მისი ინსტიტუტები. კულტურის როლი გენდერულ სოციალიზაციაში. გენდერული როლები და კროს-კულტურული მონაცემები ამ მიმართულებით. საზოგადოება და ოჯახი. ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობები. გენდერული განსხვავებები ქცევაში კროსკულტურული თვალსაზრისით. გენდერული სტრატეგიკაციის პატერნები. შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები კულტურათა თვალსაზრისით. გენდერული ასიმეტრია: დისკრიმინაცია თუ ნორმა. გენდერული თანასწორობის ცნება. კულტურა და გენდერული თანასწორობის მოდელები. ქალი სამხრეთ კავკასიის კულტურაში. ქართული კულტურის გენდერული ანალიზი.

**კურსის მიზანი:** სტუდენტმა უნდა შეიძინოს საფუძვლიანი ცოდნა გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის, მისი ჩამოყალიბებისა და მოქმედების მექანიზმების შესახებ და აგრეთვე, კულტურათაშორისი გენდერული სხვაობების შესახებ. სტუდენტმა უნდა იცოდეს თანამედროვე თეორიული და ემპირიული კვლევები ამ მიმართულებით. სტუდენტმა უნდა განივითაროს გენდერულ კვლევებში სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარები. მან უნდა შეძლოს გენდერული თეორიებისა და ემპირიული მონაცემების საფუძველზე ცოდნის სისტემატიზირება და დამოუკიდებელი გენდერული კვლევის წარმოება.

**სტუდენტთა შეფასების მეთოდები:**

გამოცდა

- ტესტი (წერილობით) – 2 სთ;
- ჯგუფური პროექტი შემთხვევის შესწავლასა და პრეზენტაციაში. შესწავლილი შემთხვევები წარმოდგენილი და განხილული იქნება ჯგუფში. თითოეული ჯგუფი შეაფასებს დანარჩენ ჯგუფებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: დიზაინი, შემოქმედებითობა, პრობლემის გააზრების სიღრმე, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;
- ესსეს შეფასება;
- სემინარებზე გამართულ დისკუსიებში აქტიურობა.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება ჯამური მაჩვენებლის (სემინარები, ესსე, ტესტი, ჯგუფური პროექტი) საფუძველზე, თითოეული კომპონენტის შემდეგი პროცენტული წონით: სემინარებზე გამართულ დისკუსიებში აქტიურობა - 20%, ესსე - 30%, ტესტი - 25%, ჯგუფური პროექტი - 25%.

შეფასების პრინციპი შემდეგია:

85% -100% - 5 (ფრიადი);

75%-84,9% - 4 (კარგი);

65%-74,9% - 3 (დამაკ.);

0 - 64,9% - 2(არადამაკ.).

**თემა №1 – გენდერი - სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი.  
გენდერულ-როლური იდეოლოგია. გენდერული სტერეოტიპები.  
მასკულიზაცია-ფემინიზაცია. კროსკულტურული კვლევები.**

*სალექციო კურსის შესავალში მოცემული იქნება გენდერის, როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტად ჩამოყალიბებისა და გენდერული კვლევების წარმოშობის მოკლე ისტორია. განსაზღვრული იქნება გენდერული კვლევების ადგილი სოციალურ მეცნიერებათა შორის.*

თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული და ჰუმანისტური ღირებულებების და ფასეულობების დამკვიდრების პროცესებმა მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც უამრავი ახალი, პრობლემური საკითხი დასვა მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებით გაფართოვდა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფერო. მრავალმა მოვლენამ ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების ზეგავლენით ცვლილება განიცადა და ახლი სოციალური თუ საზოგადოებრივი დატვირთვა შეიძინა. ამ ცვლილებებმა ბუნებრივად გამოიწვია სოციალური მეცნიერებების წინაშე ახალი პრობლემური საკითხების დასმა და ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერების ახალი დარგების ჩამოყალიბებაც.

გენდერული კვლევები, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, სწორედ ამ გზით ჩამოყალიბდა. გენდერმა, როგორც სოციალურმა მოვლენამ თავისი აქტუალობა ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით შეიძინა. თავდაპირველად იგი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ქალთა დისკრიმინაციის სოციალური ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის გენდერული კვლევები შორს გასცდა მხოლოდ ქალთა პრობლემების შესწავლას, პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებისათვის გენდერი დღემდე ინარჩუნებს პოლიტიკურ დატვირთვას. იგი ქვეყნების (საზოგადოებების) დემოკრატიულობისა და განვითარების დონის განმსაზღვრელ ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია. გენდერული კვლევები და გენდერული მიდგომა გათვალისწინებულია მრავალი პროგრესული ქვეყნის (აშშ-ს, კანადის, სკანდინავიის ქვეყნების და სხვ.) სოციალური პოლიტიკის აგებისას, რაც ითვალისწინებს გენდერული რეალიზაციისათვის თანაბარი პირობების შექმნას. ამდენად, გენდერული კვლევების ერთ-ერთი მიზანია გენდერის არა მხოლოდ მეცნიერული შესწავლა, არამედ საფუძვლის მომზადება გენდერული თანასწორობის მოდელის შესაქმნელად. მაგრამ, ამავე დროს, გენდერი, როგორც ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე და მომქმედი მოვლენა, ცხადია მეცნიერების კვლევის საგნად იქცა და დღეისათვის ისე გაფართოვდა, რომ სოციალური მეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინად — გენდერულ კვლევებად (Gender Study), ჩამოყალიბდა. იგი მოიცავს ადამიანის სოციალური მოღვაწეობის ყველა ასპექტს, ისევე, როგორც იმ ფასეულობებსა და მონაპოვრებს, რომლებიც მთელი ამ მოღვაწეობის განმავლობაშია დაგროვილი. ამიტომ გენდერული კვლევები, როგორც დისციპლინა მჭიდროდ გადაიკვეთა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგთან. შესაბამისად გამოიკვეთა და გენდერული კვლევების ცალკეულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა ოჯახის, სოციალური როლების, შრომის ბაზრის, ეკონომიკის, პოლიტიკის, განათლების და სხვა სისტემების გენდერული ასპექტები. გენდერული კვლევების ცენტრში მოექცა, აგრეთვე, კულტურის სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის და ენის გენდერული ასპექტები. ამდენად, გენდერულმა კვლევებმა სრულიად სამართლიანად ინტერდისციპლინარული დარგის კვალიფიკაცია შეიძინა.

*გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის განსაზღვრებისთვის მნიშვნელოვანია ტრემინებს „სქესი“ და „გენდერი“ შორის განსხვავების გაგება.*

სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა საზოგადოებები, სხვადასხვა სიძლიერით უსვამენ ხაზს

სქესთა შორის განსხვავებებს: ზოგიერთი მათგანი ძლიერ აქცენტს აკეთებს ამ განსხვავებებზე, ზოგიერთი კი - ნაკლებად აქცევს ყურადღებას. სქესთა შორის განსხვავებულობის ხაზგასმა მიუთითებს იმაზე, რომ სქესი ადამიანის ქცევის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ანატომიურად და ფიზიოლოგიურად ქალსა და მამაკაცს შორის გაცილებით უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. კროსკულტურულმა გენდერულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სქესი, როგორც სოციალური ფაქტორი მეტად მცირე ზემოქმედებას ახდენს ფსიქოლოგიური მახასიათებლების ფართე სფეროზე სხვადასხვა კულტურულ სფეროში. მაშასადამე, ძირითადად ქალებსა და მამაკაცებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ შეათავსონ ერთმანეთი გარკვეულ სოციალურ როლებზე. მართლაც, გამოკვლევები აჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევებში ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად შესწევთ უნარი განხორციელონ ერთნაირი ქცევა, მათ აქვთ თანაბარი პოტენციალი შესრულონ ესა თუ ის სოციალური როლი თუ სამუშაო. ცხადია, არსებობს, ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომელშიც სქესები ერთმანეთს ვერ შეენაცვლებიან. ეს არის ქალის რეპროდუქციული (შვილების გაჩენის) უნარი.

მეცნიერული კვლევის ასეთი მონაცემების მიუხედავად, ნებისმიერ საზოგადოებაში და კულტურაში არსებობს მეტ-ნაკლები სიმკაცრით განსაზღვრული და მიღებული ქალისა და მამაკაცისთვის აუცილებელი ქცევის ნორმები, ხასიათის თავისებურებები, აგრეთვე, ქალისა და მამაკაცისათვის მიუღებელი ქცევის ნორმები, მანერები, თავისებურებები და სხვ. უფრო მეტიც, საზოგადოება ადგენს საქმიანობის ქალურ ან მამაკაცურ სფეროებს, ქალურ და მამაკაცურ პროფესიებს და ა.შ.

ტრადიციულად **სქესის** გაგება დაკავშირებულია ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებების გამოვლენასთან. სქესი განისაზღვრება ბიოლოგიური ფაქტორებით. გარდა ამისა, არსებობს განსხვავებები ადამიანთა საქმიანობებში, ქცევებში, სოციალურ როლებში, მენტალურ და ემოციონალურ მახასიათებლებში, რომლებიც ბიოლოგიურად და ფიზიოლოგიურად არ არის დეტერმინირებული. ისინი განპირობებული არიან სოციალური და კულტურული ფაქტორებით. ტერმინი **გენდერი** ქალისა და მამაკაცის სწორედ სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებების და დამოკიდებულებების აღსანიშნავადაა მეცნიერებაში შემოტანილი. გენდერი გულისხმობს სოციალურ მახასიათებლებს, რომლის მეშვეობითაც ადამიანები განსაზღვრავენ ცნებებს „ქალი“ და „მამაკაცი“.

გენდერის ცნება პირველად ანთროპოლოგმა გეილ რუბინმა (1975წ.) შემოიტანა მეცნიერებაში და განსაზღვრა, როგორც „შეთანხმებათა კომპლექსი, რომელიც როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის საგანი, არეგულირებს ბიოლოგიურ სქესს“. თანამედროვე კვლევებში ყველა ავტორი ეყრდნობა გენდერის, როგორც სოციალური სქესის გაგებას. სქესი დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებებთან, ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე. თუკი სქესი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული, მაშინ გენდერი არის სოციალურად და კულტურულად მოცემული. გენდერი – ეს არის სქესთაშორისი განსხვავებების სოციალური ორგანიზაცია: ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც შეესაბამება სქესს მოცემულ დროში და მოცემულ საზოგადოებაში; გენდერი წარმოადგენს სოციო-სქესობრივი როლების მიმართებათა სისტემის სოციალურ კონსტრუქციას. გენდერი მნიშვნელოვანწილად აპირობებს ქალებისა და მამაკაცების ფსიქიკურ თვისებებს, უნარებს, მოღვაწეობის სფეროებს, პროფესიებს და საქმიანობებს, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს“.

დაბადებიდანვე ბავშვი განეკუთვნება ბიოლოგიურ კატეგორიას — სქესს, შესაბამისად მდებარეობის ან მამრობითს. შემდგომში განვითარების პროცესში ორივე სქესი მსგავსია ფიზიოლოგიური მახასიათებლებით, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური თავისებურებებით (თვითშეფასება, ინტელექტის დონე, ლექსიკის მარაგი, სიარულის დანყება, კბილების ამოსვლა და სხვ.). მაგრამ სხვადასხვა სქესის ბავშვები იღებენ სხვადასხვანაირ გამოცდილებას და აღზრდას, რაც განსაზღვრავს მათი ცხოვრების სტილს და მიზნებს, მათ ფუნქციებს და როლებს.



გენდერი გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებს და ქცევებს, რომელთა შექმნა ხდება სოციალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან. ყოველ საზოგადოებაში გენდერული განსხვავებები ვლინდება ადამიანთა ქცევის ფორმებში. მაგალითად, რა სამუშაოს ასრულებენ, როგორ იცმევენ და ა. შ. ამდენად, გენდერი გვევლინება სოციალური ურთიერთობების საზომად ამა თუ იმ კულტურაში.

**გენდერი** არის სოციალურად და კულტურულად მოცემული, იგი აღნიშნავს სოციალური და კულტურული ნორმების ერთიანობას, რომელთა შესრულებასაც საზოგადოება მიიწვევს ადამიანებს მათი ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე. გენდერის ცნება სოციალურ მეცნიერებაში გამოიყენება ადამიანის სქესობრივი მიკუთვნებულობის სოციალურ-კულტურული ასპექტის გამოსახატავად.

*მოყვანილი განსაზღვრებების შედეგად მოხდება შეჯამება და გენდერის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება. გამოიყოფა გენდერული კვლევების ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: გენდერული ცნობიერების კვლევა და გენდერული მიდგომა.*

გენდერი – ეს არის გარკვეულ კულტურულ (სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ) კლიმატში ქალისა და მამაკაცის სოციალური როლებისა და ფუნქციის შეფასების ფსიქიკაში ასახვისა და საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინსტიტუტებში ამ შეფასების შესატყვისი ასახვის ერთობლიობა.

ამგვარად, ერთის მხრივ გენდერი, როგორც სოციალურ შეფასებითი მოვლენა (ფენომენი) ადამიანის ცნობიერების და არაცნობიერის ნაყოფია და ადამიანთა და საერთოდ საზოგადოების ფსიქიკაში არსებობს ფსიქიკური წარმონაქმნის, ფსიქიკური სტრუქტურის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, კი გენდერი, როგორც სოციალურ-შეფასებითი ფენომენის საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტებში ასახვის შედეგი, არსებობს გარე სამყაროში ობიექტური სახით, როგორც საზოგადოებრივი სისტემების მოქმედების ერთ-ერთი მექანიზმი და მათი სოციალური პროდუქტი.

გენდერის ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს გენდერთან დაკავშირებული კვლევების ორი ძირითადი კლასი: 1) ეს არის გენდერული ცნობიერების (გენდერული სოციალური როლები, მასკულინობა-ფემინურობა, გენდერული სტერეოტიპები, ღირებულებები და სხვ.) კვლევა. და 2) საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინსტიტუტებში გენდერის მოვლენის ასახვის შესწავლა. სწორედ ამ ტიპის კვლევებმა წარმოშვა ტერმინი – გენდერული მიდგომა, რომელიც სხვადასხვა მეცნიერებებში (ან მათი შესწავლის სფეროებში) გენდერის, როგორც ფსიქიკური კონსტრუქტის ზეგავლენის შედეგების შესწავლას გულისხმობს. ასე მაგალითად, გენდერის პოლიტიკური ასპექტები, გენდერული მიდგომა პედაგოგიკაში, ოჯახის გენდერული ასპექტები და ა.შ.

**სავარჯიშო:** გენდერის ცნების უკეთ გაგებისა და გაშინაგების მიზნით (ე.წ. გენდერული მგრძობელობის განვითარებისათვის) სტუდენტებს ვთხოვთ ჩამოთვალონ ქალისა და მამაკაცის ფუნქციების, სოციალური როლების, თვისებებისა და საქმიანობის მაგალითები. სტუდენტებმა ლექტორის დახმარებით უნდა განსაზღვრონ რომელი მათგანია სქესით განსაზღვრული და რომელი გენდერით.

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ განისაზღვრება გენდერული კვლევების შემდეგი ტერმინები — სქესობრივ-როლური იდეოლოგია, გენდერული სტერეოტიპები, მასკულინობა/ფემინურობა კროსკულტურული კვლევების მაგალითზე.

პრაქტიკულად ყველა საზოგადოებაში ქალებს ეკისრებათ მეტი მოვალეობა მოღვაწეობის იმ სახეებში, რომლებიც დაკავშირებულია სახლთან. ხოლო მამაკაცებს – სახლს გარეთ. პანკულტურული მსგავსების ეს თვისებები თავის საწყისს იღებს სქესებს შორის ბიოლოგიურ

განსხვავებებში და პირველ რიგში ქალების უნარში გააჩინონ შვილები და მოუარონ მათ. თუმცა კი უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტ საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების ეს მოვალეობები ერთად სრულდება. კაცები სულ უფრო მეტად ებმებიან ოჯახურ საქმიანობაში, ხოლო ქალები - სახლს გარეთ საქმეებში.

მკვლევრების უმრავლესობა **სქესობრივ-როლური (გენდერულ-როლური) იდეოლოგიის** კლასიფიკაციას აკეთებენ ტრადიციულიდან თანამედროვემდე კონტინიუმის სახით. ტრადიციული იდეოლოგიები გულისხმობენ, რომ მამაკაცი უფრო „მნიშვნელოვანია“, ვიდრე – ქალი, რომ მამაკაცს უნდა ქონდეს ძალაუფლება ქალზე და მართავდეს მას. თანამედროვე იდეოლოგიები წარმოადგენენ ეგალიტარულ მიდგომას, რომელსაც ზოგჯერ ფემინისტურ მიდგომასაც უწოდებენ, რადგანაც ისინი ქალისა და მამაკაცის მნიშვნელობას საზოგადოებაში ერთნაირად აფასებენ და უარყოფენ ერთი სქესის მეორეზე დომინირებას.

სქესობრივი როლები ფართოდ იყო შესწავლილი ინდოეთში, სადაც ერთდროულად თანა-აარსებობენ ტრადიციული და თანამედროვე გენდერულ-როლური იდეოლოგიები. როდესაც ინდოელ და ამერიკელ სტუდენტებს ეკითხებოდნენ, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს მათი კულტურის ქალს, ინდოელი სტუდენტი ქალები იძლეოდნენ უფრო ტრადიციულ პასუხებს, ვიდრე - ამერიკელები. საინტერესოა, რომ ქალები ორივე ჯგუფში უფრო თანამედროვე და ლიბერალურები აღმოჩნდნენ, ვიდრე - მამაკაცები. არატრადიციული სქესობრივ-როლური იდეოლოგიის მატარებელი სტუდენტი ქალები ნუკლეარული ოჯახებიდან აღმოჩნდნენ, მათ ჰყავდათ განათლებული დედები და აპირებდნენ დაუფლებოდნენ პროფესიას და გაეკეთებინათ კარიერა.

განათლების დონე და პროფესიულ-ადმინისტრაციული სამსახური წარმოადგენს საკმარის საფუძველს სქესობრივ-როლური განწყობების პროგნოზირებისათვის, როგორც იაპონელ, ასევე ამერიკელ ქალებთან. ამერიკელი ქალები, რომლებსაც აქვთ სამსახური (არა აქვს მნიშვნელობა, როგორი) უფრო ეგალიტარული ურთიერთობის მომხრენი არიან, ვიდრე ისინი, ვისაც სამსახური საერთოდ არა აქვს. რაც შეეხება იაპონელ ქალებს, აქ ეგალიტარული იდეოლოგია დამახასიათებელია მხოლოდ იმ ქალებისთვის, რომლებსაც უფრო პრესტიჟული სამსახური აქვს.

მკვლევართა ჯგუფმა გამოიკვლია მოზარდების გენდერული განწყობები და როლების განაწილება ოჯახში. გამოკვლევაში მონაწილეობდნენ 46 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი მოზარდები, რომლებიც ჰოლანდიის სკოლებში სწავლობდნენ. წარმოშობის ქვეყნები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი ჰოფსტედეს კულტურული ღირებულებების მიხედვით. პირველ ჯგუფში შედიოდნენ უფრო მდიდარი და უფრო ინდივიდუალისტური ქვეყნები, ხოლო მეორე ჯგუფი მოიცავდა უფრო ღარიბ და უფრო კოლექტივისტურ ქვეყნებს. გამოკვლევის შედეგად მეორე ჯგუფის შესატყვისი ქვეყნების წარმომადგენელ მოსწავლეებს უფრო ტრადიციული შეხედულებები აღმოაჩნდათ, ვიდრე - პირველი ჯგუფისას. რაც შეეხება სქესთა შორის განსხვავებებს, აღმოჩნდა, რომ გოგონათა პასუხები ნაკლები ტრადიციულობით გამოირჩეოდა ბიჭებთან შედარებით.

ბევრ კვლევაში ამერიკელები წარმოადგენდნენ რეფერენტულ ჯგუფს და ამიტომ ისინი ჩვეულებრივ უფრო ლიბერალურები ჩანდნენ, რაც ინვევდა აზრს იმის შესახებ, რომ ამერიკელები ამ თვალსაზრისით ყველაზე ლიბერალურები არიან. მაგრამ უილიამსის და ბესტის (Williams & Best) მიერ ჩატარებულმა 14 ქვეყანის სქესობრივ-როლური იდეოლოგიის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. ყველაზე თანამედროვე სქესობრივ-როლური იდეოლოგია აღმოჩენილი იყო ევროპულ ქვეყნებში - ჰოლანდიაში, გერმანიაში, ფინეთში, ინგლისში და იტალიაში. ამერიკის შეერთებული შტატები სიის შუაში აღმოჩნდა, ხოლო ყველაზე ტრადიციული იდეოლოგიები გამოვლინდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში - ნიგერიაში, პაკისტანში, ინდოეთში, იაპონიაში და მალაიზიაში. ყველა ქვეყანაში ზოგადად ქალების შეხედულებები უფრო თანამედროვე იყო, ვიდრე – კაცებისა. თუმცა გამოვლინდა ზოგიერთი გამონაკლისიც, სადაც საწინააღმდეგო შედეგები მიიღეს, მაგალითად, მალაიზიასა და

პაკისტანში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გამოკვლევის მიხედვით, გამოვლინდა თითოეულ ქვეყანაში ქალებისა და მამაკაცების შეხედულებების შესაბამისობის მაღალი ხარისხი. ამგვარად, გამოკვლევამ აჩვენა, რომ გენდერულ-როლურ იდეოლოგიაზე კულტურა უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე – სქესი. ამას გარდა, გამოკვლევის შედეგად დადგინდა აშკარად გამოხატული კავშირი ქალებისა და მამაკაცების სქესობრივ-როლურ იდეოლოგიასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს შორის, კერძოდ, სქესობრივ-როლური იდეოლოგია, ჩვეულებრივ, უფრო თანამედროვეა უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში. იგი უფრო მეტად თანამედროვეა, აგრეთვე, უფრო ქრისტიანიზირებულ ქვეყნებში და ურბანიზაციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში.

ამგვარად, ეკონომიკაში და განათლებაში პროგრესს თან ახლავს მამაკაცების, როგორც დომინანტების განხილვის ტენდენციის თანდათანობითი შემცირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა და მაღალია განათლების დონე ქვეყანაში, მით უფრო მცირდება ტენდენცია კაცები განიხილებოდნენ როგორც უფრო ძლიერები და აქტიურები, ვიდრე – ქალები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევები ადასტურებს ამ ტენდენციის მხოლოდ შემცირებას და არა მის სრულ გაქრობას.

ადამიანი სოციალური არსებაა. იგი იზრდება საზოგადოებაში და თანდათანობით ითვისებს მასში არსებულ სტერეოტიპებს – ამა თუ იმ საზოგადოებისთვის მოცემულ ისტორიულ პერიოდში მდგრად შეხედულებებს ქალსა და კაცს შორის განსხვავებებზე, მათ სოციალურ როლებზე, ფუნქციებზე, ქცევის ნორმებზე. იგლის (Eagly) მიხედვით, გენდერული სტერეოტიპები არსებითად სოციალური ნორმებია, ხოლო ბერნის (Bern) მიხედვით, სტერეოტიპები – ეს არის ძირითადი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას საზოგადოებაში და ამავე დროს, ისინი ფსიქიკური ენერჯის ეკონომიკის ფუნქციას ასრულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სტერეოტიპები წარმოადგენენ ქალებისათვის და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ თვისებათა და ქცევის მოდელთა კრებულს, რომელიც გვეხმარება ინფორმაციის გადაამუშავებასა და ადეკვატურ ურთიერთობებში.

ამგვარად, **გენდერული სტერეოტიპები** – ეს არის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში (ან კულტურაში) მოცემულ ისტორიულ პერიოდში ითვლება ერთი რომელიმე სქესისთვის მეტად დამახასიათებლად. ასე მაგალითად: „კაცები მეტად აგრესიულები არიან“ ან „კაცები უფრო ქვეყანები არიან“, „ქალები ზედმეტად ემოციურები არიან“, „ქალებს არ შეუძლიათ მანქანის მართვა კარგად“ ან „კაცებმა ნამდვილი მეგობრობა იციან, ქალებს კი არ შეუძლიათ ნამდვილი მეგობრობა“ და ა.შ. სტერეოტიპები ხელს უწყობენ სქესობრივი როლების შეთვისებას და წარმოადგენენ სოციალიზაციის მოდელებს ბავშვებისთვის.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს გენდერული სტერეოტიპების მაღალი ხარისხით კროსკულტურული მსგავსება. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც ქალისა თუ მამაკაცის სქესთან ასოცირდებიან, პანკულტურულ მოდელში ლაგდებიან. ხოლო სპეციფიკური კულტურული ფაქტორები აპირობებენ უმნიშვნელო გადახრებს ამ ზოგადი მოდელიდან.

გენდერული სტერეოტიპების ფორმირების უილიამსის და ბესტის (Williams & Best) მოდელი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ბიოლოგიურ განსხვავებებს (მაგ.: ქალი აჩენს შვილებს, კაცებს კი მეტი ფიზიკური ძალა აქვთ) მიყვავართ შრომის ისეთ განაწილებამდე, რომლის დროსაც ქალებს აქვთ პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდაზე და მოვლაზე, კაცებს კი – პასუხისმგებლობა ოჯახის უზრუნველყოფაზე და დაცვაზე. უილიამსი და ბესტი თვლიან, რომ გენდერული სტერეოტიპები ყალიბდებოდა, რათა უზრუნველყოთ ასეთნაირად ჩამოყალიბებული შრომის განაწილების განმტკიცება. სტერეოტიპი გულისხმობს, რომ შესაბამისი სქესის წარმომადგენელს აქვს ან შეუძლია რომ განავითაროს მისთვის მიკუთვნებული როლის შესაბამისი თვისება. ერთხელ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები სოციალიზაციის მოდელების ფუნქციას არსულებენ. ისინი აიძულებენ ბიჭებს იყვნენ უფრო დამოუკიდებლები და

გაბედულები, ხოლო გოგონებს – მზრუნველები და კონტაქტურები. ამგვარად, გასაგები ხდება, რომ ადამიანები სხვადასხვა კულტურათა ფართო დიაპაზონის ფარგლებში მიდიან იქამდე, რომ მახასიათებლების ერთი ნაკრები ასოცირდება მამაკაცის სქესთან, ხოლო მეორე ნაკრები – ასოცირდება ქალთა სქესთან.

ქალისათვის ან კაცისათვის დამახასიათებელი – ასეთია **მასკულინობა/ფემინურობის** ცნებათა წყვილთა ძირითადი მნიშვნელობა. პიროვნება შეიძლება იყოს ქალური ან მამაკაცური სრულიად სხვადასხვა ასპექტებში, რომელიც მოიცავს როგორც ჩაცმის მანერას, ასევე მოქცევის სტილს ან ხმის ტონს. მასკულინობა/ფემინურობის განსაზღვრება შემოიფარგლება „მე“-კონცეფციებით და იმ ხარისხით, რომლითაც ასეთი კონცეფციები მოიცავენ ქალის ან მამაკაცის სქესთან ასოცირებულ მახასიათებლებს (თვისებებს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ პიროვნების მასკულინობა/ფემინურობის ხარისხი გაიზომება ამ პიროვნების თვითა-ღქმაში, „მე“-ს ხატში შემავალი მასკულინური თუ ფემინური თვისებების რაოდენობით. იმისათვის, რომ კონკრეტული პიროვნების მასკულინობა-ფემინურობა განისაზღვროს, ცხადია, აუცილებელია, რომ თავდაპირველად დადგინდეს მოცემულ კულტურაში მასკულინობა-ფემინურობის ზოგადი მოდელი ანუ ის მახასიათებლები, რომლებიც ამ კულტურაში მიღებულია როგორც ქალური ან როგორც - მამაკაცური. სხვადასხვა ავტორების მიერ მასკულინობა-ფემინურობის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, როგორცაა, მაგ. თვით-შეფასების კითხვარი, სოციალურად სასურველი მახასიათებლების ან სქესთან ასოცირებული მახასიათებლების კითხვარი და სხვ. მასკულინობა-ფემინურობის გაზომვისას მეტად მნიშვნელოვანია ემიკური და კულტურულ-სპეციფიკური მოსაზრებების გათვალისწინება. უილიამსამა და ბესტმა გამოიყენეს კულტურულ-სპეციფიკური პარამეტრები მასკულინობა-ფემინურობის კვლევაში 14 ქვეყნის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ყოველი სტუდენტი წინასწარ მოცემული 300 ზედსართავის საფუძველზე აღწერდა თავის თავს და თავის იდეალს. ეს აღწერები დარდებოდა ადგილობრივ (ქვეყნის შესაბამისად) გენდერულ სტერეოტიპებს, რომლებიც ადრე იყო გამოკვლეული. აღმოჩნდა, რომ ყველა ქვეყანაში მამაკაცები იძლევიან მასკულინობის უფრო მაღალ მაჩვენებელს, ვიდრე ქალები, რაც სულაც არ არის გასაკვირი. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ იდეალური „მე“-ს აღწერისას ორივე სქესი ცდილობდა თავის თავისთვის მიეწერა გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის მასკულინობა, ვიდრე ეს რეალურ „მე“-ში ჰქონდა. ეს, როგორც ჩანს, მამაკაცების დომინირებით და შესაბამისად მასკულინური თვისებების მეტი ღირებულებით უნდა აიხსნას.

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებში ფემინურობა/მასკულინობის სპეციფიკური გაგების გათვალისწინებით ქალები და კაცები ერთნაირად (ერთი და იგივე ხარისხით) ქალურები არიან ყველა კულტურაში, ხოლო მამაკაცები – ერთნაირად მამაკაცურები. მაგრამ, ამავე დროს, რა თქმა უნდა, მე-კონცეფციაში ფემინურობა-მასკულინობის თვალსაზრისით არსებობს გარკვეული კულტურული ვარიაციები.

გენდერული კვლევების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიდის (M. Mead) კვლევებს კულტურის მიერ ქალისა და მამაკაცის პიროვნებების ჩამოყალიბების შესწავლის თვალსაზრისით. თუმცა, კულტურის გავლენა პიროვნების ჩამოყალიბებაზე არ ნიშნავს კონსტიტუციონალურად დეტერმინირებული ინდივიდუალური განსხვავებების უარყოფას, მაგრამ სქესებს შორის სტანდარტულ პიროვნულ განსხვავებებს მაინც კულტურული მოდელები აყალიბებენ, რომელსაც იძულებულია დაემორჩილოს ყველა თაობის ორივე სქესი. ასე მაგალითად, როდესაც ომში წასვლა დიდად ფასობს საზოგადოებაში, მაშინ მამრობითი სქესის ყველა ბავშვი ცდილობს ჩაახშოს შიშის ნებისმიერი გამოვლინება თავის თავში და შეიძინოს ის თვისებები (გამბედაობა, ვაჟკაცობა, თავგანწირვა), რაც დამახასიათებელია მამაკაცური საქმიანობისთვის, რაც იდენტიფიცირდება მამაკაცურ პიროვნებასთან. ხოლო ის თვისებები, რომლებიც მოჩნეულია ძლიერ კომპონენტებად ზოგიერთი პიროვნებისათვის, შემდგომში ვითარდება როგორც ნორმა ყველასათვის (როგორც მასკულინური პიროვნების ძირითადი ელემენტები). ასევეა ქალებშიც. მაგალითად, თუ კულტურაში დიდი მნიშვნელობა

აქვს ქალის ზრუნვას ბავშვზე, კულტურა გამოყოფს ამ თვისებას და ფემინური პიროვნების ძირითად კომპონენტად მიიჩნევს. მიდმა, იკვლია რა სხვადასხვა ტომები, აღმოაჩინა სხვადასხვა კულტურის ზეგავლენით განპირობებული მკვეთრი განსხვავება ქალისა და მამაკაცის როლებსა და სტერეოტიპებში. ასე, მაგალითად, მიჩნეულია, რომ საშიშროების ატანა უფრო მასკულინური მახასიათებელი იყო. პატარა ბავშვებიც კი თავს იკავებდნენ გამოემჟღავნებინათ ისეთი თვისება, როგორცაა შიში, რადგან ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სანინალმდეგოდ მოქცევისას მათ მიანერდნენ ქალურ თვისებებს.

მკვლევრები, რომლებიც ქცევაში გამოვლენილ გენდერულ სხვაობებს სწავლობენ, ხშირად იმონებენ სხვადასხვა კულტურათა მსგავსებას, როგორც გენებისა და ჰორმონების როლის დასაბუთებას და ამით ვარაუდობენ სრულ გენეტიკურ და ბიოლოგიურ დეტერმინიზმს. ბიოლოგიური დეტერმინიზმი ამოდის იქიდან, რომ სქესთა შორის შეუცვლელი განსხვავებების ფორმირებას ინვევენ ყოველთვის რაიმე ბიოლოგიური ფაქტორები ან გადახრები, რაც ბიოლოგიას წარმოადგენს როგორც აუცილებელს და საკმარის პირობას სქესთა განსხვავებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ხნის დისკუსიამ ბუნებისა თუ აღზრდის პრიორიტეტულობაზე, რომელიც ასაკობრივ ფსიქოლოგიაში მიმდინარეობს, აჩვენა, რომ ბიოლოგია არ განსაზღვრავს ქცევას და ასეთი წარმოდგენა საკმაოდ ნაივურია. გამოკვლევებმა (Hoyenga & Hoyenga, 1983; Stewart, 1988) დაადასტურა, რომ სქესობრივი ქრომოსომები ან სქესობრივი ჰორმონები არ წარმოადგენს არც აუცილებელ და არც საკმარის პირობას ქცევის განსაზღვრისათვის. ისინი უბრალოდ ამცირებენ ან ზრდიან გარკვეული ქცევის განხორციელების ალბათობას. გოტიების (Gottlieb, 1983) გამოკვლევამ გამოავლინა, რომ გენები ტოვებენ შესაძლებლობას სანინალმდეგო ტიპის ქცევისთვის. ადამიანები გარკვეული ხარისხით მემკვიდრეობით იღებენ გენებს, მაგრამ ამასთანავე, ცხოვრობენ რა მჭიდრო კავშირში მშობლებთან და ნათესავებთან, ადამიანებს შეუძლიათ „მემკვიდრეობით“ მიიღონ გარემოცვა.

აკვირდებოდნენ რა ბიოლოგიისა და გარემოს ურთიერთქმედებას, სოციობიოლოგებმა, ევოლუციური ფსიქოლოგიის და ეკონომიკური ანთროპოლოგიის სპეციალისტებმა ივარაუდეს, რომ განსაზღვრული ქცევითი მექანიზმები ყალიბდება როგორც რეაქცია გადარჩევის ფაქტორების ზენოლაზე. როლური სხვაობები, რომლებიც სქესთან არის დაკავშირებული ასახავს იმ ფაქტს, რომ განსხვავებულ გარემოებებს მივყევართ განსხვავებულ ქცევით რეაქციებამდე, რომელთაგან თითოეულიც წინასწარ განსაზღვრულია ბიოლოგიურად.

გილმორი (Gilmore, 1990) ვარაუდობს, რომ მამაკაცის ქცევა „მაჩოს“ სტილში წარმოადგენს ადაპტაციას მაღალი დონის რისკთან, რომელიც საჭმლის მოპოვებასთან და სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების მოპოვებასთანაა დაკავშირებული. გილმორს თავისი ჰიპოთეზის დასადასტურებლად მაგალითად მოყავს ის მკვეთრი განსხვავება სქესთან დაკავშირებულ როლურ განწყობებს შორის, რომელიც არსებობს წყნარი ოკეანის ორ კუნძულს – ტრუკსა და ტაიტის შორის. ორივე კუნძულზე თავს თევზის ქერით ირჩენენ და ამ საქმიანობით მამაკაცები არიან დაკავებულნი. მაგრამ კუნძულ ტრუკის მამაკაცი – ეს არის თავზეხელაღებული, მუდამ საომრად განწყობილი, სექსში უხეში და განურჩეველი. ამ კუნძულზე ითვლება, რომ ქალები მომთმენნი და პასიურნი უნდა იყვნენ. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მამაკაცებს, მათ კი, თავის მხრივ, უნდა დაიცვან ქალები. ტაიტის კუნძულის კაცები კი არ იღწვიან მატერიალური მიღწევისა და კონკურენციისათვის, ისინი პასიურები და დამყოლები არიან, მაშინ როცა მათი ქალები, როგორც წესი, აქტიურები არიან. გილმორი ამ განსხვავებებს საჭმლის მოპოვების განსხვავებული პირობებით ხსნის. ტაიტის მკვიდრნი თევზს იჭერენ დიდ ლაგუნებში, სადაც მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ და სადაც ბევრი თევზია. ტრუკის მაცხოვრებლები კი თევზს ღია ზღვაში იჭერენ, სადაც დაღუპვის რისკი დიდია. გილმორის აზრით, „მაჩოს“ სტილი შეიძლება წარმოადგენდეს რისკთან ადაფტაციის იმ ფორმას, რომელიც ეხმარება მამაკაცებს წინააღმდეგობა გაუწიოს საშიშროებებს.

ბიოლოგია არ განსაზღვრავს ბედს, მაგრამ ბიოლოგიურ ფაქტორებს, უეჭველად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გენდერული სხვაობების ფორმირებაში. ტერმინი „ბიოლოგიური“

ხშირად იხმარება, როცა მხედველობაში აქვთ გენები, ამ მოცემულ შემთხვევაში სქესობრივი ქრომოსომები, მაგრამ ცნება „ბიოლოგიური“ უნდა მოიცავდეს აგრეთვე, იმ პირობების ზეგავლენას, რომელშიც ორგანიზმი არის (მდებარეობს) მუცლის პერიოდში მუცლადყოფინისა და პოსტნატალური განვითარებისას. ხშირად ამ პერიოდში მოქმედება (ან ცხოვრება) განისაზღვრება კულტურით. მაგალითად, ძილის პერიოდის ხანგრძლივობა შეიძლება ვარიირებდეს კულტურით დეტერმინირებული დედის დღის რეჟიმის მიხედვით, ხოლო სიარულისა და ჯდომის ჩვევების შექმნა დამოკიდებულია ამ კულტურებისთვის დამახასიათებელი ბავშვების მოვლის პრაქტიკაზე.

გამოკვლევები (Eaton & Enns, 1986; Rosenberg & Sutton-Smith, 1972; Tanner, 1961, 1970) აჩვენებს, რომ ახალდაბადებული ბიჭები გოგონებთან შედარებით უფრო დიდები და აქტიურები არიან, უფრო მაღალი ნივთიერებათა ცვლის დონე აქვთ, ტკივილის შეგრძნების უფრო მაღალი ზღურბლი აქვთ და უფრო კარგად აქვთ განვითარებული მუსკულატურა. მოზარდობის ასაკამდე (3-10 წწ.) სქესობრივი განსხვავებები მორფოლოგიაში და ჰორმონალურ სტატუსში დიდი არ არის, მაგრამ დაკვირვებადი განსხვავებები შეესაბამება სქესობრივ დიმორფიზმს, რომელიც მოგვიანებით ვლინდება. ზრდასრული მამაკაცები უფრო მაღლები არიან, უფრო მასიური ჩონჩხი აქვთ, სისხლის ჟანგბადით კვების უფრო მაღალი დონე აქვთ, მეტი თმა აქვთ სხეულზე, ამასთანავე, სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს განსხვავებული პირველადი და მეორადი სქესობრივი ნიშნები აქვთ. განსხვავების I ჯგუფი დაკავშირებულია მამაკაცის მეტ ძალასთან და გამძლეობასთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს განსხვავებები, ცხადია, ძალაშია უმრავლეს შემთხვევებში, რადგან ზოგიერთი კონკრეტული ქალი უფრო ღონიერია, ვიდრე ზოგიერთი კონკრეტული კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქცევაზე, ქცევის და მისი განვითარების მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს სოციალურ-კულტურული ფაქტორები. ამ მოსაზრებებს ადასტურებს რიგი მკვლევარების ნაშრომები (Best & Williams, 1993; Monroe & Munroe, 1975/1994; Rogjff, Gauvain & Ellis, 1984). კულტურა ღრმა ზეგავლენას ახდენს ქცევაზე, განსაზღვრავს რა გვარის გაგრძელებას, იმას, თუ როგორ ხდება ბავშვების სოციალიზაცია, როგორ აცმევენ ბავშვებს, რომელი ქცევა ითვლება სწორად და გონივრულად, რას ასწავლიან ბავშვებს, რა ფუნქციებს იღებენ თავის თავზე ზრდასრული ქალები და მამაკაცები. ბავშვის შესაძლებლობები და ქცევის ჩამოყალიბება განისაზღვრება კულტურით, მაშინაც კი, როცა ეს ქცევა განიხილება, როგორც ბიოლოგიური ფაქტორებით დეტერმინირებული. სქესთა შორის სხვაობების კულტურულ უნივერსალებს ხშირად ხსნიან ხოლმე სოციალიზაციის პრაქტიკების მსგავსებით, მაშინ როცა კულტურულ განსხვავებულობებს მიაკუთვნებენ ხოლმე სოციალიზაციის პროცესის განსხვავებულობებს.

სქესთან მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული ქცევის კულტურული თავისებურებებით განსაზღვრულობის ყველაზე ცნობილი მაგალითია მარგარეტ მიდის (Mead, 1935) მიერ ჩატარებული კლასიკური გამოკვლევა ახალი გვინეის სამ ტომზე. მიდის გამოკვლევებში გამოვლინდა, რომ დასავლური შეხედულებების თანახმად, ამ საზოგადოებებში ქალებსაც და კაცებსაც აქვთ როგორც მასკულინობა, ასევე ფემინურობაც და მათი ქცევა არ შეესაბამება მიღებულ სექსუალურ-როლურ ორიენტაციას.

სქესობრივი სხვაობების ღრმა ბუნების კარგი მაგალითია 1920-იან წლებში დაარსებული ისრაელელი კიბუცების ისტორია. ეს იყო მიზანმიმართული მცდელობა შექმნილიყო ევალიტარული საზოგადოება (Rosner, 1967; Snarey & Son, 1986; Spiro, 1956). თავდაპირველად იქ არ იყო შრომის განაწილება სქესობრივი ნიშნით. ქალებიც და კაცებიც მუშაობდნენ მინდვრებში, მართავდნენ ტრაქტორებს, მუშაობდნენ სამზარეულოში და სამრეცხაოში. დრო გადიოდა. ამალდა შობადობა და გამოიჩინა, რომ ქალებმა ვეღარ შეძლეს თავის თავზე აეღოთ ფიზიკური სამუშაოს ბევრი სახე, რომლებსაც აკეთებდნენ კაცები. მალე, ქალებმა თავის თავზე აიღეს სწორედ ის ფუნქციები, რომელთაგანაც უნდოდათ თავდაპირველად გათავისუფლება – საჭმლის მომზადება, რეცხვა, ბავშვების სწავლა და მათი მოვლა. აშკარაა, რომ კიბუცების

მცდელობას, მოეხდინათ შრომის თანაბარი განაწილება, დიდი გავლენა არ მოუხდენია ბავშვებზე. კარლსონი და ბარნესი (Carlsson & Barnes, 1986) იკვლევდნენ ქალებისა და მამაკაცების შეხედულებებს ტიპურ სექსუალურ-როლურ ქცევაზე და საკუთარი სქესობრივი მიკუთვნებულობის აღქმას. მათ ვერ აღმოაჩინეს კულტურული ან სქესობრივი განსხვავებები შვედ ბავშვებსა და კიბუცებში გაზრდილ ბავშვებს შორის.

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტებს მიეცემათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**სქესი** - განსაზღვრავს ქალსა და მამაკაცს შორის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ სხვაობებს და ამ სხვაობათა კავშირს რეპროდუქციის უნართან. სქესი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული.

**გენდერი** - გამოიყენება ქალისა და მამაკაცის განსხვავებული თავისებურებებისთვის, რომელიც აქცენტს აკეთებს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე და არა ბიოლოგიურზე.

**სქესობრივ-როლური იდეოლოგია** – განსაზღვრავს სქესებს შორის ადეკვატურ განწყობებს და ვარიანტებს ტრადიციული ანტიფემინისტური მიდგომიდან, რომელიც მამაკაცის სქესის დომინირებას გულისხმობს, თანამედროვე ანუ ეგელიტარულ მიდგომამდე, რომლის მიხედვითაც ქალისა და მამაკაცის მნიშვნელობა თანაბარია და უარყოფილია ერთი სქესის დომინირება მეორეზე.

**გენდერული სტერეოტიპები** – ეს არის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, რომელიც ითვლება ერთი რომელიმე სქესისთვის მეტად დამახასიათებლად (მაგ. „კაცები მეტად აგრესიულები არიან, ქალები კი მეტად ემოციურები“). სტერეოტიპები ხელს უწყობს სქესობრივი როლების შეთვისებას და წარმოადგენს სოციალიზაციის მოდელებს ბავშვებისთვის.

**მასკულინობა-ფემინურობა (მ/ფ)** – წარმოადგენს იმ ხარისხს, რომლითაც ქალებისა და მამაკაცების თვითაღქმა შეიცავს თვისებებს, რომლებიც მათ კულტურაში განიხილება როგორც ქალებითვის ან კაცებითვის დამახასიათებელი.

**გენდერული ცნობიერება** – წარმოადგენს სოციალური ცნობიერების ნაწილს, რომელიც ქალებისა და მამაკაცებს შორის თანაცხოვრებისა და ურთიერთობების წესის მატარებელია.

*პირველი ლექციის შემდეგ სტუდენტები აირჩევენ ესეს თემებს (სალექციო კურსის თემების მიხედვით), რომლებიც მათ უნდა მოამზადონ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გამოყენებით და წარმოადგინონ სემინარზე. სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის სავალდებულო სამეცნიერო ლიტერატურაში (რიდერში) წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები. გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის უკეთ შესწავლის მიზნით, მათ მიეცემათ, აგრეთვე დაევალება შესარულონ პრაქტიკული სამუშაო. კერძოდ, 1). თითოეულმა სტუდენტმა სემინარისათვის უნდა მოამზადოს (ჩაინეროს და წარმოადგინოს) სულ მცირე 10 გენდერული ქცევის ნორმა. 2). შემთხვევითად გახსენებული 10-15 ოჯახის მაგალითზე აღრიცხოს ქალებისა და მამაკაცების პროფესიები, დასაქმების სფეროები, თანამდებობა, სოციალური სტატუსი.*

### **სემინარი №1 (თემა № 1) – 2 სთ**

*სემინარზე მოხდება სტუდენტების მიერ შესრულებული კვლევის შედეგების ჯგუფური შეჯამება და ანალიზი. გაიმართება დისკუსია გენდერის კონსტრუირებაში სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენის შესახებ (1 სთ); სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ*

მომზადებული ესსეს პრეზენტაცია; გაიმართება დისკუსია სემინარის თემაზე (1 სთ). კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:

1. რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის? მოიყვანეთ სქესსა და გენდერს შორის განსხვავების მაგალითები.
2. როგორ განსაზღვრავენ სხვადასხვა ავტორები გენდერს?
3. რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპები და მასკულიზაცია/ფემინიზაცია სხვადასხვა კულტურებში?
4. რითი შეიძლება დავასაბუთოთ, რომ გენდერი წარმოადგენს სოციალურ-კულტურულ კონსტრუქტს?
5. რა სახით ვლინდება გენდერული ცნობიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში?
6. რა ხარისხით არიან ინვარიანტული სხვადასხვა კულტურაში გენდერული თავისებურებები, როლები, სტერეოტიპული ქცევები და შეხედულებები?
7. როგორ განსხვავდებიან ისინი კულტურული ფაქტორების ზეგავლენის შედეგად?
8. რატომ არის გენდერის შესწავლა მნიშვნელოვანი სოციალური მეცნიერებებისათვის? სახელმწიფოსათვის?

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. Judith Lorber, Paradoxes of Gender, Yale University Press, 1994, p.: 13-55;
2. George J. Bryjak, Michael P. Soroka, Sociology: Cultural Diversity in a Changing World, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, p.: 199-204;
3. Unger R., Crawford M., Women and Gender. A feminist Psychology, Temple University Press, Philadelphia, 1992, p.: 17-23;
4. Juanita H. Williams, Psychology of Women, W.W.Norton & Company, N.Y., 1987, p.: 135-137.

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Burn S.M. The Social Psychology of Gender, McGraw-Hill, Inc. 1996, გვ.: 21-28, 238-266;
2. Best D. L., Williams I. E. Gender and culture. – in Culture and Psychology, edited by David Matsumoto. Oxford University press, 2001, გვ.: 316-322;
3. Judith Butler, Gender Trouble, Feminism and the subversion of identity, Routledge, Chapman & Hall, Inc., 1990, გვ.: 1-34;
4. ზურიკაშვილი ფ. მალრაძე გ. ჭანიშვილი ნ. ხუციშვილი გ. ჯორბენაძე რ. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის, თბ., 2003, ნაწილი II;
5. მ. წერეთელი, გენდერი, როგორც ფსიქიკური კონსტრუქტი – დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2004, თბ., გვ.: 185-188;
6. ავალიანი ე. ძველი სამყაროს „ფემინისტური“ კულტურები, - კრ.-ში „ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში“, ბაკურ სულაკაურის გამომც., 1998, გვ.: 95-103.



**თემა №2 - გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული როლის ათვისების თეორიები (ფსიქოანალიზური, სოციალურ-კომპლექსური, კომპლექსური განვითარების თეორიები, ანდროგინის კონცეფცია, გენდერულ-როლური ტრანსცენდენციის სტადიების და გენდერული სქემის თეორია).**

*ლექციაზე განხილული იქნება თითოეული თეორიის ძირითადი პრინციპები, გენდერის გაგება ამ თეორიათა ფარგლებში, აგრეთვე, მათი კრიტიკული შეფასება და მნიშვნელობა გენდერული კვლევების განვითარებისათვის.*

**გენდერის გაგება ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში.** გენდერულ კვლევებზე, კერძოდ კი, გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული სხვაობების გაგებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ზ. ფროიდის (Freud) ფსიქოანალიზურმა თეორიამ. ფროიდი იყო პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც პიროვნების თეორიის ცენტრში მოაქცია ბიოლოგიური სქესი და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელოვან როლს განვითარების პროცესში.

მართალია, ფროიდი გენდერის მკვლევართა რიცხვს არ მიეკუთვნება და თვით გენდერის მეცნიერული ტერმინიც არ არსებობდა ამ დროისათვის, მაგრამ მან პირველმა ახსნა პიროვნების სქესობრივი იდენტიფიკაციისა და სქესობრივი სხვაობების ჩამოყალიბების პროცესი. ამდენად, ფროიდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გენდერის ფენომენის მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოქცევაში. მისმა შეხედულებებმა საფუძველი ჩაუყარა გენდერის მეცნიერული კვლევის ობიექტად ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სქესობრივი იდენტიფიკაციის მექანიზმის ფროიდისეული გაგების განხილვა.

ზ. ფროიდის მიდგომა სქესობრივი იდენტიფიკაციისადმი ეფუძნება ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარების მის მიერ გამოყოფილ სტადიებს. კერძოდ, ფროიდის თეორიის მიხედვით სქესობრივი იდენტიფიკაციისა და სქესობრივი სხვაობების ფორმირების მექანიზმი ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესშია ჩადებული. სქესობრივი იდენტურობის განვითარება მიმდინარეობს სტადიების სერიების მიხედვით. ყოველი ეტაპი ხასიათდება ლიბიდური (სექსუალური) ენერჯის კონცენტრაციით სხეულის გარკვეულ ნაწილში. ფსიქოსექსუალური განვითარების I ეტაპზე – ორალურ სტადიაზე ბავშვი აღწევს პრიმიტიულ სექსუალურ დაკმაყოფილებას ნოვის საშუალებით. II ეტაპზე – ანალურ სტადიაზე სიამოვნება მიიღწევა დეფეკაციით და ბავშვი კონცენტრირებულია განავლის შეკავებასა და გამოყოფაზე. ფროიდის მიხედვით, ბიჭებისა და გოგონების ფსიქოსექსუალური განვითარება ერთნაირად მიმდინარეობს ამ ორი საწყისი სტადიის განმავლობაში.

ფალოსურ სტადიაზე, რომელიც დაახლოებით სამიდან ექვს წლამდე მიმდინარეობს, ბავშვის ლიბიდური ენერჯია ფოკუსირდება გენიტალიებზე. სწორედ ამ ეტაპზე ხდება სქესი და გენდერი გადამწყვეტი ბავშვის განვითარებისთვის. იგი აცნობიერებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული სასქესო ორგანოები აქვთ.

ამ სტადიამდე სიყვარულისა და ეროტიკული მიმზიდველობის პირველი ობიექტი როგორც გოგონებისათვის, ასევე ბიჭებისათვის, დედაა. თუმცა, როდესაც ბავშვები მიაღწევენ ფალოსურ სტადიას, მათი ურთიერთობები დედასთან რთულდება. ბიჭებში დედის მიმართ სიყვარული ინცესტად იქცევა და ვითარდება ოიდიპოს კომპლექსი. პატარა ბიჭების სურვილი „ფლობდნენ“ დედას და მასთან ურთიერთობაში „ჩაანაცვლონ“ მამა, იწვევს კასტრაციის შიშს. სწორედ ამ შიშით გამოწვეული სტრესი და შფოთვა ბიჭის შემდგომი განვითარების მამოძრავებელი ძლიერი ძალაა. ბიჭები თავს ართმევენ კასტრაციის შიშს დედის მიმართ სექსუალური ლტოლვისა და მამასთან მტრული დამოკიდებულების განდევნით (არაცნო-

ბიერში). ეს ხორციელდება მამასთან იდენტიფიკაციის გზით. ბიჭები ცდილობენ მოაწონონ მამას თავი და გაიზიარონ მისი ღირებულებები. მამასთან იდენტიფიკაცია ბიჭებს საშუალებას აძლევს „ფლობდეს“ დედას, თუმცა არა რეალურად, არამედ – გაშუალებულად (ჩანაცვლებულად). მამასთან იდენტიფიკაციის გზით დაიძლევა ოიდიპოს კომპლექსი და ვითარდება სუპერეგო – მორალური ნორმების სისტემა.

გოგონების განვითარება სხვაგვარად მიმდინარეობს. ფალოსურ სტადიაზე გოგონების მიერ გაკეთებული აღმოჩენა, რომ მათ აკლიათ პენისი, ფროიდის მიხედვით, გოგონათა განვითარებისთვის გადამწყვეტი მომენტი. გოგონას უვითარდება ე.წ. „პენისის შური“. ეს უკანასკნელი გოგონების თვითშეფასებას დიდ დარტყმას აყენებს და მათ არასრულფასოვნების კომპლექსს უყალიბებს. თუმცა დედა არის გოგონების სიყვარულის თავდაპირველი ობიექტი, მაგრამ ისინი სწორედ დედას ადანაშაულებენ პენისის არქონაში და უარს ამბობენ დედის სიყვარულზე. თავიანთ სიყვარულს ისინი მამებისკენ მიმართავენ, რომელთაც აქვთ ის ორგანო, რომელიც მათ და მათ „დეფექტურ“ დედებს არასოდეს ექნებათ. გოგონების „პენისის ფლობის“ სურვილი მამისკენ სიყვარულის წარმართვით არ არის სრულად დაკმაყოფილებული. იგი გარდაიქმნება მამისგან ბავშვის ყოლის სურვილად და მოგვიანებით, ბავშვის ყოლის სურვილად საკუთარი მეუღლისგან. ფროიდის მიხედვით, ქალი სრულიად რეალიზირდება ვაჟიშვილის გაჩენის შემთხვევაში, რადგან იგი ასეთნაირად, ბოლოს და ბოლოს, აღწევს დიდი ხნის სასურველი „პენისის ფლობას“. ამგვარად, პატარა გოგო, რომელიც „პატარა კაცი“ იყო ფსიქოსექსუალური განვითარების პრეოიდიპალურ სტადიაზე, ფალოსური სტადიის გავლის შედეგად ხდება პასიური, მგრძნობიარე და განაყოფიერების მომლოდინე ქალი.

ფროიდის აზრით, განსხვავებით ბიჭებისგან, გოგონები ჩვეულებრივ, წარუმატებლობას განიცდიან სრულად გადამწყვიტონ ოიდიპოს კომპლექსი (ამ სიტუაციას, გოგონების შემთხვევაში შეიძლება ელექტრას კომპლექსი ეწოდოს). გოგონებს აქვთ კრიზისი მათ მიერ პენისის არ ფლობის გამო და მათი ინცესტური მოთხოვნილება მამის მიმართ არის პენისის მოპოვების მცდელობა. ბიჭებისგან განსხვავებით, რომლებიც კასტრაციის შფოთვით არიან მოტივირებულნი გადაჭრან ოიდიპოს კომპლექსი, გოგონები თავიანთ თავს უკვე კასტრირებულად განიხილავენ და ამდენად, ნაკლებ შფოთვას განიცდიან. ამიტომ ქალებს ჩვეულებრივ აქვთ ნაკლებად განვითარებული მორალურობის გრძნობათა სისტემა ანუ სუპერეგო.

ზ. ფროიდის მიხედვით, გოგონებში ოიდიპოს კომპლექსის ნაწილობრივი ან არასრული დაძლევა ხდება. ეს კი იწვევს ტიპურ ქალურ თვისებების ჩამოყალიბებას, ისეთებს, როგორცაა, პასიურობა და დედობის სურვილი. ფროიდი აღნიშნავდა, რომ განაყოფიერების სურვილი ასევე მიუთითებს მაზოხიზმზე და სიამოვნებაზე ტკივილისა და ტანჯვისაგან, რადგანაც სექსუალური ურთიერთობები და შვილების გაჩენა შეიძლება ტკივილთან იყოს დაკავშირებული.

ამგვარად, ფროიდის მიხედვით, „პენისის შური“ და მისი „ფლობის“ სურვილი ნორმალური ქალურობის ჩამოყალიბების მამოძრავებელი ძალაა. ბიჭისათვის ნორმალური მამაკაცურობის ჩამოყალიბების მამოძრავებელი ძალა კი კასტრაციის შიშია. რაც შეეხება სქესის იდენტიფიკაციის მექანიზმს, იგი, ფროიდის მიხედვით, ოიდიპოს კომპლექსის დაძლევისა და იგივე სქესის მშობელთან იდენტიფიკაციაში მდგომარეობს.

ზ. ფროიდის თეორიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ გენდერის, არამედ, საერთოდ ადამიანის შესახებ მეცნიერული აზრის განვითარებაზე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი თეორია მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. ყველაზე სერიოზული კრიტიკა ანთროპოლოგების მხრიდან მოდიოდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს თეორია დასავლური კულტურის ჩარჩოებით არის შეზღუდული. კერძოდ, მალინოვსკი მიუთითებდა, რომ ოიდიპოს კომპლექსი არ არის უნივერსალური ფენომენი, როგორც ამას ფროიდი ვარაუდობდა. მალინოვსკი აღნიშნავდა, რომ ოჯახის საბაზო სტრუქტურა (მამა, დედა და შვილი), რომელზეც აგებულია ოიდიპოს კომპლექსი, არ არის დამახასიათებელი ბევრი კულტურისთვის. მაგალითად, ტრობრიანის კუნძულებზე (პაპუა – ახალი გვინეა) ოჯახის უფროსი არა მამა, არამედ – ბიძაა დედის მხრიდან. ამასთან მკაცრი ტაბუ ინცესტზე დადებულია არა ბავშვებისა და

მშობლების ურთიერთობებზე, არამედ ძმებსა და დებს შორის ურთიერთობებზე. მალინოვსკი აღნიშნავდა, რომ ასეთ პირობებში ოიდიპოს კომპლექსს სრულიად სხვაგვარი სახე უნდა მისცემოდა. მართლაც, ტრობრიანის კუნძულების მითების შესწავლისას მალინოვსკიმ აღმოაჩინა, რომ მათ საფუძველს წარმოადგენს დებსა და ძმებს შორის ურთიერთობების მკაცრი ტაბუ.

თუმცა მალინოვსკი აკრიტიკებდა ფროიდს ოიდიპოს კომპლექსთან დაკავშირებით, მაგრამ იგი სრულიად იზიარებდა მისი თეორიის ძირითად პრინციპებს. მალინოვსკი იზიარებდა ფროიდის შეხედულებას იმის შესახებაც, რომ განდევნილი სურვილები პროექციებში (მითებში, ფოლკლორში და ა. შ.) ვლინდება, იმ განსხვავებით, რომ ეს პროექციები უნივერსალური კი არ არის, არამედ განსხვავდება კულტურათა მიხედვით.

ფროიდის იდეებმა ნორმალური ფემინური და მასკულინური პიროვნების შესახებ მეტად ფართე გავრცელება პოვა როგორც მის სტუდენტებში, ასევე ფსიქოლოგებსა და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებში. მისი მიდგომა გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული ტიპირების შესახებ მრავალი ინტერპრეტაციის დასაყრდენი გახდა.

ზ. ფროიდის თეორიის მიმდევარის ჰელენ დაჩის აზრით, გოგონას განვითარების მამოძრავებელ ძალას „პენისის შური“ უნივერსალური კატეგორია კი არ წარმოადგენს, არამედ ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი შური იმისა, რაც სხვას აქვს.

ერიკ ერიქსონმა განავრცო ფროიდის განვითარების თეორია. ერიქსონის დამსახურებაა ბავშვის განვითარებაში და იდენტიფიკაციაში ბიოლოგიურ იმპულსებთან ერთად სოციალური ფაქტორების ზეგავლენის მნიშვნელობის ხაზგასმა. ამასთან, ერიქსონის მიხედვით, ქალის გენდერული იდენტიფიკაციის საფუძველს პენისის უქონლობა კი არ წარმოადგენს, არამედ – საშვილოსნოს ქონა. ერიქსონმა ხაზი გაუსვა შინაგანი სივრცის ცნებას. იგი აკვირდებოდა 10-12 წლის ბავშვების თამაშს და დაადგინა, რომ შინაგანი სივრცე გავლენას ახდენს სქესის იდენტიფიკაციაზე. ბავშვებს ეძლეოდათ ადამიანებისა და ცხოველების მინიატურული ფიგურები. მათ სთხოვდნენ, რომ აეგოთ კინოს (ფილმის) სცენა. გოგოს ტიპური სცენა შედგებოდა ინტერიერის სცენისაგან ადამიანებით და ავეჯით. ბიჭის ტიპური სცენა იყო სახლს გარეთ, მორთული კედლებით, ფასადებით და ბოძებით. გოგონების სცენები მშვიდი და სტატიკური იყო, ხოლო ბიჭებისა – აქტიურობისკენ ორიენტირებული. ერიქსონმა პარალელი გაავლო გენდერულ კონსტრუქციულ თამაშებს შორის განსხვავებებსა და სქესთაბიოლოგიურ განსხვავებებს შორის (ქალის შინაგანი ფაქიზი ორგანოები და კაცის გარეგანი, აქტიური ორგანოები). სწორედ ეს განსხვავებული ორგანოები განსაზღვრავენ, ერიქსონის მიხედვით, ბავშვების განსხვავებულ შინაგან სივრცეს, რომლიც მათი სქესობრივი იდენტიფიკაციის საფუძველია.

ალფრედ ადლერი თვლიდა, რომ ადამიანი უპირველესად სოციალური და არა სექსუალური არსებაა. და ამდენად, მისი ქცევა მოტივირებულია არა ბიოლოგიური ინსტიქტებით, არამედ – სოციალური ინტერესებით. მისი აზრით, მასკულინური დომინანტობა არ არის ბუნებრივი მოვლენა. იგი გამოწვეულია კაცებისა და ბიჭების უფრო მეტი სოციალური ღირებულებით ოჯახსა და საზოგადოებაში.

კარენ ჰორნი თვლიდა, რომ ფროიდის მონაცემები ქალის განვითარების შესახებ ასახავს პატარა ბიჭის აზრებს ქალის ანატომიის შესახებ. თუმცა პატარა ბიჭი შეიძლება უყურებდეს პატარა გოგოს და ფიქრობდეს, რომ მან დაკარგა პენისი, მაგრამ არანაირი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გოგოც ასე ფიქრობს. ჰორნი არ ეთანხმებოდა ფროიდს, რომ „პენისის შური“ და კასტრაციის კომპლექსი ქალის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია. იგი აღნიშნავდა, რომ იცნობდა ზუსტად იმდენივე კაცს, რომლებსაც ქალის საშვილოსნოსი შურდათ, რამდენსაც ქალს, რომლებსაც კაცის პენისის შურდათ. იგი თვლიდა, რომ ზოგიერთი კაცის აკვიატებული სწრაფვა მიღწევისაკენ გამოხატავს ქალების უნიკალური შესაძლებლობების (რეპროდუქციული უნარის) ზეკომპენსაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰორნის აზრით, საშვილოსნოს შურს მიყვებართ ფემინურ კომპლექსამდე.

ჰორნის აზრით, არ არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის ბიოლოგიურად დეტერმინირებული ფსიქოლოგიური სხვაობები. ისინი განპირობებულია გენდერულ

იდენტიფიკაციაზე კულტურული ფაქტორების და ქალის სუსტი ბუნების შესახებ იდეოლოგიების დიდი ზეგავლენის გამო.

ბიოლოგიური და კულტურული ფაქტორების გენდერულ იდენტიფიკაციაზე გავლენის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მ. მიდის კვლევები. ახლი გვინების 3 განხვავებული ტომის შესწავლის შედეგად, მან დაადგინა, რომ ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული თვისებები ყოველთვის არ არის ბიოლოგიური სქესით განპირობებული.

სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა, აგრეთვე ქალისა და ქალურობის ფენომენის ფროიდისეული გაგება. ფემინისტური მოძრაობის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ ფროიდის დამოკიდებულება ქალებისადმი ვიქტორიანული ეპოქის შეხედულებების ასახვაა. კლარა ტომპსონის აზრით, ფროიდის შეხედულებების შეზღუდულობა ყველაზე კარგად ჩანს „პენისის შურის“ მის კონცეფციაში. კლარა ტომპსონი აღიარებს, რომ გოგონებს შურთ ბიჭების, მაგრამ მისი აზრით, ეს შური ქალების ბიოლოგიური არასრულფასოვნებით კი არ არის გამოწვეული (როგორც ეს ფროიდს აქვს გაგებული), არამედ იმ პრივილეგიებით, რომლებითაც განსხვავებით გოგონებისა და ქალებისაგან, სარგებლობენ საზოგადოებაში ბიჭები და მამაკაცები.

ფროიდის თეორიას აკრიტიკებენ ემპირიული მონაცემების სიმწირის გამოც. კერძოდ, სხვა მკვლევართა მრავალრიცხოვანი ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ზნეობრივი გრძნობები ბავშვებს არ უყალიბდებათ სხეულებრივი დაზიანებების მიღების შიშის გამო (იქნება ეს კასტრაციის შიში თუ სხვა ტიპის ფიზიკური დასჯა). მორალური გრძნობები ბავშვს უფითარდება მაშინ, როცა იგი სიყვარულით არის გარშემორტყმული და ცდილობს შეინარჩუნოს ეს სიყვარული. ეს მონაცემები ეხება როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს.

ფსიქოანალიზის ფემინისტური მიმართულების ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, რომ ფროიდის თეორია ზედმეტად ინდივიდუალისტურია და მონყვეტილია სოციალურ გარემოს. ნენსი ჩოდოროუ და ჯესიკა ბენჟამინი აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია შევისწავლოთ ადამიანი იზოლირებულად და მხოლოდ მისი ლტოლვები და ეგოფუნქციები გავითვალისწინოთ. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული თვისებების ჩამოყალიბების მოდელის აგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ადამიანებთან ურთიერთობებიც.

ფროიდის თეორია გაკრიტიკებული იყო იმის გამოც, რომ მისი დებულებები ეხება ბავშვის განვითარებას, მისი დამამტკიცებელი ემპირიული საბუთები კი ზრდასრული ადამიანების კვლევის შედეგადაა მოპოვებული.

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ფროიდის თეორიას არანაირი ღირებულება არა აქვს, რადგან იგი ძალიან ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანია. კერძოდ, კრიტიკა ეხება ამ თეორიის საფუძველზე ბავშვის განვითარების პროგნოზირების შესაძლებლობებს. ამ ავტორების აზრით, ხშირ შემთხვევებში მას მიყვებართ ერთი და იგივე მოვლენის ურთიერთსაინანააღმდეგო ინტერპრეტაციებამდე. მაგალითად, ფრუსტრაციამ ანალურ სტადიაზე შეიძლება გამოიწვიოს ხასიათის ისეთი თვისებების განვითარება, როგორცაა, აკურატულობა, სისუფთავე და დამჯერობა ან პირიქით – ამბოხისა და არეულობისაკენ მიდრეკილება.

ამგვარად, დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ზ. ფროიდის თეორიის ფარგლებში გენდერული იდენტიფიკაციის გაგების კრიტიკა ეფუძნება შემდეგ არგუმენტებს: ემპირიული მასალის სიმწირე; პიროვნების ბიოლოგიური ფსქტორებით დეტერმინირებულობა; ქალის მორალურობისა და თვისებების ჩამოყალიბების მოდელის სისუსტე; პიროვნების სოციალურ გარემოსგან მონყვეტილი გაგება; კულტურული ღირებულებებისა და მათ შორის ოჯახისა და ურთიერთობების კულტურული პრაქტიკების გათვალისწინებულობა.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი და სერიოზული კრიტიკისა, ფროიდის თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა გენდერის გაგებაზე და მისი, როგორც მეცნიერული კონცეფციის განვითარებაზე. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ფროიდის ბევრი კრიტიკოსის შეხედულება სწორედ მისი თეორიიდან იღებს სათავეს: მათი უმეტესობა იზიარებს სქესის იდენტიფიკაციის ფროიდისეული გაგების ძირითად პრინციპებს. თუმცა კი, ფროიდის კრიტიკოსები ავსებენ და

ანვითარებენ მის მოდელს, სქესის იდენტიფიკაციის მექანიზმში დამატებითი, კულტურული ფაქტორების შემოტანის გზით. ამდენად, ფროიდის თეორია უნდა განვიხილოთ, როგორც გენდერის ფსიქოლოგიის განვითარების ერთ-ერთი სტიმული, მამოძრავებელი ძალა და გენდერის თანამედროვე გაგების მეცნიერული წინაპირობა.

### **გენდერის გაგება პიროვნების სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში.**

პიროვნების სოციალურ-კოგნიტური თეორიის(Bandura, Mishell) მიხედვით ქცევის ასახსნელად საკმარისი არ არის მხოლოდ ადამიანის შინაგანი რეალობის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კულტურული და სოციალური ფაქტორებიც, რომელიც ზეგავლენას ახდენს პიროვნების განვითარებაზე. ბანდურას მიხედვით, ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების მექანიზმი ქცევის, შემეცნებითი სფეროს და გარემოს უწყვეტი ურთიერთ-ზემოქმედების ტერმინებში უნდა იყოს აგებული.

სოციალურ-კოგნიტური თეორია გენდერულ-როლური ორიენტაციის ფორმირებას განიხილავს, როგორც გამოცდილების შექმნის რეზულტატს. მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და სოციალიზაციის სხვა აგენტები აყალიბებენ ბავშვების გენდერულ-როლურად ორიენტირებულ ქცევას, ადეკვატური და არაადეკვატური ქცევის განმტკიცებითა და დასჯით, მოდელირებით, მოლოდინებით, სათამაშოების შერჩევით და სხვა მომენტებით, რომელიც დაკავშირებულია განსხვავებული მოქცევით გოგონებთან და ბიჭებთან.

სოციალურ-კოგნიტური თეორია ბიჰევიორიზმიდან და სწავლის ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან იღებს სათავეს. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს ქცევის პატერნებს დაახლოებით ისევე, როგორც ცხოველი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში გამომწვევი მიზეზი არ არის ყოველთვის ისეთი კონკრეტული, როგორც ცხოველისათვის საკვები. ბავშვის ქცევა ყალიბდება მოზრდილების ყურადღებითა და ნახალისებით. როგორც ანგერი აღნიშნავს, მშობლები არ დაყვებიან თავიანთ პატარა გოგონას და ყოველთვის, როცა ის თოჯინას აიღებს ხელში სათამაშოდ, არ აძლევენ კანფეტებს ნახალისების მიზნით. ასევე არ უბრაზდებიან ყოველთვის, როცა მანქანით თამაშობს. მაგრამ თუ მამა პერიოდულად შეხედავს მას თბილი ღიმილით, როცა ის ფანქრებით რვეულში ხატავს, გოგონა ხშირად გაიმეორებს ამ ქცევას. ახლად ნასწავლი ქცევა შეიძლება გავრცელდეს სხვა სიტუაციებზეც – გოგონა დაიწყებს ხატვას არა მხოლოდ სახლში, არამედ – საბავშვო ბაღშიც. უფრო ზოგადად, გოგონამ შეიძლება დაისწავლოს, რომ „წყნარი“ თამაში უკეთესია, ვიდრე – „აქტიური“.

ამ თეორიის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბავშვი ცხოველებისგან განსხვავებით სწავლობს სხვებზე დაკვირვებით, მოდელირებით და მათი ქცევის იმიტირებით. სოციალურ-კოგნიტური თეორიის ამოსავალს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ ქცევის ახალი ფორმების ჩამოყალიბება შესაძლებელია უშუალო გარეგანი განმტკიცების არარსებობის შემთხვევაშიც. ქცევის ათვისება შესაძლებელია მაგალითის საშუალებითაც. ჩვენ ვაკვირდებით, თუ როგორ იქცევიან სხვები და შემდეგ ვიმეორებთ მათ ქცევას. ამგვარად, ბანდურა აქცენტს აკეთებს არა პირდაპირ განმტკიცებაზე, არამედ – სწავლაზე დაკვირვებისა და მაგალითის გზით. ასეთნაირად ადამიანებს უყალიბდებათ გარკვეული ქცევის კოგნიტური მოდელი, რომელიც ვერბალური და კოგნიტური რეპრეზენტაციების სახით ინახება მეხსიერებაში და მომავალ ქცევაში ორიენტირის ფუნქციას ასრულებს. კერძოდ, ქცევის ამ კოგნიტურ მოდელზე დაყრდნობით ხორციელდება მომავალი ქცევის ღირებულების კოგნიტური შეფასება და საზოგადოებაში მისი დადებითი თუ უარყოფითი განმტკიცების განჭვრეტა.

აღსანიშნავია, რომ ქცევის კოგნიტური მოდელი ამ თეორიის ფარგლებში სამოდულო ქცევის ხატია, რომელიც შემდგომში შესაბამისი ან შეუსაბამო ქცევის პროტოტიპად გამოიყენება. ქცევის და მათ შორის გენდერული ქცევის პროტოტიპის ჩამოყალიბება სწავლის პროცესში მიმდინარე შესაბამისი ქცევითი მაგალითების, ინფორმაციის ვერბალური გადაცემის, იმიტაციისა და მოდელირების შედეგია.

იმიტაცია ან მოდელირება სპონტანურად ვლინდება ბავშვში. ისინი მანერების, ლაპარაკის და სხვა მრავალი ქცევის იმიტაციას ახდენენ. მაგალითად, პატარა ბიჭუნა სათამაშო საპარსით იპარსავს, როცა მამამისი ნამდვილ საპარსს იყენებს, დედა ახალშობილს აჭმევს, პატარა გოგონა კი - თავის თოჯინას. იმიტაცია ხშირად ვლინდება თამაშებში, ისეთებში, როგორცაა, „სახლობანა“, „ომობანა“, „დედა-შვილობანა“, „სკოლობანა“ და ა.შ.

სწავლა ხშირად დაკვირვების შედეგია, თუმცა იგი შეიძლება მაშინვე არ გამოვლინდეს იმიტაციის სახით. მაგალითად, გოგონა შეიძლება აკვირდებოდეს დედას, რომელიც დიდ დროს უთმობს თავის გარეგნობას, კოსმეტიკას, ტანსაცმელს და სწავლობდეს, რომ მიმზიდველობა ქალის აუცილებელი კატეგორიაა. ამავე დროს, მან ეს ცოდნა შეიძლება არა მაშინვე, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ, მხოლოდ მოზრდილობისას გამოიყენოს. ბანდურას მიხედვით, ათვისებული გენდერულად ტიპური ქცევა მეხსიერებაში ინახება და გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ამ ქცევის საზოგადოების მხრიდან დადებითი განმტკიცება (ნახალისება).

ბავშვის უნარი წინასწარ განჭვრიტოს მომავალი ქცევის შედეგები (კოგნიტური სტრუქტურებისა და ფუნქციების გამოყენებით) საშუალებას აძლევს მას თავიდან აიცილოს არასასურველი ქცევა და ამგვარად ისწავლოს, თუ რომელი ქცევაა მისაღები მისი სქესისთვის და რომელი ქცევაა მიუღებელი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ თეორიის მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოგნიტური პროცესების მონანიშნეობას ქცევის მოდელირებაში. მიუხედავად ამისა, სოციალურ-კოგნიტური თეორია ხაზს უსვამს სოციალური და კულტურული ფაქტორების მნიშვნელოვან როლს სქესის იდენტიფიკაციის პროცესში. იგი განიხილავს ამ ფაქტორთა ზეგავლენის 2 დონეს: უშუალო ქცევის დონეს (ქცევის განმტკიცებას პირდაპირი გამოცდილების საფუძველზე) და თეორიული ქცევის დონეს (ქცევის განმტკიცებას დაკვირვების, მოდელირებისა და ქცევის შედეგების კოგნიტური შეფასების, განჭვრეტის გზით).

ამგვარად, სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში კოგნიტური კატეგორიები და ცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ დამატებით მნიშვნელოვან (ადამიანისათვის სპეციფიკურ) ფაქტორს გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების პროცესში. ამდენად, გენდერული ქცევის კოგნიტური კატეგორია – პროტოტიპი, ამ თეორიაში უფრო გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების პროცესის მექანიზმის ამხსნელი ცნებაა, ვიდრე – უშუალო დასჯა-ნახალისებისა თუ მომავალი ქცევის რეზულტატების შეფასების შედეგად ჩამოყალიბებული ფსიქიკური კონსტრუქტისა.

ქცევის გენდერული ტიპირება (ბავშვის მიერ გენდერულ-როლური ორიენტაციების ათვისება) უფრო ადვილად მიმდინარეობს, როცა მშობლები ისე აწყობენ გარემოცვას, რომ ზოგი ქცევის განხორციელება უფრო იყოს მოსალოდნელი (ან მოსახერხებელი) ვიდრე – სხვისა. მაგალითად, თუ ბიჭის ოთახი სავსეა სპორტული დანადგარებით, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ის უფრო უხეში თამაშებით იქნება გატაცებული, ვიდრე მისი და, რომლის ოთახიც ნაზფერებში და ნაზი ატრიბუტებითაა მოწყობილი.

არსებობს დამაჯერებელი კროსკულტურული საბუთები, რომ სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერულ-როლური ორიენტაციების ათვისებაში. დავალებები, რომლებსაც ბავშვებს აძლევენ, აგრეთვე, როლური მოდელები, რომლებსაც გვთავაზობს კულტურა, უფრო ფართე პლანში, აძლევს ბავშვებს საშუალებას აითვისოს სხვადასხვა როლები და ქცევის ტიპები.

გენდერულ იდენტიფიკაციაზე და ტიპირებაზე სოციალური და კულტურული ფაქტორების მნიშვნელოვან ზეგავლენას ადასტურებენ სხვადასხვა ავტორთა მიერ ჩატარებულ კროსკულტურულ კვლევები. მართალია, ყველა ეს კვლევა სოციალური დასწავლის თეორიის ფარგლებში არ ჩატარებულა, მაგრამ თითოეული მათგანი წარმოადგენს ბავშვების გენდერულ იდენტიფიკაციაზე და ტიპირებაზე სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენის ილუსტრაციას. ამდენად, ეს კვლევები სოციალურ-კოგნიტური თეორიის დამადასტურებელ საბუ-

თებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამგვარად, სოციალურ-კოგნიტიური თეორია ხაზს უსვამს კულტურული ძალების მნიშვნელობას ბავშვების მიერ გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერულ-როლური ორიენტაციების ათვისებაში. სოციალურ-კოგნიტიური თეორია სოციალური გავლენების თეორიაა. იგი გენდერულ იდენტიფიკაციასა და გენდერულ ტიპირებას განიხილავს არა როგორც ბიოლოგიურად დეტერმინირებულს, არამედ როგორც ბავშვისა და მისი გარემოს (მშობლები, მომვლელები, მედია, სკოლა, თანატოლები და სხვ.) ყოველდღიური ინტერაქციის შედეგს.

ამასთან, ამ თეორიის მიხედვით, გენდერული იდენტიფიკაცია და ტიპირება იმდენად სოციალური გარემოს მხრიდან განხორციელებული უშუალო (პირდაპირი) განმტკიცების შედეგი კი არ არის, რამდენადაც შესაძლო ქცევის ღირებულების, მისი განმტკიცების შესაძლებლობის კოგნიტიური შეფასების შედეგია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ თეორიის ფარგლებში შემოტანილია სპეციფიკური სტრუქტურა – კოგნიტიური მოდელი, რომელიც გამოცდილების პროცესში მოდელირებული ქცევების ვერბალური და ხატოვანი რეპრეზენტაციების სახით ინახება მეხსიერებაში. ეს კოგნიტიური მოდელი, რომელსაც პროტოტიპის სახე აქვს, გენდერული იდენტიფიკაციის მექანიზმის ერთ-ერთი რგოლია: იგი მომავალი ქცევის შეფასების ნიმუშად გამოიყენება.

სოციალურ-კოგნიტიურმა თეორიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა გენდერული კვლევების განვითარებაზე. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ამ თვალსაზრისით ემპირიული მასალის მოპოვებაში. კერძოდ კი, გენდერული იდენტიფიკაციის პროცესში სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენის დამადასტურებელი ემპირიული მონაცემების დაგროვებაში.

**გენდერის გაგება კოგნიტიური განვითარების თეორიაში.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელიც ეხება გენდერულ-როლური ორიენტაციის ათვისებას, არის კოგნიტიური განვითარების თეორია. იგი ეფუძნება ჟან პიაჟეს გამოკვლევებს. მან დაადასტურა, რომ ბავშვები გადიან კოგნიტიური განვითარების ეტაპებს. გამოკვლევებზე დაყრდნობით, მან აჩვენა, რომ ზოგიერთი კონცეფციის გააზრება ბავშვისათვის შეუძლებელია, სანამ იგი არ მიაღწევს განვითარების გარკვეულ კოგნიტურ ეტაპს. ბავშვის მიერ საკუთარი სქესის გაგებაც იცლება სხვადასხვა ეტაპზე. ლ. კოლბერგის (Kohlberg) კოგნიტიური განვითარების კონცეფციის მიხედვით, გენდერული იდენტიფიკაცია და გენდერულ-როლური ორიენტაციების ათვისება არის ბავშვის სოციალური და ფიზიკური სამყაროს აქტიური შექმნის, ჩამოყალიბების (სტრუქტურირების) შედეგი. ბავშვები მუდმივად იკვლევენ გარემოს, ცდილობენ მის გააზრებას და ამ პროცესში ისინი აქტიურად აგებენ ახალ და უფრო რთულ სტრუქტურებს, რომლებიც გარემოსთან კონტაქტის საშუალებას იძლევიან. ამგვარად, ეს თეორია ხაზს უსვამს გარეგანი ფაქტორების როლს სქესობრივ-როლური ორიენტაციის ფორმირებაში. თუმცა ამ ფაქტორების ზეგავლენა განისაზღვრება ბავშვის კოგნიტიური სტრუქტურების ფორმირებით. ბავშვები გადიან თავის განვითარებაში სქესთან დაკავშირებული ინფორმაციის ათვისების განსაზღვრულ ეტაპებს და მათ მიერ შექმნილი გამოცდილება სტრუქტურირდება გაგების მისაწვდომი დონის შესაბამისად.

არსებული ემპირიული მონაცემები ადასტურებს, რომ კოგნიტიური განვითარების ფაქტორები დომინანტურ როლს თამაშობენ გენდერული წარმოდგენების ფორმირების პროცესში. ასე მაგალითად, 2-3 წლის ბავშვი სწორ პასუხებს იძლევა საკუთარ სქესთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე. თუმცა ბავშვს სჯერა, რომ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი სქესის თმის ვარცხნილობასთან ან ტანსაცმელთან ერთად შეცვლა.

სლები და ფრეი (Slaby & Frey) გამოყოფენ ამერიკელი ბავშვების მიერ სქესთან დაკავშირებული პრობლემების გაგების ოთხ დონეს. თავდაპირველად ბავშვები არ ანსხვავებენ სქესებს, მეორე ეტაპზე ბავშვები იწყებენ სქესთან დაკავშირებული კატეგორიების გამოყენებას, მაგრამ ისინი ეფუძნებიან ზედაპირულ ფიზიკურ მახასიათებლებს. ბოლო ორ ეტაპზე, რომელიც დაახლოებით 4,5-5 წლის ასაკში იწყებს მიმდინარეობას, ბავშვები თანდათანობით მიდიან იმის გაგებამდე, რომ სქესი წარმოადგენს მყარ და შეუცვლელ თავისებურებას.

რ. მონრო, შიმინი და მონრო (R.H. Munroe, Shimmin & Munroe) იკვლევდნენ კულტურულ სხვაობებს ქალისა და მამაკაცის სქესს შორის ამ ოთხი ეტაპის მიმდინარეობაში. როგორც ნავარაუდები იყო, მაღალი დონეების (მე-3 და მე-4 დონე) მიღწევა ძლიერად ვარირებდა სხვადასხვა კულტურების მიხედვით. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ გენდერული ცნებების ათვისება უფრო ნელა მიმდინარეობს იმ კულტურებში, სადაც ბავშვებს ნაკლები ურთიერთობები აქვთ მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან, რაც ხშირად ხდება ტრადიციულ კულტურებში, სადაც ბავშვებზე ზრუნვით ძირითადად დედა დაკავებული.

ბუსიმ (Bussey) აღმოაჩინა, რომ სქესის შეუცვლელობის შესახებ წარმოდგენა არ არის მნიშვნელოვანი წანამძღვარი სქესობრივი მიკუთვნებულობით განსაზღვრული ქცევის ფორმირებისთვის. ბიჭების ქცევის მოდელი მოიცავს 2 პროცესს, რომელიც ერთის მხრივ, მასკულიზირებული ქცევის ათვისებაში მდგომარეობს, მეორეს მხრივ კი ფემინური ქცევის მიუღებლობაში. გოგონებისთვის ანალოგიური მოდელი მოიცავს მხოლოდ ერთ პროცესს: ქალთა სქესთან დაკავშირებული ქცევის ათვისებას, საწინააღმდეგო სქესის ქცევის არ მიღების გარეშე. ამის შედეგად, პატარა გოგონებისთვის ქალა-ბიჭა ქცევა სრულიად მისაღებია, მაშინ როცა „დედიკოს შვილის“ ქცევა მიუღებელია ბიჭისთვის.

გენდერული როლები ყალიბდება ქალისა და მამაკაცის სქესებს შორის განსხვავების შესახებ სტერეოტიპული კულტურული შეხედულებების კონტექსტში. გამოკვლევები აჩვენებს, რომ ბავშვებს ცხოვრების პირველ ორ წელიწადში უყალიბდებათ ქალურ და მამაკაცურ სანყისთან დაკავშირებული სტერეოტიპები, ხოლო უკვე 3-4 წლის ასაკში ბავშვები ამ სტერეოტიპებს იყენებენ სათამაშოების კატეგორიის, საქმიანობის სხვადასხვა სახისა და პროფესიების განსასაზღვრად. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, აგრეთვე, რომ ბავშვების მიერ იმ სტერეოტიპების ათვისება, რომლებიც დაკავშირებულია სათამაშოებისა და მოღვაწეობის სფეროების გენდერულ დაყოფასთან, ნინ უსწრებს ქალისა და მამაკაცის ხასიათის თავისებურებების შესახებ სტერეოტიპული შეხედულებების შეთვისებას.

კოლბერგის კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, ზედმეტ დაჯილდოებებსა და დასჯას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს გენდერულ ტიპირების პროცესში. სოციალური დასჯა და ნახალისება ამ თეორიის ფარგლებში გზამკვლევების როლს ასრულებენ ბავშვის კიგნიტური განვითარების პროცესში. ამდენად, კოგნიტური განვითარების თეორიის პრინციპები არ უარყოფს დასწავლის თეორიას, არამედ ავსებს მას.

კოლბერგის მიხედვით, გენდერული იდენტიფიკაცია გენდერულ-როლური ორიენტაციების ათვისების შედეგია. სანამ ბავშვი მიაღწევს სტაბილურ გენდერულ იდენტიფიკაციას, მან უნდა მოახდინოს საკუთარი თავის სოციალიზაცია შესატყვის გენდერულ როლთან, რადგან ის მოტივირებულია იყოს კარგი გოგო ან კარგი ბიჭი. გოგონებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ ფემინურობის მისაღწევად მათ ჯერ უნდა მოახდინონ ფემინურობის როლის იდენტიფიკაცია. თუმცა ფემინური როლი საზოგადოებაში ნაკლებად პრესტიჟულია, ვიდრე – მასკულიზური. როდესაც გოგონები ეცნობიან ფემინურობისა და მასკულიზობის კატეგორიებს, მათ ასევე უნდა გააცნობიერონ მათი უპირეტესობები. როგორ ხდება, რომ გოგონები ირჩევენ და ითვისებენ საკუთარ საზოგადოებაში არადაფასებულ როლს? კოლბერგი ვარაუდობს, რომ გოგონები ფემინურობაში პოულობენ ისეთ ასპექტებს (მაგ. სინაზე), რომლებიც ურჩევნიათ მასკულიზურ ასპექტებს (მაგ. აგრესია). გარდა ამისა, ასაკით უფროს ქალებს უფრო მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე პატარა გოგონებს და ესეც შეიძლება გახდეს მათთან იდენტიფიკაციის მიზეზი.

**ანდროგინიის კონცეფცია.** სქესის იდენტიფიკაციისა და ტიპირების შესახებ არსებული შეხედულებების უმრავლესობა ფემინურობასა და მასკულიზობას განიხილავს, როგორც კონტინუუმის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს. ამ თეორიების ფარგლებში ადამიანი შეიძლება იყოს მასკულიზური ან ფემინური, მაგრამ არა ორივე ერთდროულად, რადგან უფრო მეტად მასკულიზობა ნიშნავს უფრო ნაკლებ ფემინურობას. ეს დებულება ეფუძნება



ფემინურობა-მასკულინობის მრავალ ტესტს. ამგვარად, პიროვნების ტრადიციული თეორიები იზიარებენ ტრადიციული გენდერული ტიპირების უნივერსალურობის იდეას. ამის გამო, ნებისმიერი ბავშვი, რომელიც არ ავლენდა გენდერულად ტიპირებულ ქცევას, განიხილებოდა როგორც ნორმიდან გადახრა. ტრადიციული ფსიქოლოგიური თერაპია ეხმარება მათ გენდერული როლების მორგებაში. პიროვნების თეორიების მიხედვით, გენდერული განვითარება მთავრდება მაშინ, როცა აშკარად ვლინდება აგრესიული დომონანტური მამაკაცობა და ნაზი, პასიური ქალობა.

თუმცა არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსა თითქმის ერთნაირად ახასიათებთ მასკულინობისა და ფემინურობის ნიშნები. მაგალითად, ქალი, რომელიც ათლეთური აღნაგობისაა და უყვარს ბავშვები ან მამაკაცი, რომელიც გულჩვილია და გულკეთილია და ამავდროულად კარგად აქვს განვითარებული ლოგიკური აზროვნება.

ბოლო პერიოდში გენდერული კვლევების განვითარებასთან ერთად დაგროვდა დიდი ემპირიული მასალა და გაჩნდა მრავალი ალტერნატიული შეხედულება გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების შესახებ.

ერთ-ერთი ასეთ ახალი მიდგომა ანდროგინიის კონცეფცია. ანდროგინია – სიტყვა, რომელიც ერთმანეთს ერწყმის ბერძნული andro (კაცი) და gyn (ქალი), აღნიშნავს მასკულინობისა და ფემინურობის ბალანსს ადამიანში. ამ კონცეფციის ფესვები კლასიკური მითოლოგიიდან, ლიტერატურიდან და რელიგიიდან მოდის. ფსიქოლოგიაში ეს იდეა გამოყენებული იქნა იუნგის (Jung) ანიმას კონცეფციაში (კაცში ფემინური ნაწილი) და ანიმუსის კონცეფციაში (მასკულინური ნაწილი ქალში). იუნგს მიაჩნდა, რომ პიროვნების სრულყოფილებისათვის აუცილებელია ამ ორი ნაწილის ერთიანობა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი იდეა გახლდათ აზრი იმის შესახებ, რომ ტრადიციული გენდერული როლები აფერხებენ პიროვნულ განვითარებას და მასში ჩადებულ პოტენციალს. ამ იდეამ საფუძველი ჩაუყარა სანდრა ბემის (S. Bem) კონცეფციას ანდროგინიის შესახებ. ანდროგინიის ცნების მიხედვით, ყოველ ადამიანს, დამოუკიდებლად ბიოლოგიური სქესისა, შეიძლება ჰქონდეს როგორც მასკულინობის, ასევე ფემინურობის თვისებები და აერთიანებდეს საკუთარ თავში როგორც ტრადიციულ მამაკაცურ თვისებებს, ასევე – ტრადიციულ ქალურ ნიშნებს. ეს ადამიანებს საშუალებას აძლევს ნაკლებად მკაცრად დაიცვან გენდერულ-როლური ნორმები და თავისუფლად გადაინაცვლონ ტრადიციული ქალური საქმიანობიდან ტრადიციულ მამაკაცურ საქმიანობაზე.

ამგვარად, ანდროგინიის იდეა კვლავ გაცოცხლდა ფემინისტი ფსიქოლოგების გამოკვლევების შედეგად. ფსიქოლოგიური ანდროგინია არის ისეთი ფსიქოლოგიური ნიშნების ბალანსი, რომლებიც მასკულინურად ან ფემინურად არიან სტერეოტიპიზებული. ანდროგინიის განსაზღვრებასთან ერთად, ეს კონცეფცია განსაზღვრავს იმასაც, თუ რა არ არის ანდროგინია: 1) ანდროგინია არ არის ქალთა ლიბერალური პოზიცია საზოგადოებაში. ადამიანი შეიძლება მიიჩნევდეს საკუთარ თავს, როგორც საზოგადოებაში ნაკლებად გენდერულად ტიპირებულს სხვებთან შედარებით და ამავდროულად, გააჩნდეს გენდერთან დაკავშირებული ტრადიციული შეხედულებები; 2) ანდროგინია არ არის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული. ჰომოსექსუალური ან ბისექსუალური ორიენტაცია არის ადამიანის სექსუალური მიდრეკილებების ფორმა, რაც არანაირ კავშირში არ არის ფსიქოლოგიური ანდროგინიასთან და ბოლოს 3) ანდროგინია არ არის დაკავშირებული ფიზიკურ, სექსუალურ ან მასთან დაკავშირებულ მახასიათებლებთან.

ს. ბემმა შეიმუშავა სპეციალური კითხვარი მასკულინობისა და ფემინურობის განსაზღვრისათვის. ამასთან ამ კითხვარში ფემინურობა და მასკულინობა მოიაზრებოდა როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პიროვნების განზომილებები. მისი კითხვარის მიხედვით, ქალებისა და კაცების გაზომვა შესაძლებელია დაბალი და მაღალი გამოხატულების ოთხი შემდეგი პარამეტრის მიხედვით: მასკულინობა, ფემინურობა, ანდროგინია, არადიფერენცირებულობა. პიროვნება ფასდება ძლიერ მასკულინურად, თუ იგი აღწერს საკუთარ თავს,

როგორც დამოუკიდებელს, აგრესიულს და უემოციო ადამიანს. პიროვნება ფასდება ძლიერ ფემინურად, თუ იგი აღწერს თავს, როგორც – დაუცავ და ნაზ არსებად. მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფი შეფასებულ იქნა როგორც არადიფერენცირებული, მათ ორივე სტერეოტიპში მცირე ქულები დააგროვეს. სტუდენტთა შორის ჩატარებული ფართემასშტაბიანი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა 1/3 ანდროგინული არიან.

ანდროგინის კვლევებმა გვიჩვენეს, რომ გენდერულ ტიპირებაში არსებობს ინდივიდუალური ვარიაციურობის დიდი რაოდენობა. ამდენად, გასარკვევია საკითხი, არსებობს თუ არა ანდროგინიასა და ადამიანის (ქალებისა და მამაკაცების) ქცევას, პიროვნულ ნიშნებს, თავისებურებებს, შეხედულებებსა თუ ცხოვრების სტილს შორის კავშირი. მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა, ეს საკითხი დღემდე ერთმნიშვნელოვნად არ არის გადამწყვეტილი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევები აჩვენებს, რომ გენდერულად ტიპირებულ და ანდროგინულ ადამიანებს შორის განსხვავება არსებობს ფლექსიბილობაში. მასკულიურად ტიპირებული ადამიანი მოხერხებულად გრძნობს თავს სიტუაციაში, სადაც საჭიროა აქტივობა, დაჟინება და დამოუკიდებლობა და არა სინაზე, თანაგრძნობა და ემოციურობა. მეორეს მხრივ, ფემინურად ტიპირებული ადამიანები კომფორტულად გრძნობენ თავს სიტუაციებში, სადაც საჭიროა ინტერპერსონალური ურთიერთობების, სინაზის, სიკეთის გამოვლენა. სანდრა ბემმა ივარაუდა, რომ ანდროგინული პიროვნებები კომფორტულად იგრძნობენ თავს ორივე სიტუაციაში. ანდროგინული ადამიანების ძლიერი ადაფტაციის უნარი შემომწმებული იქნა მრავალი კვლევის შედეგად. დადგენილი იყო, აგრეთვე, ანდროგინიის კავშირი მაღალ თვითპატივისცემის და მიღწევის მოტივის მაღალ ხარისხთან.

### **ტრანსცენდენტული გენდერული ტიპირების თეორიები: გენდერული როლის ტრანსცენდენციის სტადიების თეორია.**

გენდერული როლის ტრანსცენდენციის სტადიების თეორიის (Rebecca, Hefner, Oleshancky, Forisha, Sedney) მიხედვით, გენდერულად ტიპირებული ქცევა და აზროვნება განვითარების თვალსაზრისით მხოლოდ შუა სტადიაა. იგი ჩამოყალიბებულია მაგრამ არ არის განვითარების თვალსაზრისით საბოლოო წერტილი. ამ შეხედულების მიხედვით, გენდერული განვითარების სანყისი ეტაპები, რომლებიც დაკავშირებულია მონიფულობასთან და ლოგიკური აზროვნების განვითარებასთან კოლბერგის კოგნიტური განვითარების ეტაპების მსგავსად მიმდინარეობენ. ბავშვებმა თავდაპირველად გენდერის არსებობა არ იციან (I ეტაპი), შემდეგ აქტიურად ითვისებენ შესაბამის სტერეოტიპულ როლს და უკუაგდებენ შეუსაბამოს (II ეტაპი). მაგრამ გენდერული განვითარება შეიძლება III ეტაპამდეც გაგრძელდეს, სადაც II ეტაპზე მიღებული ცოდნის რეორგანიზაცია ხდება უნიკალური და ინდივიდუალური გზით. ინდივიდი აღარ არის დალდასმული მასკულიზაციისა და ფემინურობის საზოგადოებაში მიღებული კანონებით და მას შეუძლია გამოამჟღავნოს საკუთარი უნიკალური და განსხვავებული მახასიათებლები.

ეს თეორია ანდროგინიას განიხილავს, არა როგორც ინდივიდში მასკულიური და ფემინური ნიშნების ბალანსს, არამედ როგორც პიროვნების გარდაქმნისა და ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ორიენტირებულია თვითაქტუალიზაციაზე. გენდერულ-როლურად ტრანსცენდენტულმა პიროვნებამ შეიძლება დააგროვოს მასკულიური, ფემინური ან ანდროგინული ქულები, მაგრამ ეს განზომილებები ირელევანტურნი იყვნენ მისი იდენტურობის მიმართ.

ტრანსცენდენტული ადამიანი არც ფემინურია და არც მასკულიური მასკულიობა ან ფემინურობა, ერთად ან ცალ-ცალკე არ არიან ტრანსცენდენტული პიროვნების სამყაროს ნაწილი.

ტრანსცენდენცია მიჩნეულია გენდერული როლის სწავლის (ათვისების) უმაღლეს ეტაპად. იგი გულისხმობს საზოგადოებისა და მე-ს (სელფის) რესინთეზირებას და რეინტეგრაციას. ამგვარად, კოგნიტურ და ემოციურ მონიფულობას ადამიანი, როგორც წესი, ვერ აღწევს ზრდასრულობამდე. ისეთი ბავშვებიც კი, რომელთა მშობლები ტრადიციული გენდერული როლების ტრანსცენდენციას ახდენენ, არ ამჟღავნებენ თავიანთ ანდროგინულ ზრდას, სანამ არ

გაივლიან გედერული ტიპირების 2 ეტაპს. I- დან II-ზე გადასვლა დაკავშირებულია სოციალურ ზენოლასთან. II-დან III ეტაპზე გადასვლის დროს კი სოციალური მხარდაჭერა ძალიან სუსტია და სწორედ ამიტომ, რომ არც ისე ბევრი ადამიანი ახერხებს გენდერით განსაზღვრული ქცევისა და აზროვნების ტრანსცენდენციას. მაგრამ ისინი ვინც ამას ახერხებენ, სრულფასოვან პიროვნებად ყალიბდებიან.

ამ თეორიაში ნაცადია გენდერული ტიპირების პრობლემის განხილვა პიროვნების თეორიის ჩრდილში, რომელიც ითვალისწინებს, როგორც სოციალური გარემოს ზეგავლენას, ასევე – ადამიანის კოგნიტური განვითარების სტადიებსაც. მნიშვნელოვანია, რომ ეს თეორია მოიცავს, არა მხოლოდ გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების ზოგად კანონზომიერებებს (როგორც ეს აქამდე განხილულ თეორიებში იყო), არამედ ხაზს უსვამს პიროვნული არჩევანის და თავისუფლების როლს გენდერული ტიპირების პროცესში. ამდენად, თვითონ ტიპირებასაც იგი როგორც ე.წ. ყალიბს კი არ განიხილავს, რომელიც უშვებს ფემინური, მასკულინური ან თუნდაც ანდროგინული და არადიფერენცირებული ტიპის არსებობას, არამედ ამ სოციალური ყალიბის მოდიფიცირებას პიროვნული ინტერესების, მოტივების და შესაძლებლობების ჩრდილში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს თეორია ითვალისწინებს პიროვნებათშორის ინდივიდუალურ განსხვავებებს. სწორედ ამიტომ იგი მეტად მნიშვნელოვანია გენდერული კვლევების განვითარებისათვის. მაგრამ, გენდერ-როლური ტრანსცენდენციის სტადიების თეორია ძალიან ზოგადია და ადამიანის განვითარების უფრო ფუნდამენტურ პრინციპებს გამოხატავს. მისი ნაკლია ემპირიული მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილი ძირითადი პრინციპების დამადასტურებელ კონკრეტული კანონზომიერებების არარსებობა. ამ თეორიის ფარგლებში არ არის გადაწყვეტილი, აგრეთვე, გენდერული ცნობიერების (გენდერულად ნორმატიულად ტიპირებულის თუ ტრანსცენდენტულის), როგორც კონსტრუქტის რაობისა და მისი მოქმედების მექანიზმების პრობლემა. მიუხედავად ამისა, სწორედ გენდერული ტიპირებისა და გენდერული როლის ტრანსცენდენტურმა მიდგომამ დასვა მეცნიერთა წინაშე გენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამუშავების და მისი გამოყენების საკითხი. ამ საკითხზე პასუხის გაცემა ნაცადია გენდერული სქემის თეორიაში.

**გენდერული სქემის თეორია.** გენდერული სქემის თეორიაში გენდერი განხილული იქნა როგორც კოგნიტური კატეგორია.

მოვლენების უბრალო გაგებაც დამოკიდებულია მეხსიერებაში ცოდნის დიდი რაოდენობით არსებობაზე. სქემის კოგნიტური თეორიის მიხედვით, მარტივი წინადადების გასააზრებლადაც კი აუცილებელია, რომ ამ წინადადების შინაარსი გავატაროთ სქემაში. სქემები შეიძლება იყოს გლობალური და უფრო სპეციფიკური. ინფორმაციის გაგება ხდება შინაარსის სწორ სქემასთან დაკავშირებისა და შედარების გზით.

სხვა სქემების მსგავსად, გენდერის სქემა არის ზოგადი ცოდნის ასოციაციების ქსელი, რომელსაც ინდივიდი იყენებს გაგებისა და აზროვნების პროცესში. ამ თეორიის მიხედვით, გენდერის სქემის შესწავლა იწყება ადრეულ ბავშვობაში. სქემა ეხმარება ადამიანს გახდეს გენდერულად ტიპირებული. გენდერული ტიპირება შედეგია ადამიანის მზადყოფნის გადამუშავების ინფორმაცია გენდერული სქემის საფუძველზე. მე-კონცეფცია ასიმილირდება გენდერულ სქემასთან. გენდერული სქემის თეორიის ავტორი ს. ბემი აღნიშნავს, რომ „როდესაც ბავშვები სწავლობენ საზოგადოების გენდერულ სქემას, ისინი სწავლობენ აგრეთვე, თუ რომელი ატრიბუტი უნდა იყოს დაკავშირებული მათ სქესთან და მასაშადად, მათთან“.

გენდერული სქემის თეორიის მიხედვით, გენდერული ტიპირება არის სამყაროს შესახებ ინფორმაციის გენდერული ტერმინებით გადამუშავების მზადყოფნა. ასე, რომ გენდერულად ძლიერად და სუსტად ტიპირებულ ადამიანებს შორის ის განსხვავებაა, რომ მათ აქვთ შესაბამისად მეტად ან ნაკლებად განვითარებული გენდერული სქემა. გენდერულად ძლიერად ტიპირებულ ადამიანებს აქვთ მზადყოფნა სამყაროს შესახებ ცოდნა გენდერული სქემის მიხედვით გადაამუშაონ. ბემის სიტყვებით, მათ გენდერული ლინზები უკეთიათ. გენდერულად სუსტად ტიპირებული ადამიანები კი ინფორმაციის გადამუშავებისას უფრო მეტად სხვა

სქემებს ეყრდნობიან.

ამ თეორიის მიხედვით, ადამიანების უმრავლესობას აქვს მდიდარი და მრავალფეროვანი გენდერული სქემები. გენდერულ სქემასთან დაკავშირებულია ისეთი კონცეფციებიც, რომლებიც შეიძლება მეტაფორულად უკავშირდებოდეს გენდერს (ისეთები, როგორიცაა, ფერების გენდერული აღქმა, მთვარის ამ მზის გენდერული გააზრება და სხვ.).

გენდერული სქემის თეორიის მიხედვით, არსებული სხვაობები ინფორმაციის გადამუშავებაში დაკავშირებულია ადამიანთა გენდერულად ტიპირების ხარისხთან.

გენდერული როლის ტრანსცენდენციის სტადიების თეორიისგან განსხვავებით გენდერული სქემის თეორია არ აღიარებს გენდერული ტიპირების მაღალ ხარისხს მომნიშვნელობის განუყოფელ ნაწილად. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვები უფრო გენდერულად ტიპირებულნი ხდებიან, რადგან უფროსები ასწავლიან მათ სამყაროს სქესის მიხედვით დაყოფას. სახლში, გოგონებს ეძახიან „ლამაზს“ და აქედან გამომდინარე, ბავშვებში სილამაზის ცნება ქალებთანაა დაკავშირებული. სკოლაში, ხშირად ბიჭები ერთ რიგში არიან გამწკრივებულნი, გოგონები კი – მეორეში. ამ თეორიის მიხედვით, უფროსების მხრიდან ასეთი ქცევა იწვევს გენდერული სქემის განვითარებას ბავშვებში. სოციალიზაციის მნიშვნელობა ხაზგასმულია გენდერული სქემის თეორიაში იმ დებულებითაც, რომლის მიხედვითაც, ბავშვების აღზრდა შესაძლებელია ისე, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ გენდერული სქემა და თავიდან ავიცილოთ გენდერული სტერეოტიპული აზროვნება.

ამგვარად, სქემა შეხედულებების კომპლექსია, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის ორგანიზებისთვის, ახალი ინფორმაციის ფილტრაციისთვის და კოგნიტური მოღვაწეობის მიმართულების მიცემისთვის. გენდერული სქემის თეორია ვარაუდობს, რომ გენდერული პრიორიტეტი კონკრეტული კულტურის საზღვრებში ინფორმაციის ორგანიზაციის საფუძველია.

როგორც ვხედავთ, გენდერული სქემის თეორია კოგნიტური განვითარებისა და სოციალურ-კოგნიტური თეორიის მოდიფიკაციაა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული სქემის თეორია ერთადერთი ფსიქოლოგიური თეორიაა, რომელიც არა მხოლოდ ბავშვების მიერ გენდერული იდენტიფიკაციისა და გენდერული ტიპირების პროცესის მექანიზმებს სწავლობს, არამედ იმ კოგნიტური სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და მოქმედების მექანიზმებსაც, რომლებიც გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების შედეგად ყალიბდება ცნობიერებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გენდერული სქემის თეორია მიმართულია ახსნას გენდერული ცნობიერების მექანიზმების.

გენდერული სქემის თეორია გამოყოფს გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების ორ ძირითად სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს. ეს არის ნორმატიული და ინფორმაციული ზენოლა. ტერმინი „ნორმატიული“ ზენოლა აღწერს მექანიზმს, თუ როგორ ხდება ადამიანის „იძულება“ შეწყოს საზოგადოებრივ ან ჯგუფურ მოლოდინებს, რათა საზოგადოებამ არ უარყოს იგი. „ნორმატიული“ ზენოლის მექანიზმი ამ საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმების ნახალისებაში და ამ საზოგადოებაში მიუღებელი ქცევის ნორმების ე.წ. „დასჯაში“ გამოიხატება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გენდერული როლის შეუსაბამო ქცევა განსაკუთრებულ ზიანს აყენებს პოპულარობას ბიჭებს შორის და რომ მშობლები უარყოფითად რეაგირებენ თავიანთი ბავშვების იმ თამაშებზე, რომლებიც დამახასიათებელია სანინააღმდეგო სქესისათვის. ასე მაგალითად, თუ ბიჭი თოჯინებით თამაშობს, მას დედა ეუბნება - „არა გრცხვენია, გოგო ხომ არა ხარ?!“, ხოლო დანარჩენი ბავშვები დასცინიან და ქალაჩუნას ეძახიან. თუ გოგონა სახლს არ ალაგებს ან თავის ნივთებს ყრის, მშობლები მას ხშირად ასე მიმართავენ - „სირცხვილია, შენ ხომ გოგო ხარ და მონესრიგრბული უნდა იყო“ და ა.შ.

ინფორმაციულ ზენოლაში მოიაზრება ის, რომ ადამიანი აფართოებს რა თავის ცოდნას საკუთარი თავის და სამყაროს შესახებ, ამავე დროს, იგებს იმასაც, თუ რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ამა თუ იმ სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, თუ რა პოზიციაა მიღებული და მოწონებული მის საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში ადამიანები ძირითადად ეყრდნობიან არა

საკუთარ გამოცდილებას, შეხედულებას, პირად აზრს ან ინტესესს, არამედ ინფორმაციას, რომელსაც იღებენ სხვებისგან. ასე მაგალითად, ბავშვები და მოზარდები მშობლებისგან, ნათესავებისგან ან სხვა ავტორიტეტული პიროვნებებისგან (ან ჯგუფებისაგან) არკვევენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მაგალითად, ქორწილში, პანაშვიდზე და სხვა მრავალ ყოფით სიტუაციაში, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებს მოიცავს.

მართალია, ადამიანები თვითონ ქმნიან სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებს და ა.შ., მაგრამ, ამავე დროს, თითოეული ადამიანი აკვირდება სხვას და თავის ქცევას აფასებს მართებულად მანამ, სანამ იგი თავისი რელევანტური ჯგუფის მსგავსად იქცევა. ამას სოციალური შემონემა ჰქვია.

ამგვარად, გენდერი ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება როგორც კულტურული ნორმების მხრიდან, რომელიც ადგენს, თუ რა უნდა გააკეთონ მამაკაცებმა და ქალებმა, ასევე სოციალური ინფორმაციის მხრიდანაც, რომელიც შთააგონებს ადამიანებს, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა ქალებსა და მამაკაცებს შორის. გენდერულ-როლური სოციალიზაცია პროცესია, რომლის დროსაც ადამიანები სწავლობენ, თუ რა არის სოციალურად მიღებული ქალებისთვის და რა – მამაკაცებისთვის.

შ. ბერნს გენდერის, როგორც კოგნიტური კატეგორიის საილუსტრაციოდ მოყავს შემდეგი მაგალითი: ერთხელ მხატვარმა დახატა პატარა კომიქსი: ორი პერსონაჟი სიცივისგან განიტლებული ყურებით დგას ქუჩაში ზამთრის ცივ ამინდში. ერთი ამბობს: „რაში მჭირდება ქუდი, მე სიცივის არ მეშინია“. მეორე კი პასუხობს: „მე ქუდს არ ვატარებ, რადგან ვარცხნილობას მიფუჭებს“. დასმულ კითხვაზე, თუ რომელი მათგანია გოგო და რომელი – ბიჭი, ბერნის აზრით, პასუხის გაცემა არავის არ გაუჭირდება, რადგან ორივე ფრაზა ასახავს საერთოდ მიღებულ სტერეოტიპს.

შიგადაშიგ ჩვენ ვხვდებით ადამიანებს, რომელთა სქესის განსაზღვრაც გვიჭირს. ჩვეულებრივ ასეთი სიტუაციები გარკვეული დაფიქრებისა და მსჯელობის საგანი ხდება ხოლმე. ბერნს მოყავს თავისი თანამშრომლის კლიფის მაგალითი, რომელიც სტუდენტობის დროს რესტორანში მუშაობდა ოფიციალტად. იგი სპეციალურად იცვამდა იუბკას, ფრჩხილებზე ისვამდა ლაქს და იკეთებდა მაკიაჟს. გარშემომყოფი ადამიანების უმრავლესობას არ შეეძლო ამ ამბის მშვიდად ყურება. ბერნის აზრით, ამის მიზეზი კლიფის მიერ საზოგადოებაში მიღებული ნორმების დარღვევა კი არ იყო, არამედ ის, რომ მათ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ ადამიანთან, რომლის სქესიც გაურკვეველია.

ფსიქოლოგების კროსის და მარკუსის (Cross, Markus) აზრით, ასეთი შემთხვევები განსაკუთრებული ინტერესის ღირსია, რადგან ისინი ხაზს უსვამენ გენდერის, როგორც სოციალური კატეგორიის მნიშვნელობას. მათ მაგალითად მოყავთ გაურკვეველი სქესის მქონე პეტის ისტორია სატელევიზიო შოუდან. ისინი აღნიშნავენ, რომ ადამიანები, რომლებიც ნახულობდნენ სცენებს ამ პერსონაჟის მონაწილეობით, განიცდიდნენ შინაგან დისკომფორტს, რადგან არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა აღექვათ ამ ადამიანის ქცევა მისი გენდერული მიკუთვნებულობის შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს, თუ რა დიდი მიშვნელობა აქვს გენდერს ადამიანის შესახებ ინფორმაციის გადაამუშავებისას, გენდერული სქემის თეორიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადამიანები არ აქცევენ ყურადღებას ადამიანის თვალების ან თმის ფერს, ავიწყდებათ თუ როგორ იყო იგი ჩაცმული, ან რა ერქვა მას, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის ახსოვთ ქალი იყო ეს ადამიანი თუ კაცი. მაგალითად, გრედიმ (Grady) დაადგინა, რომ მეტროს მგზავრები, რომლებსაც სთხოვდნენ აღწერათ მოლარე, რომელმაც მათ ბილეთი მიყიდა, პირველ რიგში ან მეორეში მაინც, ასახელებდნენ მის სქესს. ამგვარად, ამ ტიპის დაკვირვებებზე და ექსპერიმენტებზე დაყრდნობით, გენდერული სქემის თეორიის წარმომადგენლები ასაბუთებენ, რომ სქესი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალურ კატეგორიას, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვახდენთ გარშემომყოფი ადამიანების შესახებ ინფორმაციის გადაამუშავებას.

ამ თეორიაში, ისევე, როგორც ზოგადად კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ისმება საკითხი ინფორმაციის გადამუშავების სისტემების გამტარუნარიანობისა და ინფორმაციის კოდირების შესახებ. სქემის თეორიის წარმომადგენლები აღიარებენ ფსიქიკური ენერჯის ეკონომიზმის პრინციპს და აღნიშნავენ, რომ ჩვენ არ ვახდენთ მთელი შემოსული ინფორმაციის გადამუშავებას. ჩვენი სამყარო სავსეა ადამიანთა, საგანთა და სხვადასხვაგვარ სიტუაციათა უთვალავი რაოდენობით. ჩვენ შეიძლება გავგიჟებულიყავით, რომ შეგვემჩნია და გადაგვემუშავებინა შემოსული სრული ინფორმაცია გამონაკლისის გარეშე. სინამდვილეში ჩვენ გადავამუშავებთ მხოლოდ იმას, რასაც ვამჩნევთ. მაგრამ რა გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ სწორედ ამ მოვლენებს? კოგნიტური სქემის თეორია ამ საკითხზე პასუხის გასაცემად გამოყოფს ისეთ პარამეტრებს, როგორცაა ზომა, ფერი, ინტენსივობა და სიახლე (უჩვეულობა). ამავე დროს, არანაკლებ როლს თამაშობს ადამიანის წინა გამოცდილება და აგრეთვე, ადამიანის გათვითცნობიერებულობა იმაში, თუ რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ სიტუაციაში და რა – არა (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდნა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რამდენად ღირებულია ამა თუ იმ ინფორმაციის (ან პარამეტრის) შემჩნევა და ამ სიტუაციის გადამუშავების საერთო კოგნიტურ პროცესში ჩართვა). იმისათვის, რომ ჩვენი მრავალსახოვანი გარე სამყარო დავიყვანოთ კოგნიტურად აღქმად ფორმამდე, ჩვენ ვანანილებთ შემოსულ ინფორმაციას ცალკეულ კატეგორიებად. ამგვარად ფორმირდება განსაკუთრებული კოგნიტური კატეგორიები, რომლებსაც სქემებს უწოდებენ. სქემები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ხდება შემოსული ინფორმაციის აღქმა, შენახვა და აღდგენა. მოკლედ, სქემები წარმართავენ ინფორმაციის გადამუშავების პროცესს. ფისკესა და ტეილორის (Fiske & Taylor) მიხედვით, ჩვეულებრივ, ჩვენ გვაქვს წინასწარ მომზადებული კოგნიტური კატეგორიები სოციალური სიტუაციების (მოვლენების სქემები) უმრავლესობისთვის, ადამიანებისათვის, რომლებსაც ვიცნობთ (პიროვნული სქემები) და სოციალური ჯგუფებისათვის, რომელთა იდენტიფიკაცია გენდერის, ეთნიკური მიკუთვნებულობის და მოღვაწეობის სახეების (როლური სქემები) საფუძველზე ხდება. მსგავსი კატეგორიები მართავენ ადამიანებისა და სიტუაციების შესახებ შემომავალი ინფორმაციის გადამუშავებას.

ამგვარად, გენდერული სქემის თეორია გენდერის სტრუქტურირებაში ითვალისწინებს როგორც სოციალური და კულტურულ ფაქტორებს, ასევე კოგნიტური განვითარების შესაძლებლობებსა და კოგნიტური ფუნქციების თავისებურებებს. ამიტომ, ერთი შეხედვით, ეს თეორია უნივერსალურადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ თუ ყურადღებით გავაანალიზებთ მას, აღმოვაჩინებთ, რომ იგი ადეკვატურად ვერ ასახავს გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის რაობას. საქმე ისაა, რომ სქემის თეორიის მიხედვით, გენდერი კოგნიტური კატეგორიაა და ამდენად, იგი მხოლოდ ცოდნის მატარებელი კონსტრუქტია. სინამდვილეში კი გენდერი მოიცავს ემოციურ, შეფასებით დამოკიდებულებასაც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაარსობრივ მხარესთან და ღრმა მთლიან პიროვნებისეულ ხასიათს ატარებს.

ეს თეორია ვერ ითვალისწინებს, აგრეთვე, გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბების არაცნობიერ მექანიზმებსაც. საქმე ისაა, გენდერის კონსტრუქტი (იქნება ეს გენდერული ღირებულებები, სტერეოტიპები თუ სხვ.) უმეტესწილად ადამიანების მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენის პროცესში ყალიბდება და იგი ხშირად არაცნობიერი სწავლის შედეგია.

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტებს მიეცემათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**გენდერული იდენტიფიკაცია** – საკუთარი თავის ამა თუ იმ სქესისადმი მიკუთვნებულობა.

**გენდერული ტიპირება** - პროცესი, რომელიც მდებარსა და მამრს გარდაქმნის ფემინურ ან მასკულინურ არსებად (ე.ი. ქალად და მამაკაცად) ცნობილია, როგორც სქესად ტიპირების (ან გენდერული ტიპირების) პროცესი.

**მოდელირება** – სწავლის ფორმა სხვის სწორ ქცევაზე დაკვირვების საშუალებით.

**პროტოტიპი** - პროტოტიპის ცნება ფართედ გამოიყენება კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, კერძოდ, კი ინფორმაციის ამოცნობის, გადამუშავებისა და შენახვის მოდელებში. პროტოტიპი წარმოადგენს ამა თუ იმ ობიექტის (ან მოვლენის) არსებითი ნიშნების კრებულს, რომელიც საუკეთესოდ და სრულად ასახავს ამ ობიექტებს (ან მოვლენებს) ან მათ კლასებს. ინფორმაციის იდენტიფიკაცია ანუ „კოგნიტური ძიება“ შემოსული ინფორმაციის პროტოტიპთან შედარების გზით მიმდინარეობს.

**ანდროგინია** - ანდროგინიის ცნების მიხედვით, ყოველ ადამიანს, დამოუკიდებლად ბიოლოგიური სქესისა, შეიძლება ჰქონდეს როგორც მასკულიზაციის, ასევე ფემინიზაციის თვისებები და აერთიანებდეს საკუთარ თავში როგორც ტრადიციულ მამაკაცურ თვისებებს, ასევე – ტრადიციულ ქალურ ნიშნებს.

**კოგნიტური მოდელი** – მეტაფორა, რომელიც დფუძნებულია დაკვირვებებზე და დასკვნებზე და აღწერს ინფორმაციის შემოსვლის, შენახვის და გამოყენების პროცესებს.

**კოგნიტური თეორია** – თეორია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემებს. იგი ადამიანს განიხილავს როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემას.

**ვერბალური და კოგნიტური რეპრეზენტაციები** – ინფორმაციის შენახვის ფორმა, რომელიც მიიღება ობიექტური ინფორმაციის პიროვნული გამოცდილებისა და ინტერესების ქრილში გადამამუშავების შედეგად.

**გენდერული სქემა** - ჰიპოთეტური კოგნიტური სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ხდება გენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმა, გადამამუშავება და გამოყენება.

*ლექციის შემდეგ სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიდერში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები.*

## **სემინარი №2 (თემა № 2) – 2 სთ**

*სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეს პრეზენტაცია; გაიმართება ჯგუფური დისკუსია სემინარის თემაზე. კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:*

- 1. როგორია ფროიდის მიხედვით, გენდერული იდენტიფიკაციის მექანიზმი?*
- 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა ფროიდის თეორიას გენდერული კვლევების განვითარებისთვის?*
- 3. რატომ აკრიტიკებდნენ ფემინისტები ფროიდს? როგორია მათი არგუმენტები?*
- 4. როგორია სოციალურ-კოგნიტური თეორიის მიხედვით, გენდერული იდენტიფიკაციისა და ტიპირების მექანიზმი?*
- 5. როგორია სოციალურ-კოგნიტური თეორიის როლი გენდერის, როგორც სოციალურ-კოგნიტური კონსტრუქტის თანამედროვე გაგებაში?*
- 6. რატომ არის მნიშვნელოვანი კროსკულტურული კვლევებისთვის კოგნიტური განვითარების თეორია?*
- 7. როგორია ანდროგინიის კონცეფციის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა?*
- 8. როგორ არის გაგებული გენდერულ-როლური ტრანსცენდენციის სტადიების თეორიაში ანდროგინია?*
- 9. რატომ არის ეს თეორია მნიშვნელოვანი გენდერული კვლევების განვითარებისთვის?*
- 10. რა ფაქტორები განსაზღვრავს გენდერულ იდენტიფიკაციისა და ტიპირების მექანიზმს?*

გენდერული სქემის თეორიის მიხედვით?

11. როგორ არის გაგებული ამ თეორიებში გენდერული ცნობიერება?

12. სემინარის ბოლოს სტუდენტები გაეცნობიან მასკულინობა-ფემინურიზს ს. ბემის კითხვარის პრინციპით ი. გენდეგანიშვილის მიერ ქართველ სტუდენტებზე ჩატარებულ გამოკვლევის მონაცემებს. სტუდენტებს საშუალება ექნებათ აგრეთვე, გამოიკვლიონ საკუთარი თავი ამ მიმართულებით.

#### ძირითადი ლიტერატურა:

1. Juanita H. Williams, *Psychology of Women*, W.W.Norton & Company, N.Y., 1987, გვ.: 28-96;
2. გენდერული თეორიების ანთოლოგია, შემდგენელი ნ. ბერეკაშვილი, ბაკურ სულაკაურის გამომც., 2003, გვ: 15-38, 49-60, 63-79;
3. Unger R., Crawford M., *Women and Gender. A feminist Psychology*, Temple University Press, Philadelphia, 1992, გვ.: 27-60.

#### დამატებითი ლიტერატურა:

1. Judith Butler, *Gender Trouble, Feminism and the subversion of identity*, Routledge, Chapman & Hall, Inc., 1990, გვ.: 35-78;
2. Jacklin, C.N. (1989). Female and male: Issues of Gender. *American Psychologist*, 44, გვ.: 127-133;
3. Bussey K. & Bandura, A. (1984). Influence of Gender Constancy and social power on sex-linked modeling. *Journal of Personality and Social psychology*, 47, გვ.: 1292-1302;
4. Bern, S. L. (1981). Gender Schema theory: A cognitive account of sex-typing. *Psychological Review*, 88, გვ.: 354-364;
5. Best D. L., Williams I. E. Gender and culture. – in *Culture and Psychology*, edited by David Matsumoto. Oxford University press, 2001, გვ.: 337—339;
6. Burn S.M. *The Social Psychology of Gender*, McGraw-Hill, Inc. 1996, თ. I, V;
7. George J. Bryjak, Michael P. Soroka, *Sociology: Cultural Diversity in a Changing World*, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, გვ.: 199-204, 218-131;
8. Liben, L.S. & Signorella, M. L. (1980). Gender Related Schemata and constructive memory in Children, *Child Development*, 51, გვ.: 11-17.



**თემა №3 - სქესის სოციალიზაცია და მისი ინსტიტუტები.  
კულტურის როლი გენდერულ სოციალიზაციაში.**

ლექციაზე განხილული იქნება სოციალიზაციის ცნება, დიფერენციალური სოციალიზაცია და მისი მექანიზმები. განხილული იქნება, აგრეთვე, სოციალიზაციის ძირითადი ინსტიტუტები – ოჯახი, მშობლების ქცევა, განსხვავებული სამუშაოს დავალება, ბავშვების მოვლა და მათზე ზრუნვა, თანატოლები, განათლების სისტემა (სახელმძღვანელოები, სექსიზმი, ფეისიზმი) მასმედია, სათამაშოები და სხვ. კროსკულტურული კვლევების მონაცემები ამ თვალსაზრისით.

გენდერული სტერეოტიპების ათვისება ხდება ბავშვობის ასაკიდან სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაცია გულისხმობს ყველა იმ პროცესების ერთიანობას, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ითვისებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სწავლობს ყოველდღიური ცხოვრების ნორმებს, სტილს, წესებს და ღირებულებებს, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაშია მიღებული. სოციალიზაციის მექანიზმის შესასწავლად სოციოლოგმა ე. გიდენსმა ჩაატარა შემდეგი სახის ექსპერიმენტი: ქალების ჯგუფს აჩვენეს ვარდისფერ მოსახვევში გახვეული პატარა ბავშვი ვარდისფერი ქუდით. ამ ბავშვზე ქალები ყველაზე ხშირად ასე რეაგირებდნენ: „როგორი პატარაა“, „ნამდვილი მზეთუნახავია“, „რა ნაზი ხმა აქვს“ და ა.შ. შემდეგ ქალების ამავე ჯგუფს აჩვენეს იგივე ბავშვი, ოღონდ ამჯერად ბავშვი ცისფერებში იყო გამოწყობილი. ქალებმა არ იცოდნენ, რომ პირველი და მეორე ბავშვი ერთი და იგივე იყო. ე.წ. მეორე ბავშვზე შემდეგი რეაქციები დაფიქსირდა: „თავიდანვე ეტყობა, რომ ძლიერი მამაკაცი იქნება“ ან „ხედავ, როგორი ბოხი ხმით ტირის, ეტყობა, რომ თავისას ყოველთვის გაიტანს“. ქალებს ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ მათ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ბავშვი წარუდგინეს.

გენდერზე ზეგავლენას ახდენს როგორც კულტურული ნორმები, რომლებიც ადგენს, თუ რა უნდა გააკეთონ ქალებმა და რა მამაკაცებმა, ასევე სოციალური ინფორმაცია, რომელიც შთააგონებს ადამიანებს, თუ რამდენად დიდია ქალებსა და მამაკაცებს შორის სხვაობები. გენდერულ-როლური სოციალიზაცია პროცესია, რომლის დროსაც ადამიანები სწავლობენ, თუ რა არის სოციალურად მიღებული ქალებისთვის და რა – მამაკაცებისთვის.

გოგონებსა და ბიჭებს შორის ბევრი განსხვავება აიხსნება სოციალიზაციაში განსხვავებით. ბარი, ბეკონი და ჩაილდი (Barry, Bacon & Child, 1957) იკვლევდნენ 100-ზე მეტი ქვეყნის სოციალიზაციის პრაქტიკებს. მათ აღმოაჩინეს, რომ ბიჭებს ჩვეულებრივ ასწავლიან მიაღწიოს მიზანს, ჰქონდეს საკუთარი ძალების იმედი, იყოს დამოუკიდებელი, მაშინ როცა გოგონებს ჩვეულებრივ ასწავლიან იზრუნონ სუსტებზე, ჰქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და იყვნენ დამჯერები.

ლიტონმა და რომნიმ (Lytton & Romney, 1991) იკვლიეს ჩრდილო ამერიკაში ჩატარებული 158 სოციალიზაციის კვლევა მეტაანალიზის საშუალებით. მათ აღმოაჩინეს, რომ ხელშესახები რეზულტატები მიღწეული იყო მხოლოდ სქესით გასაზღვრული ქცევის ნახალისების დროს.

დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებული 17 გამოკვლევის შედეგები კი გვიჩვენებენ, რომ არსებობს გამოხატული სხვაობები ბავშვის სქესსა და მშობლების მიერ მათ აღზრდაში ფიზიკური დასჯის გამოყენების სიხშირეს შორის. ამასთან, ბიჭებთან ფიზიკური დასჯა უფრო მკაცრი იყო, ვიდრე - გოგონებთან. განსხვავებები ბიჭებსა და გოგონებთან მოქცევაში მცირდებათ და ასაკის მატებასთან ერთად.

**დიფერენციალური სოციალიზაცია** - ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი ითვისებს თავისი სქესის შეაბამის ქცევის მოდელს, ღირებულებებს და ა.შ. დიფერენციალური სოციალიზაციის ჩანასახები ვლინდება ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე. მშობლებს უნდათ

ნინასწარ იცოდნენ გოგო ეყოლებათ მათ თუ ბიჭი, რადგან ამაზეა დამოკიდებული თუ რას დაარქმევენ მას, როგორ სათამაშოებს და ტანსაცმელს უყიდიან და როგორ გაზრდიან მას. მაგალითად, მექსიკაში გოგონებს დაბადებისთანავე უზვრიტავენ ყურებს და უკეთებენ საყურეებს, რომ გარშემომყოფებს არ შეეშალოთ მათი სქესი. ამერიკაში ახალშობილ გოგონებს უკეთებენ ლენტებს და ბაბთებს. საქართველოში მიღებულია გოგოსათვის ვარდსფერი და ბიჭისათვის ცისფერი ტანსაცმლისა და ატრიბუტების შექმნა. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ გენდერი ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორიაა და მშობლები ცდილობენ თავდაპირველადვე მოახდინონ, ბავშვთა სქესის მიხედვით, დიფერენციაცია.

დიფერენციალური სოციალიზაციის ორი ძირითადი მექანიზმია ცნობილი: დიფერენციალური გაძლიერება და დიფერენციალური მიბაძვა (მოდელირება). დიფერენციალური გაძლიერება მუშაობს მაშინ, როცა მისაღები გენდერული ქცევის ნახალისება ხდება, ხოლო მიუღებლის – დასჯა (იმ პირობით, რომ გარკვეული ქცევის მოდელის დასჯა-ნახალისება შეესაბამება მის ბიოლოგიურ სქესს). ასე მაგალითად, პერის (Perry) და მისი კოლეგების კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ში მე-4-დან მე-7 კლასის ბიჭები გოგონებთან შედარებით ნაკლებად ელოდებიან მშობლებისგან გაკიცხვას აგრესიული ქცევისათვის.

ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ 7 წლის ასაკისთვის, ზოგჯერ კი 4-5 წლის ასაკისთვის ბავშვები აღწევენ გენდერულ კონსტანტობას. ამასთანავე, დაწყებით სკოლაში ნასვლამდე ბავშვებს უკვე აქვთ მყარი შეხედულებები სათამაშოებში, ტანსაცმელში, მოქმედებებში და საქმიანობის სფეროებში გენდერული სხვაობების შესახებ.

როგორც კი სრულდება გენდერული იდენტიფიკაცია, ბავშვი ავლენს განსაკუთრებულ ინტერესს იმ როლური მოდელებისადმი, რომლებიც შეესაბამება მათ სქესს. ეს ინტერესი განპირობებულია სურვილით იყოს საუკეთესო გოგო ან ბიჭი. ამ მოვლენას დიფერენციალური მიბაძვა ან დიფერენციალური მოდელირება ეწოდება. ბანდურას მიხედვით, ბიჭების უმრავლესობა (ისევე, როგორც გოგონები) 2 წლის ასაკში აკვირდება დედის ქცევას და ცდილობს გაიმეოროს იგი: იცვამს ქუსლიან ფეხსაცმელებს, ისვამს ფრჩხილებზე ლაქს და ა.შ. მაგრამ, როდესაც გენდერული იდენტიფიკაციის პროცესი სრულდება, მუშაობას იწყებს დიფერენციალური მოდელირების მექანიზმი და ბიჭი უკვე ცდილობს მიბაძოს მამას. დიფერენციალური მიბაძვის საფუძველზე შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ ხდება, რომ ქალებს ჩვეულებრივ მოსწონთ მაღაზიებში სიარული, დღესასწაულებისთვის მზადება, ხოლო მამაკაცები ცდილობენ ამ საქმიანობისთვის თავის არიდებას. იგივე შეიძლება ითქვას შინა მეურნეობაზეც ანუ დიასახლისობაზე. დიფერენციალური სოციალიზაციით შეიძლება აიხსნას, აგრეთვე, მამაკაცების და შესაბამისად ბიჭების მიდრეკილება უყურონ სპორტულ ტელეგედაცემებს.

სოციალიზაციის უმთავრეს წყაროებად მიჩნეულია ოჯახი (მშობლები), თანატოლები, მასმედია (განსაკუთრებით ტელევიზია), განათლების სისტემა. ჩვენ განვიხილავთ სოციალიზაციის ინსტიტუტების კვლევებს სხვადასხვა კულტურების მაგალითზე. ეს კვლევები ნათლად გვიჩვენებს სოციალური და კულტურული ფაქტორების როლს გენდერული ტიპირების პროცესში.

**განსხვავებული სამუშაოს დავალება.** იმ პირობათა შესწავლა, რომელშიც ხდება ბავშვების სწავლება და აღზრდა, საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ თუ როგორ ახდენენ ზეგავლენას კულტურული განსხვავებები სოციალიზაციის პროცესში ბავშვების განვითარებაზე. მეცნიერები (Edwards & Whiting, 1974; Minturn & Lambert, 1964; E. Whiting & Edwards, 1973) აკვირდებოდნენ ბავშვთა აღზრდის პირობებს 6 კულტურის კვლევის პროცესში. კვლევა ეხებოდა ბავშვების ქცევას, რომელიც დაკავშირებული იყო აგრესიასთან, უმცროსებზე ზრუნვასთან, პასუხისმგებლობასთან, დახმარების ძიებასა და ყურადღებასთან. გამოკვლევაში მონაწილეობდნენ 3-11 წლის ბავშვები კუნძულ ოკინავადან, მექსიკიდან, ფილიპინებიდან, ინდოეთიდან, კენიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. უმნიშვნელო გენდერული სხვაობები აღმოჩენილი იყო სამ შერჩევაში (ამერიკის შეერთებული შტატები, ფილიპინები,

კენია), რომლებშიც როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს დაახლოებით ერთნაირი სამუშაო ევალებოდათ. დანარჩენ სამ შერჩევამ (ინდოეთი, მექსიკა და ოკინავა) გოგონებს და ბიჭებს ექცეოდნენ განსხვავებულად და გოგონებს გაცილებით უფრო ხშირად სთხოვდნენ მოეარათ უმცროსი და-ძმისთვის და გაეკეთებინათ სახლის სამუშაო. რაც შეეხება ოჯახური დავალებების შესრულებების სიხშირეს, ეს მაჩვენებელი ყველაზე მცირე იყო ამერიკულ შერჩევამ, სადაც არც გოგონები და არც ბიჭები არ იღებდნენ განსაკუთრებულ მონაწილეობას ოჯახურ საქმიანობებში და უმცროსების მოვლაში.

ბრედლიმ (Bredley, 1993) გამოიკვლია ბავშვთა შრომა 91 კულტურაში სტანდარტული კროსკულტურული შერჩევის მაგალითზე. მან მიიღო შემდეგი რეზულტატები: 6 წლამდე ბავშვები ასრულებენ მცირე სამუშაოს ყველა კულტურაში. 6 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც ფაქტიურად შეესაბამება (უახლოვდება) მისი შესაბამისი სქესის უფროსის სამუშაოს. თუმცა როგორც გოგონები, ასევე ბიჭები, უფრო ხშირად ასრულებენ ქალურ სამუშაოს (მაგ. წყლის მოტანა), ვიდრე მამაკაცურს (მაგ. ნადირობა). ამასთან, ბავშვები ხშირად ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელსაც უფროსები დამამცირებლად ან არაკვალიფიციურად მიიჩნევენ. ბავშვთა შრომას თვალს ადევნებენ ქალები, რაც ხელს უწყობს ბავშვების მიერ კულტურული ნორმების ათვისებას და ამსუბუქებს დედის შრომას. ამგვარად, ბრედლი თვლის, რომ ის ვინც ზრდის ბავშვს, არა მხოლოდ ზრდის თავის მომავალ დასაყრდენს სიბერეში, არამედ, ამავე დროს, აქვს საშუალება ისარგებლოს ბავშვთა შრომის ნაყოფითაც.

**ბავშვების მოვლა და მათზე ზრუნვა.** ვაისნერმა და გალიმორმა (Weisner & Gallimore, 1977) გააანალიზეს 186 საზოგადოების მონაცემები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვილი ბავშვების მოვლით პირველ რიგში დაკავებულნი არიან დედები, უფროსი ნათესავი ქალები და გოგონები. თუმცა კი, როგორც კი პატარები იზრდებიან, მათი აღზრდის პასუხისმგებლობას იღებენ არა მხოლოდ მათი დები, არამედ – ძმებიც. 2-4 წლის ბავშვები ასეთ „ძიძებთან“ ყოველდღიურად დროის 70% ატარებენ იმ საზოგადოებებში, სადაც დედები თავის დროს უმეტესი ნაწილი სხვადასხვა ტიპის წარმოებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი და მთელ დროს დედობრივი მოვალეობის შესრულებას არ ახმარენ. თუმცა კი ყველა კულტურაში ბავშვები ხედავენ დედაში იმას, ვინც მათზე პასუხს აგებს.

80 გამოკვლევული კულტურიდან (Katz & Konner, 1981; West & Konner, 1976) ფაქტიურად 20%-ში მამები იშვიათად, ან არასოდეს არ არიან დაკავებულნი ჩვილ ბავშვებზე ზრუნვით. მამის ახლო ურთიერთობა ჩვილებთან გამოვლენილი იყო მხოლოდ კულტურათა 4 %-ში, მაგრამ ასეთი სიახლოვის დროსაც კი მამები ჩვილებთან თავისი დროის მხოლოდ 14 %-ს ხარჯავდნენ და უზრუნველყოფდნენ მათი მოთხოვნილებების მხოლოდ 6%-ს. მონროს (R.L. Munroe & Monroe, 1994) გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უმეტეს საზოგადოებებში მამის ბავშვთან ურთიერთობა – ეს არის მხოლოდ თამაში.

რიგ გამოკვლევებში დადასტურდა (Katz & Konner, 1981; Segall, 1988, B.B. Whiting, 1965), რომ მამის არყოფნა (არარსებობა) უკავშირდება ზედმეტ აგრესიას ან ჰიპერმასკულინურ ქცევას. ხოლო სხვა გამოკვლევებში (Gronseth, 1957; Lynn & Sawrey, 1959) დადგინდა, რომ მამის ხანგრძლივი არყოფნის დროს, მაგალითად, ომის გამო ან ზღვაში გასვლის გამო ჰიპერმასკულინურ ქცევასთან ერთად ვაჟიშვილები იქცევიან აშკარად არავაჟკაცურად და ავლენენ დაქვემდებარების მაღალ დონეს, ზედმეტად გიჟურ ფანტაზიას.

დადგენილია, რომ თითქმის ყველა კულტურაში მამები ნაკლებ დროს უთმობენ ქალიშვილებს, ვიდრე - ვაჟიშვილებს. ამასთანავე, ისინი, უფრო მეტად, ვიდრე – დედები, ახალისებენ გოგონების ისეთ ქცევას, რომელიც სქესობრივ-როლური ორიენტაციით არის განსაზღვრული (Lytton & Romney, 1991). დედის აღმზრდელითი როლი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც გოგონებისთვის, ასევე – ბიჭებისთვის. მაგრამ მამა ჩვეულებრივ

უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჟისშვილის აღზრდაში (Rohner & Rohner, 1982). მაკი და დეი (Mackey, 1985; Mackey & Day, 1997) აკვირდებოდნენ ბავშვთა და მშობელთა ქცევას საზოგადოებრივ ადგილებში 10 სხვადასხვა კულტურაში და აღმოაჩინეს, რომ გოგონები უფრო ხშირად იყვნენ ისეთ ჯგუფებში (საზოგადოებაში), სადაც არ არიან ზრდასრული მამაკაცები, მაშინ როცა ბიჭები უფრო ხშირად არიან ისეთ ჯგუფებში, რომლებიც მთლიანად მამაკაცებისგან შედგებიან. აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავებები ასაკთან ერთად მატულობს.

**თანატოლები.** ბავშვობაში და ყმანვილობისას სოციალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანატოლები. თანატოლების ზეგავლენა იზრდება ბავშვთა ზრდასთან ერთად, ახდენს რა ბავშვობიდან ზრდასრულობისკენ გადასვლის სტრუქტურირებას.

2-10 წლის ბავშვთა თანატოლებთან ურთიერთობის ანალიზმა, რომელიც ხორციელდებოდა 6 კულტურის და 6 დამატებითი შერჩევის ფარგლებში მკვლევართა ჯგუფის მიერ (Edwards, 1992; Edwards & Whiting, 1993), აჩვენა საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი უპირატესობის მინიჭების კროს-კულტურული თვალსაზრისით უნივერსალურად მდგრადი ტენდენცია, რომელიც ვლინდება დაწყებული 2 წლის ასაკიდან. უფრო უფროს ბავშვებში სქესის მიხედვით სეგრეგაცია გხვდება ძალიან ხშირად. ედვარდის გამოთქვამს ვარაუდს, რომ თავის მსგავსისკენ სწრაფვა შეიძლება საკუთარი თავის შეცნობით იყოს განპირობებული, თანატოლები კი – ყველაზე კარგი სარკეა. ბავშვისთვის თანატოლები – ეს არიან ისინი, ვისაც აქვთ მისი მსგავსი შეხედულებები და განსაზღვრული მოღვაწეობის და ქცევის უპირატესობის მინიჭების მსგავსება. მაგრამ თანატოლები, ასევე, უზრუნველყოფენ შესაძლებლობებს შეჯიბრისა (კონკურენციისა) და კონფლიქტებისათვის, რაც ნორმალურ ფარგლებში განვითარების საფუძველია.

მოზარდთა ინიციაციის რიტუალები ვლინდება ბევრ კულტურაში და მიზნად ისახავს ჩამოაშორონ ინიცირებული ახლობლებს (მშობლებს); მოამზადოს იგი სექსუალობისთვის, დომონირებისა და აგრესიისათვის (იმ დოზით, როგორც ის მიცემულ კულტურაშია მისაღები); განამტკიცოს პოლიტილური კავშირები. ედვარდის გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ კოლექტიური რიტუალები უფრო გავრცელებულია ბიჭებთან მიმართებაში, ვიდრე – გოგონებთან და ხშირედ გხვდება მეომართა საზოგადოებებში, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ქალებისა და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ საქმიანობებზე.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დასავლური განათლების მიღებას და გავრცელებას საზოგადოებაში ინიციაციის რიტუალების ცვლილება მოჰყვება, მაგრამ ისინი უკვალოდ არ ქრებიან და მაინც ახდენენ გავლენას გოგონებისა და ბიჭების სოციალიზაციაზე.

**განათლება.** ბავშვთა მიერ გენდერული როლების ათვისებაზე ასევე დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემა ერთიანია გოგონებისა და ბიჭებისათვის, ისევე, როგორც ამ სისტემაში ცოდნასთან და ქცევასთან დაკავშირებული ოფიციალური მოთხოვნები, გამოკვლევები ადასტურებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სკოლის ლიტერატურაში წარმოდგენილ ქცევით ნიმუშებში ბიჭებისთვის და გოგონებისთვის და პედაგოგების ურთიერთობაში ორივე სქესის წარმომადგენლებთან.

განათლების პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების სოციალიზაციაზე. იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მე-5 კლასელებზე ჩატარებული დაკვირვებები (Hamilton, Blumenfeld, Akhon & Miura, 1991) აჩვენებს, რომ მასწავლებლები ორივე ქვეყანაში მეტ ყურადღებას აქცევენ ბიჭებს, ამასთან აფასებენ მათ უარყოფითად. ამავე დროს, მეტი ყურადღება ვერანაირად ვერ აიხსნება ცუდი მოქცევით ან დავალების შეუსრულებლობით.

გენდერული როლების ათვისებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, სკოლის სახელმძღვანელოები და მათში მოთავსებული ილუსტრაციები. აქ წარმოდგენილი ქალის და გოგონას პერსონაჟები ტრადიციული სტერეოტიპული თვისებების მატარებელია: მათ მამაკაცები და ბიჭები იცავენ, შევლიან, ასწავლიან ან მფარველობენ. აქედან გამომდინარე,

სკოლის სახელმძღვანელოები, როგორც სოციალიზაციის მოდელები ხელს უწყობს ტრადიციული გენდერულ-როლური იდეოლოგიის განმტკიცებას და შესაბამისი სტერეოტიპული შეხედულებების ჩამოყალიბებას.

საბავშვო ლიტერატურაში სექსიზმის გამოსავლენად გენდერული მკვლევრები აკეთებდნენ ტექსტების შინაარსის ანალიზს. კროსკულტურული კვლევების უმრავლესობაში დადგინდა, რომ იმ წიგნების კითხვა, რომლებშიც შეიმჩნევა სქესობრივ-როლური სტერეოტიპიზაცია, ხელს უწყობენ ბავშვების თამაშების სქესობრივ-როლურ ტიპიზაციას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო დროს ჩატარებული წიგნების ანალიზი უჩვენებს, რომ 1980 წლის შემდეგ გამოცემული საბავშვო ლიტერატურა საგრძნობლად შეიცვალა, მაგრამ ბიბლიოთეკებში ჯერ კიდევ არსებობს სექსიზმით გაჟღენთილი წიგნები. ამ ლიტერატურაში ქალები წარმოდგენილი არიან როგორც ოჯახური კერის მფარველები, მაშინ როცა მამაკაცებს აქვთ სრული შესაძლებლობა საკუთარი თავის რეალიზაცია სახლს გარეთ მოახდინონ. ეს ისტორიები (მოთხრობები) გოგონებს ასწავლიან, რომ მათი ფუნქციაა ბავშვების მოვლა და ოჯახური მეურნეობის გაძღოლა, სხვა როლები კი მამაკაცთა პრივილეგიაა. საბავშვო ლიტერატურის უმეტესობაში გოგონებისა და ქალების ილუსტრაციები საოჯახო ნივთებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გოგონას უჭირავს ცოცხი, დედას ეხმარება ჭურჭლის რეცხვაში და სხვ. ბიჭებისა და მამაკაცების ილუსტრაციები კი ამავე ლიტერატურაში ისეთ შრომის იარაღებთან (ინსტრუმენტებთან და ატრიბუტებთან) არის დაკავშირებული, რომლებიც საჭიროა სახლს გარეთ სამუშაოდ.

მშობელთა განწყობებს მოსწრების მიმართ ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ბავშვთა მიღწევებზე. სერპელმა (Serpell, 1993) აღმოაჩინა, რომ ზამბიაში ითვლება, რომ განათლება უფრო მნიშვნელოვანია ბიჭებისთვის, ვიდრე – გოგონებისათვის. ამიტომ სკოლაში სწავლებაზე პასუხისმგებლობას ძირითადად იღებს მამა, დედა კი ბავშვების მოვლით არის დაკავებული. ჩინეთში, იაპონიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში დედები თვლიან, რომ ბიჭები უფრო კარგად უნდა ითვისებდნენ მათემატიკას, გოგონები კი – კითხვას (Lummis & Stevenson, 1990), თუმცა კი, რეალობაში გოგონებიც და ბიჭებიც ერთნაირი წარმატებით ითვისებენ ორივე საგანს.

**მასმედია.** გავრცელებული აზრის მიხედვით, ბოლო დროს ტელევიზია კონკურენციას უწევს მშობლებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ ქცევით მოდელებს. ტელევიზია მყარი სქესობრივ-როლური იდეოლოგიის მატარებელია და შესაბამისად ქმნის ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ სახეებს.

მკვლევრების მიერ სატელევიზიო პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ უმრავლეს კულტურებში ტელეეკრანებზე მამაკაცები უფრო ხშირად ჩანან, ვიდრე – ქალები. ამასთან, მამაკაცები წარმოდგენილი არიან, როგორც უფრო ძლიერი და აქტიური, ხოლო ქალები კი – როგორც გულისხმიერი და ემოციური.

რეკლამებშიც მამაკაცები დომინანტურ როლში გამოდიან. ქალები ძირითადად ისეთ რეკლამებში მონაწილეობენ, რომლებიც საოჯახო საქმიანობას ან საოჯახო ნივთებს ეხება. ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ტრადიციული გენდერულ-როლური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

რიგი გამოკვლევებისა (Archer) გვიჩვენებენ, რომ ქალებისა და მამაკაცების გამოსახულებებში სახე წარმოდგენილია სხვადასხვა ხარისხით. ამ მოვლენას ფეისიზმი ეწოდება. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევების შედეგად, გამოვლინდა, რომ ფოტოები პრესაში მამაკაცების შემთხვევაში ხაზს უსვამენ სახეს, ხოლო ქალების შემთხვევაში – მათ სხეულს. მამაკაცები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი არიან კისრიდან ზემოთ, ხოლო ქალები – მთლიანად. ეს ფაქტი, არჩერის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ მასმედია მამაკაცების სახის უპირატესი ჩვენებით ხაზს უსვამს მამაკაცების პიროვნებას და მათ მნიშვნელობას საზოგადოებაში. არჩერისა და მისი კოლეგების მიერ გამოკვლეული იყო

12 ქვეყნის ბეჭდვითი გამოცემები. ყველა ქვეყანაში გამოვლინდა ფეისიზმის მოვლენა.

**სათამაშოები.** სათამაშოები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს დიფერენციალური სოციალიზაციის პროცესში. არსებობს სათამაშოების მკვეთრი დიფერენციაცია, გენდერული ნიშნით. კერძოდ, გოგონების სათამაშოებად ყველა კულტურაში მიიჩნევა თოჯინები, საოჯახო საქმიანობაში გამოსადეგარი ნივთების მოდელები (ე.წ. საექიმო ინვენტარი, ჭურჭელი, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული საგნები, ლოგინი, ეტლი, საბანი და სხვ.). ბიჭების სათამაშოებად მიჩნეულია მანქანების მოდელები თვითმფრინავის და მანქანების კონსტრუქტორები და სხვ. მსგავსი გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც დაკავშირებული იყო სათამაშოებთან, გამოვლენილი იყო როგორც დასავლურ კულტურებში, ასევე აფრიკაშიც, სადაც გოგონები თამაშობდნენ თოჯინებით, ბიჭები კი – მანქანების კონსტრუქტორებით და იარაღების მოდელებით. გოგონებისა და ბიჭების სათამაშოების გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ გოგონები გადიან ე.წ. „პრაქტიკას“ და ემზადებიან მომავალი როლებისათვის – დიასახლისობისა და დედობისათვის. გენდერულად ტიპირებული სათამაშოები უვითარებენ მათ ურთიერთობების უნარებსაც. ბიჭების სათამაშოები კი მიმართულია შემოქმედებითობის, გარშემომყოფი სამყაროს გარდასახვის უნარის, მათემატიკური უნარების, ლოგიკური აზროვნების განვითარებაზე. ბიჭების სათამაშოები ინვევენ, აგრეთვე, შეჯიბრზე და ლიდერობაზე მიმართული ქცევების ნახალისებას.

ამგვარად, ნებისმიერი სათამაშოების მაღაზიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს გოგონებისა და ბიჭების სათამაშოები. ისინი დიფერენციალური სოციალიზაციის ინსტრუმენტებია. ამასთან, სათამაშოების გენდერულ მიკუთვნებულობაზე მიუთითებს არა მატრო მათი ფუნქცია, არამედ სახელი და შეფუთვის კოლოფიც.

ამგვარად, არსებობს პანკულტურული ტენდენცია ბავშვებს ასწავლონ, მათ კი აითვისონ გენდერის შესატყვისი ქცევა, თუმცა კულტურათა შორის მცირედი სხვაობა ვლინდება თვით სწავლების შინაარსში.

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტებს მიეცემათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**დიფერენციალური გაძლიერება** – სოციალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც მოცემული საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის ნახალისება ხდება, ხოლო მიუღებლის – სოციალური დასჯა.

**დიფერენციალური იმიტაცია (მოდელირება)** – სოციალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი ირჩევს როლურ მოდელებს მისთვის შესატყვისი ჯგუფში მიღებული ნორმების მიხედვით და ცდილობს მიბაძოს მათ.

**გენდერული კონსტანტობა** – ბავშვის მიერ იმის გაგება, რომ სქესი მუდმივია და მისი შეცვლა შეუძლებელია.

**მეტაანალიზი** – ეს არის სტატისტიკური ტექნიკა, რომლის მიზანია ჯგუფთა შორის სხვაობის საერთო შეფასება დადგენა რამდენიმე გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაციის კომბინაციის გზით.

**სექსიზმი** – წინასწარი განწყობები და მადისკრიმინირებელი ქცევა ამა თუ იმ სქესის წარმომადგენლის მიმართ.

**ფეისიზმი** – ქალისა და მამაკაცის გამოსახულებაში სახისა და სხეულის განსხვავებული ხარისხით წარმოჩენის ტენდენცია.

ლექციის მსვლელობისას მოყვანილი იქნება კონკრეტული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდანაც, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ გენდერული სოციალიზაციის ინსტიტუტების ზეგავლენის უკეთ გაცნობიერებას და კულტურის როლის გააზრებას ამ პროცესში.

სოციალიზაციის ყოველი წყაროს განხილვისას გათვალისწინებულია, აგრეთვე, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ლექციის პროცესში. მათ მოეთხოვებათ გაიხსენონ შემთხვევები, როცა მათი ან მათი ნაცნობების მიერ ამ ინსტიტუტების მხრიდან მონოდებული გენდერული ქცევის ნიმუშების მოდელირება (იმიტაცია) ხდებოდა ან ისეთი შემთხვევები, როცა გენდერულად შეუსაბამო ქცევას მშობლების, უფროსების ან თანატოლების მხრიდან უარყოფითი შეფასება მოჰყვა.

ლექციის შემდეგ სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიდერში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები. სტუდენტებს, აგრეთვე, დაევალებათ სემინარისათვის გააკეთონ ე.წ. ქალებისა და მამაკაცების ჟურნალების ანალიზი. კერძოდ, განსაზღვრონ, მათი თემატიკა, იკვლიონ სექსიზმისა და ფეისიზმის მოვლენა; გაანალიზონ, თუ როგორ ვლინდება გენდერული სტერეოტიპები მოცემულ პუბლიკაციებში.

### **სემინარი №3 (თემა № 3) – 2 სთ**

სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსე პრეზენტაცია; გაიმართება ჯგუფური დისკუსია სემინარის თემაზე. კერძოდ, შემომხდება მასალის ათვისების (სოციალიზაციის ინსტიტუტების ცოდნა, ძირითადი ცნებების ფლობა) ხარისხი; დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:

1. დაასახელეთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ქალებსა და მამაკაცებს შორის გენდერულ სხვაობებს.
2. სოციალიზაციის რომელი ინსტიტუტები იცით? მოკლედ დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
3. ახდენს თუ არ განსხვავებულ ზეგავლენას სოციალიზაცია ნიჭიერ გოგონებზე და ნიჭიერ ბიჭებზე?
4. რა ზეგავლენას ახდენენ კულტურული ტრადიციები სოციალიზაციის შედეგზე?
5. რა და რა სფეროებში ვლინდება გენდერული დიფერენციალური სოციალიზაციის შედეგები?
6. როგორია დიფერენციალური სოციალიზაციის მექანიზმები?
7. სემინარზე მოხდება შესრულებული დაევალების წარმოდგენა, შედეგების ჯგუფური შეჯამება და ანალიზი.

### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. Unger R., Crawford M., Women and Gender. A feminist Psychology, Temple University Press, Philadelphia, 1992, p.: 144-188;
2. Handbook of Marriage and the family, edited by Marris B. Sussman & Suzann K. Steinmetz, Plenum Press, 1988, p.: 327-370;
3. Judith Lorber, Paradoxes of Gender, Yale University Press, 1994, p.: 123-144;
4. George J. Bryjak, Michael P. Soroka, Sociology: Cultural Diversity in a Changing World, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, p.: 204-207.

### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Burn S.M. The Social Psychology of Gender, McGraw-Hill, Inc. 1996, გვ.: 29-82;
2. Best D. L., Williams I. E. Gender and culture. – in Culture and Psychology, edited by David Matsumoto. Oxford University press, 2001, გვ.: 329-332;
3. Families in Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby, Suzanna Smith, The Guilford Press, 1992, თ.: 8;
4. Juanita H. Williams, Psychology of Women, W.W.Norton & Company, N.Y., 1987, გვ.: 198-226.

**თემა №4 - გენდერული როლები და სტერეოტიპები.  
კროსკულტურული მონაცემები.**

ლექციაზე განხილული იქნება სტერეოტიპების რაობა და მათი წარმოშობის კანონზომიერებები, აგრეთვე, მათი ფუნქციონირების კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა კულტურებში. მოყვანილი იქნება ილუზორული კორელაციების ცნება და მისი შესაძლო ახსნები. განხილული იქნება გენდერული როლები და მათი კროსკულტურული სხვაობები უმცროსებზე ზრუნვის, უფროსებთან სიახლოვის, აგრესიის გამოვლენის და საკუთარის ღირსების გრძნობის თვალსაზრისით. განხილული იქნება ტრადიციული ქალური და ტრადიციული მამაკაცური როლები და აგრეთვე, ის შეზღუდვები, რომლებსაც ეს როლები უწესებენ ქალებსა და მამაკაცებს.

გენდერული როლები ყალიბდება ქალისა და მამაკაცის სქესებს შორის განსხვავების შესახებ სტერეოტიპული კულტურული შეხედულებების კონტექსტში. გამოკვლევები აჩვენებს, რომ ბავშვებს ცხოვრების პირველ ორ წელიწადში უყალიბდებათ ქალურ და მამაკაცურ სანყისთან დაკავშირებული სტერეოტიპები, ხოლო უკვე 3-4 წლის ასაკში ბავშვები ამ სტერეოტიპებს იყენებენ სათამაშოების კატეგორიის, საქმიანობის სხვადასხვა სახისა და პროფესიების განსასაზღვრად. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, აგრეთვე, რომ იმ სტერეოტიპების ათვისება ბავშვების მიერ, რომლებიც დაკავშირებულია სათამაშოებისა და მოღვაწეობის სფეროების გენდერულ დაყოფასთან, ნინ უსწრებს ქალისა და მამაკაცის ხასიათის თავისებურებების შესახებ სტერეოტიპული შეხედულებების შეთვისებას.

უილიამსმა და ბესტმა იკვლიეს 25 ქვეყნის 5 და 8 წლის ასაკის ბავშვები. ყველა ქვეყანაში სტერეოტიპების პროცენტი იზრდებოდა ასაკის მატებასთან ერთად. კერძოდ, 5 წლის ბავშვებთან სტერეოტიპიზაციის დონე 60% იყო, ხოლო 8 წლის ბავშვებში – 70%. ისეთი ზედსართავი სახელები, როგორცაა ძლიერი, აგრესიული, ულმოხელი, გაბედული - დაკავშირებული იყო მამაკაცთა სქესთან. ხოლო ისეთი ზედსართავი სახელები, როგორცაა სუსტი, ნაზი, დამთმობი, კეთილი - დაკავშირებული იყო ქალთა სქესთან.

სტერეოტიპიზაციის თვალსაზრისით, გოგონებისა და ბიჭების მაღალი მონაცემები მიღებული იყო ახალ ზელანდიაში და ინგლისში, განსაკუთრებით კი - პაკისტანში. ძალიან დაბალი მონაცემები იქნა მიღებული ბრაზილიაში, ტაივანში, გენმანიაში და საფრანგეთში. თუმცა ქვეყნებს შორის არსებობს სხვაობები სწავლების ტემპებში, მაგრამ, საერთოდ, სტერეოტიპების ათვისება იწყება 5 წლის ასაკიდან და მისი ტემპი იზრდება დაწყებით კლასებში და საბოლოოდ სრულდება 14-16 წლის პერიოდში.

გოგონები და ბიჭები სტერეოტიპებს ერთნაირი ტემპით ითვისებენ. თუმცა არსებობს კროსკულტურული სხვაობები მათ მიერ ქალისა თუ მამაკაცის სტერეოტიპების ათვისების რიგითობაში. როგორც ჩანს, ქალის სტერეოტიპი იქნება ათვისებული პირველად, თუ მამაკაცის, ეს დამოკიდებულია მოცემულ კულტურაში ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპიზაციის სიმკვეთრის ხარისხზე, მათი ხატის მეტ-ნაკლებ დიფერენცირებულობაზე. ასე მაგალითად, გენმანიაში, ბრაზილიაში, პორტუგალიაში და ვენესუელაში ბავშვების მიერ ქალის გენდერული სტერეოტიპი უფრო ადრე იყო ათვისებული, ვიდრე – მამაკაცისა.

ბავშვების მიერ სტერეოტიპების ათვისება დამოკიდებულია, აგრეთვე, მოცემულ კულტურაში ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპიზაციის და მათი თვისებების გამიჯვნის ხარისხზე. ისლამურ კულტურებში 5 წლის ბავშვების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი უფრო მკაცრ საზღვრებს ავლებენ ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპულ თვისებებს შორის. ამასთან, ისლამურ ქვეყნებში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით სტერეოტიპების ათვისება უფრო ადრეულ ასაკში მიმდინარეობს.



ალბერტი და პორტერი (Albert & Porter, 1986) იკვლევდნენ გენდერულ სტერეოტიპებს ფართე მნიშვნელობით (დამახასიათებელ თვისებებს და როლურ განწყობებს). მათ კვლევაში მონაწილეობდნენ 4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებიდან და სამხრეთ აფრიკიდან. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ სტერეოტიპების შესახებ შეხედულებები ფართოდება ასაკთან ერთად. ამასთან, სამხრეთ აფრიკელ ბავშვებს უფრო მკაფიო წარმოდგენა ჰქონდათ მამაკაცის სტერეოტიპულ როლზე, ვიდრე — ამერიკელ ბავშვებს. ქალის სტერეოტიპული როლის მიმართ სხვაობები კულტურათა შორის არ გამოვლინდა.

ინტონს-პეტერსონის (Intons-Peterson, 1988) კვლევამ აჩვენა, რომ შვედი ბავშვები (11-18 წწ.) ქალებს მიაწერენ უფრო მეტ მნიშვნელოვან თვისებებს, ვიდრე — ამერიკელი ბავშვები. ბავშვებში გამოვლენილი ასეთი შედეგები განსაზღვრა იმან, რომ სტერეოტიპული შეხედულებები ქალებისა და მამაკაცების შესახებ უფრო ახლოსაა ერთმანეთთან შვედეთში, ვიდრე — ამერიკაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქალებისა და მამაკაცების პრიორიტეტები პროფესიის არჩევაში შვედეთში ერთმანეთს არ ემთხვევა. ქალები უპირატესობას ანიჭებენ მომსახურეობის სფეროს, ხოლო მამაკაცები — ბიზნესს. ამერიკაში კი პირიქით, პროფესიული პრიორიტეტები ქალებსა და მამაკაცებს შორის ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან ორივე ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს ექიმის და ადვოკატის პროფესიას და ხელმძღვანელ თანამდებობას.

უილიამისის და ბესტის, და, აგრეთვე, სხვა მკვლევართა მიერ განხორციელებული კროსკულტურული კვლევები მიუთითებს, რომ გენდერული სტერეოტიპები უნივერსალურ ხასიათს ატარებენ. ამასთან კულტურა ზეგავლენას ახდენს მათი ათვისების ტემპსა და არაარსებით შინაარსობრივ ასპექტებზე. ამგვარად, გენდერული სტერეოტიპები შეიძლება განვიხილოთ იმ უნივერსალიების რანგში, რომლებიც სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ფორმით ვლინდებიან.

მრავალი კვლევის შედეგი მიუთითებს, რომ ინფორმაცია, რომელიც ჩვენს გენდერულ სტერეოტიპებს შეესაბამება უფრო მეტად (ხშირად) იქნება შემჩნეული და დახსომებული, ვიდრე ინფორმაცია, რომელიც მათ არ შეესაბამება.

ინფორმაციის გადამუშავებაზე გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენა ფართედ არის ნაკვლავი გენდერული სქემის თეორიაში. იგი სტერეოტიპებს განიხილავს როგორც სოციალური ჯგუფების სოციალურ კატეგორიას (სქემას). სტერეოტიპები — ეს არის იდენტიფიცირებული ჯგუფის წევრების მსგავსების შესახებ ფართედ გავრცელებული აზრი. სტერეოტიპები მუშაობენ როგორც სქემები ამ ჯგუფების აღქმის დროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სქემა, ისინი ზეგავლენას ახდენენ აღქმასა და დახსომებაზე. ტეილორი (Taylor) აღნიშნავს, რომ ისეთი პარამეტრები, როგორცაა რასა ან სქესი, გამოიყენება დისკრიმინაციული პატერნების სახით ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების შესახებ ინფორმაციის დაჯგუფებისა და გადამუშავებისათვის. ადამიანების განსაკუთრებულად განმასხვავებელი თვისებურებანი, ისეთები, როგორცაა სქესი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, კილო — „აქტიურებენ“ საჭირო სქემებს და შემდგომში ინფორმაციის გადამუშავება ამ ჯგუფის ცალკეული წევრების შესახებ ამ სქემებით იმართება. კოგნიტური სქემების მიერ ინფორმაციის გადამუშავების მართვის საილუსტრაციოდ შ. ბერნს (Bern) მოყავს შემდეგი მაგალითი: „თუ თქვენ არ ხართ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის მაცხოვრებელი, მე კი თქვენ მოგმართეთ სამხრეთული გამოთქმით (კილოთი) და გატყობინებთ, რომ ვიზრდებოდი კონფედერაციის დედაქალაქში (რიჩმონდი, ვირჯინიის შტატი), ეს გამოიწვევს თქვენს ცნობიერებაში გარკვეულ სტერეოტიპებს, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ იმაზე, თუ რას მიაქცევთ ჩემში ყურადღებას და რას დაიხსომებთ ჩემს შესახებ სამუდამოდ. ასეთი ინფორმაციის მიღების გარეშე ჩემი ქცევის და გარეგნობის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება შეუმჩნეველი და დაუმახსოვრებელი დაგრჩებოდათ“.

კოჰენის (Cohen, 1981) მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში ცდისპირებს აჩვენებდნენ ვიდეოჩანანერს, რომელიც ერთი ქალის დაბადების დღეს ასახავდა. იმ ადამიანებმა, რომლებსაც ეუბნებოდნენ, რომ ეს ქალი ოფიციალურია, დაიმახსოვრეს, რომ იგი სვამდა ლუდს და

უყურებდა ტელევიზორს, ხოლო იმ ადამიანებმა, რომლებსაც იგი როგორც ბიბლიოთეკარი წარმოუდგინეს, დაიმახსოვრეს, რომ იგი სათვალეს ატარებდა და უსმენდა კლასიკურ მუსიკას. მკვლევარი ასკვნის, რომ ოფიციალური „ხატმა“ გამოიწვია ერთი სქემის მუშაობა, ხოლო „ბიბლიოთეკარის“ ხატმა – მეორე სქემისა. წვეულების შესახებ ინფორმაციის შემდგომი გადამუშავებაც იმართებოდა ამ მიმართულებებით.

მარკუსის და ზაიონცის (Markus & Zajonc) განსაზღვრებით, მზამზარეული სქემებით ინფორმაციის გადამუშავება არაჩვეულებრივია იმ თვალსაზრისით, რომ ის „ეკონომიურია“, რადგან წარმოდგენილი რთული სოციალური გარემოცვა დაყავს აზრობრივი კატეგორიების კონტროლირებად რიცხვებამდე. ისინი არასაკმარისი ინფორმაციის კონპენსირების საშუალებას იძლევიან და გვეხმარებიან გავიდეთ მოცემული ინფორმაციის საზღვრებს გარეთ. რა თქმა უნდა, ინფორმაციის გადამუშავების ასეთ პროცესს თავისი ნაკლიც აქვს. როგორც ფისკე და ტეილორი მიუთითებენ, ადამიანთა კატეგორიების შესახებ დაგროვილი ზოგადი ცოდნა საშუალებას არ გვაძლევს სწორად (სამართლიანად) შევაფასოთ პიროვნებათა უნიკალური თვისებები. ასე მაგალითად, ბერნის აზრით, შეტყობინებამ მისი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთიდან წარმოშობის შესახებ მოახდინა მისი აღზრდის, პირობითად რომ ვთქვათ, „პროვინციული“ სქემის გაშვება (ამუშავება). ეს სქემა შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა „გაუზრდელი“, „უკულტურო“, „რასისტი“. შემდგომში ეს სქემა გააძლიერებს აღქმელის მგრძობელობას მისი ნებისმიერი მოქმედებების ან გამოთქმების მიმართ, რომლებიც გაკვრით მაინც შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ პროვინციულობის სქემასთან. ისინი ზედმეტად მიიქცევენ ყურადღებას და იქცევიან მისი პიროვნების აღქმის ძირითად საფუძვლად, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს მისი პიროვნებისათვის დამახასიათებლად.

ამგვარად, სტერეოტიპები თავდაპირველად გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რას აღვიქვამთ, შემდგომ კი იმაზე, თუ რას ვიმახსოვრებთ. ფისკე და ტეილორი (Fiske & Taylor) აღნიშნავენ, რომ ასეთი წყობა განსხვავდება აღქმის შესახებ ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენისაგან. ისინი წერდნენ, რომ ადამიანების უმრავლესობა თვლის, რომ აღქმა – ეს არის ობიექტური მონაცემების პირდაპირი კოპირება, მათი პირდაპირი ასლი. სინამდვილეში კი, ასე არ არის. სქემების კონცეფცია დაფუძნებულია იმ დებულებაზე, რომ სქემატიზირებული წინასწარი ცოდნა (სქემები) ზეგავლენას ახდენს სოციალური რეალობის აქტიურ კონსტრუირებაზე. მაშინ, როცა ობიექტური მონაცემები აყალიბებს იმას, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, თქვენი შეხედულებები და მოლოდინები განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ ხედავთ თქვენ ამ მონაცემებს.

თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გენდერული სხვაობების მექანიზმის ახსნას. გენდერული სქემის თეორიის მიხედვით, გენდერის საფუძველზე კატეგორიზაციის ჩვენი სწრაფვა მართავს ინფორმაციის გადამუშავების პროცესებს და ინვესტს იმას, რომ ჩვენ ვხედავთ ქალებსა და მამაკაცებში გაცილებით უფრო მეტ განსხვავებებს, ვიდრე ისინი არსებობენ სინამდვილეში. საქმე ისაა, რომ გამოკვლევების რეზულტატები ადასტურებს, რომ არ არსებობს მკვეთრად გამოხატული, არსებითი განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯიუტად ვაგრძელებთ მათი, როგორც სხვადასხვანაირების ხედვას და შესაბამისად, ვექცევით მათ სხვადასხვაგვარად. გავრცელებული სტერეოტიპები წარმოადგენენ მამაკაცებს აქტიურებად, აგრესიულებად და ეფექტიანად მოქმედებად, ქალებს კი – პასიურებად, დამოკიდებულებად და ემოციურებად. ჰოფმანს და ჰერსტს (Hoffman, Hurst) მოყავთ გამოკვლევის რეზულტატები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სქესთაშორის განსხვავებების უმრავლესობა ძალიან უმნიშვნელოა იმისათვის, რომ მოველოდეთ მათ რეგულარულ გამოვლენას. ეს ავტორები მიუთითებენ, რომ როგორც ჩანს, არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო კორელაცია სქესთა შორის სხვაობის ხარისხსა და იმ მასშტაბს შორის, რომლითაც იგი ვლინდება სტერეოტიპებში.

მარტინის (Martin) ექსპერიმენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ტენდენცია დავინახოთ ქალები და მამაკაცები უფრო განსხვავებულად, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. ამ

გამოკვლევაში ქალებსა და მამაკაცებს სთხოვდნენ აღენიშნათ, წარმოდგენილი თვისებებიდან რომელი აქვთ მათ. ამ თვისებათა ჩამონათვალში შედიოდა „ტიპური მამაკაცური“, „ტიპური ქალური“ და „ნეიტრალური“ თვისებები. მეორე ჯგუფს სთხოვეს განესაზღვრათ, მათი აზრით, მამაკაცებისა და ქალების რამდენი პროცენტი ფლობდა თითოეულ ჩამოთვლილ თვისებას. კვლევის შედეგად გამოიკვია, რომ მამაკაცების და ქალების პასუხები, რომლებიც საკუთარ თავს აფასებდნენ, განსხვავდებოდა მხოლოდ ხუთი პუნქტის მიხედვით, მაშინ როცა მეორე ჯგუფის მონაცემებმა ქალები და მამაკაცები სრულიად სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგინეს 40 პუნქტიდან თითოეულში. გამოკვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ ადამიანები ქალებსა და მამაკაცებს აღიქვამენ როგორც „სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს“. ამ გარემოების ასახსნელად გენდერული სქემის წარმომადგენლებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები: ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული სოციალური როლები გვაიძულებენ ვივარაუდოთ მათში განსხვავებული ფსიქოლოგიური ნიშნებისა და შესაძლებლობების არსებობა. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ხშირად საუბრობენ ქალებსა და მამაკაცებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებებზე. და რაც მთავარია, ჩვენთვის დაბადებიდან დამახასიათებელი ინფორმაციის გადამუშავების სტრატეგიები ასევე შეიძლება ხელს უწყობდეს ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სხვაობების მასშტაბების გადამეტებას. ყველაფერ ამას აქვს უშუალო კავშირი გენდერის სოციალურ შემეცნებასთან. გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენენ გენდერულ სქემებს (გენდერული სტერეოტიპები აქ გენდერული სქემების როლს თამაშობენ). გენდერული სქემები – ეს არის გენდერული კოგნიტური კატეგორიები. ისინი ისე მართავენ შემოსული ინფორმაციის გადამუშავების პროცესს, რომ ჩვენ ვინცებთ მის აღქმას, დამახსოვრებას და ინტერპრეტაციას გენდერზე ჩვენი შეხედულებების შესაბამისად. რადგანაც სქემები ყურადღებას მიმართავენ ისეთი შემთხვევებისკენ, რომელიც ადასტურებს (ამართლებს) ჩვენს მოლოდინებს, ჩვენ ორ რამეს შორის კავშირი უფრო მდგრადად (მყარად) შეიძლება აღვიქვათ, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. ამ მოვლენას ილუზორულ კორელაციებს უწოდებენ. ისინი წარმოიქმნება ნაწილობრივ იმის გამოც, რომ სქემები ჩვენს ყურადღებას მიმართავენ ისეთი შემთხვევებისკენ, რომელიც ადასტურებს ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს. მეორეს მხრივ, ილუზორული კორელაციების ფორმირებაზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ინფორმაციის გადამუშავების პროცესის სხვა ტენდენციებმაც. ჩვენ გენდერულ განსხვავებებს აღვიქვამთ უფრო დიდად, ვიდრე ეს არის სინამდვილეში, რადგანაც სქემები ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რას ვამჩნევთ პირველ რიგში. გარდა ამისა, ინფორმაცია რომელიც ჩვენს სქემებს შეესაბამება უფრო ადვილად კოდირდება ჩვენს მეხსიერებაში (ანუ კოდირება მარტივდება, როცა ჩვენ უბრალოდ კორექტურას უკეთებთ არსებულ სქემას და არ ვქმნით ახალს). მაგალითად, ბიჭებიც და გოგონებიც გაცილებით უკეთ იხსენებენ ადამიანებს, რომლებიც განასახიერებენ გარკვეული სქესის სტერეოტიპს და მათ ქცევებს, ვიდრე ისეთ მამაკაცებს და ქალებს, რომელთა ხატები და ქცევები არ შეესაბამებიან სტერეოტიპებს. ამასთან მეხსიერების ასეთი არჩევითობა გაცილებით უფრო ძლიერია ისეთ ბავშვებთან, რომლებსაც აქვთ მდგრადი გენდერული სტერეოტიპი.

ამგვარად, მამაკაცი, რომელსაც მიაჩნია, რომ ხელმძღვანელი თანამდებობა ქალისთვის შეუსაბამოა, ხელმძღვანელი ქალის ყოველ კონფლიქტში თავის ხელქვეითთან ხედავს იმის დასაბუთებას, რომ ქალებს არა აქვთ ემოციური სიმყარე, რომელიც აუცილებელია ხელმძღვანელობისთვის. მეორეს მხრივ, მამაკაცი ხელმძღვანელის ანალოგიური ქცევა მისთვის სრულიად მისაღებია. თავის მხრივ, ქალი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მამაკაცებს არა აქვთ ემოციების ძლიერად გამოხატვის უნარი, ძალიან ადვილად იხსენებს თავის ნაცნობ მამაკაცებს, რომლებიც შეესაბამებიან მოცემულ სტერეოტიპს და წარუმატებლობას განიცდის ემოციური მამაკაცის გახსენების მცდელობისას.

მოვლენას, რომელიც სქესთა შორის რეალურად არსებული სხვაობების გაცილებით დიდი მასშტაბის გენდერულ სხვაობებად გარდასახვაში მდგომარეობს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ილუზორულ კორელაციას უწოდებენ და მიუხედავად ამ თემაზე გამართული

აქტიური დისკუსიისა, მისი წარმოშობის მიზეზების მეცნიერული დასაბუთება გენდერული სქემის თეორიის ფარგლებში ვერ ხერხდება. საჭიროდ მიგვაჩნია გენდერული ილუზორული კორელაციების ჩვენეული ახსნის აქ მოყვანა. საქმე ისაა, რომ გამოკვლევები, რომლებიც გენდერთა შორის განსხვავებებს ეხება, უმრავლეს შემთხვევებში, კითხვარების, თავისუფალი რეპროდუქციის (თავისუფალი გახსენების) ან ისეთი ექსპერიმენტების სახით მომდინარეობს, სადაც ცდის პირებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი ქალისა და მამაკაცის ამა თუ იმ ფსიქიკური თუ ფიზიკური მახასიათებლის შესახებ. სწორედ ასეთ გამოკვლევებში ვლინდება მნიშვნელოვანი გენდერთაშორისი განსხვავებები. მეორეს მხრივ, კი გამოკვლევებში, რომლებშიც ხორციელდება გარკვეული ფსიქიკური თვისებების თუ ფუნქციების უფრო ზუსტი და ობიექტური გაზომვა სპეციალური ტესტების საშუალებით, სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა. კერძოდ, ამ გამოკვლევათა მიხედვით, სქესთაშორისი განსხვავებები უმნიშვნელოა. ამ ორი ტიპის კვლევებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, აღმოვაჩინებთ, რომ მეორე ტიპის კვლევები ემსახურება ე.წ. რეალურად არსებული სქესთა შორის სხვაობების გამოვლენას. პირველი ტიპის კვლევები კი მიმართულია გენდერისა და გენდერული სხვაობების გამოსავლენად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი იკვლევენ სქესთა რეპრეზენტაციებსა და მათ სხვაობებს ჩვენს ცნობიერებაში ანუ ჩვენს მეხსიერებაში შენახულ ცნებებს „ქალი“ და „მამაკაცი“. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის — განწყობის ფსიქოლოგიის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილ იქნა მეხსიერებაში სემანტიკური ინფორმაციის შენახვის ფორმებისა და მექანიზმების კანონზომიერებები. ეს კანონზომიერებები ნათელს ჰფენს ე.წ. „ილუზორული კორელაციის“ მექანიზმს. საქმე ისაა, რომ ცნებები „ქალი“ და „მამაკაცი“ წარმოადგენენ ტიპურ ბუნებრივ ცნებებს და ენის სისტემაში ფუნქციონირებენ. ამდენად, ისევე, როგორც ყველა ბუნებრივი ცნება, ისინი ჩამოყალიბდნენ ადამიანის ინდივიდუალური და ისტორიული გამოცდილების პროცესში. ამასთან ეს ბუნებრივი ცნებები მეხსიერებაში სტრუქტურირებულია არა ლოგიკის პრინციპებით, არა არსებითი ნიშნების მიხედვით, როგორც ეს ლოგიკური მეცნიერული ცნებების შემთხვევაშია, არამედ იმ პრაქტიკული ფუნქციის ნიშნის მიხედვით, რომელსაც ასრულებენ მათში ნაგულისხმევი ობიექტები (ამ შემთხვევაში ქალები და მამაკაცები) სოციალურ გარემოში. მეხსიერებაში მათი სტრუქტურირების მექანიზმს მთლიან პირივნიული კონსტრუქტი -ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს, რომელშიც ასახულია და დაფიქსირებულია ქალებისა და მამაკაცების ხშირი და მნიშვნელოვანი (ინდივიდუალური და ისტორიული თვალსაზრისით) ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ თანაცხოვრების დროს ამა თუ იმ კულტურაში. ამგვარად, ბუნებრივი ცნებები „ქალი“ და „მამაკაცი“ ანუ სქესთა გენდერული რეპრეზენტაციები ფუნქციონალურად სტრუქტურირებულნი არიან. სწორედ ამიტომ ისინი განსხვავდებიან ლოგიკური ცნებებისაგან „ქალი“ და „მამაკაცი“, რომელთაც იკვლევს სქესთაშორისი სხვაობების გასაზომი ინსტრუმენტები (რეალური ინტელექტი, რეალური ფიზიკური ძალა, ემოციურობა, აგრესიულობა თუ ჩონჩხისა და კუნთების სისტემის სიძლიერე).

ერთ-ერთ ცნობილ გამოკვლევაში, რომელიც კონდრიმ და კონდრიმ ჩაატარეს (Condry, Condry), ცდისპირებს აჩვენებდნენ, ფილმს ცხრა თვის ბავშვზე. ამასთან მაყურებლების ნახევარს ეუბნებოდნენ, რომ ეს ბავშვი ბიჭია, ხოლო მეორე ნახევარ კი – რომ ბავშვი გოგოა. ეს უმარტივესი მანიპულაცია იწვევდა ერთი და იგივე ქცევის სრულიად განსხვავებულ შეფასებას. მაგალითად, ერთ-ერთ ნაჩვენებ ეპიზოდში ბავშვი იწყებდა ყვირილს, მას შემდეგ რაც კოლოფიდან ზამბარა ამოაგდებს სათამაშოს. ის ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბავშვი ბიჭია, აღიქვამდნენ მას „გაბრაზებულად“, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბავშვი გოგოა, აღიქვამდნენ მას „შეშინებულად“.

კონდრიმ და როსმა (Condry, Ross) ასევე დაადგინეს, რომ ბავშვის გენდერი ზეგავლენას ახდენს იმაზე, რომ თუ როგორ აღიქვამენ მას უფროსები. მათ მიერ ჩატარებულ კვლევაში ცდისპირებს აჩვენებდნენ ვიდეოკამერაზე ჩანერილ ბავშვთა თამაშის ეპიზოდს. ორი ბავშვი

თამაშობდა თოვლით დაფარულ მოედანზე. ერთნაირი კოსტიუმები მათი სქესის განსაზღვრის საშუალებას არ იძლეოდა. ნაჩვენებ ეპიზოდში ერთი ბავშვი მუდმივად ხელს კრავდა მეორეს, ახტებოდა მას და ესროდა გუნდებს. მაყურებელთა ერთ ნაწილს ეუბნებოდნენ, რომ ორივე ბავშვი გოგოა, მეორეს - რომ ორივე ბავშვი ბიჭია, მესამეს - რომ აგრესორი ბიჭია, ხოლო მეოთხეს - რომ აგრესორი გოგოა. მას შემდეგ, რაც მაყურებლებს აუხსნეს, რომ აგრესია წარმოადგენს წინასწარ განზრახულ ქმედებას, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს მეორე ბავშვს, მათ სთხოვდნენ შეეფასებინათ ბავშვის აგრესიის ხარისხი. მაყურებლებმა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ორივე ბავშვი ბიჭია, მიიჩნიეს ნაჩვენები სქემა ნაკლებად აგრესიულად დანარჩენი ჯგუფების შეფასებასთან შედარებით. მკვლევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გენდერის კოგნიტური კატეგორია - გენდერული სქემა მიმართავს მოლოდინებსა და შეფასებებს გარკვეული მიმართულებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგან ბიჭების თამაშის რამდენადმე აგრესიული გამოვლინება ნორმალურ მოვლენად ითვლება, ამიტომ ეს აგრესიულად არ ფასდებოდა.

ტილორისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის რეზულტატები ასევე ადასტურებს, რომ გენდერული სტერეოტიპები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის გადამუშავების პროცესზე. იმისათვის, რომ უკეთ გაერკვიათ, თუ როგორ ახდენს გავლენას გენდერი აღქმასა და ინფორმაციის გადამუშავებაზე, ტილორი და ფალკონე ექსპერიმენტის მონაწილეებს ასმენინებდნენ ექვსი პოლიტიკური დისკუსიის ჩანაწერს, რომლებიც მიყავდათ სამ ქალსა და სამ მამაკაცს. გამოსვლები ამომრჩეველთა შეხვედრებზე ინერებოდა მაგნიტოფონზე, სადაც თითოეული კანდიდატი გამოთქვამდა ექვს კონკრეტულ შემოთავაზებას. მკვლევრებმა ისე დაგეგმეს გამოკვლევა, რომ ყველა შემოთავაზება (წინადადება) იყო თანაბრად სასარგებლო. მათი არჩევანი (მკვლევარების) ეფუძნებოდა მსგავსი წინადადებების შეფასებათა ფართო ანალიზს. ყველა გამოთქმული წინადადებიდან შეირჩა 36 დებულება, რომლებმაც დაახლოებით ერთნაირი რეიტინგი მიიღო. 13 წუთიანი დისკუსიის მოსმენის შემდეგ ცდის პირებს უნდა შეეფასებინათ, პოლიტიკურად რამდენად გონიერი და დამარწმუნებელი იყო თითოეული კანდიდატი, რამდენად სასიამოვნო და საინტერესო იქნებოდა მათთან მუშაობა და რამდენად ეფექტიანად შეძლებდა იგი მხარის (რაიონის) ხელმძღვანელობას. შედეგად, 5 შეფასების კრიტერიუმიდან 4-ში მამაკაცებმა მიიღეს უფრო მაღალი შეფასება (არ იყო განსხვავება მხოლოდ სასიამოვნოების კრიტერიუმით შეფასებისას). თუმცა უფრო გვიანდელ ექსპერიმენტში, რომელიც ბოვემ და სპენსმა (Bauvais, Spence) ჩატარეს, ექსპერიმენტის მონაწილეთა უმრავლესობას ასეთი კეთილგანწყობა მამაკაცების მიმართ არ გამოუვლენია. გაურკვეველია რასთან არის ეს ცვლილება დაკავშირებული: 1982 წლიდან (როცა ტილორმა და ფალკონემ ჩატარეს ექსპერიმენტი) და 1987 წლამდე (როცა ბოვემ და სპენსმა ჩატარეს ექსპერიმენტი) განწყობების ცვლილებებთან, თუ უფრო გვიანი ექსპერიმენტის მონაწილეები ცდილობდნენ გაემართლებინათ ექსპერიმენტატორების მოლოდინები. არ არის გამორიცხული, აგრეთვე, რომ რეზულტატებზე გავლენა იქონია ექსპერიმენტის ჩატარების მცირედმა მეთოდოლოგიურმა სხვაობებმაც.

თუმცა ტილორ-ფალკონეს და ბოვე-სპენსის კვლევების რეზულტატები განსხვავდებოდა მამაკაცების მიმართ ზედმეტად კეთილგანწყობის ხარისხით, მაგრამ ორივე კვლევამ დაადასტურა, რომ ბიოლოგიური სქესი გამოიყენება სქემის სახით ინფორმაციის გადამუშავების პროცესში. ორივე ექსპერიმენტში მონაწილეები მეტ შეცდომებს უშვებდნენ ერთი სქესის ფარგლებში, ვიდრე - სქესთაშორის შეცდომებს ანუ მათ უფრო ხშირად ეშლებოდათ, თუ რომელ ქალს ეკუთვნოდა ესა თუ ის გამონათქვამი და იშვიათად უშვებდნენ ისეთ შეცდომებს, როცა გამონათქვამი ქალს ეკუთვნოდა, მათ კი მამაკაცისა ეგონათ ან პირიქით. არსებობს სხვა ექსპერიმენტებიც, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადამიანები სხვა ადამიანების კატეგორიზაციას პირველ რიგში სქესის მიხედვით ახდენენ. ასე მაგალითად, ფისკემ დაადგინა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები ხშირად ურევენ ერთმანეთში ერთი და იგივე სქესის, რასის ან ისეთ ადამიანებს, რომლებიც ერთი და იგივე სოციალურ როლს

ასრულებენ ან ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ. სტანგორმა (Stangor, 1986) დაადგინა, რომ ადამიანები კატეგორიზაციას უფრო ხშირად სქესის მიხედვით ახდენენ, ვიდრე - რასისა.

ფისკე და ტეილორი მიუთითებდნენ, რომ გენდერულ სქემათა აქტივაცია ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი ხნის წინ აქტივირდნენ ისინი ბოლოს და რამდენად ხშირად იყვნენ ისინი გამოყენებული ადრე. რაც უფრო ხშირად ხდებოდა სქემათა აქტივაცია წარსულში, მით უფრო მისაწვდომია ისინი მეხსიერებისათვის და მით უფრო ხშირად იქნებიან გამოყენებულნი. ეს მოვლენა პრაიმინგის ეფექტის სახელის მატარებელია. ამგვარად, უნდა მოველოდეთ, რომ ახალგაზრდები და მოზარდები, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ სქესის პრობლემას, განსაკუთრებით ხშირად აღიქვამენ სხვა ადამიანებს მათი გენდერის თვალსაზრისით. ტეილორისა და ფისკეს აზრით, ხშირად გამოიყენებული სქემა მომართულ (მზადყოფნის) მდგომარეობაშია. ჩვენს საზოგადოებაში მასმედიის საშუალებები ზედმეტად ხშირად ამახვილებენ ყურადღებას გენდერის პრობლემებზე. სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთ მიმართებას მიყვართ იქამდე, რომ ჩვენი გენდერული სქემები მომართულ მდგომარეობაში არიან და მზად არიან მეყსეული აქტივაციისათვის. როგორც ბემი აღნიშნავდა: „გენდერული სქემის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების მხრიდან დაჟინებითი გახსენება გენდერული სქემას კიდევ უფრო კოგნიტურად მისაწვდომად აქცევს“.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების რეზულტატები მიუთითებს იმაზე, რომ გენდერი ის მნიშვნელოვანი კოგნიტური კატეგორიაა, რომელიც ადამიანის აღქმისას გამოიყენება. თუმცა კი ზოგჯერ შეიძლება შევხვდეთ ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ ადამიანების აღქმა გენდერზე დაფუძნებული არ არის. მართლაც, არსებობს, ინდივიდუალური განსხვავებები გენდერის, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვანი „პარამეტრის“ გამოყენებაში სხვა ადამიანების აღქმისას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბემის მიხედვით, ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს გენდერის სქემის გამოყენებლად, თუკი მას აქვს მზადყოფნა ადამიანთა განმასხვავებელი თვისებების და მათ შესახებ ინფორმაციის სორტირება მოახდინოს გენდერის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ეკუთვნის იმ ინდივიდებს, რომლებიც არ იყენებენ გენდერულ სქემებს. ბემის აზრით, ის ადამიანები, რომლებიც გამოხატულ ქალურ ან მამაკაცურ საწყისებს ფლობენ, მეტად შეიძლება მივაკუთვნოთ გენდერული სქემის გამოყენებლებს.

გენდერული სქემის თეორია გენდერული სქემის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტისას ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ჩვენ დაბადებიდან გვახასიათებს კატეგორიზაციისაკენ მიდრეკილება, რომელიც მიმდინარეობს გარეგანი სტიმულირების განმასხვავებელი თვისებებების საფუძველზე (როგორც ადამიანის, ასევე საგნების შემთხვევაში). გარშემომყოფი სამყაროს ასეთი დაყოფა შემადგენელ ელემენტებად უკვე ბავშვობიდან იწყება და წარმოადგენს კოგნიტური განვითარების პროცესის არსს. ბავშვობა – ეს არის სწრაფი სქემატური განვითარებისა და დახვეწის პერიოდი. ბავშვის ცხოვრების ძირითადი ნაწილი სწორედ გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის შეთვისებას ხმარდება.

იმისათვის, რომ შეიმსუბუქონ უამრავი ინფორმაციის შეთვისება, ბავშვები მიმართვენ კატეგორიზაციას. „ქალური“ და „მამაკაცური“ წარმოდგენენ დიქოტომიურ ამომწურავ განმასხვავებელ ბუნებრივ კატეგორიებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ზრდასრულების მხრიდან, ასევე ბავშვების, თანატოლების მხრდანაც.

გენდერი კატეგორიზაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ჩვენს საზოგადოებაში მუდმივად ლაპარაკობენ გენდერული სხვაობების მნიშვნელოვან როლზეც. როგორც უკვე ადრე იყო ნათქვამი, ტელევიზია, ლიტერატურა და ფოლკლორი ძალიან ხშირად წარმოსახავენ ქალებსა და მამაკაცებს ისეთ არსებებად, რომელთა შორისაც დიდი განსხვავებაა და რომლებიც სრულიად არ გვანან ერთმანეთს. მშობლები, მასწავლებლები და თანატოლები ასევე ხშირად უბიძგებენ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გენდერს და როგორც შედეგი, მათ უყალიბდებათ აზრი, რომ ქალი და მამაკაცი მხოლოდ

გენიტალიებით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ბავშვები ამჩნევენ, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად იცვამენ დ ცდილობენ სხვადასხვა რამეები გააკეთონ. მსგავსი შეხედულება უყალიბდებათ მათ საზოგადოების ისეთი წარმომადგენლების დაკვირვებისას, როგორც არიან მაგალითად, მათი მშობლები. იგლის (Egley) სოციალური როლების თეორიის მიხედვით, სოციალურმა როლებმა შეიძლება ბიძგი მისცეს სოციალური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. ის ფაქტი, რომ სოციალური როლების უმრავლესობა ქალების ან კაცების მიერ სრულდება, შეიძლება ხელს უწყობდეს გენდერის კოგნიტურ დიქტომიზაციას. მარტინი და ჰალვერსონი (Martin, Halverson) წერდნენ, რომ რადგან ქალებსა და მამაკაცებს შორის დაიკვირვება ამდენი განსხვავება, ბავშვები ხვდებიან, რომ გენდერულ კატეგორიებში გათვითცნობიერებულობა ძალიან სასარგებლოა გარშემომყოფთა ქცევის წინასწარმეტყველებისათვის.

განვიხილოთ სქესთა შორის განსხვავების ოთხი კროსკულტურული სფერო: უმცროსებზე ზრუნვა, აგრესია, უფროსებთან სიახლოვე და საკუთარი ღირსების გრძნობა.

**უმცროსებზე ზრუნვა:** ედვარდსმა და უაიტინგმა (Edwards & Whiting, 1980) ექვსი სხვადასხვა კულტური კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ 5-დან 12 წლამდე ასაკობრივ შუალედში გენდერული განსხვავებები ვლინდება უფრო თანმიმდევრულად იმ ჩვილთა და ბავშვთა მიმართ ქცევაში, რომლებიც სიარულს სწავლობენ, ვიდრე დიდებისა და უფროსო ასაკის ბავშვების მიმართ. რადგანაც ჩვილები მეტ ზრუნვას ითხოვენ, ვიდრე უფროსი ბავშვები, გოგონები, რომლებიც ჩვილებთან დიდ დროს ატარებენ, უფრო მეტ სწრაფვას ავლენენ უმცროსებზე ზრუნვის, ვიდრე - ბიჭები, რომლებიც ასე დიდად არ არიან დაკავებულნი პატარა ბავშვებით.

ბარიმ, ბეკონმა და ჩაილდმა (Barry, Bacon & Child) აღმოაჩინეს, რომ ბიჭებთან შედარებით, გოგონებს მეტად ამზადებენ უმცროსებზე ზრუნვისთვის (კულტურათა 82%-ში), იმისთვის, რომ იყვნენ უფრო დამჯერნი (კულტურათა 35%-ში) და უფრო პასუხისმგებლიანი (კულტურათა 61%-ში). ბიჭებს კი თავის მხრივ, ასწავლიან მიზნის მიღწევას (კულტურათა 87%-ში) და დამოუკიდებლობას (კულტურათა 85%-ში).

უელჩმა, პეიჯმა და მარტინმა (Welch, Page & Martin, 1981) 108 კულტურის კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ბიჭების როლური ორიენტაციები მეტად ლიმიტირებულია, გოგონების სოციალური ორიენტაციებისგან განსხვავებით. ამ უკანასკნელთა სოციალური ორიენტაციები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ამასთანავე, ბიჭებს უფრო მკაცრად მოეთხოვებათ მიღებული როლისადმი შესატყვისობა, ვიდრე – გოგონებს.

**აგრესია:** იმ ბავშვთა კროსკულტურული გამოკვლევები, რომლებმაც ჯერ არ მიაღწიეს სქესობრივ მომნიშვნებას, აჩვენებენ, რომ ბიჭებს გოგონებთან შედარებით უფრო მეტად ახასიათებთ აგრესია, მექიშპეობის (შეჯიბრის) სული, დომინირებისკენ სწრაფვა და ჩხუბთან და ბრძოლასთან დაკავშირებული თამაშები. უაიტინგისა და ედვარდსის (B.B. Whiting & Edwards, 1981) მიერ ექვსი კულტურისა და აფრიკის დამატებითი შერჩევის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ სქესებს შორის არსებობს განსხვავება აგრესიულობისა და დომინირებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით. დადგინდა, აგრეთვე, რომ აგრესია არ მცირდება ასაკის მომატებასთან ერთად, არამედ პირიქით, იგი უფრო გამოხატული ხდება უფროსი ასაკის ბიჭებში. დაკვირვებები, რომლებიც ომარკმა, ომარკმა და ედელმანმა (Omark, Omark & Edelman, 1975) ჩაატარეს ეთიოპიის, შვეიცარიის და ამერიკის შეერთებული შტატების სათამაშო მოედნებზე, აჩვენებენ, რომ ბიჭები უფრო აგრესიულად იქცევიან, ვიდრე - გოგონები.

წარმოების თვალსაზრისით, ჩამორჩენილი ოთხი კულტურის შესწავლისას მონრომ და მისმა კოლეგებმა (Munroe, ... 2000) აღმოაჩინეს, რომ აგრესიის გამოვლინება ბიჭებთან უფრო ხშირია, ვიდრე – გოგონებთან. როდესაც გოგონები და ბიჭები იკრიბებიან ერთგვაროვან სქესობრივ ჯგუფებად, აგრესიის ეპიზოდები უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებთან, ვიდრე – გოგონებთან.

ექვსი კულტურის კვლევამ აჩვენა, რომ დედები, ჩვეულებრივ, ერთნაირად რეაგირებენ აგრესიის გამოვლენაზე ბიჭებისა თუ გოგონების მხრიდან. ხოლო მამა მნიშვნელოვან როლს

ასრულებს აგრესიულობის აღზრდაში, განსაკუთრებით კი - ბიჭებში. დადგენილია, რომ აგრესიის ხარისხზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს აღზრდის კულტურული სისტემა და ამ სისტემაში მამაკაცისა თუ ქალის აგრესიულობისთვის მინერული ვალენტობა. ასე მაგალითად, შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოკინავაზე და ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვაგვარად უდგებიან გოგონებთან და ბიჭებთან აგრესიულობის აღზრდას.

ქალებისა და მამაკაცების მხრიდან აგრესიის მიმღებლობის ხარისხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთნაირია, თუმცა განსხვავდება ქალებისა და მამაკაცების მიერ აგრესიის გამოვლენის ფორმები. მამაკაცები თავდაპირველად ძალიან თავშეკავებულად იქცევიან, თუმცა შემდეგ უფრო მეტი სიმამაგე ეუფლებათ, მაშინ როცა ქალები უფრო ემოციურები არიან და აქვთ მიდრეკილება თავიდანვე მიმართონ ყვირილს ან სიტყვიერ კინკლაობას.

**უფროსებთან სიახლოვე და მოღვაწეობის ხასიათი:** ფრიდმანი (Friedman, 1976) აკვირდებოდა 5-7 წლის ბავშვების თამაშს რვა კულტურაში (ავსტრალიელი აბორიგენები, ბალის, ტაივანის, ცვილონის, კიკუიტუს, იაპონიის მაცხოვრებლებს, ნავაჰოს ტომის წარმომადგენლებს და პენჯაბები). მან აღმოაჩინა, რომ ბიჭები თამაშის დროს გროვდებიან დიდ ჯგუფებში, დიდ მანძილებს გადიან და უფრო მეტად არიან თამაშის ფიზიკური სახეობებით დაკავებულნი, მაშინ როცა გოგონები უფრო მეტად ისეთი თამაშებით ერთობიან, რომლებიც გარკვეული მოქმედებების გამეორებასთან და ლაპარაკთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, გოგონები, ჩვეულებრივ, ნაკლებად შორდებიან სახლს. გამოკვლევები აჩვენებს, რომ გენდერულ განსხვავებათა გაღრმავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის პრიორიტეტები, რომლებიც გარკვეულ ქცევებს ენიჭებათ ბიჭებისა თუ გოგონების მხრიდან.

ბიჭები მეტად ესწრაფვიან სხვა ბიჭებთან ურთიერთობებს, ხოლო გოგონები უპირატესობას ანიჭებენ უფროსებთან ურთიერთობას. სქესის მიხედვით სეგრეგაციას ასახავენ, აგრეთვე, ბავშვების ნახატებიც. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიჭები უფრო ხშირად ხატავენ ბიჭებს, ხოლო გოგონები – გოგონებს. ბავშვების ნახატებში გენდერული განსახვავებების გამოვლენად მიიჩნევა, აგრეთვე, ისიც, რომ ბიჭები უფრო ხშირად ხატავენ მანქანებს, ურჩხულებს და აგრესიასთან დაკავშირებულ სცენებს, მოვლენებს თუ საგნებს, ხოლო გოგონები უპირატესობას ანიჭებენ ყვავილების დახატვას. სქესის მიხედვით ბავშვთა ნახატთა ასეთ განსხვავებები გამოვლინდა გამოკვლევული ცხრა სხვადასხვა კულტურიდან ყველაში.

**საკუთარი ღირსების გრძნობა:** გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ თითქმის ყველა კულტურაში გოგონები ნაკლებად კმაყოფილნი არიან იმით, რომ ისინი გოგონები არიან, ვიდრე ბიჭები იმით, რომ ისინი ბიჭები არიან. მიუხედავად ამისა, გოგონების თავისი სქესით ასეთი უკმაყოფილება ყოველთვის არ გამოიხატება დაბალ თვითშეფასებაში. ასე მაგალითად, გოგონები ფილიპინებში, ნეპალში, ავსტრალიაში და ნიგერიაში თვლიან, რომ ისინი ბიჭებთან შედარებით ნაკლებად ნიჭიერები არიან ფიზიკასა და მათემატიკაში. ამავე დროს, გოგონებს ავსტრალიაში და ნიგერიაში მიაჩნიათ, რომ მათი მიღწევები კითხვაში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე – ბიჭების წარმატებები ამ საგანში. ნიგერიელი ბიჭები კი თვლიან, რომ ისინი გოგონებზე უფრო ჭკვიანები არიან.

ამგვარად, გოგონებსა და ბიჭებს შორის არსებობს მყარად გამოხატული განსხვავებები უმცროსებზე ზრუნვაში, აგრესიაში და მობილურობაში და ეს განსხვავებები ვლინდება ყველა კულტურაში. კულტურა აყალიბებს ბავშვთა სოციალურ ქცევას, განსაზღვრავს იმ ადამიანთა წრეს, რომელთა გარემოცვაშიც ბავშვი იმყოფება. კულტურა განსაზღვრავს, აგრეთვე, იმ საქმიანობების სახეებსაც, რომლებითაც სხვადასხვა სქესის ბავშვები არიან დაკავებულნი.

მამაკაცების სოციალური როლი დაკავშირებულია მათი ბუნების, როგორც „შემომტანის“ გაგებასთან და უმრავლეს კულტურაში მიჯნავს ქალებისა და მამაკაცების ფუნქციებს.

ფემინისტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არ არის საჭირო მამაკაცის სოციალური როლების შესწავლა, რადგან ეს გვაშორებს მთავარ პრობლემას — ქალის დისკრიმინაციულ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილებას. მაგრამ ფაქტია, რომ კულტურა უწესებს



მამაკაცებს გარკვეულ სოციალურ შეზღუდვებს ისევე, როგორც ქალებს და ამიტომ მნიშვნელოვანია ამ შეზღუდვების შესწავლა.

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის არსებობს საკმაოდ მწირი ემპირიული მასალა, რომელიც ეძღვნება ტრადიციული მამაკაცური როლების შესწავლას. ეს გენდერული კვლევების შედარებით ახალი და ნაკლებად განვითარებული სფეროა.

მამაკაცური გენდერული როლების ათვისების მექანიზმი ისეთივეა, როგორც ქალური გენდერული როლისა (დიფერენციალური სოციალიზაცია, მოდელებზე დაკვირვება, კულტურული არხების საშუალებით ზეგავლენა) მამაკაცები, ისევე როგორც ქალები მუდმივი ინფორმაციული და ნორმატიული ზენოლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბიჭები და მამაკაცები სოციალური ინფორმაციის დიდი ნაკადის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. მათი ქცევა ისჯება, როგორც კი იგი გადაუხვევს ტრადიციულად „მამაკაცური“ ქცევის ნორმებიდან. „მამაკაცურობის“ შესახებ წარმოდგენებს ბიჭები ითვისებენ კულტურის და სოციალიზაციის სხვა ინსტიტუტების მეშვეობით. ამ შეხედულებათა სისტემას პლეკმა (Pleck) და მისმა კოლეგებმა **მამაკაცურობის იდეოლოგია** უწოდეს. ფაქტიურად ეს არის სოციალური ნორმების კრებული მამაკაცებისთვის. ტომპსონმა და პლეკმა მამაკაცური გენდერული როლი განსაზღვრეს, როგორც სოციალური ნორმები, რომელიც შეიცავს ნებართვებსა და აკრძალვებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა იგრძნოს და აკეთოს მამაკაცმა და რა - არა. ტომპსონმა და პლეკმა გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ მამაკაცთა როლური ნორმების სტრუქტურა შედგება სამი მნიშვნელოვანი ფაქტორისგან: პირველი – ეს არის მოლოდინები იმის თაობაზე, რომ მამაკაცები მიაღწევენ მაღალ სტატუსს და დაიმსახურებენ გარშემომყოფთა პატივისცემას (სტატუსის ნორმა); მეორე – მდგრადობის ნორმა, რომელიც განსაზღვრავს მამაკაცებისგან გონივრული, ემოციური და ფიზიკური მდგრადობის მოლოდინს; მესამე — ეს არის მოლოდინი იმისა, რომ მამაკაცმა თავი უნდა აარიდოს სტერეოტიპულად ქალურ საქმიანობებს (ანტიქალურობის ნორმა). ზოგიერთ საზოგადოებაში ამ ნორმას ისეთი ძლიერი ზეგავლენის ძალა აქვს, რომ იგი ზოგჯერ მამაკაცში ფემინოზობის სახითაც ვლინდება.

მამაკაცის სტერეოტიპული ნორმები დიდ ზეგავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. უბრალო მაგალითებიც კი ცხადყოფს, რომ უმრავლეს საზოგადოებებში მამაკაცი – მამაკაცი არ არის, თუ ის ფულს არ შოულობს, თუ იგი ემოციურია, ფიზიკურად სუსტია, არ შეუძლია კომპეტენტური რჩევების მოცემა ან ქალური საქმიანობებით არის დაკავებული.

ბერნა და ლევერმა (Burn & Laver, 1994) აღმოაჩინეს, რომ ამერიკელი ქალები და მამაკაცები სრულად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმაში, რომ მამაკაცმა კარიერა უნდა გაიკეთოს. ამასთანავე, უმრავლესობა მათგანი იზიარებდა იმ აზრსაც, რომ მამაკაცმა ბევრი ფული უნდა იშოვოს. სტატუსის სტერეოტიპის მამაკაცის მიმართ მოქმედებას ადასტურებს იგივე ავტორების სხვა კვლევა, რომელშიც გაანალიზდა ამერიკული ჟურნალების ე.წ. „პაემნების“ ნაწილი. აღმოჩნდა, რომ ქალები, განსხვავებით მამაკაცებისაგან, სასურველი პარტნიორის ამორჩევისას პრიორიტეტს მის სტატუსსა და ფინანსურ მდგომარეობას ანიჭებდნენ.

სტატუსისა და ნარმატიულობის ნორმა გარკვეულ პრობლემებს უქმნის მამაკაცებს. საქმე ისაა, რომ მათ უმრავლესობას არ შესწევს უნარი 100%-ით დააკმაყოფილოს იგი. ეს კი მათი დაბალი თვითშეფასების საფუძველი ხდება. ძალიან ცოტა მამაკაცს აქვს საკმარისი ფული, ძალაუფლება და პატივისცემა საზოგადოებაში, რადგან ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც სოციალურ კიბეზე უფრო მაღლა დგას.

საზოგადოების მხრიდან მამაკაცების შეფასებას მათი შემოსავლების მიხედვით ხშირ შემთხვევაში მიყვებათ თვითაქტუალიზაციის ხარისხის დაცემამდე. კერძოდ, მამაკაცი იძულებულია აკეთოს საქმე, რომელიც არ აინტერესებს, არ უყვარს და იგი მუშაობს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სამუშაო კარგად ანაზღაურებადია.

ფინანსური ზენოლა განსაკუთრებით მძიმეა ისეთი მამაკაცების შემთხვევაში, რომლებსაც დიასახლისი ცოლები ჰყავთ. როდესაც მამაკაცი შემოსავლის ერთადერთი წყაროა, მას ხშირად აღიქვამენ როგორც ფულის ტომარას და ყველა ცდილობს ამ ტომრიდან ფულის ამოღებას.

კვლევები აჩვენებს, რომ რაც უფრო იზრდება მამაკაცის შემოსავალი, მით უფრო

კლებულობს მისი წვლილი ბავშვების აღზრდაში. იაპონიაში, სადაც მამაკაცურობის ნორმა გულისხმობს სრული დატვირთვით მუშაობას, მამები საშუალოდ ბავშვებთან 3 ნთ-ს ურთიერთობენ სამუშაო დღეებში, ხოლო უქმე დღეს კი მათი ბავშვებთან ურთიერთობის ხანგრძლივობა 19 ნთ-ს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცურობის გაგებაში არსებობს გარკვეული ვარიაციები, რომლებიც შეაქვს გარკვეულ რასას, ნაციონალობას, სოციალური კლასისადმი ან კულტურისადმი მიკუთვნებულობას, სექსუალურ ორიენტაციას და სხვ. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცურობის ზემოთ ჩამოთვლილი ნორმები უნივერსალურია.

მამაკაცებისათვის დანესებული კულტურული ნორმები ძალიან ხშირად მათთვის კონფლიქტისა და სტერესის საფუძველი ხდება. ხშირ შემთხვევებში ისინი არყევენ მამაკაცთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ზოგჯერ კი მათი მხრიდან ქალებისა და ბავშვების მიმართ უხეშობისა და ძალადობის საფუძველიც შეიძლება გახდნენ.

*ლექციის მსვლელობისას მოყვანილი იქნება კონკრეტული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდანაც. რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ მამაკაცებისა და ქალების გენდერული ნორმების მოქმედების მექანიზმების უკეთ გაცნობას. განსაკუთრებით ხაზი გაესმება ტრადიციულ მამაკაცურ როლებს და ნორმებს. გაანალიზებული იქნება გენდერული სტერეოტიპების ფუნქციები და, აგრეთვე, სტრესი და კონფლიქტი, რომელსაც იწვევს ტრადიციული ქალური და მამაკაცური როლები თანამედროვე პირობებში.*

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტებს მიენოდებათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**გენდერული როლები** – ეს არის სოციალური როლები, რომლებითაც ქალები და მამაკაცები არიან არაერთგვაროვნად დაკავებულნი ოჯახისა და პროფესიული მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, და აგრეთვე, თავისუფალი დროის განმავლობაში.

**ილუზორული კორელაცია** - ცნებათა შორის კავშირის სიმყარის ხარისხის ზედმეტად მაღალი შეფასება ან მცდელობა დაადგინო იგი იქ, სადაც კავშირი საერთოდ არ არსებობს. გენდერის შემთხვევაში მოჩვენებითი ან გადამეტებული კავშირი ხშირად მოიაზრება გენდერსა და გარკვეულ თვისებებს, ჩვევებს და ქცევებს შორის.

**გენდერული სხვაობები** – სხვაობები ქალებისა და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ თვისებათა და ქცევათა შორის, რომელიც სოციალურ-კულტურულ ხასიათს ატარებს.

**პრაიმინგის ეფექტი** - პროცესი, რომლის შედეგადაც ცოტახნისწინანდელი განცდები და პროცესები აძლიერებენ ამა თუ იმ ინფორმაციის მისაწვდომობას.

**სტატუსის/წარმატებულობის ნორმა** — გენდერული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცის სოციალური ღირსება განისაზღვრება მისი შემოსავლის სიდიდით და წარმატების ხარისხით სამსახურში.

**ფიზიკური სიძლიერის ნორმა** — მამაკაცურობის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცს უნდა ჰქონდეს დიდი ფიზიკური ძალა და მაღალი ბიოლოგიური აქტივობა.

**გონებრივი სიძლიერის ნორმა** – მამაკაცურობის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცი უნდა იყოს მცოდნე და კომპეტენტური.

**ემოციური მდგრადობის ნორმა** – მამაკაცურობის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცს უნდა ჰქონდეს ნაკლები გრძნობები და შეეძლოს გადაწყვიტოს თავისი ემოციური პრობლემები დამოუკიდებლად.

**ანტიქალურობის ნორმა** – სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცმა თავი უნდა აარიდოს სპეციფიკურად ქალურ საქმიანობებს და ქცევის მოდელებს.

**ფემინობია** - ეს არის მამაკაცის შიში, რომ იგი არ იქნეს გარშემომყოფებისგან შეფასებული, როგორც ქალური.

ლექციის შემდეგ სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიგში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები.

#### **სემინარი №4 (თემა № 4) – 2 სთ**

სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეის პრეზენტაცია; გაიმართება ჯგუფური დისკუსია სემინარის თემაზე. კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:

1. რა ფაქტორები განსაზღვრავს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას?
2. რა ზეგავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები ადამიანის და საზოგადოების ცხოვრებაში?
3. რას ნიშნავს გენდერულად ტიპირებული ადამიანი და რითი განსხვავდება იგი გენდერულად არატიპირებული ადამიანისაგან?
4. როგორ ვლინდება ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული სოციალური როლები?
5. რა შეზღუდვებს უნესერბს ტრადიციული იდეოლოგია მამაკაცებს?
6. რა ფაქტორები განსაზღვრავს მცირე სქესთაშორის სხვაობების დიდ გენდერულ სხვაობებად გარდაქმნას?
7. როგორ ხსნის გენდერული სქემის თეორია გენდერულ ილუზორულ კორელაციებს?
8. როგორ იხსნება გენდერული ილუზორული კორელაციები ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პოზიციებიდან?
9. რა ფაქტორები განსაზღვრავს განსხვავებულ გენდერულ როლებს სხვადასხვა კულტურებში?

სემინარზე გამოყენებული იქნება, აგრეთვე, შემთხვევის განხილვის მეთოდი. კერძოდ, სტუდენტებს დაურიგდებათ კანადის ადამიანის უფლებების ფონდის 22-ე საერთაშორისო სესიის მასალებში წარმოდგენილი შემთხვევის აღწერა: „საბედისწერო მდინარის ისტორია“, რომელიც ამა თუ იმ კულტურაში გენდერული სტერეოტიპების და გენდერული როლების შეფასებას ეძღვნება. სტუდენტები ინდივიდუალურად გაეცნობიან ისტორიას და შემდეგ შეაფასებენ იქ წარმოდგენილ პერსონაჟებს სპეციალური შეფასების კითხვარის საფუძველზე. მოხდება შედეგების ჯგუფური განხილვა და შეჯამება. ჯგუფური შეფასების შემდეგ სტუდენტებს ეძლევათ ინსტრუქცია შეცვალონ საპირისპიროთი ყოველი პერსონაჟის სქესი და ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ შეავსონ შეფასების კითხვარი. მიღებული შედეგები კვლევ განიხილება და შეჯამდება ერთობლივი მუშაობის გზით. გაკეთდება გენდერული სტერეოტიპების ანალიზი პირველი და მეორე შეფასების ურთიერთშედარების საფუძველზე.

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. Male/Female Roles, Jonatan S. petrikin (ed.), Greenhaven press, Inc., 1995, გვ.:17-82;
2. Unger R., Crawford M., Women and Gender. A feminist Psychology, Temple University Press, Philadelphia, 1992, გვ.: 102-144.

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Best D. L., Williams I. E. Gender and culture. – in Culture and Psychology, edited by David Matsumoto. Oxford University press, 2001, გვ.: 334-337;
2. Burn S.M. The Social Psychology of Gender, McGraw-Hill, Inc. 1996, გვ.: 196-218;
3. Male/Female Roles, Jonatan S. petrikin (ed.), Greenhaven press, Inc., 1995, გვ.: 252-294;
4. Handbook of Marriage and the family, edited by Marrin B. Sussman & Suzann K. Steinmetz, Plenum Press, 1988, გვ.: 535-560;
5. George J. Bryjak, Michael P. Soroka, Sociology: Cultural Diversity in a Changing World, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, თ. VII;
6. ზურიკაშვილი ფ. მაღრაძე გ. ჭანიშვილი ნ. ხუციშვილი გ. ჯორბენაძე რ. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის, თბ., 2003, ნაწილი II.

**კვირა №5**  
**ლექცია (2 სთ)**

**თემა №5 - ოჯახი და საზოგადოება. ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობები. კროსკულტურული განსხვავებები.**

*ლექციაზე მოცემული იქნება ოჯახის მოკლე ისტორია, მისი განსაზღვრება, ოჯახისა და საზოგადოების სხვა ინსტიტუტების მიმართება, ოჯახის სტრუქტურა, დინამიკა და ფუნქციები, ცოლქმრული ურთიერთობა და მისი სტილები. განხილული იქნება ოჯახის ტიპების სხვადასხვა კლასიფიკაციები. მოკლედ განხილული იქნება ქორწინების თანამედროვე პატერნები და აგრეთვე, ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობები გერმანულ, კორეულ, ამერიკულ და შვედურ ოჯახებში.*

ოჯახი და ქორწინება წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში – შუა პალეოლითში. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ოჯახმაც განვლო განვითარების არაერთი ეტაპი, რომლებშიც ძირითადია ე.წ. ნევილადი ოჯახი, პატრიარქალურ-მონოგამური ოჯახი და მონოგამურ-ელიტარული ოჯახი. მეცნიერება თვლის, რომ ოჯახი საზოგადოების კვალდაკვალ იცვლება, მაგრამ მას, აგრეთვე, აქვს კონსერვატული ხასიათიც; რადგან მეცხეულად საზოგადოებაში წარმოქმნილი ახალი მოვლენები მაშინვე კი არ აისახება მასში, არამედ — თანდათანობით. კონსერვატულობა გამოიხატება იმაშიც, რომ ყოველი ახალი პერიოდის აზროვნება მისტირის წინა პერიოდის ოჯახის ფუნქციონირებას და უფრო სრულყოფილად მიიჩნევს მას. აზროვნება ძნელად იღებს ახალს. ცვლილების ყველა ტენდენცია აღიქმება, როგორც კრიზისის, გადაგვარების მაჩვენებელი. მაშ როდის იყო ოჯახი ყველა ძირითადი მახასიათებლის მიხედვით (შობადობა, ბავშვების აღზრდა, ქორწინების საკითხები მოგვარება, ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობების განაწილება და სხვ.) ყველაზე სრულყოფილი? ასეთი წიაღსვლით ჩვენ მივადგებით პატრიარქალურ ოჯახს და თანაც დესპოტურს! რა გამოდის? ერთის მხრივ ყველაზე სრულყოფილი და ორგანიზებული პატრიარქალურ-დესპოტური ოჯახი, მეორეს მხრივ, კი დღევანდელი ჩვენი ეპოქისთვის მისი სრული მიუღებლობა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეს ოჯახის შესახებ შრომათა უმეტესობა იწყება ოჯახის მასშტაბური კრიზისის აღიარებით.

**ოჯახის განსაზღვრება.** რა არის ოჯახი, როგორ განისაზღვრება იგი არავისთვის სადავო არ არის, რომ ოჯახი სოციალური ინსტიტუტია; ზუსტი განმარტებისთვის მივმართოთ ფილისტიმიკას – ოჯახის შესახებ მეცნიერებას. მრავალი განმარტებიდან სახელმძღვანელოდ მიღებულია, შემდეგი: „ოჯახი არის ქორწინებისა და სისხლის ნათესაობის ნიადაგზე შექმნილი სოციალური სისტემა – მცირე ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, მორალური ურთიერთპასუხისმგებლობით და ურთიერთდახმარებით.“

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ტენდენციებს და განსაკუთრებით დასავლეთის საზოგადოების რეალობას, მაშინ შეიძლება უფრო საგულისხმოდ გვეჩვენოს შემდეგი განმარტება: „ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით ან მათ გარეშე, ან მარტოხელა მშობელი შვილით“. ამგვარად, ოჯახი არის საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი) დაფუძნებული ცოლ-ქმრულ კავშირსა და ნათესაურ ურთიერთობებზე, ანუ იგი მოიცავს ცოლქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის და სხვა ნათესავეებს შორის ურთიერთობებს, ურთიერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და უძღვებიან საერთო მეურნეობას. ოჯახი ასრულებს უდიდეს როლს, როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში.

**ოჯახი და საზოგადოება.** ოჯახი სოციალურ-ბიოლოგიური წარმონაქმნია. მას განაპირობებენ, როგორც სოციალური, ასევე ბიოლოგიური მოთხოვნილებები (სქესობრივი ინსტიქტები). სწორედ ბიოფსიქოსოციალური მოთხოვნილებების დამთხვევამ წარმოქმნა სოციალური ინსტიტუტი – ქორწინება. ქორწინება და ოჯახი საზოგადოების კეთილდღეობის და სიმშვიდის გარანტია. იგი საზოგადოების სექსუალური ცხოვრების მომწესრიგებელია, მოზარდი თაობის სოციალიზაციის საშუალებაა. თავის მხრივ კი, საზოგადოება უზრუნველყოფს ოჯახის ნორმალური ფუნქციონირება- განვითარების პირობებს და მის დაცულობას. სხვადასხვა საზოგადოებები არეგულირებს ქორწინებას და ოჯახს, კერძო ურთიერთობებს წყვილებს შორის. კანონი და კანონმდებლობა განსაზღვრავს იმას, თუ ვის ვისთან შეუძლია ქორწინება. მაგალითად, სხვადასხვა სქესის ადამიანების გარდა, ზოგიერთ ქვეყანაში ერთი სქესის ადამიანებსაც აქვთ ამის უფლება. კანონი განსაზღვრავს ქორწინების მინიმალურ ასაკსაც. სხვადასხვა ქვეყნების და კულტურების კანონმდებლობა და, აგრეთვე, რელიგია განსაზღვრავს იმასაც, თუ რამდენი ცოლი შეიძლება ყავდეს მამაკაცს, ან რამდენი ქმარი შეიძლება ჰყავდეს ქალს, აგრეთვე, გაყრისა და ხელახალი ქორწინების შესაძლებლობას. ზოგი საზოგადოება ქორწინების ფარგლებს გარეთ სქესობრივი კავშირისათვისაც მკაცრად განსჯის პიროვნებას.

ამის მაგალითებია აღმოსავლეთის პოლიგამია, აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში (მაგალითად, ბურკინო ფასოსოში) გავრცელებული პოლიანდრია, დასავლეთის ერთსქესიანი ოჯახები. აგრეთვე საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ქორწინება გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე – დასავლეთში. აღმოსავლეთში ქორწინების საშუალო ასაკი (ქალების) 18 წელია. ამერიკაში კი – 25 წელი. ევროპის ზოგ ქვეყანაში და სკანდინავიის ქვეყნებში კი — კიდევ უფრო ხანდაზმული.

აღსანიშნავია, რომ რადგან ქორწინების ინსტიტუტს ისტორიულად მკაცრად პატრიარქული ხასიათი აქვს, ამიტომ გვარი და ტიტული გადაიცემა მამაკაცური ხაზით; ეს საერთოა თითქმის ყველა კულტურისათვის.

**ოჯახის ტიპები.** ცნობილია, რომ ოჯახის მრავალი ტიპოლოგია არსებობს. უმეტესად ტიპოლოგიის ძირითადი კრიტერიუმებია საქორწინო წყვილის (ოჯახის ბირთვის) დაყოფა არსებობა-არარსებობის მიხედვით და მათი რაოდენობის მიხედვით. გამოყოფენ პატარა ანუ **ნუკლეარულ** (ერთი დაქორწინებული წყვილი შვილებით (შვილით) ან უშვილოდ) და **რთულ** ოჯახს. რთული ოჯახი ართიანებს შემდეგ ქვეტიპებს:

1. ერთი დაქორწინებული წყვილი შვილით (შვილებით) ან უშვილოდ და ერთ-ერთი მეუღლის მშობელი;
2. ერთი დაქორწინებული წყვილი შვილით (შვილებით) ან უშვილოდ, ერთი მეუღლის მშობელი (ან მის გარეშე) და სხვა ნათესავები; და სხვა ნათესავები (ან მის გარეშე);
3. დედა შვილით (შვილებით) და ერთ-ერთი მშობელი;
4. მამა შვილით (შვილებით) და ერთ-ერთი მშობელი;
5. დანარჩენი ოჯახები, სადაც არიან და-ძმები, ბებია-ბაბუები, სხვა ნათესავები და ა.შ.

ოჯახის კლასიფიკაციის ერთ-ერთი პარამეტრია — ოჯახური მართვის (ხელმძღვანელობის) სტილი. ეს უკანასკნელი სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრება, როგორც მშობლების იმ ქმედების რაგვარობა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ოჯახი ოთხ ძირითად ტიპად (ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული) იყოფა. ეს კლასიფიკაცია ხორციელდება მშობლების შვილებისადმი გამოვლენილი კონტროლის და მათდამი გამოხატული სითბოს მიხედვით. მოკლედ დავახასიათოდ თითოეული მათგანი.

**ინდიფერენტული** მშობელი გამოირჩევა შვილებისადმი კონტროლის დაბალი დონით, მათდამი სითბოს ნაკლებობით და უგულისყურობით. ასეთი მშობლები თავიანთი შვილებისთვის არ ადგენენ თითქმის არანაირ შეზღუდვებს, რაც შესაძლოა მათი ყოველდღიური პრობლემებით და შვილებისადმი არასაკმარისი ინტერესით არის განპირობებული.

**ავტორიტეტული** მშობლები ახორციელებენ შვილებზე მაღალი დონის კონტროლს და ამავე დროს, მათთან აქვთ თბილი ურთიერთობები. ავტორიტეტული მშობლები ადგენენ თავიანთი შვილებისათვის შეზღუდვებს და მკაცრად იცავენ მათ მიერ შემუშავებულ წესებს, თუმცა ისინი უხსნიან თავიანთ შვილებს ამ შეზღუდვის მიზეზებს, რის გამოც მშობლის ქცევა შვილს არ ეჩვენება ძალისმიერად და უსამართლოდ. ავტორიტეტული მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითდარწმუნების დონე, მთლიანად აკონტროლებენ საკუთარ თავს, არიან სოციალურად კომპეტენტურები. ასეთი მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითშეფასება. მათ აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრების დონეც.

**ლიბერალური** მშობლები ახორციელებენ შვილის მიმართ ნაკლებ კონტროლს (შეზღუდვებს) და აქვთ შვილისადმი საკმაოდ თბილი ურთიერთობები. ისინი თითქმის საერთოდ არ ზღუდავენ შვილის ქცევას და ავლენენ მათდამი ე.წ. „უპირობო სიყვარულს“, მაშინაც კი, როცა ლიბერალური მშობლები გაბრაზებულნი არიან თავიანთი შვილის ქცევით, ცდილობენ თავშეკავებას. მათ ახასიათებთ შვილებთან ღია, შეუძღლადავი ურთიერთობები.

**ავტორიტარული** მშობლები შვილებზე ახორციელებენ ძლიერ კონტროლს (ადგენენ მკაცრ მოთხოვნებს და მკაცრად მოითხოვენ მათ მიერ დადგენილი წესების შესრულებას), რასაც თან ერთვის შვილებთან მათი გულწრფელობის და სულიერი სიახლოვის არასებობა და შესაბამისად, უფრო ცივი ურთიერთობები. ავტორიტარული მშობლები გაცემენ ბრძანებებს და მოელიან, რომ ეს ბრძანებები ზუსტად და უსიტყვოდ იქნება შესრულებული მათი შვილების მიერ. ასეთი მშობლების შვილები, ჩვეულებრივ, ჩაკეტილები, პასიურიები და ნერვიულები არიან. უმრავლეს შემთხვევებში, ისინი იმეორებენ მშობელთა მართვის სტილს თავის მომავალ ოჯახებში.

როგორც ვთქვით, ოჯახი საზოგადოების ბირთვია, უმნიშვნელოვანესი ფორმაა პირადი ყოფისა, რომელიც დაფუძნებულია ცოლ-ქმარის კავშირზე და ნათესავების ურთიერთობებზე ე.ი. ცოლის, ქმრის, მშობლების, შვილების, დების, ძმების და სხვა ნათესავების ურთიერთობებზე, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ერთ მეურნეობას ეწევიან. ოჯახი უდიდეს როლის თამაშობს, როგორც საზოგადოების, აგრეთვე, ცალკეული პიროვნების ცხოვრებაში. მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 90% ცხოვრების ამ ფორმას – ოჯახი მიმართავს.

**ოჯახის ფუნქციები, მისი სტრუქტურა და დინამიკა.** ოჯახის ძირითადი მახასიათებლებია: მისი ფუნქციები, სტრუქტურა და დინამიკა.

**ოჯახის ფუნქციები.** ფუნქცია ეწოდება ოჯახის ცხოველქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მისი წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ოჯახს იმდენი ფუნქცია აქვს, რამდენ მოთხოვნილებასაც (მდგრადი, განმეორებითი ფორმით) იგი აკმაყოფილებს. ოჯახის ძირითადი ფუნქციებია;

1. აღმზრდელობითი ფუნქცია. ის გამოიხატება დედობის და მამობის ინდივიდუალურ მოთხოვნილებაში, ბავშვებთან კონტაქტის მოთხოვნილებაში. ამ ფუნქციის შესრულებას ოჯახი უზრუნველყოფს მოზარდი თაობის სოციალიზაციას;
2. სამეურნეო ყოფითი ფუნქცია. ეს ფუნქცია მდგომარეობს ოჯახის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი და ა.შ.) ამ ფუნქციის შესრულებით ოჯახი ახდენს შრომის დროს დახარჯული ფიზიკური ძალების აღდგენას;
3. ემოციური ფუნქცია ეს არის ურთიერთპატივისცემის, სითბოს, სიყვარულის, დაცულობის, სიმპათიის და აღიარების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ ფუნქციის შესრულებით ოჯახი საზოგადოების წევრთა ემოციურ სტაბილურობას უზრუნველყოფს;
4. პირველადი სოციალური კონტროლის ფუნქცია. ამ ფუნქციის მეშვეობით ოჯახი უზრუნველყოფს ოჯახის წევრების მიერ სოციალური ნორმების შესრულებას. განსაკუთრებით ეს

ეხება ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც დამოუკიდებლად არ შეუძლია ამის განხორციელება ასაკობრივი თუ ავადმყოფობის და სხვა მიზეზების გამო;

5. სექსუალურ-ეროტიკული ფუნქცია. ეს არის ოჯახის წევრთა სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულება მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს საზოგადოების ბიოლოგიურ კვლავნარმოებას.

რაც შეეხება ოჯახის ფუნქციების მოშლას, მას შეიძლება ხელი შეუწყოს მრავალმა ფაქტორმა — ოჯახის წევრთა პიროვნულმა თავისებურებებმა და წევრთა შორის ურთიერთობებმა, ყოფითმა პრობლემებმა, მშობელთა გაურკვევლობამ (უვიცობამ) აღზრდის საკითხებში, გარეშე პირთა ჩარევამ ოჯახის საქმეებში და ა.შ.

**ოჯახის სტრუქტურა.** ოჯახის სტრუქტურაში შედის: ოჯახის წევრების რაოდენობა, მათი ერთიანობა და ურთიერთობები. სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახით ხდება ოჯახის ფუნქციათა რეალიზება – ვინ ხელმძღვანელობს და ვინ ექვემდებარება, როგორ არის განაწილებული მოვალეობები ოჯახში. სტრუქტურის მიხედვით, განასხვავებენ ერთი პირის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ოჯახებს და ოჯახებს, სადაც წევრები თანაბარ მონაწილეობას იღებენ მართვაში. პირველ შემთხვევაში ოჯახის **ავტორიტარულ** სისტემაზე ლაპარაკობენ, მეორე შემთხვევაში კი – **დემოკრატიულზე**. ოჯახებს განასხვავებენ, აგრეთვე, წევრთა შორის მოვალეობათა განაწილების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, გამოყოფენ ოჯახებს, სადაც მოვალეობები თანაბარადაა განაწილებული წევრთა შორის და ოჯახებს, სადაც ოჯახის ერთ წევრს სხვებთან შედარებით ჭარბი მოვალეობები გაჩნია.

ოჯახის სტრუქტურის რღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს ოჯახის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებაში მკვეთრი ასიმეტრიულობა, რადგან ზედმეტი დატვირთვა მავნებელია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის (გადატვირთვის შედეგად შეიძლება ვეღარ მოხერხდეს ამ ძალების აღდგენა).

**ოჯახის დინამიკა.** ოჯახის ფუნქციები და სტრუქტურა შეიძლება იცვლებოდეს (შეიცვალოს) ცხოველქმედების სხვადასხვა ეტაპებზე. არსებობს ოჯახის სასიცოცხლო მთლიანი ციკლის ეტაპების გამოყოფის განსხვავებული სისტემები. განსაკუთრებით გავრცელებულია „სტადიების“ სისტემა, სადაც სტადიების გამოყოფის კრიტერიუმად ოჯახში ბავშვების არსებობა და მათი ასაკი არის მიჩნეული. არსებობს მთელი რიგი პერიოდიზაციებისა, მაგალითად, W.Cove-ეს (1973) და A.Barcai (1981)-ის Raush-ის (1974). ჩვენ შევჩერდებით დიუვალის (Duvall E.M. - 1957) პერიოდიზაციაზე.

დიუვალმა ოჯახის სასიცოცხლო ციკლში გამოყო შემდეგი ფაზები:

1. ჩართულობა. მეუღლესთან შეხვედრა და ემოციური მიზიდულობა;
2. მშობლის ახალი როლის მიღება და განვითარება;
3. ახალი პიროვნების მიღება ოჯახში. დიადური ურთიერთობებიდან სამკუთხა ურთიერთობებზე გადასვლა;
4. ბავშვების შეყვანა ოჯახის გარე ინსტიტუტებში;
5. მოზარდობის ხანის მიღება;
6. დამოუკიდებლობის ექსპერიმენტი;
7. ბავშვების ოჯახიდან წასვლის ფაქტის მიღებისთვის მზადება;
8. ბავშვების ოჯახიდან წასვლა და მეუღლეების მარტო დარჩენა;
9. პენსიაზე გასვლის ფაქტის და სიბერის მიღება.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ოჯახის განვითარების ყოველ ფაზაზე შეიძლება აღმოცენდეს მძიმე ქრონიკული ავადმყოფობა ან სიკვდილი, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს ოჯახის ფუნქციონირებაზე.

რაც შეეხება ოჯახის დისფუნქციონირებას (ფუნქციონირების მოშლას), ამის მიზეზები შეიძლება იყოს: პარტნიორის არასწორი არჩევა, მშობლების ოჯახთან ზედმეტად მჭიდრო კავშირი (ყველა საკითხების შეთანხმება) ლალატი და კულტურული ნორმების შეუსაბამობა და სხვ.

**ცოლქმრული ურთიერთობა და მისი სტილები.** წარმატებული ქორწინება ლედერესის და ჯექსონის აზრით, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ტოლერანტულობა, ურთიერთპატივისცემა, პატიოსნება, ერთად ყოფნის სურვილი, ინტერესებისა და ფასეულობათა სისტემის თანხვედრა. ცოლქმრული (წყვილთა) ურთიერთობების განვითარება-ჩამოყალიბებას გააჩნია ფაზები. მეცნიერული ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფაზები: **1)** პარტნიორის არჩევა, **2)** ურთიერთობების რომანტიზირება (როცა წყვილი მხოლოდ ღირსებებს ხედავს ერთმანეთში), **3)** ცოლქმრული ურთიერთობის სტილის ინდივიდუალიზაცია: ურთიერთობების წესების ფორმირება. (ეს წესები განსაზღვრავენ შემდგომ ურთიერთობებს და ქმედებებს ოჯახში), **4)** ურთიერთობათა სტაბილურობა/ცვალებადობა. მრავალი გამოცდის შედეგად მეუღლეები ცდილობენ წონასწორობის მიღწევას. ნორმალურ ოჯახებში სტაბილურობის ტენდენცია წონასწორდება ცვალებადობის ტენდენციით და **5)** ეგზისტენციალური შეფასება (ერთობლივი ცხოვრების შეფასება (ოჯახური ცხოვრებით და ურთიერთობებით კმაყოფილება-უკმაყოფილება).

ბოლო დროის პუბლიკაციებში განსაკუთრებით მწვავედ დგება ოჯახის კრიზისის საკითხი, განიხილავენ მის შესაძლო მიზეზებს. წყვილთა შორის ურთიერთობების ცვლილებებს აქვს ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. ფრანგი მკვლევრის ელიზაბედ ბადენტერის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ: „არასოდეს არ ყოფილან მამაკაცები და ქალები ასე მსგავსები როგორც დღეს. სქესებს შორის არასოდეს არ ყოფილა ასეთი მცირე კონტრასტი“.

**ქორწინების თანამედროვე პატერნი.** თანამედროვე მდგომარეობას (სიტუაციას) თუ გადავხედავთ, აღმოვაჩინებთ, რომ ქორწინებაში თანაარსებობის ბევრი პატერნი (მოდელი) არსებობს. ამ პატერნების კლასიფიცირება შეიძლება სამ ძირითად ტიპად. ესენია: ტრადიციული, მოდერნული და ევალიტარული. ასეთი ტიპიზაცია ეყრდნობა სამ ძირითად მახასიათებელს: ძალაუფლების განაწილებას, სპეციალური როლების განსაზღვრას და ოჯახში აქტივობის წვლილის დოზას.

**ტრადიციულია ოჯახი,** თუ ორივე ცოლ-ქმარი თანახმაა, რომ ქმარს ჰქონდეს მეტი ძალაუფლება და ავტორიტეტი ანუ, სხვაგვარად, რომ ვთქვათ ქმარი იყოს ოჯახის „თავი“.

**მოდერნულია ოჯახი,** თუ ცოლი მუშაობს ოჯახის გარეთაც, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მისი საქმიანობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქმრის ქმარი მაინც მთავარი შემომტანია, ხოლო ქალი ეხმარება ოჯახის ეკონომიკას.

**ევალიტარულია ოჯახი,** თუ ცოლ-ქმარს აქვს თანაბარი ძალაუფლება და მათი ოჯახის გარეთ საქმიანობაც, ხშირად თანაბარია. ისინი ერთმანეთს უთანხმებენ ყველაფერს, ბავშვების აღზრდაშიც თანაბრად მონაწილეობენ. ესეთი ოჯახები უფრო იშვიათია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია **ოჯახები აყვანილი ბავშვებით და შვილობილად აყვანილი ბავშვებით.** არსებობს ბევრი წყვილი, რომლებიც დედობის და მამაობის კრიზისის წინაშე დგანან (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი ექვსი წყვილიდან ერთი უნაყოფოა). ეს კრიზისი რომელიმე მათგანის ან ორივეს უნაყოფობის გამო ჩნდება. უნაყოფობის მიზეზები მრავალგვარია. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მისი დაძლევის გზებიც (საშუალებებიც): მეუღლის სპერმის ხელოვნური გადაწერვა, დონორის სპერმით დაორსულება, ინ-ვიტრო განაყოფიერება, ხელოვნური ემბრიონალიზაცია და სუროგატული დედების დახმარება. თუ ყველა ეს საშუალება უშედეგოა ან არასასურველია, წყვილს შეუძლია მიმართოს სხვა გზას – ეს არის ბავშვის აყვანა (შვილება). უნაყოფო წყვილები ამ გზას ხშირად მიმართავენ. ამ გზას მიმართავენ ისინიც, ვისაც სურთ ოჯახის გაფართოება და საკუთარი შვილების გარდა აყვანილი შვილების გაზრდაც.

ბოლო წლებში ბავშვების აყვანაზე გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნილებაა, ვიდრე ასეთი



ბავშვები არსებობენ რეალურად (ეს, ცხადია, ეხება განვითარებულ ქვეყნებს). ბავშვთა აყვანის ძირითადი, ლეგალური წყარო ბავშვთა სახლებია. ამ სახლებში უმეტესად ისეთი ბავშვები ხვდებიან, რომლებსაც დედები ქორწინების გარეშე აჩენენ.

ბავშვის აყვანის პროცესი საკმაოდ რთულ პროცედურებს მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვის გაშვილების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ბავშვის ბიოლოგიური მშობლები (ან დედა, მამის არყოლის შემთხვევაში) იღებენ. არსებობს ბავშვთა აყვანის სპეციალური კომიტეტები. ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებით, ყოველ წელს 2 მილიონ წყვილს აქვს ბავშვის აყვანის სურვილი, რეალურად ამის განხორციელებას კი 50 ათასი წყვილი ახრებებს. სირთულე მხოლოდ ბავშვის აყვანის პროცესში არ მდგომარეობს. შემდგომში მშობლებს გადასაწყვეტი უხდებათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – უთხრან თუ არა ბავშვს მათი ბიოლოგიური მშობლების არსებობის შესახებ, ანუ გააგებინონ თუ არა, რომ ისინი აყვანილნი არიან. თუმცა ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ბავშვს აქვს უფლება იცოდეს, თუ ვინ არიან მისი ბიოლოგიური მშობლები.

პრობლემურია, აგრეთვე, საკითხი — ბავშვისათვის მათი ბიოლოგიური მშობლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის სწორი ასაკისა და ფორმის შერჩევა.

**შვილობილობის** ინსტიტუტი შვილად აყვანისაგან რადიკალურად განსხვავებული ინსტიტუტია. საქმე ისაა, რომ შვილად აყვანის დროს ბავშვი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ხდება როგორც უფლებრივად, ასევე იურიდიულად (მას აქვს მემკვიდრეობის უფლება, ატარების ოჯახის გვარს და ა.შ.). რაც შეეხება შვილობილობის ინსტიტუტს, იგი დაფუძნებულია ბავშვის უფლებაზე გაიზარდოს ოჯახში. მიჩნეულია, რომ ეს ინსტიტუტი ბავშვთა სახლთან შედარებით უკეთესად ახერხებს ბავშვის ამ უფლების რეალიზაციას. ბავშვი გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ ბავშვთა სახლიდან გადაეცემა ოჯახს აღსაზრდელად და ამით იგი უზრუნველყოფილია ოჯახური გარემოთი. მაგრამ მას არ აქვს ამ ოჯახის მემკვიდრეობაზე იურიდიული უფლება.

**ოჯახური შრომის სქესის ნიშნით განაწილება.** ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვა საქმეს ასრულებენ. სამუშაო მთელ მსოფლიოში სქესის ნიშნით არის განაწილებული, მაგრამ სხვადასხვა კულტურებში შრომის განაწილება სქესთა შორის განსხვავებულია. გენდერულად განაწილებულ შრომით საქმიანობაში ჩართვა მოზარდობიდან იწყება: მაგალითად, მექსიკაში, სალვადორში, არგენტინაში, პერუში, სამხრეთ აფრიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და პაკისტანში: გოგონები ძირითადად ამზადებენ საჭმელს, ალაგებენ, რეცხავენ, უვლიან პატარა ბავშვებს; ბიჭები კი – დაკავებული არიან „ქურის“ საქმით: ეხმარებიან ეზოში, ბაღში. როგორც აღვნიშნეთ, შრომის განაწილება სქესის ნიშნით ერთგვაროვანი არ არის სხვადასხვა ქვეყნებში, ასე მაგალითად, სენეგალში ბრინჯის მინდვრებს ქალები უვლიან, სიერა-ლიონეში კი – მამაკაცები. ცენტრალურ აფრიკაში სოფლის მეურნეობით ქალები არიან დაკავებული, ლათინურ ამერიკაში კი – მამაკაცები.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ნებისმიერ საზოგადოებაში სახლის საქმეს ძირითადად მაინც ქალები ასრულებენ. აგრეთვე, ბავშვის მოვლა-აღზრდითაც უმეტესად ქალები არიან დაკავებული.

მთელს მსოფლიოში ჩვეულებრივი მოვლენაა სახლის გარეთ მომუშავე ქალების მიერ საოჯახო საქმის საკუთარ თავზე აღება. ეს განსაკუთრებით მკვეთრად დაიკვირვება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იზრაელში, საბერძნეთსა და შვეიცარიაში.

**ოჯახის კროსკულტურული სხვაობები.** ოჯახის სტრუქტურის, დინამიკის, ცოლქმრულ ურთიერთობების კროსკულტურული განსხვავებების გასარკვევად მივმართოთ: გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, კორეის და შვედეთის მაგალითებს.

**გერმანია.** 50–70–იან წლებში, გერმანიაში დაინგრა ქალი – დიასახლისის მყარი სტერეოტიპი, რომელიც დამყარებული იყო წინა პერიოდის იდეოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც ქალის ფუნქცია გამოიხატებოდა სამი K–თი (სამზარეულო, ბავშვები, ეკლესია. გერმანულად სამივე სიტყვა K ასოთი იწყება). ძველი სტერეოტიპის მსხვერველა მოხდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მრავალი სამუშაო ადგილის გაჩენის შედეგად. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ფემინისტური მოძრაობის პირველი ტალღაც. ახალი აქტიუობა ქალებს აძლევდა თვითრეალიზაციის, საზოგადოებაში დამკვიდრების და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საშუალებას. მაგრამ ეს ყველაფერი ქალებისათვის დიდი ტვირთი იყო, რადგან ოჯახის მოვლა კვლავაც ქალს აწვა მხრებზე. ქალი ორმაგი დატვირთვით შრომობს, ოჯახის თავი და მთავარი მარჩენალი კი კვლავ მამაკაცია.

აღსანიშნავია, რომ გერმანია არის ინდუსტრიული და უმაღლეს დონეზე ურბანიზებული სახელმწიფო. ურბანიზაციამ და, აგრეთვე, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის როლის ზრდამ თანდათანობით 70–იან წლებიდან მოყოლებული, მრავალ სოციალურ ფენას მოუხსნა ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ მოიხსნა გაფართოვებული ოჯახის საჭიროება, რომელიც ეკონომიკური ფუნქციის შესასრულებლად იყო მიზანშეწონილი. ამის შედეგად ყველა თაობას გაუჩნდა ცალკე ცხოვრების მოთხოვნილება და შესაძლებლობა. ნუკლეარული ოჯახის მაგივრად ჩდება ოჯახის სხვა ვარიანტები: არასრული დედობრივი ან მამობრივი ოჯახი (ერთი მშობელი და ერთი ან რამოდენიმე შვილი) მეორე (განმეორებით) ქორწინების ოჯახი, სადაც ახალი წყვილი ცხოვრობს წინა ქორწინების შვილთან ან შვილებთან ერთად, უშვილო ოჯახი. გახშირდა, აგრეთვე, ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც შეცვლილი სქესობრივ–რეალური განწყობები ახასიათებთ (სადაც ქალი მუშაობს და ოჯახის მარჩენალია, ქმარი კი დაკავებულია საოჯახო საქმიანობით). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როლების ასეთი ცვლილება ძირითადად დროებით ხასიათს ატარებს, რადგან მათ საფუძვლად უდევს პრაქტიკული მოტივები – ცოლს კარიერის უკეთესი შანსი აქვს და ბავშვის გაჩენისას ქმარი იღებს დიასახლისის ფუნქციას, რათა ეს შანსი არ დაიკარგოს.

თანამედროვე გერმანიაში პარტნიორებს შორის ჯერ კიდევ ქორწინებამდე ყალიბდება და თანმდება მომავალი ოჯახური ცხოვრების პერსპექტივები. გერმანულ ოჯახში პარტნიორული ურთიერთობების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ამათგან ყველაზე გავრცელებულია (ბოლო ათწლეულებში), ოჯახური ურთიერთობების ისეთი ფორმა, როცა მეუღლეები, ორივე მუშაობენ და ბავშვის მოვლას და ოჯახურ საქმეს თანაბრად ინაწილებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოდელი ყველაზე ოპტიმალურია

კონფლიქტების და სტრესების ასაცილებლად. უნდა ითქვას ისიც, რომ მისი განხორციელება გერმანიაში იმიტომ არის შესაძლებელი, რომ საოჯახო ყოფა აქ უაღრესად მექანიზირებულია საყოფაცხოვრებო ტექნიკის საშუალებით. არსებობს პარტნიორული ურთიერთობის ისეთი ვარიანტიც, როცა ქალიც და მამაკაციც თანაბრად არის დატვირთული, როგორც სამსახურში, ასევე ოჯახშიც, მაგრამ ოჯახის საქმე თითოეულისთვის მკაცრად განსაზღვრულია, ე.ი. ოჯახის ყველა ნევრი თავისთვის ირჩევს გარკვეულ საქმეს. არსებობს, მესამე, პატრიარქალურ-ტრადიციული ვარიანტიც, სადაც ქალი და მამაკაცი განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ; მამაკაცი – ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფელია, ქალი კი – დედა და დიასახლისია. თანამედროვე გერმანიაში ოჯახის სამივე ვარიანტი არსებობს.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ გერმანულ ახალგაზრდობაში ბოლო დროს არსებულ ტენდენციასზე. ეს არის ფასეულობითი ორიენტაციის შეცვლა. ახალგაზრდები უარს ამბობენ უფროსი თაობის ფასეულობებზე და მატერიალური კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი სტატუსის ნაცვლად თვითაქტუალიზაციასა და თვითდამკვიდრებას აღიარებენ. ისინი „თავად ზრდიან საკუთარ თავს“. დღეს ახალგაზრდა გერმანელი ქალები არ თვლიან, რომ ოჯახი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე კარიერა, რომელიც მათ ავტონომიურობას აძლევს მშობლების და ქმრის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ბოლო დროს ძალიან გახშირდა გვიანი ქორწინებები (30–40

წლის ასაკში) ოჯახს ქმნიან კარიერის და მატერიალური სიძლიერის შემდგომ, რაც თავისთავად გავლენას ახდენს შობადობაზე.

**კორეა.** გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, კორეული ოჯახი ძალიან კონსერვატიული და სტაბილური ინსტიტუტია. (საშუალო ასაკის მოსახლეობის 99% დაოჯახებულია, ძალიან იშვიათია გაყრის შემთხვევები) უნდა აღინიშნოს რომ კეთილდღეობისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების ეს სურათი ძალიან შორს არის იდეალურისაგან, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოჯახი კორეაში კონფუციური იდეოლოგიის მოდელის შესაბამისად არსებობს, სადაც უმცროსი მკაცრად ექვემდებარება უფროსს.

გამოყოფენ ე.წ. კორეულ ტრადიციულ ოჯახს, სადაც ქმრის და მისი მშობლების მბრძანებლობა მკაცრად არის დაცული. ასეთ ოჯახში აკრძალულია ცოლ-ქმრის გაყრა. ასეთი იდეოლოგია კორეაში ჩოსონის დინასტიის ბოლოსათვის (1392–1910) დამყარდა. მანამდე კი, როგორ მეცნიერები მოგვითხრობენ, ოჯახი გაცილებით უფრო მსუბუქი (თავისუფალი) იყო. მაგალითად, ცოლს დაქვრივების შემთხვევაში შეეძლო ქმრის ქონება მიეღო და ხელმეორედ გათხოვილიყო. დაშვებული იყო პოლიგამიაც. ეს ვითარება შემოფოთების ინვევდა მეზობელ ჩინელ კომფუციანელებს შორის, ამიტომაც მათი ძალიანმევიით და ჩოსონის დინასტიის დახმარებით 1392 წლიდან მოყოლებული, კორეაში სიტუაცია თანდათან შეიცვალა. დაწესდა ახალი კანონები, რომელთა მეშვეობითაც კორეული ოჯახი საბოლოოდ მოექცა კომფუციანური მოდელის ჩარჩოებში.

მეცნიერები და მკვლევრები XX საუკუნის კორეელი ქალის ფუნქციას უტოლებენ შთამომავლობის შემქმნელ ინსტრუმენტს. კორეელ ქალს ყველანაირი ჩაგვრა და დამცირება უნდა აეტანა ქმრისგან და მისი მშობლებისგან. საზოგადოების მხრიდან ისჯებოდა ის ქმარიც, რომელიც ლოიალური იყო ცოლის მიმართ.

დღევანდელ, თანამედროვე კორეაში ძალადობის სურათი საგრძნობლად შეიცვალა. ქვეყანაში შეიქმნა (გაჩნდა) ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრები. კორეელი ქალი ჩაერთო სამსახურში, თუმცა გარკვეული შეზღუდვით – გათხოვებამდე და შვილების ზრდასრული ასაკის მიღწევის შემდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ 60–80–იანი წლების კორეის რესპუბლიკაში მოხდა ტრადიციული ოჯახის სტრუქტურის ნგრევა და დაიწყო ქმარი–ცოლი = მორჩილებას სიბრტყიდან თანაბარი პარტნიორობის სიბრტყეზე თანდათანობით გადასვლა.

**ამერიკის შეერთებულ შტატები.** ტრადიციულად ამერიკელ მამაკაცებს კონკურენტული ხასიათის თვისებები მოეწონებოდათ: ამბიციურობა, ავტორიტარულობა, ძალაუფლების მოყვარეობა, შეუპოვრობა, დამოუკიდებლობა, თავდაჯერებულობა, თვითკონტროლი, აქტიურობა, წარმატების სურვილი, გამბედაობა, ლოგიკური აზროვნება და უხეში ხასიათი. განსაკუთრებით ფასობდა მამაკაცი, რომელმაც „თვითონ შექმნა თავის თავი“ (Self-made man). ეტალონის შესაბამისად მამაკაცის ემოციური სფერო დაიყვანებოდა იმაზე, რომ მას შეეძლო მხოლოდ ქალის მხრიდან გამოვლენილი გრძნობების მიღება, თავად კი არ ყოფილიყო ამის ინიციატორი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი 30-იანი წლებში, დიდი დეპრესიის დროს, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება, გაჩნდა უმუშევარ მამაკაცთა დიდი არმია, რამაც შეარყია ძლიერი მამაკაცის სტერეოტიპი. გახშირდა გაყრები. სახლში დარჩენილმა უმუშევარმა მამაკაცებმა დაიწყეს საოჯახო საქმეებში მეტი მონაწილეობის მიღება, განსაკუთრებით კი — ბავშვების აღზრდაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ეკონომიკურმა წარმატებებმა შევება მოუტანეს შემდგომ თაობებს. მაგრამ მამაკაცის ტრადიციული სტერეოტიპი უკვე შერყეული იყო, ამის შედეგად კი წარმოიშვა მამაკაცების შემდეგი „ტიპაჟები“: ძლიერი მდუმარე მამა, რბილი გალანტური „დონ–ჟუანი“, მეოცნებე მამაკაცი და მოხდენილი წარმატებაზე ორიენტირებული „ბიჭუნები“ წინა თაობიდან ნასესხები თვისებებით. 50–იანი წლების ამერიკელი მამაკაცების ორიენტაცია იყო

პროფესიონალური ნარმატების და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა. ამერიკელი მამაკაცი ისევ ოჯახის უფროსი და მარჩენალი იყო, სადაც სამსახურიდან დაბრუნებულს, მოსიყვარულე ცოლ-შვილი ხვდებოდა. პეტერსონის აზრით, 50-იანი წლების ამერიკული, კაპიტალისტური ოჯახის ფუნქციონირების ოპტიმალური მოდელია – „ინსტრუმენტალური“ მამა და „ექსპრესიული“ დედა.

60-იანი წლებიდან, როგორც მ. მიდი აღნიშნავს, ამერიკელი მამაკაცის როლი განიცდის ცვლილებას. მამაკაცი მეტად ერთვება ოჯახის საქმიანობაში, განსაკუთრებით ბავშვების აღზრდაში. ყალიბდება თანაბარი მშობლობის იდეა. ამერიკელი მამაკაცის თანამედროვე სტერეოტიპში აუცილებელ კოლმპონენტად შედის „კარგი მამობა“.

70–80-იანი წლებში აღმოცენდა ახალი, მგრძობიარე და ექსპრესიული მამაკაცის კონცეფცია. ეს განწყობა დღესაც გრძელდება. ამ დროს ამერიკელების ცხოვრებისეულ (ყოფით) ფილოსოფიაში შემოვიდა ანდროგინულობის ცნება. გენდერული სტერეოტიპების ცვლილებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მძლავრმა ფემინისტურმა მოძრაობამაც.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკელი ქალები სულ უფრო მეტად მომთხოვნი ხდებიან კაცების მიმართ. ოჯახის ინსტიტუტში მომხდარი ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად ამერიკელი ოჯახების უმეტესობა თავის კეთილდღეობას მაინც მამაკაცის (ქმრის) სამუშაო სტატუსის მიხედვით აფასებს. მიუხედავად იმისა, რომ ქალს (ცოლს) შეიძლება მეტი შემოსავალი ქონდეს, თანამედროვე ამერიკაში ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა კვლავაც მამაკაცის პრიორიტეტია.

საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების შედარება. კერძოდ, 1938 წლის მონაცემებით ყოველი ხუთი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთს მიაჩნდა მისაღებად, რომ „გათხოვილ ქალს ემუშავა ბიზნესში ან წარმოებაში, ისიც იმ პირობით, რომ მის ქმარს შეუძლია მისი შენახვა“. 1993 წელს ნიუპორტის (Newport) მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით, ქალის ასეთი ტიპი მისაღებად მიაჩნდა გამოკითხული ამერიკელების 83%-ს. ამასთან, მნიშვნელოვანია 1990 წელს ცატარებული გამოკვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც რესპოდენტების ერთ მესამედს მიაჩნდა, რომ ბავშვებისათვის „იდეალური ოჯახური სიტუაციაა, როცა მამა მუშაობს, დედა კი სახლშია და ბავშვების მოვლით არის დაკავებული“. 1967 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ამერიკელი პირველკურსელების 57% დაეთანხმა დებულებას, რომ „უკეთესი იქნება, თუ ქალის საქმიანობა შემოფარგლება სახლითა და ოჯახით“, ხოლო 1994 წელს ამ დებულებას დაეთანხმა ამერიკელი პირველკურსელების მხოლოდ 25%.

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში არ მოქმედებს ოჯახთა და ბავშვთა უზრუნველყოფის ისეთი სისტემები, როგორცა სახელმწიფო დახმარებები ბავშვებზე, სპეციალური შვებულებები და სხვ. ამიტომ თანამედროვე ამერიკაში ოჯახის შექმნასა და ბავშვების ყოლას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. ჩვეულებრივ ოჯახს ქმნიან კარიერის და მატერიალური სიძლიერის შემდგომ. აქ გავრცელებულია საკმაოდ გვიანი ქორწინებები (35–40 წლის ასაკში). ეს კი თავისთავად გავლენას ახდენს შობადობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **შვედეთის** ოჯახი და XIX ს. ბოლოს მისი ტრადიციიდან ეგალიტალურისკენ განვითარების ფაქტორები. ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში შვედური საზოგადოება ოჯახში გენდერული როლების განაწილების თვალსაზრისით ტრადიციული წყობის იყო. ქალები დაკავებულნი იყვნენ დიასახლისობით და ბავშვების აღზრდით. შვედეთში ამ დროისათვის ქორწინება ოფიციალური კანონმდებლობით და უკლესიით დამონშებული იყო.

გამეორებითი ქორწინება, ისიც იშვიათად, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ხდებოდა. მცირე იყო, აგრეთვე, გაყრების რიცხვიც. ოჯახები ცხოვრობდნენ დიდ განუყოფელ ოჯახებში (მშობლები, შვილები, შვილიშვილები) დიდი ოჯახი ერთად მუშაობდა ფერმებში. შვედეთში წარმოების განვითარებამ და ინდუსტრიალიზაციის პროცესმა გამოიწვია დიდ

ქალაქებში სამუშაო ძალის გადინება. შედეგად მამაკაცებმა ქალაქებს მიაშურეს და მთელი საოჯახო მეურნეობა ქალების ანაბარა დარჩა.

შვედი მკვლევრების თვალსაზრისით, ბოლო დროს ოჯახის ინსტიტუტმა ძლიერი სახეცვლა განიცადა. ეს პირველ რიგში განპირობებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით. XX ს. 90-იანი წლებისათვის შვედური ოჯახი, როგორც წესი, შედგება მომუშავე მშობლებისგან და ბავშვებისგან. XXI ს. დასაწყისში გაჩენილი ბავშვების 90%-ს დედები დიასახლისები ჰყავდათ, მაშინ როცა XX ს. ბოლოსათვის მომუშავე დედების რიცხვმა 90%-ს მიაღწია. ეს არის ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალების და სახლის გარეთ დასაქმების თვალსაზრისით.

შვედური ოჯახის ასეთ ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო ოჯახის მხარდაჭერაზე მიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ. პირველ რიგში, ეს მხარდაჭერა მდგომარეობდა ბავშვების მოვლის სახელმწიფო სისტემის (ბაგა-ბაღები, გახანგრძლივებული კლასები სკოლაში და სხვ.) და სოციალური დაზღვევის სისტემის (სხვადასხვა შემწეობების გადახდის, მათ შორის ბავშვთა დახმარების) ჩამოყალიბებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარტოხელა დედების მხარდაჭერის პროგრამებს; მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისათვის შემოღებულ იქნა მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სხვ. ამ ფაქტორებმა განაპირობა შობადობის მკვეთრი ზრდა შვედეთში.

ამგვარად, შვედ ქალებს შეექმნათ მუშაობისა და მატერიალური დამოკიდებულობისათვის კეთილსასურველი პირობები. ამან კი თავის მხრივ, გამოიწვია ტრადიციული შვედური ოჯახის ტრანსფორმაცია, და ტრადიციული ცოლქმრული ურთიერთობების ეგალიტარულისკენ ცვლილება.

თანამედროვე შვედეთში გავრცელებულია ისეთი ოჯახებიც, რომლებშიც ცოლი და ქმარი ოფიციალურად ქორწინებაში არ იმყოფებიან. ასეთი ოჯახები სამბოს (sambo - თანამცხოვრებლების) სახელითაა ცნობილი. სამბოს ტიპის ოჯახები და მათში გაზრდილი შვილები სულ უფრო და უფრო ნორმალურ მოვლენად ითვლება შვედეთში. ისინი უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდებში და დიდ ქალაქებში. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე შვედეთში არსებობს ოფიციალურად დარეგისტრირებული ქორწინებების შემცირების ტენდენცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოფიციალური და სამბოს ტიპის ოჯახები თანასწორუფლებიანი და თანაბარმნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე საზოგადოებისთვის.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სახესხვაობებისა, რომელიც ოჯახური ცხოვრების (მონყობის) სტილებს შორის არსებობს მსოფლიო კულტურებში.

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტებს მიენოდებათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**ფილისტიმიკა** – მეცნიერება ოჯახის შესახებ;

**მონოგამია** – ერთცოლიანობა;

**პოლგამია** – მრავალცოლიანობა;

**პოლიანდრია** – მრავალქმრიანობა;

**ნუკლეარული ოჯახი** – ოჯახის ტიპი, სადაც მთავარი ბირთვი დაუშლელია (ცოლ-ქმარი).

**რთული ოჯახი** – ოჯახის ტიპი, რომელიც მოიცავს რამდენიმე თაობას და მათ ოჯახებს.

**ეგალიტარული ოჯახი** – ოჯახი, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და მათ თანაბარი პასუხისმგებლობები აქვთ ოჯახურ ცხოვრებაში;

**ტრადიციულია ოჯახი** — ოჯახი, რომელშიც ორივე ცოლ-ქმარი თანახმაა, რომ ქმარს ჰქონდეს მეტი ძალაუფლება და ავტორიტეტი.

**მოდერნულია ოჯახი** — ოჯახი, რომელშიც ცოლი მუშაობს ოჯახის გარეთაც, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მისი საქმიანობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქმრის ქმარი მაინც მთავარი შემომტანია, ხოლო ქალი ეხმარება ოჯახის ეკონომიკას.

**ინდიფერენტული ტიპის ოჯახი** - მშობლები გამოირჩევიან შვილებისადმი კონტროლის დაბალი დონით, მათდამი სიტბოს ნაკლებობით და უგულისყურობით.

**ავტორიტეტული ტიპის ოჯახი** - მშობლები ახორციელებენ შვილებზე მაღალი დონის კონტროლს და ამავე დროს, მათთან აქვთ თბილი ურთიერთობები.

**ლიბერალური ტიპის ოჯახი** - მშობლები ახორციელებენ შვილის მიმართ მცირე დონის კონტროლს (შეზღუდვებს) და აქვთ შვილისადმი საკმაოდ თბილი ურთიერთობები.

**ავტორიტარული ტიპის ოჯახი** - მშობლები შვილებზე ახორციელებენ მაღალი დონის კონტროლს, რასაც თან ერთვის შვილებთან მათი გულწრფელობის და სულიერი სიახლოვის არასებობა.

**კომფუციონალისტური** – ჩინელი ფილოსოფოსის კომფუციის მოძღვრებაზე დაყრდნობილი იდეოლოგია.

**ექსპრესიული როლი** – სოციალური როლი, რომელიც ჩვეულებრივ ქალებს მიენერებათ და ის ოჯახის ემოციური კლიმატის ბალანსში, ოჯახის წევრების მიმართ გამოვლენილ ზრუნვასა და სიყვარულში გამოიხატება.

**ინსტრუმენტული როლი** - როლი, რომელიც ჩვეულებრივ მამაკაცებს მიენერებათ და ის საკუთარი ოჯახისა და სხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობების მოგვარებაში, ოჯახის შენახვასა და დაცვაში ვლინდება.

*ლექციის შემდეგ სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიდერში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები. მათ, აგრეთვე, მიეცემათ შემდეგი დავალებები სემინარისთვის: 1) ნებისმიერი 5–10 ოჯახი შეადარეთ ერთმანეთს, განსაზღვრეთ რა ტიპისაა. 2) განიხილეთ საკუთარი ოჯახი სქესთა შორის შრომის განაწილების მიხედვით. 3) თქვენი ნაცნობი რამდენიმე ახალგაზრდა წყვილის ურთიერთობები განიხილეთ და მიაკუთვნეთ რომელიმე მოდელს.*

### **სემინარი №5 (თემა № 5) – 2 სთ**

*სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეს პრეზენტაცია; გაიმართება ჯგუფური დისკუსია სემინარის თემაზე. კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:*

- 1. რა მიმართებაა ოჯახსა და საზოგადოებას შორის?*
- 2. ჩამოთვალეთ ოჯახის ძირითადი ფუნქციები.*
- 3. ოჯახის რა და რა ტიპები იცით? რა პრინციპებზე შეიძლება იყოს აგებული ოჯახის კლასიფიკაცია?*
- 4. რა განსხვავებაა ოჯახებს შორის მართვის სტილის მიხედვით?*
- 5. რა ძირითად ფაზებად შეიძლება დაიყოს ოჯახის სასიცოხლო ციკლი?*
- 6. მოიყვანეთ სქესთა შორის შრომის განაწილების არაერთგვაროვნების მაგალითები სხვადასხვა კულტურაში.*
- 7. რა ტიპის ოჯახები გვხვდება თანამედროვე გერმანიაში?*

8. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა XIX–XX საუკ. კორეული ოჯახი?
9. რა მიმართულებით შეიცვალა 60–იანი წლებიდან ამერიკული მამაკაცის როლი?
10. რა ტიპის ოჯახებია გავრცელებული შვედეთში?
11. რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი შვედეთში ოჯახის ინსტიტუტის ტრანსფორმაციას? სემინარზე მოხდება, აგრეთვე, შესრულებული დავალების განხილვა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. Handbook of Marriage and the family, edited by Marrin B. Sussman & Suzann K. Steinmetz, Plenum Press, 1988, p.:13-38, 309-327, 439-474;
2. Leslie G. R., Korman S.K. The Family in Social Context, NY . Oxford University Press, 1989, p.: 81-111, 462-470;

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. Families in Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby, Suzanna Smith, The Guilford Press, 1992, გვ.: 205-236;
2. Best D. L., Williams I. E. Gender and culture. – in Culture and Psychology, edited by David Matsumoto. Oxford University press, 2001, გვ.: 323-326, 332-334;
3. Burn S.M. The Social Psychology of Gender, McGraw-Hill, Inc.1996, გვ.: 100-122;
4. Unger R., Crawford M., Women and Gender. A feminist Psychology, Temple University Press, Philadelphia,1992, გვ.: 313-336; 336-400;
5. George J. Bryjak, Michael P. Soroka, Sociology: Cultural Diversity in a Changing World, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, თ. VII;
6. Juanita H. Williams, Psychology of Women, W.W.Norton & Company, N.Y.,1987, თ. 8;
7. Barbara Reskin, Irene Padavic, Women and Men at Work, Pine Forge Press, 1994, გვ.: 165-180;

## კვირა №6

ლექცია (2 სთ), სემინარი (2 სთ)

### თემა №6 - გენდერული სტრატეგიის პატერნი.

#### შრომის ბაზრის გენდერული ასპექტი სხვადასხვა კულტურაში.

ლექციაზე განხილული იქნება გენდერული სტრატეგიის პატერნი. კერძოდ, მოცემული იქნება სხვადასხვა ქვეყნების მონაცემები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის, ქალთა პოლიტიკური აქტივობის და შრომის ბაზარზე მათ წარმომადგენლობის თვალსაზრისით, მოყვანილი იქნება ქალთა დაბალი შემოსავლების მიზეზების სხვადასხვა გავრცელებული ახსნები. განხილული იქნება გენდერული სტრატეგიის ფაქტორები. მოყვანილი იქნება სოციალური სამართლიანობის კონცეფცია. „შუშის ჭერის“ (Glass ceiling) ცნება და ქალთა დაბალი სტატუსის ახსნის გავრცელებული ვარიანტები. განხილული იქნება გენდერული სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია და მისი მეცნიერული წანამდგერები, გენდერის გაგება ამ თეორიის ფარგლებში და მისი პოლიტიკური მიზნები.

მე-20 საუკუნეში ქალებმა მიაღწიეს ხმის უფლებას არჩევნებში, ასევე ბევრ ქვეყანაში მათ მოიპოვეს უფლება იყვნენ არჩეულნი არჩევით თანამდებობებზე, თუნდაც პოტენციურად. ქალებმა მიაღწიეს მათი უფლებების განმტკიცებას საკანონმდებლო დონეზეც. ქალებმა მიაღწიეს იმასაც, რომ მათთვის გაიზარდა განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ქალთა უფლებების ჩამოყალიბებითა და მათი ადამიანის უფლებებთან მიერთებით მიაღწიეს იმასაც, რომ მსოფლიო განვითარების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გენდერულ პრობლემატიკას. მიუხედავად ამისა, გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არსებობს მკვეთრად გამოხატული ქალთა უთანასწორობა ყველაფერში, რაც ეხება სამუშაოს, შრომის ანაზრაურებას, სტატუსს და ძალაუფლებას საზოგადოებაში.

გენდერული ნორმები ზეგავლენას ახდენს გენდერულ ურთიერთობებზე და გენდერულ როლებზე. გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ ქალებისა და მამაკაცების მიერ შესრულებული სოციალური როლები განსხვავდებიან რიგი პარამეტრების მიხედვით. გენდერულ ცნობიერებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს კულტურის ისეთი ასპექტები, როგორცაა, ქალთა მდგომარეობა საზოგადოებაში, სქესის მიხედვით შრომის განაწილება, შესრულებული სამუშაოს ნაირსახეობა, სამუშაოს ანაზრაურება, სტატუსი, ძალაუფლება, რელიგიური შეხედულებები, ღირებულებები, ეკონომიკური ფაქტორები და, აგრეთვე, ქალთა მონაწილეობის ხარისხი პოლიტიკაში. ძალიან მოკლედ განვიხილოთ ეს ფაქტორები.

ქალების 40% მთელ თავის დროს სახლში ატარებს. ამასთან, ეს ქალები საშუალოდ საოჯახო სამუშაოში ხარჯავენ 48 სთ-დან 70 სთ-მდე კვირაში. ზოგადად, სახლს გარეთ მუშაობა მომგებიანია არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. მისი საშუალებით კმაყოფილდება ისეთი სოციალური მოთხოვნილებები, როგორცაა აღიარების, მიღწევის, სტატუსის და პატივისცემის მოთხოვნილებები. ადამიანი, რომელიც მთელი დღე სახლშია, ამ მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებს. ფრიდანის (Friedan) მონაცემების მიხედვით, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვთ იმ ქალებსაც კი, რომლებიც მთელი ცხოვრება ოცნებობდნენ ცოლისა და დედის როლზე. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ქალები ემსახურებიან სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და საკუთარ პიროვნებას კარგავენ. მეორე პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ქალის „ოჯახური კერის მფარველის“ როლთან ისაა, რომ დიასახლისი „თამაშვარე“ მდგომარეობაში არის, იგი არ მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამიტომ არასრულფასოვან ადამიანად გრძნობს თავს.

ფერის (Feree) აზრით, დიასახლისებში იზოლაციის განცდის წარმოშობას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორების არსებობაც, როგორცაა, გადაადგილების შეზღუდვა, მუდმივი ყურადღებამ, რომელსაც ბავშვების აღზრდა მოითხოვს და მომუშავე ქალების დიდი



რაოდენობა გარშემო. ამასთან, დიასახლისების დაუკმაყოფილებლობას საკუთარი საქმიანობით ხელს უწყობს მომუშავე ქალებში ფართედ გავრცელებული აზრი, რომ მათგან განსხვავებით დიასახლისები უდარდელად და უპრობლემოდ ცხოვრობენ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, დიასახლისების დაბალი თვითშეფასება სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლივი ზემოქმედებით აიხსნება. ამგვარად, ფაქტია, რომ საოჯახო შრომა და შესაბამისად, დიასახლისის როლი ერთგვაროვანი, დამღლევი და არაპრესტიჟულია.

244 საზოგადოების ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის შედეგად დანდრადმა (D'Andrade, 1966) გაარკვია, რომ მამაკაცები ყველგან დაკავებულნი იყვნენ ნადირობით, იარაღის დამზადებით და თავისი სამუშაოს პროცესში ისინი მეტად სცილდებოდნენ სახლს, მაშინ როდესაც ქალების საქმიანობა სახლთან იყო დაკავშირებული, ისინი პასუხს აგებდნენ სარჩოსანოვანის შენახვაზე, საჭმლის მომზადებაზე, ზრუნავდნენ ტანსაცმელზე და ისეთი ნივთების დამზადებაზე, რომლებიც საოჯახო მეურნეუბაში მოიხმარებოდა. ქალები დაკავებულნი იყვნენ ბავშვების მოვლითა და მათი აღზრდით, მაშინ როდესაც მამაკაცები ბავშვების აღზრდაში მონაწილეობას იღებდნენ გამოკვლეული კულტურების მხოლოდ 10%-ში.

ტრადიციული შეხედულებები გულისხმობენ, რომ მამაკაცი ჩართული უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქტიურობდეს ბიზნესში, პოლიტიკაში და კულტურაში, ქალი კი სახლში უნდა იყოს და ბავშვებს და ოჯახს უვლიდეს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კროსკულტურული კვლევები ავლენს ასეთი დიხოტომიის შესუსტებას ფაქტობრივ დონეზე. ქალები სულ უფრო აქტიურად ებმებიან მუშაობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახლს გარეთ, მამაკაცები კი სხვა საქმეებთან ერთად საოჯახო საქმეებითაც არიან დაკავებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა თაობაში შეიმჩნევა ქალის როლის შესახებ შეხედულების გაფართოება. კერძოდ, ქალის როლი მოიცავს როგორც სახლის საქმეების შესრულებას, ასევე - სამსახურსაც. ამ მოსაზრებას ადასტურებს გიბონსისა (Gibbons et al., 1991/1993) და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევები ოთხ სხვადასხვა კულტურაში მოზარდებზე. ქალის როლის შესახებ მოზარდთა შეხედულებები ასახავენ ქალის ცხოვრების პირობებისა და მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას მთელს მსოფლიოში.

დადგენილია, რომ ევალიტირული შეხედულებები მამაკაცებში ვლინდება განათლების მაღალი დონისა და მაღალი სოციალური სტატუსის პროპორციულად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისათვის სამსახურის არჩევანის შესაძლებლობების გაფართოება ან განათლების დონის ამაღლება არ იწვევს სქესთა შორის უთანასწორობის საბოლოო აღმოფხვრას. დევისისა და რობინსონის (Davis & Robinson, 1991) მიერ ოთხ ქვეყანაში (ამერიკის შეერთებულ შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ავსტრია) ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი კანონზომიერება: ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკმაოდ მაღალი განათლების დონე და, აგრეთვე, ქალებს, რომლის ქმრებიც მუშაობენ, ნაკლებად აწუხებთ სქესთა შორის დისკრიმინაციის არსებობა და ნაკლებად ზრუნავენ მის აღმოსაფხვრელად. ხოლო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც განათლების შედარებით დაბალი დონე აქვს და აგრეთვე, ქალები, რომლებსაც არა ჰყავთ მარჩინალი ქმრები, უფრო მეტად ისწრაფვიან გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში იზომება მრავალი პარამეტრით, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური მაჩვენებლები, სოციალური ავტორიტეტი და გერდერულ-როლური იდეოლოგიის სხვა პარამეტრები, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში და ა.შ. ქალისა თუ კაცისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ქცევის ნორმები კულტურულ ვარიაციებს ექვემდებარება, მიუხედავად ამისა, არსებობს კულტურული უნივერსალიებიც ამ თვალსაზრისით: გარკვეული ხარისხით ყოველი საზოგადოება განსაზღვრულ თვისებებს და მოღვაწეობის სახეებს აკავშირებს განსაზღვრულ სქესთან. ამავე დროს, თითქმის არც ერთ საზოგადოებაში ქალს არა აქვს უფრო მაღალი სტატუსი, ვიდრე – მამაკაცს.

ქალის დიასახლისის როლი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია გენდერული სტერეოტიპებით და დიფერენციალური სოციალიზაციით. ქალის დიასახლისის როლს ხშირად

განსაზღვრავს, აგრეთვე, ქალის შრომის უფრო მცირე ანაზღაურება მამაკაცთან შედარებით. მას შემდეგ, რაც ქალი იმუშავეს სამსახურში, იგი შეიძლება ითქვას, რომ მეორე ცვლაში მუშაობს სახლში. ეს მეორე ცვლა ქალებისა და მამაკაცების დასვენების დროის განსხვავების მიზეზია. შელტონისა და ჯონის (Shelton & Jhon, 1993) მონაცემების მიხედვით, ცოლებთან შედარებით შავკანიანი კაცები აკეთებენ საოჯახო საქმეების — 40%-ს, თეთრკანიანი მამაკაცები — 34%-ს, ესპანური წარმოშობის მამაკაცები — 36%. ბოლო დროის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქმრებს საოჯახო საქმიანობაში სულ უფრო მეტი წილი შეაქვთ, მაგრამ მომუშავე ქალი საშუალო ოჯახური საქმეების 69%-ს აკეთებს. იმ დროის გაზრდამ, რომელსაც ქალი უთმობს სახლს გარეთ მუშაობას, გამოიწვია ოჯახურ საქმიანობაზე დახარჯული დროის მხოლოდ მცირედად შემცირება.

თანამედროვე დროში ძალიან ბევრი ქალი მუშაობს იმისთვის, რომ შეინახოს ოჯახი. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ ასრულებენ ტრადიციულ ქალურ მოვალეობებსაც ოჯახში, რაც ქალების ორმაგ დატვირთვას იწვევს. ქალის როლის შემცირება საოჯახო მეურნეობაში არ მოხდა იმ საზოგადოებებშიც კი, სადაც ქალები წარმოადგენენ საერთო სამუშაო ძალის უმეტესობას. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, კანადაში, იტალიაში, პოლონეთში და რუმინეთში საოჯახო საქმეების უდიდეს ნაწილს ქალები ასრულებენ, იმისგან დამოუკიდებლად, ეწევიან თუ არა ისინი პროფესიულ საქმიანობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 3000 ოჯახური წყვილის გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ბლერი და ლიხტერი (Blair & Lichter, 1991) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქალები ოჯახში მუშაობდნენ გაცილებით უფრო დიდხანს, ვიდრე — მამაკაცები (შესაბამისად 33 სთ. და 14 სთ.). ამასთან საოჯახო საქმეები მკვეთრად გამიჯნულია სქესობრივი ნიშნით. ქალური საქმეებია ისინი, რომელთა კეთებაც აუცილებელია სისტემატურად (სადილი, ჭურჭლის რეცხვა, ბავშვებზე ზრუნვა და სხვ.), მაშინ როცა მამაკაცთა საქმეების სისტემატური ყოველდღიური ხასიათი არა აქვს (ბაღში მუშაობა, რაიმეს შეკეთება და ა.შ.). საინტერესოა შელტონის და ჯონის (Shelton & Jhon, 1993) გამოკვლევის შედეგები. მათ აღმოაჩინეს, რომ შავკანიან ამერიკელთა ოჯახებში ოჯახური საქმიანობები ასე მკვეთრად არ არის განაწილებული სქესობრივი ნიშნით. გამოკვლევები ასევე აჩვენებს, რომ ოჯახის ბიუჯეტის განმკარგავიც უფრო ქალია, ვიდრე — მამაკაცი.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მომუშავე ქალს ოჯახში უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე — დიასახლისს. ოჯახში ძალაუფლების თეორიის მოხედვით, ვისაც მეტი შემოსავალი (ეკონომიკური) აქვს, იმას აქვს მეტი ძალაუფლება ოჯახში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მომუშავე ქალი იღებს თავის შრომაში დაახლოებით კაცის ხელფასის 70%-ს. ამასთან შრომის ბაზარი გაყოფილია გენდერული ნიშნით და არსებობს ქალური და მამაკაცური პროფესიები. უფრო პრესტიჟული პროფესიები და თანამდებობები მამაკაცებს უკავიათ, ქალები ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილი მთავრობაში და მაღალ თანამდებობებზე მსხვილ ორგანიზაციებში. ამას ნაწილობრივ განსაზღვრავს გავრცელებული სტერეოტიპები, რომ ქალები ცუდი ლიდერები არიან. გარდა ამისა, ქალის კარიერას ყველა ქვეყანაში ხელს უშლის ოჯახური და დედობრივი მოვალეობები.

თანამედროვე გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ დღესაც, ბევრ ქვეყანაში ქალები ეკონომიკურ დისკრიმინაციას განიცდიან. ისინი იღებენ უფრო დაბალ ხელფასს, ვიდრე - მათი კოლეგა მამაკაცები იგივე თანამდებობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმეტეს ქვეყნებში ქალები დღესაც უპირატესობას ანიჭებენ მოღვაწეობის ტრადიციულ სფეროებს და, აგრეთვე, ისეთ სამსახურს, რომელიც ადამიანების დიდ წრესთან ურთიერთობის საშუალებას იძლევა. მამაკაცები კი უპირატესად ირჩევენ უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს, რომელიც, ამასთანავე, პერსპექტიულიცაა სამსახურეობრივი კარიერის თვალსაზრისით.

გენდერულ-როლურ იდეოლოგიაზე დიდ ზეგავლენას ახდენს, აგრეთვე, რელიგიური შეხედულებები და ღირებულებები. ბევრ კულტურაში (მაგალითად, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში) საზოგადოების ღირებულებები და იდეალები

დაკავშირებულია პირად და ოჯახის პრესტიჟთან, რომლებიც მოიცავენ მამაკაცის ვაჟკაცობასა და ქალის სექსუალურ სინმინდეს. ასეთ კულტურებში გათხოვილი ქალი, რომელიც საზოგადოებრივი საქმეებით არის დაკავებული, ნეგატიურ შეფასებას იწვევს. იმ შემთხვევაში თუ ქალი მუშაობს, მაშინ მისი კონტაქტები მამაკაცებთან მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

ეკონომიკური ფაქტორებიც მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გენდერულ-როლურ იდეოლოგიაზე. ზოგადი კანონზომიერების მიხედვით, ცოლად შერთვის დროს გამოსყიდვის ინსტიტუტი ამ ქვეყნებში მუშაობს, სადაც ქალის საოჯახო შრომა მნიშვნელოვანია ოჯახის ბიჯეტისათვის. მზითვს კი, ჩვეულებრივ, ქალს ატანენ იმ კულტურებში, სადაც ქალის შრომის ნილი ოჯახში შედარებით მცირეა.

პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ყველა კულტურაში მამაკაცებისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე – ქალებისთვის. განუვითარებელი წარმოების მქონე 90 საზოგადოების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში უფრო მაღალია მაშინ, როცა გარე კონფლიქტების და ომების საშიშროება მცირეა, მაგრამ არსებობს შიდა საზოგადოებრივი კონფლიქტები და დაძაბულობა.

გენდერული მკვლევრების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ტრადიციული გენდერული როლები აფერხებენ პიროვნების განვითარებას და იწვევენ სოციალურ უთანასწორობას. თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიულ ნაწილში ქალთა პრობლემამატიკამ და ასევე გენდერულმა საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა განვითარების კონტექსტში. ყურადღების ცენტრში მოექცა არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქალები, რომლებიც მოკლებულნი არიან სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არამედ განვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ მრავლად არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემები. ქალთა პრობლემათაგან განსაკუთრებით მწვავეა იმუნოდეფიციტის ინფექციის განსაკუთრებით ფართე გავრცელება ქალებში, ქალებით ვაჭრობა, ქალების გამოყენება სექსის ინდუსტრიაში და სხვ. თუმცა არსებობს ქალთა მრავალი სხვა, უფრო ყოფითი პრობლემებიც, რომელთა მოგვარებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი განვითარებისათვის. მთელს მსოფლიოში გაბატონებულია გენდერული დისკრიმინაცია ცხოვრების ბევრ სფეროში. თუმცა დისკრიმინაციის ფორმები, ზომები და ხარისხი განსხვავებულია როგორც რეგიონებს, ასევე ქვეყნებს შორისაც. განვითარებადი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალები არ არიან გათანაბრებული მამაკაცებთან იურიდიული (სუბიექტური), სოციალური და ეკონომიკური უფლებების თვალსაზრისით. დიდია გენდერული განსვლები რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი განკარგვის სფეროში, ეკონომიკური შესაძლებლობების სფეროში და ძალაუფლებისა და ინტერესების წარმომადგენლობით სფეროში.

**უფლებები.** უფლებებში ასიმეტრია გავრცელებულია სასამართლო კანონმდებლობაში, საზოგადოებების ყოფით სამართალში, ოჯახებისა და შიდა მეურნეობების ცხოვრებაში. ასიმეტრია არსებობს საქორწინო კანონმდებლობაშიც, ოჯახის ზომის განსაზღვრაში (შვილების გაჩენა-არგაჩენა და მათი რაოდენობის გადანყვეტა) ქონების მემკვიდრეობაში, და მის მართვაში, შიდა მეურნეობაში შრომის განაწილებაში, შემოსავალ-გასავლებში, გადაადგილების თავისუფლებაში.

სამხრეთ აფრიკის და აფრიკის ბევრ ქვეყანაში ქალები თავიანთი ქმრების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. მათ არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად მართონ საკუთრება. აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მამაკაცს აქვს უფლება ისარგებლოს ქალის შრომის შედეგებით, მაგრამ ქალს არა აქვს იგივე უფლება მამაკაცის შრომის ნაყოფის მიმართ. ბოლივიაში, გვატემალაში და სირიაში მამაკაცებს აქვთ უფლება შეზღუდონ თავიანთი ცოლები და არ მისცენ მათ უფლება იმუშაონ სახლს გარეთ. ეგვიპტეში და გვატემალაში ქალებს სჭირდებათ თავიანთი მეუღლეების ნებართვა მოგზაურობისა და მგზავრობისათვის. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში ქალებს უნდა ჰქონდეთ მეუღლეების ნებართვა პასპორტის მიღებისთვის, მაშინ როცა ქმრისთვის ცოლის მხრიდან ასეთი ნებართვის მიღება საჭირო არ არის.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ არც ერთ ქვეყანაში ქალებს არა აქვთ მამაკაცებთან გათანაბრებული უფლებები. მიუხედავად ამისა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ქალთა შედარებითი სტატუსის თვალსაზრისით რეგიონების მიხედვით. საშუალოდ, ქალებს ევროპაში და შუა აზიაში ყველაზე მეტი თანასწორობა აქვთ, ხოლო სამხრეთ აზიაში, აფრიკის ქვეყნებში (სამხრეთში), ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილო აფრიკაში – უფრო ნაკლები. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური და იურიდიული თანასწორობა ოფიციალურად მიღწეულია, იგი არ მუშაობს სინამდვილეში.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაუმჯობესდა გენდერული თანასწორობის მდგომარეობა განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში: ამალდა ქალთა განათლების დონე. სამხრეთ აზიაში, საქარას სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში დანყებით სკოლაში ჩარიცხულ გოგონათა რიცხვი დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. ქალების და და გოგონების ჯანმრთელობის დაცვის სისტემებში კაპიტალდაბანდების შედეგად, 1990 წელს ქალები სამხრეთ აზიის ისტორიაში პირველად უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე - მამაკაცები. გაიზარდა ქალთა დასაქმების რიცხვიც. ლათინურ ამერიკაში და სამხრეთ აზიაში 1970 წლიდან ქალთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 15 პუნქტით გაიზარდა. შემცირდა გენდერული სხვაობები შრომის ანაზრაურებაშიც. მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კვლავ ნარჩუნდება გენდერული უთანასწორობა უფლებებში, რესურსების ხელმისაწვდომობაში და საკუთარი ინტერესების გამოხატვის შესაძლებლობებში. განვითარებად ქვეყნების არც ერთ რეგიონში ქალებს არა აქვთ მამაკაცთან თანაბარი სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური უფლებები. ამასთან ყველა კულტურისათვის (როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში) საერთოა ის, რომ ქალს მამაკაცზე ნაკლები სტატუსი აქვს. გაეროს მონაცემების თანახმად:

1. ქალები ასრულებენ ძირითად საოჯახო საქმეს;
2. ქალებს მოყვით მსოფლიოს საკვები პროდუქტების (სოფლის მეურნეობის) ნახევარი;
3. ქალები შეადგენენ მსოფლიოს მუშახელის ერთ მესამედს, მაგრამ დასაქმებულნი არიან მცირედანაზრაურებად სამუშაოზე;
4. ქალები შესრულებულ სამუშაოში ანალოგიურ სამუშაოში მამაკაცებისთვის გადახდილი ხელფასის სამ მეოთხედზე ნაკლებს იღებენ;
5. ქალები მცირედ არიან წარმოდგენილნი ძალაუფლების და მმართველობის ორგანოებში.

ამგვარად, თანამედროვე სამყაროს საზოგადოებათა უმრავლესობა გენდერულად სტრატეგიციზირებული სისტემაა. სტრატეგიკაციის უმტავრესი პატერნებია: დასაქმების, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უმრავლეს შემთხვევაში სტრატეგიკაციის მიმართულება ერთ და იგივეა: მამაკაცები დომინანტურები არიან, ქალები კი – დაქვემდებარებულნი.

ცნობილია ასიმეტრია შრომის ანაზრაურებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის (ამერიკელი ქალი მამაკაცის ხელფასის 68%-ს იღებს, აფრიკელი – 61%-ს, ლათინოამერიკელი – თეთრკანიანი მამაკაცის ხელფასის 53%-ს, ხოლო თეთრკანიანი ქალის ხელფასის 78%-ს). შავკანიანი და ესპანურენოვანი მამაკაცები უფრო მაღალ ანაზრაურებას იღებენ, ვიდრე შავკანიანი და ესპანურენოვანი ქალები (განსხვავება მათ შემოსავლებში შესაბამისად 84%-ს და 82%-ს შეადგენს). თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ შედარებით 1979 წელთან, როცა ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის მხოლოდ 60%-ს შედგენდა, ქალთა სამუშაოს ღირებულება გაიზარდა (ამერიკის შეერთებულ შტატებში). მაგრამ ქალები, განსაკუთრებით კი არაევროპული წარმომავლობის ქალები, დღემდე დაბალანაზრაურებად სამუშაოზე არიან დასაქმებულნი. უფრო მეტიც, ისინი იღებენ უფრო ნაკლებს, ვიდრე იგივე სამუშაოში აიღებდნენ მამაკაცები. არსებობს ქალებისა მამაკაცების ანაზრაურების განსხვავების ორი ყველაზე გავრცელებული ახსნა. პირველის მიხედვით, ქალებს მამაკაცებთან შედარებით

ნაკლებს უხდინან იმიტომ, რომ ისინი თვითონ ირჩევენ დაბალანაზრაურებად სამსახურს. მეორე შეხედულების მიხედვით, ქალებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლებს უხდინან იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ნაკლებად ღირებულ სამუშაო ძალას, რადგანაც მათ აკლიათ გამოცდილება და კვალიფიკაცია. არსებობს მესამე მოსაზრებაც: ქალებს მამაკაცებთან შედარებით სამუშაოში უხდინან ნაკლებს იმიტომ, რომ ისინი მოელიან, რომ ცოტას გადაუხდინან და თანხმდებიან უფრო მცირე ხელფასს. განვიხილოთ თითოეული მოსაზრება ცალ-ცალკე.

**პირველ** მოსაზრებას, რომლის არსიც ისაა, რომ ქალები დაკავებულები არიან ტრადიციულად „ქალური“ სამუშაოთი, ხოლო მამაკაცები — „მამაკაცურით“ და ეს უკანასკნელი უფრო მაღალანაზრაურებადია, ხშირად უნდებენ მაკომპენსირებელი სხვაობების საფუძველზე ახსნას. ეს მოსაზრება ეყრდნობა დებულებას, რომ ქალები, ირჩევენ რა დაბალანაზრაურებად სამუშაოს, ამით ისინი სამაგიეროდ იღებენ შრომის უკეთეს პირობებს: კარგ სოციალურ კლიმატს, უფრო მოქნილ სამუშაო გრაფიკს (მაგალითად გამოდგება პედაგოგი ქალები საქართველოში. გავრცელებული აზრის მიხედვით, პედაგოგობა ქალებისთვის კარგია, რადგან ის მხოლოდ ნახევარ დღეს მუშაობს) ან უფრო ადვილ სამუშაოს.

სამუშაო ძალა გაყოფილია სქესის მიხედვით ანუ პროფესიების უმრავლესობა ყველა კულტურაში დაყოფილია სქესის მიხედვით. ასე მაგალითად, საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით (ნ. ჯავახიშვილი, 2000), გამოვლინდა ტიპური ქალური და ტიპური მამაკაცური პროფესიები საქართველოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1993 წლის მონაცემებით მდივნების 90%-ს ქალები არიან. მონაცემები ადასტურებს იმასაც, რომ ის პროფესიები და სამუშაო, რომლებითაც სხვადასხვა კულტურაში მამაკაცები არიან დაკავებულნი, უფრო მაღალანაზრაურებადია, ვიდრე ისინი, რომლებითაც ქალები არიან დაკავებულნი. ასე მაგალითად, ბერნის (Burn) მონაცემებით, კალიფორნიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მღებავის სასტარტო ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე მედდის ან მდივან-საქმეთმწარმოებლის ხელფასი.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ჯაკობსისა და სტეინბერგის გამოკვლევა (Jacobs & Steinberg, 1990). მიღებული მონაცემების მიხედვით, ამა თუ იმ პროფესიაში დასაქმებულ ქალთა წილი ზეგავლენას ახდენს ამ სფეროში არსებული ხელფასის საერთო დონეზე. კერძოდ, რაც უფრო მეტია ქალი, მით უფრო დაბალია შრომის ანაზრაურება.

საინტერესოა, რატომ ხდება, რომ ქალები იშვიათად არიან დაკავებულნი „ტრადიციულად“ მამაკაცური სამუშაოთი? ხომ არ არის ამის მიზეზი ტრადიციულად „ქალური“ სამუშაოს სიადვილე ან ასეთი სამუშაოს პირობებში დედობრივი ფუნქციების პარალელური შესრულების შესაძლებლობა? სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. „ქალური“ სამუშაოები სინამდვილეში სულაც არ გულისხმობენ უფრო მოქნილ გრაფიკს, სამუშაოს სიადვილეს ან ნაკლებ დაძაბულობას. პირიქით, არსებული მონაცემების მიხედვით, რაც უფრო მეტი ქალია კოლექტივში, მით უფრო მკაცრია უფროსოს მხრიდან მოთხოვნები. 1600 პროფესიის ანალიზის შედეგები გვიჩვენებენ, რომ „ქალური“ პროფესიები უფრო ხშირად დაკავშირებულია ე.წ. ძნელ კლიენტებთან, დალაგებასთან (ჭუჭყთან) მექანიკურად გამეორებად მოქმედებებთან და ავტონომიის (ანუ საკუთარი სამუშაოს დაგეგმვისა და წარმართვის) არარსებობასთან.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქალების მიერ ტრადიციულად „მამაკაცური“ პროფესიების არჩევას წინ ეღობება მრავალი ბარიერი. ესენია: დაქირავების დროს ისეთი მოთხოვნების წაყენება (მაგალითად, ამა თუ იმ თვისებების ქონა), რომელიც ქალს არა აქვს. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციის ერთ-ერთი აკადემიის მისაღები გამოცდების მოთხოვნა იყო 170 სმ სიმაღლის ქონა, რომელიც ქალებს განსაკუთრებულად ზღუდავდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის დაძაბულობაც, რომელიც ქალს ეუფლება, როცა იგი მამაკაცთა კოლექტივში მუშაობს. დაძაბულობის გამომწვევ ფაქტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ მიუღებლობა, სტერეოტიპები, პატარა შეცდომაზე არაადეკვატურად მკაცრი რეაგირება და სხვ. სამსახურში მიღების დროს დისკრიმინაცია გენდერული დისკრიმინაციის

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა. იგი საფუძველს ქმნის შენდგომში შრომის ბაზრის გენდერული სტრატეგიკაციისათვის. ამასთან, საინტერესოა, რომ გენდერული დისკრიმინაცია სამსახურში მიღების დროს მხოლოდ ქალებს არ ეხება. იგი ისეთივე ძალით მოქმედებს იმ მამაკაცების მიმართაც, რომლებსაც ტრადიციულად „ქალურ“ სამუშაოზე უნდათ მოხვედრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალების უმრავლესობას სურვილი არა აქვს შეასრულოს ტრადიციულად „მამაკაცური“ სამუშაო. გამოკვლევების მიხედვით, ამის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ქალების აზრი იმის შესახებ, რომ „მამაკაცური“ სამუშაო მათ დაუკარგავს ქალურ მომხიბვლელობას.

**მეორე** მოსაზრება, რომელიც ცდილობს ახსნას გენდერული ასიმეტრია შრომის ბაზარზე, ვარაუდობს, რომ ქალებს უფრო ნაკლებანაზრაურებადი სამუშაო იმიტომ აქვთ, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად ღირებული მუშაკები არიან. საქმე ისაა, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებს უხდიან მაშინაც კი, როცა ისინი იგივე სამუშაოს ასრულებენ, რასაც — მამაკაცები. ასე მაგალითად, ქალი კომპიუტერული პროგრამისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებენ მამაკაცი კომპიუტერული პროგრამისტების ხელფასის 83%-ს, ქალი ფინანსური მენეჯერები იგივე პროფესიის მამაკაცების ხელფასის 67%-ს, დანყებითი სწავლების სკოლების პედაგოგი ქალები იგივე პროფესიის მამაკაცების ხელფასის 89%-ს და ა.შ.

ერთი და იგივე სამუშაოში ქალებისა და მამაკაცების ხელფასებს შორის ასეთი განსხვავების ერთ-ერთი ახსნა ეფუძნება ადამიანური კაპიტალის შეფასების პრინციპს. ამ მიდგომის მიხედვით, ინდივიდის შრომის ანაზრაურება დამოკიდებულია განათლებაში და პროფესიულ მომზადებაში მის მიერ ჩადებულ ინვესტიციებზე. ითვლება, რომ ქალები გამოიმუშავენ ნაკლებს, რადგან მათ ნაკლები იციან, ნაკლებად განათლებულები არიან, ან ნაკლები გამოცდილება აქვთ და შესაბამისად მათი შრომა ნაკლებად ღირებულია. გამოკვლევები აჩვენებს, რომ, უმრავლეს შემთხვევებში, ერთნაირ თანამდებობებზე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების მონაცემები არსებითად არ განსხვავდება. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ შრომის ბაზარზე გენდერული ასიმეტრიის უმთავრესი მიზეზი მაინც გავრცელებულ სტერეოტიპებში უნდა ვეძებოთ.

**მესამე მოსაზრების** მიხედვით, ქალები წინასწარ მოელიან დაბალ ხელფასს და სწორედ ამიტომ აქვთ მათ ასეთი დაბალი ანაზრაურება. ეს მოსაზრება დადასტურდა ექსპერიმენტულადაც. აღმოჩნდა, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით მართლაც უფრო ნაკლებ ანაზრაურებას ითხოვდნენ იგივე სამუშაოში. ეს შედეგები დადასტურდა სტუდენტებზე ჩატარებულ კვლევებშიც, სადაც ერთი და იგივე სპეციალობის მდებდრობითი და მამრობითი სქესის სტუდენტებს ეკითხებოდნენ, თუ როგორი იყო მათი მოლოდინები მომავალი შემოსავლების შესახებ. მკვლევრების (Jackson, Major, Forcey და სხვ.) აზრით, ეს, ერთის მხრივ, შეიძლება აიხსნას ქალების მიერ სამუშაოსთან ერთად დედუბრივი მოვალეობის შესრულების გათვალისწინებით, მეორეს მხრივ, კი იმით, რომ ქალებს აქვთ საკუთარი შესაძლებლობების და ცოდნის დაწეული შეფასება. ასეა თუ ისე, ქალების მხრიდან ნაკლები მოლოდინები მათი შრომის დაბალი ანაზრაურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუპორტის (Newport) მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. ამ მონაცემების მიხედვით, 1975 წელს გამოკითხული ამერიკელების 32% ადასტურებდა, რომ ამერიკაში მამაკაცები უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე — ქალები. 1989 წელს ეს დებულება დაადასტურა გამოკითხულთა 49%-მა, ხოლო 1923 წელს კი — 60%-მა. 1975 წლის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულ ამერიკელთა 48% თვლიდა, რომ ქალებს და მამაკაცებს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. 1989 წლის გამოკვლევების მიხედვით, ამ დებულებას დაეთანხმა გამოკითხულ ამერიკელთა 42%, ხოლო 1993 წელს კი — გამოკითხულთა 39%. 1993 წელს გამოკითხული ამერიკელი ქალების მხოლოდ 30% თვლიდა, რომ მათ აქვთ მამაკაცებთან თანაბარი დასაქმების შესაძლებლობები, ხოლო მათი 70% კი თვლიდა, რომ მამაკაცებს უკეთესი სასტარტო პირობები აქვთ ამერიკულ შრომის ბაზარზე.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია შრომის ანაზრაურება

(გადახდილი გასამრჯელო) ჩვენ, ჩვეულებრივ, ვადარებთ ჩვენს თავს სხვას. სამუშაოსთან მიმართებაში ეს დებულება ასე ჟღერს: ჩვენ გარკვეულ ძალისხმევას (დროს, ენერგიას, კვალიფიკაციას, უნარებს და ა.შ.) ვდებთ ჩვენს სამუშაოში და ვიღებთ გარკვეულ ანაზღაურებას. ამაში მდგომარეობს ადამსის (Adams) სამართლიანობის თეორიის არსი. ამგვარად, იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია ეს უკანასკნელი, ჩვენ ვადარებთ ჩვენს მიერ ჩადებული ძალისხმევისა და ანაზღაურების მიმართებას სხვის მიერ ჩადებულ ძალისხმევისა და მის ანაზღაურებას შორის მიმართებას. ასეთ სხვებს, ჩვეულებრივ, „შესადარებელ ჯგუფს“ უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ იმის და მიხედვით, თუ ვინ არიან შესადარებელი ჯგუფის წევრები, ჩვენ თავს ან დაჩაგრულად ან კმაყოფილად ვგრძნობთ.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქალები, ჩვეულებრივ, არ განახილავენ მამაკაცებს „შესადარებელი ჯგუფის“ რანგში. ისინი საკუთარ თავს სხვა ქალებს ადარებენ და სანამ ერთი რომელიმე ქალის ძალისხმევისა და შემოსავლების მიმართება შეესაბამება სხვა ქალების ასეთ მიმართებას, ამ ქალს აქვს სამართლიანობის და შესაბამისად, კმაყოფილების განცდა. ერთი სქესის შიგნით შედარების განხორციელებას თავისი ფსიქოლოგიური ფსქტორები აქვს (მაგალითად, შედარება მსგავსების საფუძველზე). ამასთან, გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საკუთარ სქესთან შედარება ხდება მაშინ, როცა სამუშაო ტრადიციულად გენდერულ დამდას ატარებს. მაშინ კი როცა სამუშაო ტრადიციულად ნეიტრალურია, შედარების დროს სქესის ფაქტორის იგნორირება ხდება.

სამართლიანობის თეორიის მიხედვით, თუ ადამიანს აქვს უსამართლობის განცდა თავის ხელფასთან დაკავშირებით, მაშინ იგი ცდილობს აღადგინოს სამართლიანობა. ქალებს კი, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სამართლიანობის აღდგენის ეს მოთხოვნილება არ უჩნდებათ, რადგან მათ „შესადარებელ ჯგუფში“ ისეთივე დაბალი ხელფასია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს კანონი თანასწორი ანაზღაურების შესახებ. როგორც მოყვანილი გამოკვლევების მონაცემები გვიჩვენებს, ეს კანონი რეალურად არ ხორციელდება.

ქალთა პროცენტული შემადგენლობა მსოფლიოს შრომისუნარიან მოსახლეობაში განვითარების თვალსაზრისით ასეთია: 1950 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ ამერიკაში და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ავსტრალიაში) 30 %, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში – 18%, სამხრეთ აფრიკასა და განვითარებად ქვეყნებში – 30%, ჩრდილოეთ აფრიკის ნანილში – 9%. 1985 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ ამერიკაში და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ავსტრალიაში) 38 %, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში – 27%, სამხრეთ აფრიკასა და განვითარებად ქვეყნებში – 39%, ჩრდილოეთ აფრიკის ნანილში – 9%. 2000 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ ამერიკაში და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ავსტრალიაში) 38 %, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში – 28%, სამხრეთ აფრიკასა და განვითარებად ქვეყნებში – 37%, ჩრდილოეთ აფრიკის ნანილში – 17%. როგორც ვხედავთ, ქალთა დასაქმების რიცხვი იზრდება წლიდან წლამდე. მაგრამ, ამასთანავე, ზრდის ტენდენცია ძალია მცირეა და იგი ძალიან შორსაა შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისაგან.

გარდა იმისა, რომ ქალებს აქვთ მამაკაცებთან შედარებით დაბალი ხელფასები, მათ ასევე აქვთ მამაკაცებთან შედარებით დაბალი სტატუსიც. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე პრესტიჟული პროფესიებით მამაკაცები არიან დაკავებულნი: მამაკაცი მეცნიერ-მუშაკთა შორის 80%-ია, ექიმებს შორის – 84%, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორებს შორის — 61%. თუმცა პედაგოგთა შორის შედარებით მაღალია ქალთა რიცხვი, მაგრამ მათ შორის მაღალ სტატუსზე (მუდმივი პროფესორები) მხოლოდ 10%-ია. ადვოკატებს და მოსამართლეებს შორის 78% მამაკაცია, არქიტექტორებს შორის 87% მამაკაცია, ხოლო ინჟინრებს შორის — 94%.

არსებობს მრავალი მონაცემიც, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლები ძალაუფლება აქვთ. მათ იშვიათად უკავიათ თანამდებობები

და პოლიტიკაშიც მცირედ არიან წარმოდგენილნი. ამასთან რაც უფრო მაღალია ძალაუფლების იერარქიული საფეხური, მით უფრო მცირეა ქალთა წარმომადგენლობა.

ასწლეულების მანძილზე მიუღებელი იყო ნებისმიერ პოლიტიკურ ფორმაციაში ქალების მონაწილეობა. სულ ახლახანსაც, ქალთა მინაწილეობა პოლიტიკაში დაგმობილი იყო, რადგან გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულების მიხედვით, ქალის პილიტიკაში ჩართვა ოჯახისა და საზოგადოების დაშლას გამოიწვევდა. დღეს თანამედროვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაიზარდა მათი ასეთი საქმიანობების მიმდებლობის ხარისხი არა მხოლოდ სკანდინავიისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში და დემოკრატიის წამყვან ქვეყნებში, არამედ ტრადიციული კულტურების მატარებელ ქვეყნებშიც. მაგალითად, მ. წერეთლის 2002-2003 წლებში ჩატერებული გამოკვლევების მონაცემების მიხედვით საქართველოში ქალის პოლიტიკაში მოღვაწეობის ფაქტს გამოკითხულთა ორი მესამედი ნაწილი დასაშვებად აფასებს.

კაცობრიობის პოლიტიკური განვითარების ისტორიას თუ გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებას მეტწილად ეგელიტარული წრე ქმნიდა: მეფეები დიდგვროვანნი, არისტოკრატია და ა.შ. მას შემდეგ, რაც პოლიტიკით და ქვეყნის მმართველობით ჩვეულებრივი ხალხი დაკავდა, პოლიტიკის სფეროში არსებული გენდერული ასიმეტრია კიდევ ურო გამოკვეთილი გახდა. პოლიტიკური უფლებები პირველ რიგში მამაკაცებს ჰქონდათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის წამყვან ქვეყნებში პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, კერძოდ, კი საარჩევნო უფლებები ქალებმა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოიპოვეს.

საქართველოში მომქმედი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის „WomenAid international“-ის მონაცემების მიხედვით, XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შემდეგი სურათი გვაქვს:

**ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში** (პროცენტული შემდეგენლობა თითოეულ ჯგუფში დაკლავებულია სიდიდის მიხედვით):

- 40-50% ქალი პარლამენტარები ქვეყანაში – შვედეთი;
- 35-39,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – დანია, ფინეთი, ნორვეგია, ჰოლანდია;
- 30-34,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ისლანდია, გენმანია, ახალი ზელანდია, მოზამბიკი;
- 25-29,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – სამხრეთ აფრიკა, ბოსნია, კუბა, ავსტრია, არგენტინა, თურქმენეთი;
- 20-24,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ბელგია, ავსტრალია, ჩინეთი, ესპანეთი, ხორვატია;
- 15-19,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – კანადა, ინგლისი, ესტონეთი ლიტვა, ჩეხეთი;
- 10-14,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – სლოვაკეთი, პოლონეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, იტალია, საფრანგეთი, ბულგარეთი, ყაზახეთი სლოვენია;
- 5-9,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ყირგიზეთი, უნგრეთი, მონღოლეთი, უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი, საქართველო, საბერძნეთი, იაპონია;
- 3-4,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ბელორუსია, თურქეთი კორეა, ირანი, სომხეთი;
- 0,1-2,9% ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ეგვიპტე, ნიგერია;
- 0 % ქალი პარლამენტარები არიან შემდეგ ქვეყნებში – ქუვეითი, არაბთა ემირეტები.

გაეროს მონაცემებით, 2000 წლისათვის ქალები მსოფლიოს 190 ქვეყნიდან მხოლოდ 9 სახელმწიფოში არიან მეთაურები და მთავრობის თავმჯდომარეები:

ბანგლადეში, ფინეთი, ირლანდია, ლატვია, ახალი ზელანდია, პანამა, სან მარინო, შრი-



ლანკა. ამ სიას ბოლო დროს დაემატა საქართველო და უკრაინა.

*სტრუქტურებს დაევალებათ ინტერნეტის საშუალებით მოიპოვონ უახლესი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.*

ქალები მსოფლიოს 190 ქვეყნიდან სახელმწიფო მეთაურებისა და მთავრობის თავმჯდომარეების მოადგილეები არიან შემდეგ ქვეყნებში: ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, კოსტა-რიკა, ხორვატია, დანია, ფიჯი, ჰონდურასი, ინდონეზია, ირლანდია.

მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, ქალთა ხელისუფლებაში მონაწილეობის სურათი შემდეგია: სკანდინავიის ქვეყნები — 38,8%, ევროპის ქვეყნები (სკანდინავიის ქვეყნების ჩათვლით) — 15,2%, ამერიკა — 15,2%, აზია — 14,2%, ევროპის ქვეყნები (სკანდინავიის ქვეყნების გამოკლებით) — 13,4%, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები — 13,5%, აფრიკის საქარის სამხრეთით მდებარე ქვეყნები — 11,75, არაბეთის სახელმწიფოები — 3,5%.

ისევე, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციებში და სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში, მამაკაცებს აქვთ უფრო მეტი ძალაუფლება ბიზნესსა და წარმოებაში. ამერიკის შეერთებული შტატების მენეჯერების 39% ქალია, მაგრამ რაც უფრო ზემოთ იწვევს სამსახურეობრივი იერარქიული კიბე, მით უფრო ნაკლები ქალი გვხვდება. კომერციულ ორგანიზაციებში და მსხვილ კომპანიებში ხელმძღვანელ თანამდებობების მხოლოდ 1-2% უკავიათ ქალებს.

ჯეკობსის (Jacobs, 1992) გამოკვლევის მონაცემების მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1988 წელს შედარებით 1970 წელთან ქალთა რაოდენობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მკვეთრად გაიზარდა, კერძოდ, 18%-დან 40%-მდე. მაგრამ ამასთან, ქალი მენეჯერების ხელფასი და ავტორიტეტი კვლევაც უფრო დაბალია, ვიდრე იგივე თანამდებობებზე დასაქმებული მამაკაცი მენეჯერებისა.

ქალები, რომლებსაც უნდათ კარიერის გაკეთება ეჯახებიან ე.წ. „შუშის ჭერს“. ეს არის მეტაფორა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციათა უმრავლესობაში არსებობს ე.წ. უხილავი ჭერი, რომლის ზემოთაც ქალები და, აგრეთვე, არაევროპული წარმოშობის ამერიკელები, უბრალოდ ვერ ადიან. ლინ მარტინმა „შუშის ჭერი“ განსახლვრა, როგორც ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ორგანიზაციის შიგნით არსებულ ცრურწმენებზე. ეს საშუალებას არ აძლევს კვლავიფიციურ მუშაკებს ნაინიონ წინ სამსახურეობრივ კიბეზე და გაიკეთონ კარიერა. კვლავიფიციური სპეციალისტი ქალები და უმცირესობების წარმომადგენლები, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ამ უხილავი კიბის ქვეშ აღმოჩნდებიან, ხოლმე. მათ მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ ქვემოდან ადევნენ თვალი იმას, თუ როგორ მიიწვევენ წინ სხვა თანამშრომლები.

აფრიკოამერიკელი და ლათინოამერიკელი ქალები წარმომადგენენ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ ქალ მენეჯერთა მხოლოდ 4%-ს. ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფის ქალებისთვის არ თუ „შუშის“, არამედ — „ბეტონის ჭერია“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ორმაგი დისკრიმინაციის ქვეშ იმყოფებიან. ეს არის რასობრივი და სქესობრივი დისკრიმინაცია.

როგორც ზემოთ იყო განხილული, ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, ქალებს ეშინიათ მაღალი თანამდებობების, რადგან მათ ისინი ქალურობასთან შეუთავსებლად მიაჩნიათ და ამიტომ თვითონ ამბობენ უარს კარიერის გაკეთებაზე. მაგრამ 70-იანი და 80-იანი წლების შუა პერიოდში სოციალურმა ფსიქოლოგებმა საბოლოოდ უარყვეს ეს შეხედულება. ცხადი გახდა, რომ ქალის საზოგადოებაში დაბალი სტატუსის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ქალის პიროვნებაზე ცენტრირებული პოზიციიდან. კანტერის (Kanter, 1977) ნაშრომის გამოსვლით საფუძველი ჩაეყარა ახალ, სიტუაციაზე ცენტრირებულ მიდგომას. ეს მიდგომა ეურდნობოდა ისეთ ახსნებს, როგორიცაა დისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული პიროვნებები თუ ორგანიზაციები და საზოგადოებრივი სტერეოტიპები.

*საზოგადოების და სოციალური ინსტიტუტების გენდერული სტრატეგიკაციის უკეთ გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ზოგიერთი ფემინისტური შეხედულების*

განხილვა, კერძოდ, კი ჩვენ მოკლედ განვიხილავთ გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიას.

გენდერული სოციალური კონსტრუქციების მომხრეები ეჭვქვეშ აყენებენ იმ მოსაზრებას, რომ ყველაფერი სოციალური ბიოლოგიურზეა დასფუძნებული და ამიტომ ითვლება ბუნებრივად და ნორმალურად. ამ დებულებით ისინი აკრიტიკებენ იმ მიმართებებს, რომლებიც თანამედროვე სამყაროში დამკვიდრდა ბიოლოგიურ სქესსა და მათ სოციალურ რეპრეზენტაციებს, გენდერულ როლებსა და ფუნქციებს შორის.

სოციალური კონსტრუქტივიზმის ფემინისტი მიმდევრები აკრიტიკებენ, ერთის მხრივ, ე.წ. „სალი აზრის“ პოზიციას, მეორეს მხრივ, სოციოლოგიური თეორიის ძირითად მიმართულებას და მესამე — იმ ფემინისტურ მიმართულებებს, რომლებიც გენდერს განიხილავენ როგორც ბიოლოგიური სქესისგან კულტურის მიერ ნაწარმოებს.

„სალი აზრის“ პოზიციის კრიტიკისას, სოციალური კონსტრუქტივიზმის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ადამიანის ბუნება დუალისტურია, მასში ბუნებრივად ჩადებულია როგორც ქალური, ასევე — მამაკაცური. ამიტომ ქალებად და მამაკაცებად ხდებიან და არა — იზადებიან.

სოციალური კონსტრუქტივიზმის მომხრეები აკრიტიკებენ გენდერის შრომის განაწილებაზე და ცივილიზაციის განვითარებაზე აგებულ შეხედულებებს, რომელსაც ემილ დიურკეიმ ი ავითარებდა. ტალკოტ პარსონსის აზრით, სქესთა შორის ურთიერთობებში წამყვანია მათი ფუნქციონალური დატვირთვა. ამ შეხედულებამ როლების თეორიის ანუ სქესობრივ-როლური მიდგომის სახელი დაიმკვიდრა. ამ მოსაზრების მიხედვით, ქალი ასრულებს ექსპრესიულ როლს კაცი კი — ინსტრუმენტულს (იხ. მამაკაცისა და ქაის როლები ამერიკულ ოჯახში) ექსპრესიული როლი მდგომარეობს ზრუნვის გამოვლენაში, ოჯახის ემოციურ მხარდაჭერაში, სიყვარულში, ოჯახში დადებითი ემოციური კლიმატის შენარჩუნებაში. ეს არის დიასახლისის მონოპოლიური სოციალური როლი. რაც შეეხება ინსტრუმენტულ როლს, იგი მამაკაცის მონოპოლიაა და პირველ რიგში, ვლინდება თავის ოჯახსა და სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების უზრუნველყოფაში. ეს არის შემომტანისა და დამცველის სოციალური როლი. როლების ათვისება ქალებისა და მამაკაცების მხრიდან სოციალიზაციისა და სოციალური ნორმების ინტერიორიზაციის (გათავისების, გაშინაგების) პროცესში ხდება. როლის სწორი შესრულების უზრუნველყოფა ხდება დასჯისა და ნახალისების სოციალური სისტემების მუშაობით, დადებითი და უარყოფითი განმტკიცებით. გოფმანის (Goffman) დრამატურგიული ინტრასპექციონიზმი ითვლება გენდერული ურთიერთობების სოციალურ-კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაციის ამოსავლად. თუმცა კი, მისი შრომები გამსჭვალულია ესენციალისტური თეზისებით: სქესობრივი სხვაობები, რომლებიც სოციალური ურთიერთმიმართების დონეზე განიხილება, წარმოადგენენ ინდივიდების სქესობრივი არსის ბუნებრივ გამოვლინებას; „გენდერული თამაში“, თუმცა სოციალურად არის ორგანიზებული, მაგრამ იგი წარმოადგენს ბუნებრივი სქესის გამოვლინებას.

ამ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, 70-იანი წლების ფემინისტების ნაშრომებში გენდერული ურთიერთობები თავისუფლდება სქესით დეტერმინიზაციისაგან და შემდეგნაირად განისაზღვრება: გენდერული ურთიერთობები ეს არის ძალაუფლებისა და თანასწორობის სოციალურად ორგანიზებული ურთიერთობები. ამგვარად, სოციალური კონსტრუქტივიზმის ფარგლებში გენდერული ურთიერთობების ასეთი გაგება ჩამოყალიბდა. სოციალური კონსტრუქტივიზმი უარყოფს, როგორც უკვე ავლნიშნეთ, ადრეული ფემინიზმის ერთ-ერთ ამოსავალ დებულებას იმის შესახებ, რომ „ქალად იზადებიან“. ეს არის თეზისი, რომლის მიხედვითაც, გენდერი არის სქესზე (ბიოლოგიაზე) დაფუძნებული კულტურული კონსტრუქტი. ეს თეზისი გაბატონებული იყო ფემინისტებში 70-იან წლებამდე.

სოციალურ-კონსტრუქტივისტული ფემინისტური კრიტიკის ზეგავლენით, ეჭვ ქვეშ დგება გენდერის სქესით (ანატომიურად და ბიოლოგიურად) განსაზღვრულობა. საკითხი სხვაგვარი კუთხით განიხილება და აქედან გამომდინარე, გენდერიც ახლებურად ისაზღვრება: გენდერი წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან გაკონტროლებული ყოველდღიური ურთიერთმოქ-

მედების მიზეზსა და შედეგს.

ბიოლოგიური დეტერმინიზმი მიუღებელი ხდება ფემინისტებისათვის პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რადგან ფემინიზმი ორიენტირებულია სოციალურ ცვლილებებზე ანუ გენდერულად სტრატეგიციზირებული სისტემების ცვლილებებზე. ამდენად, მათთვის მიუღებელია ბიოლოგიური დეტერმინიზმი. ამგვარად, გენდერის სოციალურ კონსტრუქტივისტული თეორია მოიცავს პოლიტიკურ მოტივს და მიმართულია პოლიტიკურ შედეგზე. სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია სამ ძირითად თეორიას ეფუძნება. ეს არის ბერგერისა და ლუკმანის სოციალურ-კონსტრუქტიული მიდგომა, გარფინკელის ეთნომეთოდოლოგია და გოფმანის დრამატურგიული ინტრასპექციონიზმი.

*ჩვენ არ შევუდგებით ამ შეხედულებათა დეტალურ განხილვას. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის ძირითად დებულებებს.*

**გენდერი და ძალაუფლება.** გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი თეზისია ძალაუფლებითი ურთიერთობებში გენდერის ინკორპორირებულობის შესახებ. ამ დებულების მიხედვით, სოციალური რეალობის გენდერული ორგანიზების საფუძველს ძალაუფლებითი ურთიერთობები წარმოადგენს. მათ მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში ქალურსა და მამაკაცურს შორის მიმართება - ეს არის იმ განსხვავებების მიმართება, რომლებიც შესაძლებლობების უთანასწორობას წარმოადგენს. ურთიერთობათა ასიმეტრია შეფარულია გენდერული დისპლით, რომელიც გენდერულ დისკრიმინაციას გენდერულ სხვაობებად წარმოგვიდგენს. გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის შეხედულება უარს ამბობს სოციალურ-სქესობრივი ურთიერთობების ადრე არსებულ ორ შეხედულებაზე: სოციალური როლების (გენდერული როლების) კონცეფციაზე და ფსიქოლოგიური სქესობრივი სხვაობების კონცეფციაზე. კონსტრუქტივისტების მიხედვით, გენდერი არ შეიძლება მოვიაზროთ, როგორც სოციალური როლი. გენდერი საბაზო იდენტობაა. ამ თვალსაზრისით, გენდერი არის ეთნიკურობის მსგავსი კატეგორია, რადგან იგი ასევე აპირობებს იმ კონსტრუქტს, რომელსაც იძენენ კონკრეტული როლები პიროვნებისა თუ სოციალური ჯგუფებისათვის. გენდერის დაყვანა ფსიქოლოგიურ ნიშნებზე (მასკულიზმზე ან ფემინიზმზე) არ შეიძლება. გენდერის ფსიქოლოგიზაცია, გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის წარმომადგენლების მოხედვით, ხელს უშლის იმის ანალიზს, თუ როგორ ხდება, რომ სოციალური ინსტიტუტები გენდერულად სტრატეგიციზირებულნი ხდებიან. გენდერული ურთიერთობები, როგორც სქესის მიხედვით უთანასწორობის სოციალური ურთიერთობები ჩაზრდილია სოციალური წყობაში ისეთნირად, რომ ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიწერა წარმოადგენს ამ ურთიერთობათა მხოლოდ ერთ ასპექტს. ამგვარად, გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის მოხედვით, გენდერი - ეს არ არის არც როლი და არც ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. გენდერული ურთიერთობების საფუძველს ძალაუფლებითი ურთიერთობები წარმოადგენენ და ამიტომ — ეს არის სტრატეგიკაციის საფუძველი. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის წარმომადგენლები მიზნად ისახავენ კონკრეტულ ამოცანებს გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

*საღიქვით თემის უკეთ გაზრების მიზნით, გამოყენებული იქნება როლური თამაშის მეთოდი. კერძოდ, თავდაპირველად ჯგუფის თითოეული წევრი პატარა ბარათებზე ცალ-ცალკე ჩამოწერს დღევანდელ საქართველოში ქალებისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილ მოვალეობებს ოჯახსა და საზოგადოებაში. შემდეგ ჯგუფიდან ამოირჩევა სტუდენტი გოგონა და ვაჟი, რომლებიც გამოვლენ ოთახის ცენტრში. თითოეული სტუდენტი ნაიკითხავს ყოველ მოვალეობას რიგრიგობით და სქესის შესაბამისად გადასცემს გამოსულ სტუდენტს ბარათს და ამ მიზნით წინასწარ მომზადებულ ტვირთს (სავარაუდოდ წიგნს). საბოლოო ჯამში ჯგუფი დაინახავს, თუ რამდენი მოვალეობა აქვს ჩვენს საზოგადოებასი ქალს და რამდენი მამაკაცს, როგორია მათი თანაფარდობა. სტუდენტებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რატომ არის ასეთი*

უთანასწორობა და რა გზით შეიძლება მისი გამოსწორება. ეს თამაში ამავე დროს საფუძველს მოამზადებს შემდეგი თემის უკეთ გააზრებისათვის.

სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის სავალდებულო სამეცნიერო ლიტერატურაში (რიდერში) წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები.

ლექციის ბოლოს სტუდენტებს მიენოდებათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:

**სამართლიანობის თეორია (Adams)** — ჩვენ გარკვეულ ძალისხმევას (დროს, ენერგიას, კვალიფიკაციას, უნარებს და ა.შ.) ვდებთ ჩვენს სამუშაოში და ვიღებთ გარკვეულ ანაზღაურებას., იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია ეს უკანასკნელი, ჩვენ ვადარებთ ჩვენს მიერ ჩადებული ძალისხმევისა და ანაზღაურების მიმართებას „შესადარებელი ჯგუფის“ მიერ ჩადებულ ძალისხმევისა და მის ანაზღაურებას შორის მიმართებას.

**„შუშის ჭერი“** — ეს არის მეტაფორა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციათა უმრავლესობაში არსებობს ე.წ. უხილავი ჭერი, რომლის ზემოთაც ქალები და აგრეთვე, არაევროპული წარმოშობის ამერიკელები, უბრალოდ ვერ ადიან.

**გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმი** — ფემინისტური თეორია, რომლის მიხედვითაც გენდერი არ არის ბიოლოგიურად დეტერმინირებული, არამედ იგი სოციალურად კონსტრუირებულია ძალაუფლების ასიმერტიული გადანაწილების გამო.

**გენდერული ურთიერთობები** (გენდერის სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით) — ეს არის ძალაუფლებისა და თანასწორობის სოციალურად ორგანიზებული ურთიერთობები.

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. Crawford M., Unger R., Women and Gender. A feminist Psychology, The McGraw-hill, 2004, p.: 359-395;
2. Judith Lorber, Paradoxes of Gender, Yale University Press, 1994, p.: 194-224;
3. Women 2000: Gender Equality, Development and Peace for the 21st Century, "Beijing+5" (2000) - 23rd Special Session of the General Assembly, New York, 5-9 June 2000 – [www.un.org/womenwatch/](http://www.un.org/womenwatch/)
4. საპირო ვ. ქალი და პოლიტიკა, - კრ.-ში „ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1998, გვ.: 40-75.

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Fourth World Conference on Women (1995) -Beijing, China, 4-15 September 1995 — [www.un.org/womenwatch/](http://www.un.org/womenwatch/)
2. ქალთა დასაქმების საკითხები, კრ., გაეროს განვითარების პროგრამა "ქალები განვითარების პროცესში", თბ., 1998;
3. Women, Economic Development and Conflict, UNDP "Women in Development", Tbilisi, 1998;
4. Barbara Reskin, Irene Padavic, Women and Men at Work, Pine Forge Press, 1994, p.: 1-13, 57-79
5. Superwomen and The Double Burden (Women's experience of change in central and eastern Europe and the former Soviet Union ), edited by Cris Corrin, Scavlet Press, 1992, p.: 1-179
6. Families in Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby, Suzanna Smith, The Guilford Press, 1992, c.: 11
7. Women, Economic Development and Conflict, UNDP "Women in Development", Tbilisi, 1998.

#### **სემინარი № 6**

##### **თემა № 6 (2 სთ)**

სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეს პრეზენტაცია; სემინარზე გაიმართება დისკუსია ძირითად საკითხთა გარშემო. კერძოდ დასმული იქნება შემდეგი ტიპის

კითხვები:

1. რას ნიშნავს გენდერული სტრატეგიკაცია?
2. დაასახელეთ გენდერული სტრატეგიკაციის პატერნები. შეადარეთ ისინი ერთმანეთს.
3. როგორია გენდერული სტრატეგიკაციის პატერნების მიმართულეობა სხვადასხვა კულტურებში?
4. რა ფაქტორები განსაზღვრავს საზოგადოების გენდერულ სტრატეგიკაციას?
5. როგორია შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები?
6. როგორია ქალთა მონაწილეობის ხარისხი პოლიტიკაში?
7. როგორ და რა სფეროებში ვლინდება განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა უფლებებში?
8. რა არის გენდერული სოციალური კონსტრუქტივიზმის არსი?
9. რა თეორიულმა და პოლიტიკურმა წინამძღვრებმა განსაზღვრა გენდერული სოციალური კონსტრუქტივიზმის აღმოცენება?
10. როგორ არის გაგებული გენდერული სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიაში გენდერი?

**თემა №7 - გენდერული ასიმეტრია: დისკრიმინაცია თუ ნორმა.  
გენდერული თანასწორობის ცნება.  
კულტურა და გენდერული თანასწორობის მოძღვრება.**

*ლექციაზე განხილული იქნება გენდერული ასიმეტრიის წარმოშობის მოკლე ისტორია. საკითხი განხილული იქნება როგორც რელიგიურ ქრილში, ასევე, ანტიკური ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისითაც. კერძოდ, განხილული იქნება პლატონისა და არისტოტელეს მოსაზრებები ქალისა და მამაკაცის ფუნქციებზე და როლებზე საზოგადოებაში. განხილული იქნება გენდერული თანასწორობის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა, გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვანი ამოცანები და ღონისძიებები. განხილული იქნება, აგრეთვე, Gender Mainstreaming –ი და მისი განხორციელების მოდელები სხვადასხვა ქვეყნებში.*

მთლიანობაში თუ მოვიაზრებთ ყველა იმ შესაძლო მიზეზებს, რომელიც განაპირობებს ქალის დაბალ სტატუსს, მათი საკმაოდ ფართო სპექტრი არსებობს: საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამჯდარი სტერეოტიპები ქალის ტრადიციული როლის და მართვის უნარების უქონლობის შესახებ, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებული ნორმები, რომლის მიხედვით მამაკაცს ენიჭება უპირატესობა. თვითონ ქალებში არსებული განწყობები, დაბალი სტატუსის მოლოდინი და მიმღებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალის დაბალი სტატუსი ზოგადი ტენდენცია ყველა კულტურისთვის საერთოა, კულტურათა შორის არსებული ვარიაციები მაინც საკმაოდ მრავალფეროვანია და დამოკიდებულია: საზოგადოების კულტურის და განათლების დონეზე.

ჩვენ პატრიარქალურ სამყაროში ვცხოვრობთ და ჩვენი ცნობიერებაც ამის შესაბამისია. ჯარი, ინდუსტრია, ტექნოლოგია, უნივერსიტეტები, მეცნიერება, პოლიტიკური დაწესებულებები, ფინანსები, მაშასადამე, ყველაფერი რაც ძალაუფლებას უკავშირდება მამაკაცთა ხელშია. ამ ფენომენის აღსანიშნავად XX საუკუნეში ჩნდება ახალი ცნებაც – ანდროცენტრიზმი. როგორც შარლოტ პერკინს გილმანი ამბობს: „მამაკაცის შექმნილი სამყარო, ანუ ჩვენი ანდროცენტრული კულტურა“. ამ კულტურის თანახმად, კი მამაკაცი განასახიერებს კაცობრიობას, ქალი კი ერთგვარი დამატებაა, მამაკაცს დაქვემდებარებული დამხმარეა.

ანდროცენტრიზმს და შესაბამისად ქალის დისკრიმინაციას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა კაცობრიობისთვის ეს ეთგვარი „ნორმა“ იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე თითქოს მთელი მსოფლიო და მათ შორის ამერიკელებიც, თავისუფლების ფლამგმანები – თითქოს ვერ ამჩნევდნ განსვლას თავისუფლების იდეალის ერთგულებასა და ქალთა უფლებების უარყოფს (დისკრიმინაციას) შორის. ამაზე მათ თვალეები ფემინისტური მოძრაობის პირველმა ტალღამ აუხილა.

60-იანი წლების ფემინიზმის მეორე ტალღამ წინ წამოწია „სექსიზმის“ სოციალური ცნობიერება ყველა იმ იდეოლოგიურ და პრაქტიკულ სფეროში, სადაც დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე ხდებოდა. ფემინისტებმა ნათელი გახადეს, რომ ქალისთვის ნაკლები სამუშაოს, (თანაც, დაბალი სტატუსის მქონე) მიეცემა და ნაკლები ანაზღაურება, სწორედაც რომ დისკრიმინაცია იყო, რომელიც მხოლოდ დრომოჭმულ კულტურულ სტერეოტიპებს ეფუძნებოდა. (ამის შემდეგ თვით რეაქციულმა პოლიტიკოსებმაც კი დაუჭირეს მხარი თანაბარი ხელფასის იდეას).

მაგრამ ბოლო პერიოდში საზოგადოებაში და ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად აღმოჩნდა, რომ სქესისა და გენდერის შესახებ არსებული სტერეოტიპული შეხედულებები ძალიან ფართოდ იყო გამჯდარი როგორც ადამიანის ფსიქიკაში, ასევე

სოციალურ ინსტიტუტებში, რაც მამაკაცთა ძალაუფლების მუდმივ კვლავნარმოებას იწვევდა.

„ანდროცენტრიზმს“ თავისი დიდი ისტორია აქვს, ის მაშინ იწყება, როცა დაიწყო ქალ-ღმერთის მამრობითი ღმერთით შეცვლის პროცესი და შესაბამისად ქალის არასრულფასოვან და მაცდურ არსებად გამოცხადება. მანამდე კი იყო ხანა, სადაც ადიდებდნენ „ზეციურ დიად დედოფალს“, მემკვიდრეობა ქალის ხაზით გადაეცემოდა თაობიდან თაობას, კაცი არ აკონტროლებდა ქალს; სუფევდა მატრიარქატი. მესოპოტამიური წყაროები სავსეა დიად ქალღმერთზე მითითებებით. შუმერული ლოცვები ადიდებენ დიდებულ დედოფალს – ნანას, როგორც ძღვევამოსილ ქალბატონსა და შემოქმედს.

ქალღმერთის ძალაუფლებას ყველაზე ძლიერად დაუპირისპირდა იუდაიზმი, მამა-ღმერთის იდეით. ეს იყო მე-17 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა აბრაამმა იაჰვესთან „ხელშეკრულება“ დადო. ასე დაიწყო მთელს ახლო აღმოსავლეთში ქალღმერთის მამრობითი ღმერთით შეცვლის პროცესი. ცნობიერებაში დამკვიდრდა მამრობითი სქესის ღმერთის – შესაბამისად კი სრულფასოვანი მამაკაცის და არასრულფასოვანი ქალის სტერეოტიპი, რომელიც აცდუნებს მამაკაცს, რომ ჭეშმარიტი გზიდან გადაახვევინოს.

ქალღმერთის სრული უარყოფისთვის ებრაელებმა სამყაროს შექმნის ახლებული ვერსია წამოაყენეს, რომელიც განსხვავდებოდა აღმოსავლური ვერსიებისაგან, სადაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა მდებრობით და მამრობით ღვთაებებს შორის მიმდინარეობს. იაჰვეს მიმდევრები საერთოდ უარყოფდნენ სხვა ღმერთების არსებობას და ყველა დიად საქმეს მხოლოდ იაჰვეს მიანერდნენ (სამყაროს შექმნას). ამრიგად ქალღმერთის სრული უარყოფა ხდებოდა.

ამის შემდეგ კი მამაკაცი, როგორც სამყაროს შემოქმედი და მისი შთამომავალი, საზღვრავს ქალთან, როგორც „სხვასთან“ დამოკიდებულებასა და ურთიერთობას.

ანდროცენტრული თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს მამაკაცის ქალთან დამოკიდებულების სამი ასპექტი: 1) ქალი, როგორც არასრულფასოვანი უნივერსალურ სტანდარტთან მიმართებაში, რომელთანაც მამაკაცს საკუთარი თავი აქვს იდენტიფიცირებული. 2) ქალს მხოლოდ საოჯახო და რეპროდუქციული ფუნქციები აქვს ოჯახში, რომლის უფროსადაც მამაკაცი საკუთარ თავს მიიჩნევს. 3) ქალს აქვს უნარი აღძრას და დააკმაყოფილოს მამაკაცის სექსუალური მადა, რომელიც მამაკაცისთვის ერთდროულად ამაღელვებელიცაა და საშიშიც.

ეს იდეები წარმოდგენილია სამყაროს შექმნის ბიბლიურ ვერსიაშიც. მაგალითად, ადამს უფლისგან მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ სახელი მიანიჭოს ყოველ ქმნილებას, მათ შორის ქალსაც; ამასთან ღმერთის ხატად მხოლოდ ადამი არის შექმნილი. „ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. იმ ნეკნისაგან, ადამს, რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი; დედაკაცი ერქვას მას, რადგან კაცისაგან არის გამოღებული“. (დაბადება 2:18-23).

ამრიგად, ბიბლიის მიხედვით, ევა არის არასრულფასოვანი, მეორადი ქმნილება, მამაკაცის დამხმარედ შექმნილი. ის არ არის „სახელების დამრქმევი“.

ქალის არასრულფასოვნებაზე მიუთითებს ცოდვით დაცემის ისტორიაც. ლ გველმა იმიტომ დაიყოლია ევა. გაასინჯა აკრძალული ხის ნაყოფი, რომ იგი არასრულფასოვან არსებად და ღმერთთან ნაკლებად დაახლოებულად ჩათვალა.

ცოდვით დაცემის ამბავში, აგრეთვე, კარგად ჩანს ქალის მაცდური ბუნება; როცა ევა დაითანხმებს ადამს გააკეთოს ის, რაც მას უფალმა აუკრძალა. საუკუნეების მანძილზე ინტერპრეტატორები ადამის ცოდვას ევას მაცდურობას მიანერდნენ.

და ბოლოს, ბიბლიაში მოთხრობლია იმ სასჯელის შესახებაც, რომელსაც ქალი იღებს რეპროდუქციული და ოჯახური ფუნქციის შესრულებით. ქალი ისედაც მამაკაცის დამხმარედ იყო შექმნილი, მაგრამ ცოდვის დაცემის შემდგომ კიდევ უფრო დაქვემდებარებული და ტანჯული გახდა. ღმერთმა უთხრა დედაკაცს: „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ

ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“.

ქალის არასრულფასოვნად, მეორეხარისხოვნად შეფასების ტენდენცია გრძელდება და ღრმავდება ქრისტიანობაშიც. ქრისტიანები, რომლებიც ებრაელთა ღმერთს – იაჰვეს – ქრისტეს მამად მიიჩნევდნენ, და შესაბამისად მონოთეიზმს და ღმერთის მამრობითობა აღიარებდნენ. არანაკლები მონდომებით ცდილობდნენ ბიბლიიდან და ახალი აღთქმიდან ქალის ღვთაებრიობის ნიშანწყალის აღმოფხვრას. ქრისტიანები კატეგორიულად დაუპირისპირდნენ გნოსტიკოსების შეხედულებებს, რომელთა აზრით, ბიბლიის დაბადების ტექსტში არსებული მუხლის „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი; მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგი“ (დაბადება 1:27) – ინტერპრეტირება საშუალებას იძლევა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის და შესაბამისად თანასოფლებიანობის აღიარებისა. ორთოდოქსმა ქრისტიანებმა კატეგორიული მიუღებლობა გამოუცხადეს გნოსტიკოსთა შეხედულებებს, მათი აზრები ერეტიკულად გამოაცხადეს და შემდეგომ გნოსტიკოსთა ტექსტები საერთოდ გაანადგურეს.

ბიბლიური ისტორია მთელი დასავლური ცივილიზაციისთვის ქალის შესახებ კონცეფციის საფუძველს ქმნის. მაგრამ ამ კონცეფციის ჩამოყალიბებაში დასავლური აზროვნება არა მხოლოდ ბიბლიურ ისტორიას ეყრდნობოდა, არამედ ანტიკურ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ტრადიციებსაც, რომლებიც სათავეს ძველ საბერძნეთში იღებენ.

ისტორიკოსები ანტიკური ხანის ბერძნებს დასავლური ცივილიზაციის დამფუძნებლად მიიჩნევენ. მათ შექმნეს პიროვნული თავისუფლებისა და სამართლიანობის ტრადიციები, მათი ხელოვნება და მეცნიერება დასავლურის ფუნდამენტია, მაგრამ ამ დადებითი წვლილის გარდა მათვე შექმნეს მიზოგინიის (ქალთმომძულეობის) ტრადიციაც, რომელიც შემდგომში დასავლური ქალის კონცეფციის განმსაზღვრელი გახდა.

ძალზე მნიშვნელოვანია პლატონის და არისტოტელეს აზრები და განსაზღვრებები ქალის ბუნების შესახებ. მათი შეხედულებები ძალიან ახლოსაა იუდეურ და ქრისტიანულ შეხედულებებთან, თუმცა პლატონის და არისტოტელეს თხზულებებში ქალი არ იყო განხილული, როგორც მაცდუნებელი და ქალის სექსუალობა მათთვის ანგარიშგასაწივეი ფენომენი არ იყო.

პლატონის აზრით, ადამიანის ბუნება ორი სახისაა, სადაც მამაკაცები „უპირატესი რასაა“. თავდაპირველი შექმნა, საერთოდ არ შეიცავდა ქალებს. შეიქმნენ მხოლოდ მამაკაცები, რომელთა სულები ცალკეულვარსკვლავებთან იყვნენ დაკავშირებულნი და ვინ ამ ქვეყნად წესიერად ცხოვრობდა, ისევ თავის ვარსკვლავზე ბრუნდებოდა დალოცვილი და არაჩვეულებრივი ცხოვრებისთვის. ცოდვილი მამაკაცები კი, მეორედ დაბადებისას ქალად ევლინებოდნენ სამყაროს და თუ ამ სახითაც ვერ შეიკავებდნენ თავს ბოროტებისგან, შემდგომში უკვე საზარელ არსებებად გადაიქცეოდნენ. შექმნის ამ მითის თანახმად ქალი მამაკაცისგან არის წარმოქმნილი, ისევე, როგორც ბიბლიაში და მეტიც, ქალი შექმნილია ცოდვილი, მხდალი და უღირსი მამაკაცისაგან. ის კი, ვინც ქალად ყოფნისასაც აგრძელებდა უღირს ცხოვრებას, მდებალ მანკიერ ცხოველად იქცეოდა ხელახალი დაბადებისას.

პლატონმა, როგორც სოციალურმა ვიზიონერმა, ორი ქალაქის აღწერილობაც მოგვცა: იდეალური ქალაქი – სადაც მთელ საკუთრებას ერთად ფლობს „მცველების“ ელიტარული ჯგუფი, რომელთაც არ ამოძავეს პირადი ინტერესები და მეორე იდეალური ქალაქი – სადაც საკუთრება არ არის საერთო. პლატონის პირველ იდეალურ ქალაქში ანუ საზოგადოებაში იყო ყოველგვარი კერძო – ოჯახიც, შვილიც და ცოლიც.

პლატონის იდეალურ საზოგადოებაში ქალს უჩვეულო როლი ენიჭებოდა; მას ისევე უნდა შეესრულებინა „მცველის“ როლი, როგორც მამაკაცს. ამისთვის კი ისინი უნდა გადაემზადებინათ, თუმცა ამის მიუხედავად, ქალი, სავარაუდოდ, მაინც უარესად შეასრულებდა ამ როლს, რადგან არ ფლობდა, იმ უმაღლეს თვისებებს, რასაც – მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ ისეთი ხედვით ქალის ერთმეოდა სექსუალური ატრიბუტიკა.

ძველი ბერძნების განმარტებაში ქალს ტრადიციული ანდროცენტრული ელემენტებიდან ერთი აკლია, ეს არის ქალი, როგორც სექსუალური, საშიში არსება – მაცდური. ხოლო



პლატონის მიერ კერძო ოჯახის იდეის უარყოფით (კერძო ცოლის, შვილის) ქალმა დაკარგა კიდევ ერთი ტრადიციული ელემენტი – ქალი, როგორც დაქვემდებარებული პატრიარქალურ ოჯახში.

მაგრამ პლატონის მეორე იდეალურ ოჯახში ქალის დაქვემდებარებულობა და მეტიც დისკრიმინაცია კვლავ გამოჩნდა. აქ ქალები მოკლებულნი არიან ძირითად სამოქალაქო და კანონიერ უფლებებს, მათ შორის: საკუთრების უფლებას, მემკვიდრეობის უფლებას და სასამართლოში მონაწილეობის უფლებას. მათ მხოლოდ ყოველდღიური, რუტინული სამუშაოს შესრულება უნევთ – საოჯახო საქმე, ბავშვების მროვლა და მეთვალყურეობა – ბავშვების აღზრდა განათლებაზე ზრუნვაც კი არ შედის მათ ფუნქციებში, რადგან ეს ფუნქციები, როგორც ინტელექტუალური და პრიორიტეტული, მამაკაცებს ეკუთვნის.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ პლატონი პირველი იდეალური ქალაქის შესახებ მსჯელობისას, მაინც უშვებს ქალისა და მამაკაცის გათანაბრების შესაძლებლობას, არისტოტელე ამ შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავს.

არისტოტელესთვის სამყარო ერთიანი სტრუქტურაა, სადაც შემადგენელი ნაწილები იერარქიულად არის ორგანიზებული, მხოლოდ საუკეთესოსა და უპირატესს აქვს რაციონალური არსებობის პრინციპი, ხოლო ყველა დანარჩენი მისი ხელშეწყობის ფუნქციას ასრულებს. ასევეა ქალისა და მამაკაცის მიმართებაშიც. მამაკაცი იერარქიის სათავეშია, როგორც სრულყოფილი და უნარიანი, ხოლო ქალი, როგორც ბუნებრივი ნაკლის მქონე თავისზე „უპირატესის“ სასარგებლოდ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბერძნების დაშვებები იმის შესახებ, რომ ბუნებრივი განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის ამართლებს პოლიტიკურ უთანასწორობას შეუთავსებელი იყო ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ენასთან, მათ მაინც შეაღწიეს განმანათლებელი თეორეტიკოსების ნაშრომებში და, აგრეთვე, თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციებშიც. (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატების კონსტიტუციაშიც ყველაზე ძირითად უფლებას – ხმის უფლებას – ფერადკანიანებთან ერთად მოკლებული იყვნენ ქალებიც.

ჟან-ჟაკ რუსო მგზნებარედ გამოდიოდა ყოველგვარი პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ, მან ბუნებრივი განსხვავებების და პოლიტიკური უთანასწორობის გამო ძველი ბერძნების სანინააღმდეგო აზრი გამოთქვა, მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ მამაკაცებს და ქალების შესახებ მას სიტყვაც არ დაუძრავს.

თუკი ეს ფილოსოფიური და რელიგიური იდეები განაპირობებდნენ ათასი წლის წინანდელ ანდროცენტრიზმს, არსებობს იდეებიც, რომლებიც უახლეს, თანამედროვე ანდროცენტრიზმს დაედო საფუძვლად. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ანდროცენტრიზმის ასი წლის წინანდელი გამოცდილება, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა ძველი სტერეოტიპები. მან, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განაპირობა ადამიანური ბუნების გაგება დასავლურ კულტურაში და თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ქალის თანამედროვე კონცეფციის ძირითად ქვაკუთხედად. – ეს არის ზიგმუნდ ფროიდის შეხედულებები ქალისა და მამაკაცის შესახებ.

თუკი იუდაისტების და ქრისტიანების თანახმად, მამაკაცებს და ქალებს ღმერთმა მიანიჭა თავიდანვე განსხვავებული ბუნება, თუ ბერძენი ფილოსოფოსების თანახმად, სქესთა შორის განსხვავებები ბუნებამ განაპირობა, ზ. ფროიდის თეორიის თანახმად (როგორც ზემოთ დავინახეთ), მამაკაცებსა და ქალებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებები, განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა.

ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესში, გარკვეული ეტაპების გავთლით მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული ხასიათის შტრიხები უყალიბდებათ, სადაც მამაკაცების და ქალების ფსიქოლოგიური პორტრეტები მკვეთრად ასიმეტრიულია, ხოლო ქალის პორტრეტი საკმაოდ და მეორეხარისხოვანი არასრულფაყსოვანი მაგალითად: მამაკაცი – დომინანტური, აქტიური, მამაცი, გონიერი და ა.შ. ქალი კი – პასიური, ეჭვიანი, ნარცისული, ცრუმორწმუნე და ა.შ.

მიუხედავად კერძო და საზოგადოებრივ ცნობიერების ასეთი ხანგრძლივი განპირობებულობისა, ბოლო დროს საზოგადოებაში იცვლება განწყობები გენდერული თანასწორობის იდეის

სასარგებლოდ (ქალის საზოგადოებრივი სტატუსის გაზრდისა და გამყარების მომხრეთა რიცხვი რომ საგრძნობლად გაიზარდა, ამაზე მეტყველებს ოსკამპის (Oskamp, 1991) კვლევებიც. ამ კვლევების მიხედვით, ქალის პრეზიდენტობის კანდიდატურას 1937 წელს – 33% – უჭერდა მხარს 1987 წელს კი – 82%).

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გახშირდა და გაძლიერდა ქალის უფლებებისთვის ბრძოლა და ქალებს სტატუსის გაუმჯობესების ღონისძიებები (კონფერენციები, სემინარები, აქციები, პროგრამები და სხვ.) – ეს იმ პროცესის შედეგს წარმოადგენენ, რასაც ფემინისტურმა მოძრაობებმა დაუდეს სათავე.

გაეროს ეგიდით ქალთა კონფერენციები ჩატარდა: მეხიკოში (1975), კოპენჰაგენში (1980) და ნაირობიში (1985). ამ კონფერენციებზე მოხდა ქალის სტატუსის შეფასება და ქალთა განვითარების და წინსვლის სტრატეგიების დასახვა. 80–90–იან წლებში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა ქალებმა წამოიწიეს ადამიანის უფლებათა საკითხი და დაჟინებით მოითხოვეს ადამიანის უფლებების კორექცია და ქალის უფლებების, ინტეგრაცია;

ადამიანის უფლებების განხილვა შეიცავდა იმ ორმაგი სტანდარტების ანალიზსაც, რომელიც ადამიანის უფლებებსა და ქალის ცხოვრების რეალობას შორის არსებობს. ქალებმა ფართო საზოგადოებას დაანახვეს, რომ ადამიანის უფლებების განხორციელებას გენდერული ელფერი დაჰკრავს და, აგრეთვე, მოითხოვეს, რომ ადამიანების უფლებების სტრუქტურა სრულფასოვნად ითვალისწინებდეს კაცობრიობის მეორე ნახევრის – ქალების გამოცდილებას.

ქალის ადამიანის უფლებების მოხმობით ქალი უარყოფს ადამიანის უფლებების ისეთ იერარქიას, სადაც პოლიტიკური და მოქალაქის უფლებები ან სოციალურ–ეკონომიკური უფლებები განიხილება, როგორც უპირატესი. ამის საპირისპიროდ, ქალები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური სტაბილობა არ განხორციელდება მანამ, სანამ არ მოგვარდება ქალის სოციალური და ეკონომიკური უფლებების საკითხი; მდგრადი განვითარება შეუძლებელია პოლიტიკურ პროცესებში ქალის კულტურული და სოციალური როლის ჩართვისა და მის მიმართ პატივისცემის გარეშე. თანასწორობა ვერ დამყარდება ეკონომიკური სამართლიანობის და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალის მონაწილეობის გარეშე.

მთელი მსოფლიოს ქალები ხანგრძლივი დროის გრანმავლობაში ცდილობდნენ ყურადღების ცენტრში დაეყენებინათ ქალთა დისკრიმინაციის საკითხი; აგრეთვე, აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ აქვს ქალის უფლებებს ადამიანის უფლებების მიმართ დამხმარე სტატუსი. ამ მცდელობამ 90–იანი წლების დასაწყისში გარკვეული წინსვლა განიცადა.

1993 წელს ვენაში გამართული გაეროს საერთაშორისო კონფერენცია ადამიანის უფლებების შესახებ, გადაიქცა ქალთა მიერ შემუშავებული ადამიანის უფლებების ახალი ხედვისა და პრაქტიკის გატარების საშუალებად. ამ კონფერენციაზე ქალთა უფლებების საერთაშორისო კამპანიამ გაიტანა პეტიცია, რომელიც მსოფლიო კონფერენციას მოუწოდებდა ყველა დონეზე გაეთვალისწინებინა ქალის ადამიანის უფლებები და ელიარებინა გენდერული ძალადობა, როგორც საყოველთაო ფენომენი (თუმცა კი ყველა კულტურაში სპეციფიკური ფორმით გამოვლენილი). ქალებმა გააგრძელეს ამ საკითხის ლობირება და 1994 წელს კაიროში გაერთიანებული ერების კონფერენციაზე გამორჩეულად აღიარებული იქნა ქალთა რეპროდუქციული უფლებები. 1995 წელს პეკინში კი, ქალთა მსოფლიო კონფერენციაზე შეიმუშავეს მოქმედების პლატფორმა. ამით ნიშანი მიეცა ქალთა უფლებების ადამიანის უფლებებად ოფიციალურ აღიარებას. მართალია ამ კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებებს იურიდიული ძალა არა აქვს; თუმცა მათ ნამდვილად აქვთ ეთიკური და პოლიტიკური წონა.

ყველა ეს მცდელობა მიმართულია ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის დასამყარებლად. სქესთა შორის თანასწორობაში კი იგულისხმება: თანაბარი მდგომარეობა (სოციალური), დამოუკიდებლობა, საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი მონაწილეობა და პასუხისმგებლობა.

თანასწორობის ცნება გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ყოვლისმომცველი მონაწილეობის პრინციპს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძველად (ზოგჯერ ეხლაც, თანამედროვე დროშიც,

ვხვდებით ხოლმე ასეთ ვითარებას) ევროპაში სქესთა თანასწორობა განისაზღვრებოდა მამაკაცებისა და ქალების დეიურე უფლებებით აღჭურვილად. ჩვენს დროში აღიარებულია, რომ დეიურე უფლებებს აუცილებლად არ მივყევართ დეფაქტო ვითარებისაკენ. რეალურად მამაკაცისა და ქალის ცხოვრების პირობები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამგვარად, თანამედროვე განსაზღვრებით, გენდერული თანასწორობა ან სქესთა თანასწორობა – ეს არის თანასწორობა კანონის წინაშე, შესაძლებლობათა თანასწორობა, რომელიც მოიცავს ადამიანური კაპიტალისა და წარმოების სხვა რესურსების თანასწორ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე, თანასწორობას შრომის ანაზღაურებაში და ინტერესების გამოხატვის და გადანყვეტილების მიღების თანასწორობას.

სქესთა თანასწორობა არ ნიშნავს ურთიერთდამსგავსებასა და იდენტურობას. თანასწორობა არც მამაკაცისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის ნორმად დამკვიდრებას გულისხმობს. თანასწორობის არსის გარკვევაში მთავარი მნიშვნელობა ორ ასპექტს აქვს: სქესის სოციალურ სტრუქტურას და სქესთა შორის ურთიერთობებს.

ქალისა და მამაკაცის გენდერად, სოციალურ სქესად დაყოფა ქალისა და მამაკაცის სოციალური იდენტიფიკაციის აღმოცენების დროიდან მომდინარეობს. გენდერი, რომელიც ბიოლოგიური სქესის სოციალური ანაბეჭდია და განპირობებულია საზოგადოებაში თითოეული სქესის დამახასიათებელი ფუნქციებისა და როლების განაწილებაზე. ეს განაწილება, რომელსაც პირველ რიგში კულტურული ხასიათი აქვს, ვარირებს (ცვალებადობას განიცდის) დროისა და ადგილის შესაბამისად. ასეთი სახით განსაზღვრულ გენდერის სტრუქტურას აქვს ინდივიდუალური და სოციალური განზომილება. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ფაქტორი ერთნაირად მნიშვნელოვანია.

თავიანთი სიცოცხლის (ცხოველქმედების) განმავლობაში მანძილზე ადამიანები ინდივიდუალურად აყალიბებენ სქესობრივ როლებს და ნორმებს, მაგრამ, ამავე დროს, გენდერი, აგრეთვე, პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ პლანში უნდა განიხილებოდეს. პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები პირველხარისხოვან როლის თამაშობენ ცხოვრების პირობების მოდელირებაში და ხშირად განაპირობებენ ამა თუ იმ სქესის სტატუსის ძალაში დარჩენას, რომელიც დადგენილია მოცემი საზოგადოების პირობებში. დისკრიმინაციის ხანგრძლივი ისტორია (ამა თუ იმ სქესის მიმართ) უხილავად და უნებლიედ ახდენს ზემოქმედებას ადამიანთა ყოველდღიურ ქცევებსა და გადანყვეტილებებზე.

რადგან ტრადიციულად აღიარებულია, რომ ჩვენი საზოგადოების ღერძი მამაკაცურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმა, რომელიც მამაკაცებისთვის არის მიღებული, ნორმაა მთელი საზოგადოებისთვის, რაც აისახება საზოგადოების სტრუქტურაში და პოლიტიკურ გადანყვეტილებებში, და რაც ხშირად, თუმცა არა აუცილებლად განზრახულად, ააშკარავებს სქესთა შორის უთანასწორობას.

სქესთა შორის თანასწორობის იდეა გვაიძულებს შევაფასოთ მამაკაცისა და ქალის როლებს შორის განსხვავება. თანასწორობის პრინციპი შეიცავს განსხვავებულობის უფლებას, რაც გულისხმობს აუცილებლობას გავითვალისწინოთ ის განმასხვავებელი თვისებები (შტრიხები), რაც სხვადასხვა სოციალური კლასის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური შეხედულებებისა, ეთნიკური ჯგუფის და სექსუალური ორიენტაციის ქალებსა და მამაკაცებს ახასიათებთ. თანასწორობის პრინციპი იმაზეც გვაფიქრებინებს, თუ როგორ უნდა მივალწიოთ წარმატებას, ცვლილებების შესატანად იმ საზოგადოებრივ სტრუქტურებში, სადაც ძალაუფლებითი დამოკიდებულებები ქალებსა და მამაკაცებს შორის არ არის დაბალანსებული. თანასწორობის პრინციპი გვაფიქრებინებს, აგრეთვე, თუ როგორ უნდა დამყარდეს წონასწორობა გარკვეულ ფასეულობებსა და პრიორიტეტებს შორის, რომლებიც სქესებს აქვთ.

თანასწორობის კონცეფცია გვიჩვენებს, რომ სქესთა სოციალური იდენტიფიკაცია გვაძლევს საშუალებას ქალებისა და მამაკაცებს შორის განსხვავებებისათვის. ამასთან, ისე, რომ ამ დროს არ დავეყრდნოთ იერარქიის პრინციპს (რომელიც მამაკაცს მაღლა აყენებს). ეს ითხოვს სქესებს შორის პარტნიორობის გაცნობიერებას (შეგნებას) და ფასეულობების ისეთ განა-

ნილებას, რომ ლიკვიდირებულ იქნეს წონასწორობის დარღვევა კერძო, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქმე ეხება თითოეული ადამიანის ცოდნისა და ტალანტის გამოყენებას იმის მისაღწევად, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორად მონაწილეობდნენ საზოგადოების მშენებლობაში და რეკონსტრუქციაში. სქესთა შორის თანასწორობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად აუცილებელი ხელახალი გააზრებისა და გადაფასების მუდმივი, უწყვეტი პროცესი.

არსებობს რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში და დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დამკვიდრებისათვის უნდა გადატარდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნები, რომლებიც დღეს ამ მიმართულებით უნდა იქნეს მიღწეული არის:

1. ქალთა უფლებების, რომლებიც ასევე ადამიანთა უფლებების განუყოფელი ნაწილია – სრული მიღება და პატივისცემა; აგრეთვე, იმ ზომების გატარება, რომლებიც საშუალებას მისცემს ქალებს რეალურად გამოიყენონ საკუთარი უფლებები;
2. დემოკრატიული რეპრეზენტატიულობის განვითარება და გაუმჯობესება. მიუხედავად ქალის პირობების გაუმჯობესებისა, თითქმის ყველა ქვეყანაში არასაკმარისი რეპრეზენტატიულობაა. ანუ ქალის მონაწილეობის არარსებობაა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;
3. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ამის განხორციელებისათვის აუცილებელია: შრომის თანაბარი ანაზღაურების დაწესება, კრედიტების მიღების თანაბარი შესაძლებლობები; შრომის ბაზარზე თანაბარი პირობების შექმნა;
4. განათლება. იგი ძლიერი ინსტრუმენტია – სქესთა თანასწორობის სფეროში, რამეთუ განათლების წყალობით საზოგადოება თაობიდან თაობას გადასცემს როლებისა და ნორმების შესახებ ცოდნას. აგრეთვე მისი მეშვეობით შეიძლება არსებული იერარქიული სისტემის კორექტირება;
5. ორივე სქესის ერთობლივი მოქმედება. ძალზე მნიშვნელოვანია ორივე სქესის შეთანხმება, არსებული სოციალური დისპროპორციების შესახებ და ერთობლივი მოქმედება მის გამოსასწორებლად. მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობისა და ძალისხმევის განაწილება; გაეროს, ქალთა პრობლემებისადმი მიძღვნილი, მესამე კონფერენციის (ნაიობი, 1985) შემდგომ სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში გამოჩნდა სქესთა თანასწორობისადმი კომპლექსური მიდგომის ახალი კონცეფცია.

მეინსტრიმინგი (Mainstreaming) – კომპლექსური მიდგომა სქესთა თანასწორობის პრობლემისადმი, ძნელად სათარგმნია სხვადასხვა ენებზე. მაგრამ ეს მიდგომა გულისხმობს სქესთა შორის თანასწორობის საკითხების ინტეგრირების მცდელობას საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში. ამგვარად, ის შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ასეთნაირად: „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემისადმი მიდგომა“. აღსანიშნავია, რომ სქესთა შორის თანასწორობის კომპლექსური მიდგომის მიმართ სპეციალისტთა ერთობლივი აზრი, კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არსებობს. კომპლექსური მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ყველა ქვეყანაში სქესთა თანასწორობის კონცეფცია უნდა დეტალურად განიმარტოს და აიხსნას, რათა გათვალისწინებული იყოს ქვეყნის სპეციფიკა (პოლიტიკური წყობა, მმართველობის სტრუქტურა, ტრადიციები და ა.შ.)

რაც შეეხება ზოგადად „Mainstriming“-ის კონცეფციას, მისთვის ამოსავალი წერტილი არის საზოგადოება მთლიანად (მთლიანობაში).

მოკლედ განვიხილოთ როგორია „Mainstriming“-ის მიდგომა სხვადასხვა ქვეყნებში.

ჩრდილოეთ ქვეყნების მინისტრთა საბჭომ აამუშავა პროექტი, რომლის მიზანი იყო მეთოდების და ინსტრუმენტების ამოქმედება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემის ინტეგრაციის მიზნით შრომისმონყოფის და ახალგაზრდათა საქმეების პოლიტიკაში. პროექტის სტრუქტურა იყო „ქოლგის“ მსგავსი და მოიცავდა მოქმედების რიგ სფეროებს.

ამოქმედდა შემდეგი ნაციონალური პროექტები:

**დანიაში** რინგსტედის კომუნამ აამოქმედა პროექტი, რომლის მიზანი იყო გენდერული თანასწორობის პრობლემის ინტეგრაცია საკადრო პოლიტიკაში. მისი მიზანი იყო, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის პრობლემატიკის ინტეგრაცია კომუნის ადმინისტრაციის მუშაობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

**ფინეთმა** პროექტის განხორციელება დაიწყო სამთავრობო დონეზე. ყოველი სამინისტრო პროექტის ფარგლებში გამოიმუშავებდა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს გენდერული თანასწორობის პრობლემატიკის საკუთარ სფეროში ინტეგრაციისათვის;

**ისლანდიაში** განხორციელდა ორი პროექტი: ერთი ქ. რეიკიავიკში, მეორე ქ. აკურეირში. თავისუფალი დროის ორგანიზაციის მუნიციპალური კომისიების ფარგლებში ტარდებოდა ექსპერიმენტები, რომელიც პრობლემის მოგვარების გზებსა და მეთოდებს ავლენდა. კომისიები თანამშრომლობდნენ სპორტულ და კულტურულ ორგანიზაციებთან, რათა მათ მოეხდინათ რესურსების (დროის, სპორტული მოედნების, ფინანსების და ა.შ.) სამართლიანი განაწილება ქალებსა და მამაკაცებს შორის;

**ნორვეგიაში** ამოქმედდა ორი პროექტი – ერთი ნაციონალურ დონეზე, მეორე კი – რეგიონალურზე. თავის ჩვეულ საქმიანობაში ამ პრობლემის ინტეგრირება მოახდინა ოჯახისა და ბავშვების საქმეების სამინისტრომ. მიმდინარეობს სახელმწიფო მოხელეების მომზდება, რომლებიც ჩაერთვებიან საქმეში და პასუხისმგებლები იქნებიან სქესთა შორის თანასწორობის საკითხებზე;

**შვედეთმა** აამოქმედა ორი პროექტი (ორივე რეგიონალურ დონეზე). რეგიონალური ძალოვანი სტრუქტურების ყველაზე მაღალი დონის მოხელეები თანამშრომლობდნენ ამ პროექტებთან. აღსანიშნავია, რომ თანასწორობის პრობლემით შეშფოთებულობის დონის გასარკვევად შრომისმონაცემების ბიუროში მოხდა ტესტირება (3 R მეთოდით). ამ პროექტის ფარგლებში მოხდა თავისუფალი დროის ორგანიზატორი ადმინისტრაციული სტრუქტურის სამუშაო პროცესში თანასწორობის ახალი მეთოდებით ინტეგრირება.

**ფარერის** კუნძულებზე კი მასწავებელთა მომზადების დაწესებულებაში ხორციელდება პროექტი, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის პრობლემატიკის ინტეგრაცია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მასწავებელთა მომზადების პროცესში.

**პორტუგალიაში** 1997 წელს ქვეყნის პრემიერ მინისტრის თაოსნობით მოხდა გენდერული თანასწორობის გამყარების გეგმის შემუშავება, რომელშიც ყველა სამინისტრო იღებდა მონაწილეობას. გეგმის ძირითად ელემენტებს წარმოადგენდნენ შემდეგი ასპექტები: იმ საკითხების ინტეგრაცია სასკოლო პროგრამებში, რომლებიც გენდერულ თანასწორობას ეხება, ახალ სამუშაო ადგილთა შექმნის პროგრამები, მოსამსახურეთა იდეური მომზადება გენდერული თანასწორობის იდეის მიმღებლობისათვის. სტატისტიკური მონაცემების ხელახალი ანალიზი და ამ მონაცემთა დალაგება სქესობრივი ნიშნით;

**ახალ ზელანდიაში** 1995 წელს ქალთა საქმეების სამინისტრომ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ანალიზისთვის, რომელიც ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა დამახასიათებელ ყველა კრიტიკიუმს. ამ სახელმძღვანელოს (ფაქტიურად გზამკვლევის) მიზანია, რომ დაეხმაროს ყველას, ვინც ამზადებს პროექტებს გენდერული თანასწორობის პრობლემატიკასთან დაკავშირებული მთავრობის პოლიტიკური მიზნების პრაქტიკული განხორციელებისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ძირითადი დებულებები ეხება არა მხოლოდ სამთავრობო სექტორს, არამედ — კერძო ორგანიზაციებსაც.

აღსანიშნავია, რომ განვითარების საქმეებში თანამშრომლობის შვედეთის საერთაშორისო სააგენტო — SIDA, 1980 წლიდან მოყოლებული მუშაობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხების თანამშრომლობის სფეროში და განვითარების საქმეში გამოყენებისათვის. ახალ პროგრამაში, რომლებიც ეხება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ნახალისების მოქმედებებს პარტნიორ ქვეყნებში (1997) კომპლექსური მიდგომა არის განსახლვრული, როგორც მთავარი მიდგომა.

*ლექციის შემდეგ სტუდენტებს მიეცემათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**ანდროცენტრიზმი** – მამაკაცზე ორიენტირებული.

**გენდერული თანასწორობა** – თანასწორობა კანონის წინაშე, შესაძლებლობათა თანასწორობა, რომელიც მოიცავს ადამიანური კაპიტალისა და წარმოების სხვა რესურსების თანასწორ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე, თანასწორობას შრომოს ანაზრაურობაში და ინტერესების გამოხატვის და გადაწყვეტილების მიღების თანასწორობას.

**გენდერული მეინსტრიმინგი** - ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემისადმი მიდგომა

*სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიდერში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები.*

*სემინარი №7*

*თემა №7 (2 სთ)*

*სემინარზე მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეს პრეზენტაცია. სემინარზე გაიმართება დისკუსია ძირითად საკითხთა გარშემო. კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი ტიპის კითხვები:*

- 1. რას ნიშნავს ანდროცენტრიზმი?*
- 2. საიდან იღებს ანდროცენტრიზმი სათავეს?*
- 3. როგორი იყო პლსტონისა და არისტოტელეს შეხედულებები ქალებისა და მამაკაცების ფუნქციებზე? მათ თანასწორობაზე?*
- 4. რა მნიშვნელობა ჰქონდა ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიას ანდროცენტრიზმის განმტკიცებაში? რატომ?*
- 5. რა არის გენდერული თანასწორობა განსაზღვრების მოხედვით? ახსენით თქვენი სიტყვებით. მოიყვანეთ მაგალითები;*
- 6. რა არის გენდერული მეინსტრიმინგი და რითი განსხვავდება იგი გენდერული თანასწორობისაგან?*
- 7. როგორია გენდერული თანასწორობის დამკვიდრების მცდელობის მოდელები სხვადასხვა ქვეყნებში? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები;*
- 8. ქვეყნისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია თუ არა ამ ქვეყნის კულტურული ფაქტორების გათვალისწინება? რატომ?*
- 9. ქვეყნისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისას, თქვენი აზრით, რა ფაქტორების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი? რატომ?*

*ამასთანავე, სემინარზე შემუშავებული იქნება გენდერული თანასწორობის ქართული მოდელის სტუდენტური ვარიანტი. ამისათვის მათ დაევალებათ (ლექციის შემდეგ) წინასწარ განსაზღვრონ და სემინარზე წარმოადგინონ: ძირითადი სფეროები, სადაც სქესთა უთანასწორობა განსაკუთრებით თვალშისაცემია, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც, მათი აზრით, განსაზღვრავენ მოვლენათა ასეთ ვითარებას (პიროვნული, კულტურული, პოლიტიკური), ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას თანასწორობის მისაღწევად,*

*ძირითადი სფეროები, სადაც უნდა გატრდეს სტრუქტურული ცვლილებები, უახლოესი შედეგები და სამომავლო პროგნოზები.*

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. გენდერული თეორიების ანთოლოგია, შემდგენელი ნანა ბერეკაშვილი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003, გვ.: 15-62;
2. George J. Bryjak, Michael P. Soroka, Sociology: Cultural Diversity in a Changing World, Second Edition, Fllin and Bacon, 1994, გვ.: 211-237;
3. Judith Lorber, Paradoxes of Gender, Yale University Press, 1994, გვ.: 282-303.
4. Gender Mainstriming - – [www.un.org/womenwatch/](http://www.un.org/womenwatch/)

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ, რედაქტორ-გამომცემლები: შულერი მ.ა. თომასი დ.ქ., თბ., გამომც.: ლოგოს პრესი, 2001.
2. Burn S.M. The Social Psychology of Gender, McGraw-Hill, Inc.1996, გვ.: 267-303
3. მ. წერეთელი, ქალთა უფლებები მათი ღირებულებების თვალსაზრისით (მონ.), თბ., 2000, გვ.: 6-32;
4. Barbara Reskin, Irene Padavic, Women and Men at Work, Pine Forge Press, 1994, p.: 31-43
5. Theoretical Perspectives on Sexual Difference, edited by Deborah L. Rhode, Yale University press, 1990, p.: 239-257
6. <http://www.unhchr.ch/women/genderequality.html>

**თემა №8 - ქალი სამხრეთ კავკასიის კულტურაში.**  
**ქართული კულტურის გენდერული ანალიზი**

*ლექციაზე წარმოდგენილი იქნება აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ხალხთა ტრადიციული კულტურის გენდერული ანალიზი. კერძოდ, განხილული იქნება საოჯახო ყოფა, ქალისა და მამაკაცის ქონებრივი და უფლებრივი სტატუსი ოჯახსა და საზოგადოებაში, შრომის გენდერული განაწილება, ქორწინების გენდერული ანალიზი. განხილული იქნება, აგრეთვე, საქართველოს მთაში გავრცელებული სქესობრივი ურთიერთობების წაწლობისა და სწორფრობის ინსტიტუტები. მოკლედ წარმოდგენილი იქნება, აგრეთვე, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გენდერული ცვლილებები როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დონეებზე.*

კავკასიის სახელმწიფოთა (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) და რუსეთის სამხრეთ ნაწილის (ჩრდილო კავკასია) ხალხთა კულტურა კოლექტივისტური ტიპისაა და სქესობრივ-გენდერული იდეოლოგიაც ტრადიციულია. ტრადიციულად ქალი აქ დედისა და ოჯახის დიასახლისის როლით იყო შეზღუდული. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ბავშვების აღზრდა, ოჯახის მოვლა და შინა მრეწველობა, აგრეთვე, ტრადიციების დაცვა და ახალი თაობებისათვის მათი გადაცემა. ტრადიციული მენტალიტეტის მიხედვით ქალს, გარდა ამისა, მშვიდობის მყოფელის ფუნქციაც ენიჭებოდა, რაც ისტორიულად ოჯახებს შორის არსებული დაპირისპირებების მოგვარების ტრადიციულ ხერხებში ვლინდებოდა.

კავკასიური ნორმაა ოჯახის უხუცესი ქალის ინსტიტუტი. მას ებარა ოჯახის მიერ მთელი წლის განმავლობაში მოწეული სურსათ-სანოვაგის და ფულადი სახსრების შენახვა, საჭმლის მომზადება, სანოვაგის და შრომის თანაბარი განაწილება რძლებისა და შვილების ოჯახებისთვის მისი სულადობის, ასაკის და სქესის მიხედვით.

ქალის სტატუსი რეგულირდებოდა ტრადიციული სამართლის ნორმებით (ადათებით, უხუცესთა საბჭოების გადაწყვეტილებებით, მუსულმანურ ნაწილში –შარიათით) და ოფიციალური სამართლის ნორმებით -სამართლის წიგნებით (დანყებული მე-11 ს. -დან). სამართლის ნორმებში დეტალურად იყო განსაზღვრული ქალის ოჯახური და ქონებრივი უფლებები. მთაში ქალის მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა, მას აძლევდნენ მზითვს, რომელიც შემოიფარგლებოდა ქალის ტანსაცმლით და ხელსაქმის ყუთით. ბარში, შედარებით შეძლებულ ოჯახებში ქალს მემკვიდრეობაში აძლევდნენ მინას. ჩვეულებრივ ქალი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობდა. თუმცა საქართველოს ოქროს ხანაში 12ს. – ში ქვეყანას ქალი (თამარ მეფე) მართავდა. გარდა ამისა, კავკასიაში ძალიან ხშირად დედოფალთა და თავადის ქალთა პიროვნული გადაწყვეტილებები ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ქვეყნის ბედსა და პოლიტიკურ ცხოვრებას. ამდენად, ისტორიულად კავკასიელი ქალი რელიგიის, ზნეობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ფუნქციას ატარებს. მაღალი წრის ქალების სარწმუნოების, ენისა და ერის გადარჩენისათვის ჩადენილი გმირობების ისტორიული და ისტორიულ-ლიტერატურული მაგალითები კავკასიაში ახალი თაობების აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ინსტიტუტია.

სამხრეთ კავკასიაში ქალის ყოფითი და საზოგადოებრივი ურთიერთობების შესასწავლად მნიშვნელოვანია კავკასიური ოჯახის განხილვა, რადგან სწორედ ოჯახი წარმოადგენდა, ჩვეულებრივ, ქალის მოღვაწეობის ერთადერთ ასპარეზს. ზოგადკავკასიური ოჯახის ტიპი მოიცავს რიგ თვისებებს: ოჯახის „უფროსი მამაკაცი“ განუსაზღვრელი უფლებები ანუ ოჯახის მართვის ავტორიტარული ფორმა, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, ოჯახის წევრთა სტატუსის იერარქიულობა, ქალის დამოკიდებული მდგომარეობა, „უფროსი ქალის“



ძალაუფლება დანარჩენ ქალებზე, შრომის მკაცრი სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება, „განრიდებისა“ და „უმძრახობის“ წეს-ჩვეულებათა დაცვა. ქალის უფლებრივ მდგომარეობის ერთ ასპექტს „უფროსი ქალის“ მაღალი სტატუსი წარმოადგენდა, ხოლო მეორეს — კი დანარჩენი ქალების უფლებობა. შეიძლება ვილაპარაკოთ „უფროსი ქალის“ საერთოკავკასიურ მოდელებზე, რომელსაც ახასიათებს რიგი საერთო ნიშნები. ესენია: „უფროსი ქალის“ ნაკლებდასაქმებულობა ოჯახში, ქალების შრომითი საქმიანობის ორგანიზება, აღმზრდელობითი ფუნქცია, ტრადიციებისა და სანესჩვეულებო რიტუალების შესრულების ხელმძღვანელობა. „უფროსი ქალი“ ითვლებოდა ერთმმართველად მხოლოდ შიდა საოჯახო საქმიანობის სფეროში. „უფროსი ქალის“ უფლებრივი მდგომარეობის გამოხატულების სიმბოლო იყო საოჯახო სურსათის შესანახი სათავსოს გასაღების მუდმივად თან ტარება და სურსათ-სანოვავის განაწილება ოჯახის წევრებს შორის. ოჯახის „უფროსი ქალის“ ფუნქცია იყო, აგრეთვე, ოჯახური ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემა და ამდენად, შენახვა. „უფროსი ქალის“ უფლებები ვლინდებოდა საოჯახო ხალხურ ეტიკეტშიც: მამაკაცები მას პატივს სცემდნენ, იგი საოჯახო საქმეების გარჩევაში მონაწილეობდა, სადავო სიტუაციაში მის აზრს გადამწყვეტი თუ არა, გასათვალისწინებელი მნიშვნელობა მაინც ენიჭებოდა. ჩვეულებრივ, „უფროსი ქალი“ იყო ის ერთადერთი ქალი (გარდა ბავშვებისა), ვისთანაც ურთიერთობდა ოჯახის „უფროსი მამაკაცი“. „უფროსი ქალი“ იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ოჯახში, რომ მისი სტატუსი და ავტორიტეტი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საერთოდ ოჯახის სტატუსსა და ავტორიტეტს.

მე- 20 საუკუნემდე **აზერბაიჯანში** გაბატონებული იყო ოჯახის მკვეთრად გამოხატული პატრიარქალური წყობა. ოჯახის უფროსი წარმოადგენდა ოჯახის მოძრავი და უძრავი ქონების ერთპიროვნულ მფლობელსა და სრულუფლებიან მმართველს. ოჯახის შიგნით არსებული ქონებრივი ურთიერთობები მთლიანად დამოკიდებული იყო ოჯახის უფროსსზე.

დაობლებულ არასრულწლოვან ბავშვებს უნიშნავდნენ მეურვეს – უმეტესწილად ბიძას მამის ან დედის მხრიდან. ოჯახის უფროსის ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ქონება იყოფოდა შარიათის კანონების მიხედვით. ვაჟშვილს ორჯერ უფრო მეტი წილი ერგებოდა საერთო ქონებიდან, ვიდრე – ქალიშვილს. გარდაცვლილი ოჯახის უფროსის ქვრივი იღებდა მთელი ქონების ერთ მერვედ ნაწილს და ასევე იმ ქონებას, რომელიც პირადად მას ეკუთვნოდა საქორწინო შეთანხმების თანახმად.

აზერბაიჯანულ ოჯახში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის უხუცესების – აღსაკალების ინსტიტუტს. მათ რჩევას ეკითხებოდნენ და მათი აზრი მეტად მნიშვნელოვანი იყო სოფელში რომელიმე ოჯახში გარკვეული პრობლემის გადაწყვეტისას. აღსაკალები ადათის მიმდევარნი, დამცველნი და გამტარებელნი იყვნენ. ისინი ადათისა და შარიათის საფუძველზე გადაწყვეტდნენ საზოგადოებრივ და საოჯახო პრობლემებს. ისინი საქმეების განსახილველად მეჩეთთან იკრიბებოდნენ სალამოს ლოცვის შემდეგ. ჩვეულებრივ, ამ შეკრებას მოლაც ესწრებოდა. ახალგაზრდებს და ბავშვებს და, ასევე, ქალებსაც ამ შეკრებებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. ძალიან იშვიათად შეკრებას ესწრებოდნენ ის მოხუცი ქალები, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებაში. მათი მონვევა კრებაზე მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა განსახილველი საკითხი ქალს ეხებოდა ან ქალიშვილის ბედთან იყო დაკავშირებული. ამგვარად, ქალის საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდული იყო. იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობდა. უფრო მეტიც, ქალის უფლებები შეზღუდული იყო ოჯახშიც.

ოჯახურ ურთიერთობებში ბატონობდა უმცროსების მხრიდან უფროსების სრული მორჩილება. ვაჟიშვილს არ ჰქონდა უფლება შეპასუხებოდა (შეკამათებოდა) ან არ დამორჩილებოდა მამას, მითუმეტეს კი პაპას. ამგვარად, მამის ან პაპის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ოჯახური ან სამეურნეო საკითხთან დაკავშირებით კანონის ძალა ჰქონდა ოჯახის უმცროსი წევრებისათვის. უფროსების პატივისცემა დღემდე წარმოადგენს აზერბაიჯანელი ხალხის საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტს.

ისტორიულად აზერბაიჯანში მამაკაცს ქალთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა. ეს უპირატესობა ვრცელდებოდა როგორც საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ოჯახურ ცხოვრებაშიც. მშობლიურ სახლში ქალიშვილი სრულად ემორჩილებოდა დედას და ბებიას. ქალიშვილს არ ჰქონდა უფლება შეპასუხებოდა უფროსებს ან გამოეხატა რაიმე უკმაყოფილება, განსაკუთრებით კი, მამისა და პაპის თანდასწრებით. გათხოვილი ქალი ყველა საკითხში ემორჩილებოდა ოჯახის უფროს დიასახლისს – დედამთილს ან უფროსი მამის ცოლს. თუ ახალდაქორწინებულები ცხოვრობდნენ ქმრის მშობლებთან ერთად, მაშინ ახალგაზრდა ქალი უნდა მორიდებოდა ყველა მამაკაცს ოჯახში. მას არ ჰქონდა, აგრეთვე, იმ ოთახში შესვლის უფლება, სადაც უფროსები ისხდნენ და თუ სახლში ცალკე ოთახი არ იყო, იგი უდიდეს დროს სამზარეულოში ატარებდა. ახალგაზრდა რძალი მოვალე იყო საღამოს საველე სამუშაოებიდან დაბრუნებული ოჯახის ყველა მამაკაცისათვის ფეხები დაეხანა. ამასთან ქალს სახე დაფარული უნდა ჰქონოდა. თუ კი ოჯახში რძალი არ იყო, მაშინ ამ მოვალეობას ქალიშვილი ასრულებდა. აზერბაიჯანული წეს-ჩვეულებების მიხედვით, ახალგაზრდა რძალს პირველი შვილის გაჩენამდე უფლება არ ჰქონდა უშუალოდ მიემართა ოჯახის რომელიმე უფროსი წევრისათვის ან მათ მიერ დასმულ შეკითხვაზე ეპასუხა. ამიტომ, იცავდა რა ადათს, ოჯახის უფროსი წევრი თვითონაც ერიდებოდა რძალთან შეხვედრას და შეძლებისდაგვარად არ ელაპარაკებოდა მას. ახალგაზრდა ქალი მოვალე იყო ოჯახის ყველა მამაკაცისგან დაემალა როგორც სახე, ასევე თმებიც. უფროსი ქალების გარემოცვაში კი მას მხოლოდ პირი, ნიკაპი და ყელი უნდა დაეფარა თავშალის ბოლოთი. მიუღებლად ითვლებოდა, აგრეთვე, ქალის მხრიდან ხმამარალი საუბარი და ხშირი სიცილი. ახალგაზრდა ქალს არ ჰქონდა უფლება ქმრის და უფროსი დიასახლისის ნებართვის გარეშე წასულიყო მშობლიურ სახლში, გასულიყო ბაღში ან მეზობელთან სტუმრად.

ბავშვების მოვლა მთლიანად ქალის მოვალეობას წარმოადგენდა. მამა არა თუ არ მონაწილეობდა ბავშვების აღზრდაში, არამედ იგი მშობლიური გრძნობების გამოვლენისგანაც კი იკავებდა თავს. ეს განსაკუთრებით მიუღებელი იყო უცხოების გარემოცვაში. თუ კი მამა მაინც გამოავლენდა მშობლიურ სიყვარულს შვილის მიმართ, ეს, ჩვეულებრივ, ვაჟიშვილის როგორც მემკვიდრისა და გვარის გამგრძელებლის მიმართ ხდებოდა. ვაჟიშვილის მდგომარეობა ოჯახში მკვეთრად განსხვავდებოდა ქალიშვილის მდგომარეობისგან. ბიჭებს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ ქედმაღლურ, პრივილეგირებულ დამოკიდებულებას ქალების მიმართ. 6-7 წლიდან ბიჭების აღზრდას ხელს ჰკიდებდა პაპა, მამა და მისი უფროსი ძმა. ამავე ასაკიდან იწყებოდა ბავშვების რელიგიური აღზრდაც. წარსულში აზერბაიჯანელ ხალხთან გაბატონებული იყო ენდოგამია. ჩვეულებრივ, სოფელი შედგებოდა რამდენიმე უბნისაგან, რომელთაგანაც თითოეულში ნათესავები ცხოვრობდნენ. ქორწინების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა უბნის შიდა კავშირებს. შეუღლება პირველ რიგში ხდებოდა ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან და დეიდაშვილებთან (ღვიძლი ძმების და დების შვილებთან), შემდგომ მესამე თაობის ნათესავებთან და ასე შორეული ნათესავებით გათავებული. აკრძალული იყო ღვიძლ და-ძმებს შორის ქორწინება. შეუღლება ხდებოდა არანათესავებთანაც, პირველ რიგში თანასოფლელებთან, შემდეგ მეზობელი სოფლების და ქალაქების მაცხოვრებლებთან (ამასთან აუცილებლად დაცული უნდა ყოფილიყო ნათესაური სიახლოვის რიგითობა). შარიათის მიხედვით, ნებადართული იყო, აგრეთვე, შეუღლება სხვა ნაციონალობის, ოღონდ მუსულმანური აღმსარებლობის, წარმომადგენელთან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ წარსულში ასეთი ოჯახები ძალიან იშვიათი იყო.

აზერბაიჯანში გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა, ისევე, როგორც ყველგან, სადაც ეს შარიათით ნებადართული იყო. მაგრამ უმეტესწილად იგი გვხვდებოდა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილში. ის ვინც მდიდარი არ იყო, ჩვეულებრივ, ამ წესს არ იყენებდა. გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევა, როცა პირველი ცოლისგან არ ჰყავდათ შვილები. რაც შეეხება გაჭრელებულ ფენას, მათ ხშირად ერთი ცოლის შერთვაც კი უჭირდათ, რადგან ქორწინება ტრადიციულად ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ქორწინების წეს-ჩვეულებებში მეტად საინტერესოა **სორირატისა** და **ლევირატის** წესები. თუ ახალგაზრდა ქალი გარდაიცვლებოდა, მისი მეუღლე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ცოლად ირთავდა გარდაცვლილი ქალის უმცროს დას. სპეციალისტების აზრით, ეს წესი დაკავშირებული იყო ხელმეორე ქორწილის ხარჯების თავიდან აცილებასთან. თუ ოჯახებს შორის კარგი ურთიერთობები იყო, მაშინ მშობლები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ატანდნენ თავიანთ მეორე ქალიშვილს დაქვრივებულ სიძეს. მაგრამ ამ შემთხვევაში, განსხვავებით ჩვეულებრივი ქორწინებისგან, ქალიშვილს წინასწარ აცნობებდნენ და უთანხმებდნენ მომავალ ქორწინებას. სორირატის წესთან არის დაკავშირებული აზერბაიჯანში ფართედ გავრცელებული ანდაზა: „ცოლის გარდაცვალება იმ მამაკაცმა იგლოვოს, ვისაც ცოლის და არა ჰყავსო“.

სორიტართან ერთად, ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე, ლევირატის წესიც. ლევირატიული ქორწინების შემთხვევაში საჭირო იყო ორივე მხარის თანხმობა, ამასთან ქვრივი ქალის თანხმობა წარმოადგენდა აუცილებელ წინაპირობას. უმცროსი ძმის ქორწინება უფროსი ძმის ქვრივზე ფართოდ იყო გავრცელებული მოსახლეობის შედარებით შეძლებულ ფენაში. სპეციალისტების აზრით, ლევირატის წესი დაკავშირებული იყო ოჯახისათვის იმ ზარალის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ქვრივი რძლის მშობლიურ ოჯახში დაბრუნება გამოიწვევდა. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მას ოჯახის საერთო ქონების ერთი მერვედი ნაწილი ეკუთვნოდა, მის საკუთრებას წარმოადგენდა აგრეთვე მის მიერ მზითვის სახით ოჯახში შემოტანილი ქონება. სორირატისა და ლევირატის წესები თუმცა თანამედროვე აზერბაიჯანში აღარ არის მიღებული, მაგრამ ერთეული შემთხვევების სახით (განსაკუთრებით სოფლებში) ახლაც გვხვდება.

ტრადიციულად ქალს ათხოვებდნენ 14-დან 18 წლამდე. ვაჟი ქორწინდებოდა 18-დან 22 წლამდე. იყო უფრო გვიანი ქორწინების შემთხვევებიც, რაც უკიდურესი სიღარიბით იყო გამოწვეული. არსებობდა დაბადებიდანვე ნიშნობის წესიც, როდესაც ოჯახები წინასწარ თანხმდებოდნენ თავიანთი შვილების ქორწინების შესახებ. მოქმედებდა ჯერ არ გაჩენილი შვილების ქორწინების შეთანხმების წესიც.

ჩვეულებრივ, ახალგაზრდებს მომავალ ქორწინებას არ უთანხმებდნენ ხოლმე და გადაწყვეტილებას მშობლები იღებდნენ. ახალგაზრდა ქალებს არა თუ არ უთანხმებდნენ მომავალ ქორწინებას, არამედ არც კი ატყობინებდნენ მის შესახებ. საცოლეს ახალგაზრდა კაცისათვის, ჩვეულებრივ, მისი დედა ან და ამოირჩევდა. თუ მომავალი საცოლე მოეწონებოდათ ოჯახის სხვა წევრებს, პირველ რიგში პაპას, მამას და უფროს ძმას, მაშინ ამ ოჯახის ქალები მიდიოდნენ გოგოს დედასთან არაოფიციალურად ხელის სათხოვნელად, ხოლო უკვე ამის შემდეგ, მამასთან ოფიციალურად მიდიოდნენ ხელის მთხოვნელი ოჯახის მამაკაცები.

ამ ცერემონიალს ესწრებოდნენ სოფლის უხუცესებიც – აღსაკალებიც. ისინი მონაწილეობდნენ აგრეთვე, ქორწინებაზე შეთანხმების შემთხვევაში, ოჯახთა შორის დამოყვრებისას განკუთვნილი გადასახადის **მეხრისა** და **ბაშლიგის** ოდენობაზე მოლაპარაკებებშიც. მეხრი წარმოადგენდა იმ გადასახადს, რომელიც მეუღლეს უნდა გადაეხადა ცოლისთვის თავისი ინიციატივით გაყრის შემთხვევაში. ხოლო ბაშლიგი იყო გადასახადს პატარძლისათვის, რომელსაც იღებდა მისი მამა ქალიშვილის ქორწინების შემთხვევაში.

თვით ქორწინების რიტუალი მოიცავდა სამ ეტაპს: 1) წინასწარი შეთანხმება, როცა თანხმობის შემთხვევაში, ვაჟის მხარე მაშინვე აძლევდა ქალს ბეჭედს, აბრეშუმის თავსაფარს და ტკბილეულს 2) ნიშნობა, ამ დღეს საქმროს საცოლისთვის მოაქვს სამკაულები, კაბისათვის ქსოვილი და მისი ოჯახისთვის ტკბილეული 3) საკუთრივ ქორწილი, რომელსაც თან ახლდა საქორწილო საჩუქრები.

ტრადიციულად ითვლებოდა, აგრეთვე, საცოლის მოტაცებაც. ეს განსაკუთრებით მიღებული იყო გაჭირვებულ ფენებში, სადაც არ იყო მატერიალური შესაძლებლობა ქორწილის რთული რიტუალის ჩატარებისა, ამიტომ ხშირად, საცოლის მოტაცება ოჯახების თანხმობის ფონზეც კი მიმდინარეობდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახალგათხოვილ ქალს ფაქტიურად არანაირი უფლებები არ ჰქონდა. მხოლოდ შვილის გაჩენის შემდეგ მას ეძლეოდა ნება სახლში მოეხადა თავსაფარი და ესაუბრა უახლოეს ნათესავებთან.

ამგვარად, გათხოვილი ქალის პოზიციები მყარდებოდა ოჯახში პირველი შვილის გაჩენის შემდეგ. ბიჭის გაჩენას, გოგოსაგან განსხვავებით განსაკუთრებული ნადიმით აღნიშნავდნენ. ამასთან, ახალდაბადებული ვაჟის ჭიპლარს მარხავდნენ საჯინიბოში ან მეჩეთის ეზოში. ეს რიტუალი გადმოცემის მიხედვით, იმიტომ ტარდებოდა, რომ მომავალ მამაკაცს ყვარებოდა საქონელი ან დაუფლებოდა ცოდნას, ხოლო ახალდაბადებული გოგოს ჭიპლარს კი კარებთან ახლოს მარხავდნენ, რათა იგი სახლიდან შორს არ წასულიყო.

ამგვარად, ქორწინების, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული ტრადიციული რიტუალის და ბავშვების გაჩენის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს აზერბაიჯანულ კულტურაში გაბატონებულ გენდერულ უთანასწორობას, რომელიც ქალის მიმართ განსაკუთრებული ასიმეტრიულობით გამოირჩევა.

ტრადიციულ აზერბაიჯანულ კულტურაში ქალთა უფლებათა შეზღუდვა კარგად ჩანს, აგრეთვე, გაყროს წესებშიც. ტრადიციულად გაყროს უფლება მხოლოდ მამაკაცს ჰქონდა. თუმცა კი ამ შემთხვევაში ქმარს ცოლისთვის უნდა გადაეხადა წინასწარ ნიშნობის შეთანხმებული საზღაური – მეხრი, გაყროს მიზეზებს არავინ არ კითხულობდა. გაყროს რიტუალი ერთი და იგივე ფრაზის (ამ შემთხვევისთვის სპეციალურად დანესებული) სახალხოდ სამჯერ გამეორებაში მდგომარეობდა. იგივე გზისთვის შეეძლო მიემართა ქალსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გაყრას მიაღწევდა მხოლოდ თავისი მზითვის დაკარგვის ფასად. ამ გზას ქალი მხოლოდ ძალიან იშვიათად, გაუსაძლის პირობებში მიმართავდა, რადგან ამ შემთხვევაში იგი ყოველგვარი სახსრების გარეშე რჩებოდა.

აზერბაიჯანულ ოჯახში ქალი შინამეურნეობით იყო დაკავებული. საოჯახო საქმეებს, ისევე როგორც ზოგადად კავკასიურ ოჯახში, ხელმძღვანელობდა „უფროსი ქალი“.

მთელს აზერბაიჯანში ქალი ჩადრს ატარებდა, მაგრამ ჩადრი განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქალაქებში, სადაც სახლიდან გამოსვლისას ქალი ვალდებული იყო მთელი სხეული ჩადრით დაეფარა. სოფლებში ჩადრს შედარებით იშვიათად ხმარობდნენ, უმეტესწილად ის გამოიყენებოდა, როცა ქალი მეზობელ სოფელში ან სოფლის გარეთ გადიოდა, სოფლის შიგნით კი იგი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ცხვირს და პირს მალავდა. შეიძლება ითქვას, რომ ქალს მამაკაცისაგან განსხვავებით არ ჰქონდა საზამთრო, თბილი ტანსაცმელი. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ქალის მიერ სახლის დიდხანს დატოვება არ იყო მიღებული.

ამგვარად, ტანსაცმელი, ისევე, როგორც ყოფითი კულტურის სხვა ელემენტები და წეს-ჩვეულებები ნათლად გვიჩვენებენ აზერბაიჯანულ ტრადიციულ საზოგადოებაში გაბატონებულ გენდერულ უთანასწორობას.

ჯერ კიდევ XIX ს-ში **სომხებთან** გავრცელებული იყო საოჯახო სატვისტომო – **გერ-დასტანი**, რომელიც აერთიანებდა რამოდენიმე თაობას, რომელსაც უხუცესი უძღვებოდა. ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ მშობლები ზრდასრული შვილებით, რომელთაც, თავის მხრივ, ჰყავდათ შვილები და შვილიშვილები. ღრმა პროვინციაში ასეთ გერდასტანში შეიძლება ყოფილიყო 50-მდე ადამიანი, რომელიც ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრობდა. თუმცა კი სამხრეთ კავკასიაში ზოგადად, ეს იშვიათი მოვლენა იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის თანდათანობით დაიწყო ასეთი დიდი სათვისტომოების რღვევა და ოჯახი უკვე შედგებოდა მხოლოდ მშობლებისგან და მათი ვაჟებისგან, რომლებსაც მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები ჰყავდათ. დაიწყო მე-3 თაობიდან შვილებიანი ოჯახების გამოყოფის პროცესი. მიუხედავად ამისა, ეს ოჯახები ცდილობდნენ ერთმანეთთან ახლო დასახლებას. ასე, რომ მთელი კვარტლები ატარებდა ერთი ოჯახის გვარს.

ერთი ოჯახის შიგნით, ბავშვები, რომელიც ძმისაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თანაბარ პირობებში იყვნენ, ისინი ყველანი ითვლებოდნენ და-ძმებად. მიუღებელი იყო, რომ რომელიმე დედას თავისი მამლების შვილებთან შედარებით თავისი ღვიძლი შვილების მიმართ მეტი სიყვარული გამოევილინა. ყველა ბავშვისადმი ერთნაირი მზრუნველობა უნდა გამოეჩინათ

ოჯახის უფროსებსაც – სახლის პატრონსა და დიასახლისს. ექვს-შვიდ წლამდე ბავშვები (გოგონებიც და ბიჭებიც) თავისი დროის უდიდეს ნაწილს ეზოში თამაშში ატარებდნენ. შემდეგ იწყებოდა მათი აღზრდა თავიანთი სქესის შესატყვისი საქმიანობის ათვისების მიზნით. გოგონებს ასწავლიდნენ საოჯახო საქმიანობას, ხშირად ისინი უვლიდნენ უმცროს და-ძმას, შემდეგ მათ ასწავლიდნენ ოჯახის წევრებისა და სტუმრებისათვის მომსახურეობას, ხელსაქმეს. ბიჭებს ასწავლიდნენ ბატონის და ხბოს მწყემსვას, საქონლის სადგომში შერეკვას, შემდეგ კი ისინი ოჯახის მამაკაცებს საველე სამუშაოებშიც ეხმარებოდნენ.

ამგვარად, 7-8 წლის ასაკიდან სომხურ ოჯახებში ბავშვები აქტიურად ერთვებოდნენ გენდერულად ტიპირებულ საქმიანობებში.

სახლის პატრონი ერთპიროვნულად მართავდა მთელს მეურნეობას და არავის არ აბარებდა ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. თუმცა ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას მას შეეძლო რჩევა ეკითხა ოჯახის უფროსი წევრებისთვის, განსაკუთრებით კი, თავისი ძმებისთვის, თუ ისინი მათთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ.

ოჯახში მკვეთრად იყო სამეურნეო ფუნქციები გაყოფილი სქესის მიხედვით. ყველა საველე სამუშაოს მამაკაცები ასრულებდნენ, საოჯახოს კი – ქალები. სამუშაო წინასწარ ნაწილდებოდა. როდესაც ოჯახი სავაჭროდ იკრიბებოდა საღამოს, ისინი უფროსობის მიხედვით სხდებოდნენ. თითოეული ოჯახის წევრი მოახსენებდა, თუ რა გააკეთა დღის განმავლობაში და მაშინვე იღებდა ახალ დავალებას. ოჯახის ყოველი წევრის პირადი შემოსავალი საერთო მეურნეობაში იდებოდა.

ოჯახურ საქმეებს ხელმძღვანელობდა უფროსი ქალი, დიასახლისი ანუ **ტანტიკინი**. ის, ჩვეულებრივ, ოჯახის უფროსის მეუღლე იყო, მაგრამ თუ იგი ქმარზე ადრე გარდაიცვლებოდა, მაშინ მისი უფლებები გადადიოდა უფროსობის მიხედვით შემდეგი მამაკაცის (უფროსი ძმის ან უფროსი ვაჟიშვილის) ცოლზე. ასეთი „უფროსი ქალის“ ავტორიტეტი აღიარებული იყო როგორც ოჯახის უფროსის, ასევე სხვა წევრების მხრიდან. იგი ამ შემთხვევაში უფლებრივი თვალსაზრისით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მისი მეუღლე, რადგან ეს უკანასკნელი ოჯახის ჩვეულებრივ, დაქვემდებარებულ წევრს წარმოადგენდა. სახლში ყველა ემორჩილებოდა ტანტიკინის მიერ დადგენილ წესებს. მას სახლის საზღვრებში ემორჩილებოდა უფროსი მამაკაციც. ტანტიკინის უფლება იყო აგრეთვე, ახალგაზრდა კაცისთვის საცოლის შერჩევა. ტანტიკინს მიმართავდნენ ოჯახში ახალგაზრდა ქალის მთხოვნელებიც, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ის რჩევას ეკითხებოდა ქმარს და უფროს ძმას.

ტანტიკინი იყო ერთადერთი ქალი ოჯახში, ვინც მიმართავდა ოჯახის უფროს მამაკაცს კითხვით, რჩევით ან პრობლემით. მდებრობითი სქესის ოჯახის დანარჩენ წევრებს სახლის პატრონისთვის მიმართვის უფლება არ ჰქონდათ. ტანტიკინის უფლებები გამორჩეული იყო სუფრასთანაც, იგი იყო ის ერთადერთი ქალი, რომელსაც უფლება ჰქონდა დამჯდარიყო სუფრასთან მამაკაცების გვერდით.

ტანტიკინის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო ზედამხედველობით მიმდინარეობდა მთელი საოჯახო საქმიანობა. საუკუნეების მანძილზე დადგენილი იყო ქალთა ფუნქციები ოჯახში, დაწყებული უფროსი რძლიდან დამთავრებული უმცროსამდე. უფროსი რძალი წარმოადგენდა დიასახლისის თანაშემწეს და ითავსებდა ხოლმე მის ფუნქციებს, როდესაც ტანტიკინი სახლში არ იყო ან მიდიოდა ზაფხულში შვილიშვილებთან ერთად საძოვრებზე. ახალი რძალი თავსაბურავს რამდენიმე წელი ატარებდა ოჯახში და თუ როდის მიეცემოდა მას მისი მოხსნის უფლება, ამას ტანტიკინი განსაზღვრავდა ერთპიროვნულად. დიასახლისის ფუნქცია იყო, აგრეთვე, ბავშვებისათვის ზღაპრების მოყოლა.

რძალს ნება არ ჰქონდა ესაუბრა „უფროსებთან“ მათთვის მას მინიშნებებით (ნიშნებით) უნდა მიემართა. ამგვარად ჩამოყალიბდა ნიშნების გარკვეული სისტემა, რომლებითაც სარგებლობდნენ რძლები, როცა საჭირო იყო მიემართათ უფროსი მამაკაცებისთვის, განსაკუთრებით კი, მამამთილისა და უფროსი მამლისთვის. თავიანთ ნათლიას ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩურჩულთ ელაპარაკებოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი

იყო რაიმეს თქმა და ახლომახლო არ იყვნენ ბავშვები, რომელთა საშუალებითაც შეიძლებოდა სათქმელის გადაცემა, მაშინ რძალი მიმართავდა ბავშვს აკვანში, ან კატას ან რაიმე შინაურ ცხოველს და მათ ეუბნებოდა, რომ გადაეცათ სათქმელი მაგალითად, ისეთი როგორცაა, მეზობლის თხოვნა. მამაკაცისთვის ტრადიციულ სომხურ ოჯახში ქალის ცემა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თუმცა დიასახლისს – ტანტიკინს ჰქონდა უფლება გაერტყა რძლისათვის, მაგრამ მის შვილს ანუ ქალის ქმარს ამის უფლება არ ჰქონდა. და თუ ეს მაინც მოხდებოდა, რძალს ჰქონდა უფლება მიემართა დიასახლისისთვის საჩივრით.

როგორც ვხედავთ, სომხურ ოჯახში დაცული იყო მკვეთრი გენდერული უფლებრივი იერარქია. მამაკაცები ქალებთან შედარებით პრივილეგირებულნი იყვნენ, თუმცა დიასახლისი – ტანტიკინი ოჯახის უფროსთან თითქმის თანაბარი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა დანარჩენ ქალებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უფლებრივი იერარქია აგებული იყო როგორც სქესობრივი ფაქტორის გათვალისწინებით, ასევე უფროს–უმცროსობის საფუძვლზეც. უფლებრივი იერარქიაში ამ ორივე ფაქტორის როლზე მიუთითებს აგრეთვე, სომხურ ტრადიციულ კულტურაში არსებული დაძინების (მოსვენების) წესიც. ყველაზე ადრე დასაძინებლად წვებოდა უფროსი მამაკაცი – (ტანტიკერი) შემდეგ რიგრიგობით ოჯახის სხვა მამაკაცები უფროსობის მიხედვით. შემდეგ წვებოდა „უფროსი ქალი“ და მას მოსდევდნენ სხვა ქალები ასევე უფროს–უმცროსობის გათვალისწინებით. ამგვარად, უმცროსი რძალი ყველაზე გვიან წვებოდა. ამასთანავე, იგი ყველაზე ადრე იღვიძებდა და იერარქიის საპირისპირო მიმართულებით თანდათანობით იღვიძებდნენ ოჯახის სხვა წევრები: ჯერ ძალები, შემდეგ კი – მამაკაცები. ყველაზე გვიან ლოგინიდან დგებოდა ოჯახის „უფროსი მამაკაცი“.

ძილის წინ უმცროსი რძალი ან უმცროსი ქალიშვილი ოჯახის ყველა მამაკაც წევრს ფეხებს ბანდა და უმშრალებდა.

როცა ოჯახი ძალიან ფართოვდებოდა და შეუძლებელი ხდებოდა ერთად ცხოვრება, დიდი ოჯახი იშლებოდა, მაგრამ ერთობლივი ღონისძიებების (ქორწილი, დაკრძალვა და სხვ.) დროს უფროსუმცროსობის ინსტიტუტი შენარჩუნებული იყო.

ოჯახის ქონების პირდაპირ მემკვიდრეებად მამაკაცები ითვლებოდნენ, ქალიშვილებს კი, თუ ძმები ცოცხლები ჰყავდათ, არაფერი არ ეკუთვნოდათ.

ამ კულტურის გენდერული ანალიზისათვის საინტერესოა ნათესაური მიმართებებიც. კერძოდ, მამის მხრიდან ნათესავენს სომხები აზღაკანს უწოდებდნენ, რაც სიტყვასიტყვითი თარგმანით ნათესავს, მოგვარეს ნიშნავს, ხოლო დედის მხრიდან ნათესავს კი – ბარეკამას, რაც პირდაპირი თარგმანით კეთილისმსურველს აღნიშნავს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქალისა და კაცის მხრიდან ნათესავენისადმი ასეთი არათანასწორი დამოკიდებულებისა, ქორწილებისა ან სხვა საერთო თავყრილობების დროს, ორივე მხარის დასწრება-დაპატიჟება სავალდებულოდ ითვლებოდა.

საინტერესოა შეუძლების წეს-ჩვეულებებიც. ნათესავენს შორის ქორწინება ნებადართული იყო არა უახლოეს 7 თაობისა, სომხები ტრადიციულად ქორწინდებოდნენ ძალიან ადრეულ ასაკში. მოქმედებდა აკვანში დანიშვნის წესიც.

ქორწინების ინიციატივა და პატარძლის არჩევა მომდინარეობდა „უფროსი ქალისაგან“ ან ვაჟის დედისგან, რომელიც წინასწარ უთანხმებდა თავის არჩევანს ქმარს და ნათესავენს. სომხები მაჭანკლის საშუალებით არკვევდნენ დათანხმდებოდა თუ არა ქალის ოჯახი ქორწინებაზე. გოგოს დედა რჩევას ეკითხებოდა თავის ძმებს. მამა კი ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობას არ იღებდა. დადებითი პასუხის შემთხვევაში გოგოს მშობლებთან მიდიოდნენ სასიძოს მშობლები ნათესავენთან ერთად, რათა გადაეცათ ნიშნობის ბეჭედი. ნიშანის ფუნქციას, ჩვეულებრივ, ბეჭედი ან რაიმე სხვა სამკაული ასრულებდა. ამ დღიდან დაწყებული ქალიშვილი დანიშნულად ითვლებოდა.

ნიშნობიდან ქორწილამდე ზოგჯერ რამდენიმე წელიწადი გადიოდა. მაგრამ ნიშნობის შემდეგ ოჯახები უკვე დამოყვრებულად ითვლებოდნენ და ყველანაირად ეხმარებოდნენ

ერთმანეთს.

საქორწინო რიტუალი, მიუხედავად იმისა, რომ სასომხეთის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებებს მოიცავს, ძირითადად ერთნაირად მიმდინარეობდა. სომხური ქორწინებისთვის სპეციფიკურია გარკვეული თანხის გადახდა ვაჟის მშობლების მხრიდან პატარძლის დედისთვის. ამ თანხას **წინაგინს** უწოდებენ, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით „ძუძუს ფასს“ ანუ იმ რძის საფასურს აღნიშნავს, რომლითაც დედამ თავისი ქალიშვილი გამოკვება. სომხურ კულტურაში ტრადიციულად ითვლება, აგრეთვე, მზითვის გატანება ქალიშვილისთვის, რომლის რაგვარობა და სიდიდეც ასევე წინასწარი შეთანხმების საგანია. ჩვეულებრივ, მზითევაში შედიოდა ლოგინის თეთრეული, საქორწინლო ფარდა, ჭურჭელი, ზოგჯერ კი პირუტყვიც. საინტერესოა, რომ ძროხას სომხეთში არასოდეს არ ატანდნენ მზითევაში. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ ოჯახიდან მდებარეობითი სქესის ორი წევრი არ გასულიყო. პატარძლის საქორწინლო ტანსაცმელზე ზრუნვა სასიძოს მოვალეობა იყო.

ისევე, როგორც სხვა სამხრეთ კავკასიურ კულტურებში (აზერბაიჯანი, საქართველო) ქორწინლი აქაც შემოდგომაზე იმართებოდა.

სომხეთშიც, ისევე როგორც აზერბაიჯანში მოქმედებდა უბინობის ინსტიტუტი. ორივეგან დიდ სირცხვილად ითვლებოდა, თუ პირველ საქორწინლო ღამეს პატარძალი უბინო არ იყო. მაგრამ სომხეთში სრულდებოდა შემდეგი რიტუალიც. როგორც კი გაირკვეოდა, რომ ქმარი „დაეუფლა“ ქალიშვილს, ამ ფაქტის აღსანიშნად თოფს ისროდნენ, ხოლო შემდეგ პატარძლის დედას უგზავნიდნენ დაკლულ ქათამს, საქორწინლო ღამის ზენარს და მილოცვებს. ამ რიტუალის შემდეგ ითვლებოდა, რომ ქორწინება ბედნიერი იქნებოდა.

ქორწინების დარღვევა მიუღებელი იყო. ცოლს ღალატისათვის თმებს კრეჭდნენ, ვირზე უკულმა სვამდნენ და ატარებდნენ ქუჩა-ქუჩა, იგივენაირად ექცეოდნენ მამაკაცებსაც, რომლებიც ცოლს უღალატებდნენ.

სომეხი ქალისათვის ყველაზე დიდ უბედურებად უშიგლობა ითვლებოდა, ორსულ ქალს ეკრძალებოდა უშიგლოს გვერდზე დაჯდომა, რათა ეს სენი არ გადასდებოდა. ფეხმძიმე ქალს ეკრძალებოდა მშობლიურ სახლში სტუმრობაც. მშობიარობის შემდეგ ქალი მიდიოდა ხოლმე მშობლიურ სახლში დედის მოსანახულებლად, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მამა სახლში არ იყო. ამასთან მას ბავშვი არასოდეს თან არ მიყავდა. ეს გახლდათ განრიდების წეს-ჩვეულების ერთ-ერთი გამოვლინება, მსგავსი წესი მოქმედებდა საქართველოშიც.

აღსანიშნავია, რომ სომხურ კულტურაშიც ბიჭის დაბადება უფრო სასიხარულო იყო, ვიდრე – გოგოსი. ბიჭის დაბადების შემთხვევაში ქალთან მოქონდათ ტკბილეული (თაფლი), მისი სახლის წინ უკრავდა მუსიკა, თვის სახლი კი მორთული იყო მწვანე ტოტებით, რომელიც გვარის გაგრძელების სიმბოლოდ ითვლებოდა.

**ქართული ოჯახი** ზოგადკავკასიური ოჯახის ტიპს წარმოადგენს. ამიტომ ქართულ ოჯახში მისი წევრების უფლება-მოვალეობები სხვა კავკასიურ ოჯახებში არსებული უფლებრივი სისტემების მსგავსია. საქართველოში, ისევე, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანში მოქმედებდა ოჯახის წევრებს შორის უფროს-უმცროსობის იერარქიული ინსტიტუტი, „უფროსი ქალის“ ინსტიტუტი, „უმძრახობისა“ და „განრიდების“ წესები. უფროს ქალს, ჩვეულებრივ, უფროსი დედა ანუ დედამთილი წარმოადგენდა. მისი ფუნქციები იყო ოჯახის ტრადიციების დაცვა და, აგრეთვე, შენახვა და გადაცემა ახალი თაობებისათვის, სურსათ-სანოვანის განაწილება დიდი ოჯახის შემადგენელი პატარ-პატარა ოჯახებისათვის სულადობისა და პატარა ბავშვების რაოდენების მიხედვით. ქალს, ფეოდალურ საქართველოში, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ კულტურებში, მემკვიდრეობა არ ეკუთვნოდა. უმეტეს შემთხვევაში მის ქონებას შეადგენდა მზითვი, რომელიც ჩვეულებრივ, ლოგინის თეთრეულისგან, ტანსაცმლისგან, ჭურჭელისგან და პირუტყვისგან შედგებოდა. მთაში ქალს მხოლოდ საკუთარი ტანსაცმლისა და ხელსაქმის ყუთს ატანდნენ მზითვაში. პატარძლის საქორწინლო ტანსაცმელზე ზრუნვა სასიძოს მოვალეობა იყო. სასიძოს მხარეს უნდა ეზრუნა, აგრეთვე, პატარძლის ჩაცმაზე ქორწინლი დღეს.

საქართველოში გავრცელებული გენდერული ურთიერთობების შესახებ მეტად საინტერესო მასალებს გვანდის საქორწინო წეს-ჩვეულებების ანალიზი.

საქორწინო წეს-ჩვეულებები საქართველოში სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება. ესაა წინასაქორწინო პერიოდი, თვითონ ქორწილი და ქორწილის შემდგომი პერიოდი. ქორწინების რიტუალი ძირითადად ხუთ ციკლს შეიცავდა: ქალის შერთვის საშუალებები (დანიშვნა), ნიშნობა, პერიოდი ნიშნობიდან ქორწილამდე, ქორწილი და ქორწილის შემდგომი პერიოდი.

საქართველოში ნათესავთა შორის ეგზოგამია დაცულია მანამ, სანამ ნათესაობა შთამომავალთა მესხიერებაში არის შენახული. ამასთან ეგზოგამია დაცულია იყო არ მხოლოდ ნათესავთა შორის, არამედ ერთი სოფლის ან ერთი თემის შიგნითაც, რომელთა მკვიდრნიც ერთი სალოცავის (ხატის) მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ (მაგალითად, მთაში). ქორწინება იკრძალებოდა, აგრეთვე, მოსისხლე გვარებს შორისაც, იმის შემდეგაც კი, როცა გვარები შერიგდებოდნენ. აკრძალვა ძალაში იყო მანამ, სანამ ეს შთამომავალთა მესხიერებაში არსებობდა.

ვაჟიშვილისათვის მეუღლის არჩევა მშობლების მოვალეობას და უფლებას წარმოადგენდა. დასაქორწინებელი წყვილის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საპატარძლოს დედის, როგორც დიასახლისის რეპუტაციას, რადგან ითვლებოდა, რომ ქალი არა მხოლოდ სწავლობდა დედისაგან დიასახლისობას, არამედ მემკვიდრეობით იღებდა მისგან პიროვნულ ნიშან-თვისებებსაც. ვაჟის შემთხვევაში, ასევე, არკვევდნენ მის და მისი წინაპრების ფიზიკურ და გონებრივ სიჯანსაღეს, საოჯახო და სამეურნეო საქმიანობის გაძლოლის უნარს, ზნეობას და სხვ. საქართველოში არსებობდა ქალის დანიშვნის სხვადასხვა წესები: დაბადებამდე დანიშვნა, აკვანში დანიშვნა, „ხელის დაკვრით“ დანიშვნა და სხვ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გავრცელებული იყო ბავშვის **დაბადებამდე დანიშვნის** წესი. დანათესავების მიზნით, ოჯახები თანხმდებოდნენ მომავალი შვილების ქორწინების შესახებ. საქართველოში გავრცელებული იყო **აკვანში დანიშვნის** წესიც. ამ წესის მიხედვითაც, ბავშვების მომავალი ბედი წყდებოდა მშობლების შეთანხმების საფუძველზე. ამ შემთხვევაში აკვანში მწოლიარე დანიშნულ გოგოს მიუტანდნენ ხოლმე საჩუქარს (თავშალს, ბეჭედს), ხოლო მის ოჯახს ძღვენს პურის, საკლავის, სასმელის და სხვა სახით. სამკაულს აკვანზე კიდებდნენ და ეს იყო მომავალი ქალიშვილის დანიშვნის ნიშანი. ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, აკვანში დანიშვნის დროსაც, დანიშნული ვაჟის მშობლები მოვალენი იყვნენ ქორწინების ასაკის დადგომამდე გარკვეული პერიოდულობით (მაგალითად, წელიწადში ერთხელ) ქალიშვილის ოჯახში საჩუქრები მიეტანათ. შესაძლებელი იყო ზრდასრულობისას ქალიშვილს უარი ეთქვა ქორწინებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მის ოჯახს ე.წ. „დანახარჯი“ უნდა აენახრაურებინა ვაჟიშვილის ოჯახისათვის. ამგვარად, დანიშვნის ეს წესები, თვალნათლივ გვიჩვენებენ ქალის უუფლებობას ფეოდალურ საქართველოში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებობდა დანიშვნის სხვა სახეებიც. მეტად საინტერესოა ქალის დანიშვნის წესი, რომელიც ძირითადად ხევსურეთში და აფხაზეთში გვხვდება და რომელსაც „ხელის დაკვრით“ დანიშვნა ეწოდება. ასეთი წესით დანიშვნა შეიძლება მომხდარიყო თავშეყრის ადგილებში. ეს რიტუალი შემდეგში მდგომარეობდა. ქალს ვაჟის მამა, ბიძა ან სხვა მამრობითი სქესის ახლო ნათესავი მხარზე ხელს დაკრავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალი „ხელდაკრულია“, „ხელმოკიდებულია“ და მას სხვაგან გათხოვნების უფლება აღარ ჰქონდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებობდა ქალის დანიშვნის სხვა წესიც. იგი ქალის ნივთებით დანიშვნის წესის სახელითაა ცნობილი. ოჯახში მოსული სტუმარი (მამაკაცი) ოჯახში ტოვებდა რაიმე ნივთს (სათუთუნეს, მათრახს, ფულს და ა.შ.), რაც იმის ნიშანი იყო, რომ სტუმარს ამ ოჯახში ქალიშვილი მოენონა საცოლედ ან სარძლოდ. ამ დროს მასპინძელი არავითარ შემთხვევაში არ იფიქრებდა, რომ ეს შემთხვევით მოხდა. ორი დღის შემდეგ, ქალიშვილის ოჯახს უგზავნიდნენ შუამავლებს. ასეთი წესით ქალის დანიშვნის შემდეგ ქორწილზე უარის თქმა დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა.

არსებობდა ქალის დანიშვნის კიდევ სხვა წესებიც, მაგალითად, ცეკვის დროს ქუდის



სროლის წესი.

საქართველოს ზოგიერთ ნაწილში ფართედ იყო გავრცელებული ცოლის შერთვა **მოტაცების** გზით. ეს წესი მეტად პოპულარული იყო აფხაზეთში და სამეგრელოში. სპეციალისტების აზრით, ქალის მოტაცების მიზეზები ქორწინებასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯების თავიდან აცილებაში უნდა ვეძებოთ. ხშირად მოტაცება ხდებოდა ახალგაზრდების შეთანხმებითაც, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქალიშვილს საქმრო ჰყავდა და იწუნებდა. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ქალის მოტაცება გამოწვეული იყო ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული „პირველი ღამის“ წესით, რომლის მიხედვითაც პატარძალთან პირველი ღამის გატარების უფლება ბატონს ჰქონდა.

თუ გამტაცებლებს მდევარი გამოედევნებოდა, მაშინ ვაჟის ოჯახს მდევრისათვის სახლის კარებთან საკლავი უნდა დაეხვედრებინა შემოსარიგებლად. თუ ქალი წინააღმდეგი იყო, მაშინ მას სრული უფლება ჰქონდა უკან გაყოლოდა მდევარს. ამგვარად, მოტაცების შემთხვევაში ქალის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

**გარიგებით** დანიშნა მთელს საქართველოში ფართედ გავრცელებული წესი იყო. იგი დღემდე შემორჩა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში. გარიგებაში მთავარი მომქმედი გმირი იყო „მაჭანკალი“ ან მისი შემცვლელი ახლო ნათესავი. „მაჭანკალი“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მოტივებით მოქმედებდა. ზოგან ის უბრალოდ ახლო ნათესავი ან კეთილმოსურნე იყო და ამიტომ მისთვის გასამრჯელოს ან საჩუქრის შეთავაზება დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა. ზოგან იგი საჩუქარს იღებდა, ზოგან კი იგი გასამრჯელოსათვის ირჯებოდა. ამასთან, ამ შემთხვევაში გასამრჯელოს ოდენობა მზითვის ოდენობის პროპორციულად იზრდებოდა.

ნიშნობა წარმოადგენს საქორწინო მხარეების შეთანხმების დადასტურების გამომხატველ რიტუალს. ნიშნობის რიტუალითვის მნიშვნელოვანია ბეჭდის ან რაიმე სხვა სამკაულის გადაცემა. ნიშნობის შემდეგ ოჯახები უკვე დანათესავებულად ითვლებოდნენ. დანიშვნის შემდეგ ქალი ფაქტიურად გათხოვილად ითვლებოდა და მისი თხოვა სხვა პირისაგან მიუღებელი იყო.

საინტერესოა „კვეთილში ჩასმის“ რიტუალი. ეს რიტუალი მაშინ სრულდებოდა, როცა ქალი დაიწუნებდა თავის დანიშნულ საქმროს. ამ შემთხვევაში საქმრო ქალს „კვეთილში სვამდა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვაჟი რამდენიმე წლით უკრძალავდა ქალს გათხოვებას ან უსახელებდა იმ სოფლებს, სადაც მას გათხოვება არ შეეძლო.

საქართველოში ნიშნობიდან ქორწინებამდე, ჩვეულებრივ, ერთი წელი გადიოდა. თუმცა ეს პერიოდი შეიძლება უფრო გაგრძელებულიყო. ეს დამოკიდებული იყო ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე და დანიშნული წყვილის ასაკზე. ნიშნობიდან ქორწინებამდე პერიოდში, ჩვეულებრივ, ქალ-ვაჟს ერთმანეთის ნახვის უფლება არ ჰქონდათ. დანიშნული ქალი მორიდებულად უნდა მოქცეულიყო, სახლიდან იშვიათად უნდა გასულიყო. მიუღებელი იყო, აგრეთვე, მისი სტუმრობა სხვა სოფლებში, განსაკუთრებით კი, საქმროს სოფელში. ზოგიერთ კუთხეში ამ პერიოდს „საპატარძლოს ტყვეობის“ პერიოდსაც უწოდებენ. საინტერესოა, რომ ტრადიციის მიხედვით, ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე მას ისე იგლოვებდა, როგორც ნამდვილი მეუღლე, თუმცა კი ერთმანეთი შეიძლება ნანახიც კი არ ჰყავდათ.

ქორწილი საქართველოში, ისევე, როგორც მთელს სამხრეთ კავკასიაში ორ ეტაპად მიმდინარეობდა: ქორწილი ქალის მამის სახლში და ქორწილი ვაჟის მამის სახლში. ამასთან, საქართველოშიც ქალის მამის სახლში გამართული ქორწილი უფრო მცირერიცხოვანი იყო. როგორც ვიცით, ეს რიტუალი დღემდე არსებობს სამხრეთ კავკასიაში. ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი იყო ჯვრისწერა, რომელიც, ჩვეულებრივ, საპატარძლოს სოფელში არსებულ ეკლესიაში მიმდინარეობდა. ქალის ცხოვრება ახალ ოჯახში მოიცავდა რიგ რიტუალებს, რომლებიც დაკავშირებული იყო როგორც რძლის ოჯახში მიღებასთან, ასევე ქალის მიერ ახალ ოჯახსა და თავისი მშობლების ოჯახს შორის ნათესავური კავშირების განმტკიცებასთან.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში არსებობდა ცოლ-ქმრის გაყრის სპეციალური წესიც. თუ

მამაკაცი დაინუნებდა ცოლს ანუ გაყრას გადაწყვეტდა, მაშინ მას ცოლისათვის „ნამაშვრალი“ უნდა გადაეხადა. „ნამაშვრალი“ იმდენი საქონლის მიცემას გულისხმობდა ცოლისთვის, რამდენი წელიც ქალი ცხოვრობდა და მუშაობდა ქმრის ოჯახში, პირველი და ბოლო წლების გამოკლებით.

საქართველოში ქალის სტატუსის გასაანალიზებლად მეტად საინტერესოა სქესობრივი ურთიერთობების ფორმები, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოს მთიან ნაწილში (ხევსურეთში და ფშავში). მხედველობაში გვაქვს ფშავური ნაწლობისა და ხევსურული სწორფრობის ინსტიტუტები.

**ნაწლობა** ფშაველთა შორის გავრცელებული სექსუალური ხასიათის ჩვეულებაა. ნაწლობას ნადობ-ნაძმობასაც უწოდებდნენ ხოლმე. ნაწლობა იწყება ფშაველი ქალ-ვაჟის სქესობრივი სიმწიფის პერიოდიდან (თოთხმეტი წლიდან). რაც უფრო მეტი წაწალი ჰყავდა ყმანვილ ქალსა თუ ვაჟს, მით უფრო პატივცემული იყო იგი. თუ ქალიშვილს ან ვაჟიშვილს არ ყავდა ნაწლები, მაშინ ის ფშავში „უხეიროდ“ ითვლებოდა. მიღებული იყო, რომ ახალგაზრდა ისე უნდა მოქცეულიყო, რომ მიეზიდა ნაწლები. ნაწლობა ნიშნავს ნათესავ და უცხო ქალ-ვაჟს შორის სქესობრივი ურთიერთობების წეს-ჩვეულებას ფშავში. ეს ჩვეულება დაცულია ხატის სჯულითა და წესებით. ქალ-ვაჟის სქესობრივი ურთიერთობები გარკვეული უფლებებითა და შეზღუდვებით ხასიათდება. კერძოდ, ნაწლობა დაშვებულია როგორც ნათესავთა, ასევე - უცხო პირთა შორის. მიუხედავად ამისა, ფშავში ნათესავთა შორის ნაწლობას ერიდებიან. საქმეს ისაა, რომ ნაწლობის წეს-ჩვეულების მიხედვით, სქესობრივი ურთიერთობები ქალ-ვაჟს შორის შეზღუდულია ხვეწნა-კოცნით და წელს ზევით ალერსით. ნაწლის ორსულობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ნაწლების მხრიდან წესის დარღვევა მათი თემიდან განდევნით ისჯებოდა. ეს წესი განსაკუთრებით მკაცრად მოქმედებდა ნათესავ წაწალთა შორის, რომლებიც სისხლის აღრევის გამო არა თუ თემიდან განდევნით, არამედ სიკვდილითაც შეეძლოთ დაესაჯათ. ამდენად, როგორც ვხედავთ, ნათესავთა შორის დასაშვებია ნაწლობა, მაგრამ ქორწინება მიუღებელია. ერთი თემის ნაწლებს ხატისგან აკრძალური ჰქონდათ შეუღლება, შესაძლებელი იყო სხვადასხვა თემის ნაწლების შეუღლება.

ნაწლობა, ცხადია, ურთიერთმონონებაზე და ლტოლვაზე იყო დაფუძნებული. ქალიშვილი და ვაჟიშვილი ურთიერთმონონების შემთხვევაში ერთმანეთს ნადობ-ნაძმობას უცხადებდნენ და ამის შემდეგ მიმართავდნენ ნაწლობის წესის შესრულებას ანუ ერთად წოლას.

ფშავში მიღებულია, რომ დანიშნულ ადგილას ქალიშვილთან ვაჟი მივიდეს. ეს ადგილი თავდაპირველად სახლიდან მოშორებით მდებარეობს (ტყეში ნაბდის ქვეშ, საბძელში, ბოსელში და ა.შ.). გარკვეული სიახლოვის დამყარების შემდეგ ვაჟი მიდის ქალიშვილის სახლში ისე, რომ მისმა მშობლებმა არ გაიგონ. თუ მშობლები მაინც შეამჩნევენ თავიანთი ქალიშვილის წაწალის სტუმრობას, წესისამებრ ისე მოიქცევიან, რომ ვითომ არაფერი გაუგიათ.

ნაწლობა, ჩვეულებრივ, ღამე მიმდინარეობს და მამლის ყვილამდე გრძელდება.

ფშავში გავრცელებულია მრავალწაწალიანობა. შესაძლებელია ხუთი ან ათი წაწლის ყოლა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია ოცი წაწლის ყოლის შემთხვევებიც. ეს, ცხადია, წარმოშობს ნაძმობთა (წაწალი ვაჟი) შორის ქიშპობის შემთხვევებს. მტრობისა და კონფლიქტების თავიდან აცილება და დარეგულირება ქალის საქმეა. მან ისე უნდა მოაწყოს შეხვედრა, რომ მისი სხვა წაწალი ამას არ შეესწროს (მაგალითად, ქალი მხოლოდ ერთ წაწალს უშვებს სახლში ანუ მხოლოდ მაშინ უღებს კარებს ვაჟს, წინასწარ სეტანხმებული სპეციალური ნიშნის, სტვენის ან კაკუნის შემდეგ, თუ იგი სხვა წაწალთან დაკავებული არ არის).

ფშაველი ქალის გათხოვებას სრულიად არ უშლიდა ხელს ნაწლობა. პირიქით, ნაწლობა ხელს უწყობდა გათხოვებას. საქმე ისაა, რომ ფშაველთა შეხედულებით, რაც უფრო მეტი წაწალი ჰყავს ქალიშვილს, მით უფრო ღირსეულ და პატივცემულ ქალად ითვლება იგი. მიღებული იყო, რომ როდესაც ნადობი (წაწალი ქალი) თხოვდებოდა, მას მაყრებად თან მიჰყვებოდნენ ნაძმობნი (წაწლები). ამასთან ნადობის (წაწალი ქალის) ქორწილის დროს ნაძმობების (წაწალი მამაკაცების) მაყარში წაყოლა და მათი სიმრავლე ქალისათვის საამაყოდ ითვლებოდა.

გარდა ტრფობა-ალერსისა, ნაწლობის ინსტიტუტი მოიცავდა წყვილის მიერ ერთმანეთისთვის საჩუქრების გაკეთების წეს-ჩვეულებასაც: ასე მაგალითად, ქალი უქსოვდა ვაჟს

ჭრელ წინდებს, უკერავდა სათამბაქოეს, ხოლო ვაჟი ჩუქნიდა ქალს კალათას წინდებისთვის, თითის ტარებს და ხელსაქმის სხვა ინსტრუმენტებს.

ხშირად ნაწლობა წყვილს შორის მათი გათხოვება/ცოლის შერთვის შემდეგაც გრძელდებოდა. ზოგი ქმარი ქალს გათხოვების შემდეგ ნაწლობის უფლებას არ აძლევდა. ამიტომ ქალი ხშირად ეყრებოდა ანუ გაურბოდა ქმარს. ფშავური ოჯახის კეთილდღეობა ქალზე იყო დამყარებული. მამაკაცი, ჩვეულებრივ, არ მუშაობდა და ოჯახურ მეურნეობას მთლიანად ქალი უძღვებოდა. ქალი მკიდა და თიბავდა ყანას, მწყემსავდა ძროხებს, ამზადებდა რძის ნაწარმს. გარდა ამისა, ქალი უვლიდა ოჯახს, ქსოვდა და კერავდა ტანსაცმელს. ამგვარად, ქალზე იყო დამოკიდებული ოჯახის ეკონომიკური სიძლიერე. აქედან გამომდინარე, ქალის ოჯახიდან ნასვლა არ იყო სასურველი. უფრო მეტიც, ეს შესაძლებელია ოჯახის სრული განადგურებითაც დასრულებულიყო. ამიტომ მამაკაცი იძულებული იყო შეეგუებოდა ქალის ნაწლობას. გარდა ამისა, ცოლის გაქცევა ფშავში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ასეთ კაცზე გათხოვება ქალებს აღარ უნდოდათ. ამ გარემოებების გათვალისწინებით ქმარი, ჩვეულებრივ, ეგუებოდა ქალის ნაწლობას. რა თქმა უნდა, იგი თვითონაც ნაწლობდა.

ხევსურეთში გავრცელებული იყო ქალ-ვაჟთა სქესობრივი ურთიერთობების მსგავსი წესი, რომელიც **სწორფრობის** სახელწოდებითაა ცნობილი. ხევსურეთის სწორფრობა ურთიერთობათა ძირითადი პრინციპით ფშავური ნაწლობის მსგავსია. სწორფრობის რიტუალშიც აკრძალულია ქალ-ვაჟის ურთიერთობაში დაწესებული ზღვრის გადალახვა. თუმცა კი არსებობს რიგი განსხვავებებისა მათ შორის: ფშავში ქალთან ვაჟი მიდის, ხევსურეთში კი, პირიქით, ქალი მიდის ვაჟთან. გარდა ამისა, ხევსურეთში ძმობილი თავის სწორფერ ქალს სტუმარს უწვენს პატივისცემის ნიშნად.

როგორც სწორფრობის, ასევე ნაწლობის წეს-ჩვეულების გენეზისი და ფუნქციები დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული.

მე-19 ს.-ის მეორე ნახევრიდან კავკასიაში კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად ქალს უკვე კანონით ეკუთვნოდა მომკვიდრეობიდან წილი. ეს იყო მცირე მიწის ნაკვეთი. ამავე დროს, კავკასიის მთიან სასაზღვრო და გზისპირა რეგიონებში გაჩნდა წესი – გათხოვებისას ქალისათვის ოჯახიდან მცირე კაპიტალის გატანება (საქართველოში – „სათავნო“, სომხეთში – „არნეგინი“). ამ უკანასკნელს ან პირუტყვის ან ფულის სახე ჰქონდა, რომლისგანაც მიღებულ მოგებასც (რძის, ყველის, მატყლის და სხვ. გაყიდვით ან მევახშოებით) ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, ქალი ამ ქონებას საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით განკარგავდა. „სათავნოსა“ და „არნეგინის“ წესი ქალს შედარებით ფინანსურ თავისუფლებას აძლევდა ოჯახში. ამდენად, ქალი უკვე აღარ იყო ისეთი შეზღუდული ოჯახში, როგორც ეს ფეოდალური წყობის დროს იყო.

მე-19ს.-ში დაიწყო, აგრეთვე, მეტად მძლავრი ქალთა საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელსაც სათავეში მაღალი წრის ქალები ედგნენ. მისი მიზანი იყო დაბალი ფენებისათვის ქველმოქმედება, წერა-კითხვისა და ხელსაქმის სწავლება.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა ოფიციალური იდეოლოგიით პროპაგანდირებული და კანონმდებლობით განმტკიცებული იყო. მმართველობის უმაღლეს ორგანოში – უმაღლეს საბჭოში ქალი დეპუტატებისათვის 38-40%-იანი კვოტა არსებობდა; საბჭოთა კავშირში 1948 წლიდან არსებობდა ოფიციალური და ერთადერთი ქალთა ორგანიზაცია – ქალთა საბჭო, რომელსაც ცენტრალიზირებული მმართველობა და ქსელური სტრუქტურა ჰქონდა. ქალისათვის მამაკაცთან თანასწორად ხელმისაწვდომი იყო განათლების სისტემის ყველა საფეხური, ნებისმიერი პროფესია და მოღვაწეობის სფერო. მიუხედავად ამისა, ქალის ინტაგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც რეალური პოლირიკური გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე ქალები არ ინიშნებოდნენ. ქალის მიერ არჩეულ პროფესია და მოღვაწეობის სფერო მაინც ტრადიციულ ჩარჩოებში რჩებოდა. არსებობდა ტრადიციული მენტალიტეტით განსაზღვრული ქალის პრესტიჟული პროფესიები, როგორცაა მაგალითად, აღმზრდელი, პედაგოგი, ექიმი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის ქვეყნებში დემოკრატიის მშენებლობის

პროცესი დაიწყო. 1991 წლიდან კავკასიაში შეიქმნა ქალთა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდში მკვეთრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე აღმოცენდა. თავდაპირველად ქალთა ორგანიზაციები ძირითადად ქალთა ტრადიციული ფუნქციის გაძლიერებით იყვნენ დაკავებულნი და მათი მოღვაწეობა საქველმოქმედო, მშვიდობის მყოფელი ან დაუცველ ფენათა დახმარების პროგრამებით შემოიფარგლებოდა.

1995 წელს კავკასიის ყველა ქვეყანა შეუერთდა კონვენციას „ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. (CEDAW). შეიქმნა მუდმივმოქმედი სპეციალური სახელმწიფო კომისიები, რომელთა ფუნქციაა სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის შემუშავება და გატარება. ქალთა მოძრაობის საგრძნობი გააქტიურება გამოიწვია ასევე ბოლო წლებში დასავლეთთან კონტაქტების ზრდამ, უცხოური ფონდების დახმარებამ და სამოქალაქო კულტურის განვითარებამ. დღეს კავკასიის ქვეყნებში არსებობს მძლავრად განვითარებული ქალთა ორგანიზაციები (დაახ. 150-170 მომქმედი ორგანიზაცია), რომლებიც ქალთა საკითხის თითქმის ყველა სფეროს მოიცავენ.

ბოლო 3-4 წელიწადია, რაც კავკასიის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო გენდერის სხვადასხვა ასპექტების სწავლება, მაგრამ ჯერჯერობით ეს სფერო მაინც ნაკლებადაა განვითარებული. კავკასიის დიდ ქალაქებში არსებობს გენდერისა და ქალთა უფლებების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიც.

მიუხედავად ქალთა არასამთავრობო სექტორის, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ფონდების დიდი ძალისხმევისა კავკასიაში ქალთა მოღვაწეობა ფემინისტური მოძრაობის სახით არ ჩამოყალიბდა. რეგიონში კვლავ ძლიერია ტრადიციული კულტურის გავლენა და კავკასიის ქვეყნები ჯერ კიდევ შორსაა გენდერული თანასწორობისაგან. მართალია კავკასიელი ქალები გასცდნენ ქალის ტრადიციულ როლს და აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ შრომისა და დასაქმების ბაზარზე, ისევე, როგორც ქვეყნის მმართველობის სტრუქტურებში მათთვის ნაკლებად მისაწვდომია გადამწყვეტილების მიმღები თანამდებობები. თუმცა კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაში – საქართველოში, 2002-2004 წლებში პარლამენტის თავმჯდომარე და შემდეგ კი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალი იყო (ნინო ბურჯანაძე, რომელიც დღემდე პარლამენტის თავმჯდომარეა), მაგრამ ქალთა ჩართვა გადამწყვეტილების მიღების პროცესში სისტემურ ხასიათს არ ატარებს (ასე, მაგ. კავკასიის ქვეყნების პარლამენტში ქალი დეპუტატები საშუალოდ 12%-ს შეადგენენ). აღსანიშნავია ისიც, რომ თვით კავკასიელი ქალების უმეტესობა გამოკითხვისას პრიორიტეტს მაინც ტრადიციულ როლებს ანიჭებს. გამონაკლისს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობა, რომელისთვისაც პრიორიტეტულია საკუთარი პროფესიონალიზმი და განვითარება. გენდერული უთანასწორობა და ქალთა უფლებების დისკრიმინაცია განსაკუთრებით ძლიერია კავკასიის მუსულმანურ ნაწილში, აგრეთვე, პროვინციებში და კონფლიქტის ზონებში, სადაც ქალების უმრავლესობა ჯერ კიდევ ტრადიციული გენდერული როლებითაა შემოფარგლული და ხშირად ხდებიან ძალადობის – ცოლად შერთვის მიზნით მოტაცების, გაჭრობის, ოჯახური ძალადობისა და ა.შ. მსხვერპლნი.

*ლექციის ბოლოს სტუდენტებს მიეცემათ ძირითად ტერმინთა განსაზღვრებები:*

**ოჯახის „უფროსი ქალი“** – დიდი ოჯახის უფროსი დედა ან დედამთილი;

**ოჯახის „უფროსი მამაკაცი“** – დიდი ოჯახის უფროსი მამა ან მამამთილი;

**„განრიდების“ წესი** – კავკასიური წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც უმცროსები ერიდებოდნენ უფროსებს, ქალები უფროსებს და მამაკაცებს, რაც მაგალითად, გულისხმობდა როგორც ფიზიკურ მორიდებას, აგრეთვე, ორსული ქალის მორიდებას (დამალვას) როგორც მშობელ მამასთან, ასევე ქმრის ოჯახის მამაკაცებთან და სხვ.

**„უმძრახობის“ წესი** - კავკასიური წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქალებს არ ჰქონდათ ოჯახის უფროს მამაკაცებთან დალაპარაკების უფლება.

**შარიათი** – მუსულმანური სამართალი, რელიგიური და იურიდიული ნორმების კრებული, რომელიც დაფუძნებულია ყურანზე.

**ენდოგამია** – ქორწინება ერთი გარკვეული ჯგუფის წევრებს შორის, ასე, მაგალითად, ტომის, კასტის ან რელიგიური სათვისტომოს შიგნით. ლექციაში განხილულ აზერბაიჯანის შემთხვევაში სისხლით ნათესავთა შორის. ენდოგამიის ტენდენცია აქვთ თანამედროვე ხალხების დიდ ნაწილსაც, რაც მათ მიერ ერთი ნაციონალობის ან ერთი რელიგიის შიგნით განხორციელებული ქორწინების სახით ვლინდება.

**ეგზოგამია** — საზოგადოებრივ-გვაროვნული წყობის წესი, რომელიც კრძალავს ერთი გარკვეული ჯგუფის წევრებს შორის ქორწინებას. მაგალითად, ტომის, კასტის ან ნათესავთა (სისხლით ან მირონით) შიგნით.

**სორირატი** – გარდაცვლილი ცოლის უმცროსი დის ცოლად შერთვის წესი აზერბაიჯანში;

**ლევირატი** – უმცროსი ძმის ქორწინების წესი აზერბაიჯანში უფროსი ძმის ქვრივზე;

**ბაშლიგი** — გადასახადი პატარძლისათვის აზერბაიჯანში, რომელსაც იღებდა მისი მამა ქალიშვილის ქორწინების შემთხვევაში.

**მეხრი** — გადასახადი, რომელიც მეუღლეს უნდა გადაეხადა ცოლისთვის თავისი ინიციატივით გაყრის შემთხვევაში აზერბაიჯანში.

**წინაგინი** - თანხის გადახდა ვაჟის მშობლების მხრიდან პატარძლის დედისთვის სომხეთში.

**ტანტერი** – უფროსი მამაკაცი სომხურ დიდ ოჯახში;

**ტანტიკინი** – უფროსი ქალი სომხურ დიდ ოჯახში;

**გერდესტანი** – რამდენიმე თაობისგან შედგენილი დიდი ოჯახი სომხეთში;

**წაწლობა** - ნათესავ და უცხო ქალ-ვაჟს შორის სქესობრივი ურთიერთობების წეს-ჩვეულება ფშავში. იგი შეზღუდულია ხვევნა-კოცნით და წელს ზევით ალერსით.

**სწორფრობა** - სქესობრივი ურთიერთობების წეს-ჩვეულება ხევსურეთში.

*სტუდენტებს დაევალებათ ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილ დროში მოამზადონ სასწავლო კურსის რიდერში წარმოდგენილი ლექციის თემატიკის შესატყვის მასალები და მათ საფუძველზე გააკეთონ ქალის სტატუსის შედარებითი ანალიზი კავკასიურ კულტურებში. ამასთანავე, სტუდენტებს მიეცემათ შემდეგი დავალებები: 1) მათ უნდა გამოიკითხონ ერთი ან ორი გათხოვილი ქალი და გაარკვიონ (შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით) მისი ქონებრივ-უფლებრივი სტატუსი ოჯახში. 2) მათ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ ვლინდება „უმძრახობისა“ და „განრიდების“ წეს-ჩვეულებები თანამედროვე კავკასიაში და მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები საქართველოს თანამედროვე ცხოვრებიდან.*

## **სემინარი №8 (თემა № 8) – 2 სთ**

სემინარზე გაიმართება დისკუსია ძირითად საკითხთა გარშემო. კერძოდ, დასმული იქნება შემდეგი კითხვები:

1. როგორია ქალის ყოფა აზერბაიჯანულ კულტურაში?
2. როგორია ქალის ყოფა სომხურ კულტურაში?
3. როგორია ქალის ყოფა ქართულ კულტურაში?
4. რა განსხვავებაა ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ კულტურებს შორის ქალის ქონებრივ-უფლებრივი სტატუსის მიხედვით?
5. რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დანიშვნის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე?
6. რამდენად თანაბარი იყო ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების უფლებები ქორწინების დროს

*ტრადიციულად სამხრეთ კავკასიაში?*

7. როგორ ვლინდება „უმძრახობისა“ და „განრიდების“ წეს-ჩვეულებები თანამედროვე კავკასიაში? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები საქართველოს თანამედროვე ცხოვრებიდან.
  8. როგორია ქალის ქონებრივ-უფლებრივი სტატუსი დღევანდელ საქართველოში?
  9. როგორი იყო ქალის უფლებრივი სტატუსი საქართველოს მთაში ნაწლობისა და სწორფრობის ინსტიტუტების არსებობის ფონზე?
- სემინარზე განხილული იქნება, აგრეთვე, შესრულებული დავალება და მისი შედეგები. მოხდება სტუდენტის მიერ მომზადებული ესსეის პრეზენტაცია.*

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. Exploring Gender Issues in the Caucasus, edited by Pauline M. hallam and Barbara J. Merguerian, Civic Education Project, Yerevan, Armenia, 2000, გვ.: 31-47, 97-102;
2. Superwomen and The Double Burden (Women's experience of change in central and eastern Europe and the former Soviet Union ), edited by Cris Corrin, Scarlet Press, 1992, გვ.: 180-236;
3. ნ. ცინცაძე, სოციალიზაციის ტრადიციული ნორმების ასახვა ახალ გარემოში, კრ.- ში: უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), თბ., 2002, გვ.: 238-265;
4. თ. იველაშვილი, საქორწილო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999, გვ.: 263-286, 99-130;
5. ნ. ცინცაძე. ქალის ყოფითი და საზოგადოებრივი როლი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში. - კრ.-ში: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1998, გვ.: 218-237;
6. სურმანიძე ლ. ქალი ქართულ მენტალიტეტში, კრ.-ში, გაეროს განვითარების პროგრამა "ქალები განვითარების პროცესში", თბ., 1998, გვ.: 3-28;
7. სერ. მაკალათია, ფშავური ნაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ეთნოგრაფიული მასალები), ტფილისი, ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის განყოფილების მე-3 სტამბა, 1935, გვ.: 3-5; 23-26.

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Culture of Peace: Democracy and Dialogue of Cultures, Yerevan (Materials of International conference), Association of Women with University Education, 1999
2. Women and Society . Gender Equality in the perspective of Democratic Development, (The materials of thr third international conference), Armenia, Association of Women with University Education, 1999;
3. აბაშიძე თ. ჟვანია ი. ქალთა მდგომარეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა "ქალები განვითარების პროცესში", თბ., 1998;
4. მელიქიშვილი ლ. ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში – სათავნო, კრ.- ში კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ნაწ. III , 1971 წ, გვ.: 160-173;
5. ქალთა მდგომარეობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, გენდერული განვითარების ასოციაცია, გამ., „ნეკერი“, 2000;
6. ჩიტაშვილი მ. კანდელაკი ა. ქალთა ღირებულებათა ორიენტაციები დღევანდელ საქართველოში, - კრ.-ში „ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში“, ბაკურ სულაკაურის გამომც., 1998, გვ.: 112-124;
7. ზურიკაშვილი ფ. დევნილი ქალი და ეთნოკონფლიქტები საქართველოში, - კრ.-ში „ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში“, ბაკურ სულაკაურის გამომც., 1998, გვ.: 145-155;
8. ჯავახიშვილი მ. ქალები ქრისტიანულ რელიგიაში, კრ.-ში, გაეროს განვითარების პროგრამა "ქალები განვითარების პროცესში", თბ., 1998, გვ.: 3-14;
9. მ.წერეთელი ქალთა უფლებები მათი ღირებულებების თვალსაზრისით, თბ., 2000;
10. ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1991.

*სალექციო კურსის ბოლოს სტუდენტები დაურიგდებათ კურსის შეფასების ფურცელი.*

# **GENDER: CULTURAL RESEARCHES (GENDER, CULTURE AND SOCIETY)**

## **COURSE DESCRIPTION**

**Course duration and timetable:** 96 hours (8 weeks)

Of which

Classroom work: 32 hours

Student's independent research work: 64 hours

### **Classroom work includes:**

Lectures with practical illustrations (role play, case study, etc.):16 hours

Seminar-discussions: 16 hours

### **Student's Independent Research Work consists of:**

Core and reference literature reading and study by students, preparation and presentation of a library -research article (18-20 pages).

**Course description:** Gender as a social-cultural construct; gender-role ideology, gender stereotypes and masculinity-femininity from cross-cultural point of view; Gender identification and gender type theories (psychodynamic, social learning, cognitive development theories, androgyny theory, stages of gender-role transcendence and scheme theory). Sex socialization and its institutions; Culture role in gender socialization; Gender roles and cross-cultural data in this direction; Society and family; Relationships between men and women; Gender differences from cross-cultural point of view; Patterns of gender stratification; Gender aspects of labor market from multicultural point of view. Gender asymmetry: Discrimination or norm; Gender equality; Culture and Gender equality models; Women in south Caucasian culture; Gender analysis of Georgian culture.

**Course goal:** Students will have to gain fundamental knowledge on gender as a social-cultural construct, its establishing and acting mechanisms, and also gender differences in various cultures. Students will have to become familiar with modern theoretical and empiric researches in this field. Students have to develop research skills and learn how to retrieve scientific information and data. Candidate has to be able to provide an independent research and systemization of gender theories and empirical data.

### **Students' grading system:**

Examination

-Test (written)-2 hours

-Written examination (the student has to choose 3 questions from given 10)-2 hours

-Essay evaluation

-Participation in seminar-discussions

**Grades:**

Grades are made of sum of seminars, essays, tests, written tests and percentage weight of each component below: seminar-20%, essay-25%, test-25%, written test-30%

Grading principles:

90% -100% - 5

74% - 89.9% - 4

65% - 73.9% - 3

0 - 64.9% - failure

**Course structure:**

**Week #1, Lecture- 2 hours, Seminar – 2 hours**

**Topic #1- Gender, as a Social and Cultural Construct; Gender Role Ideology; Gender Stereotypes, Masculinity-Femininity, Cross-Cultural Researches.**

*The Introduction will deal with a brief history of establishment of gender as a scientific research object and origin of gender studies. The place of gender researches among social sciences will be determined. To define gender as a social-cultural construct, it is important to make distinction between “sex” and “gender”.*

The difference between genders is differently highlighted in various societies, various countries, hence, proving that sex is an important determinant of a human's behavior. Note, anatomically and physiologically there is more similarity than difference between women and men. In the majority of cases women and men are equally capable of carrying out similar behavior, have equal potential to conduct this or that social role or work. Despite this, any society and culture have more or less strictly determined and approved mandatory behavioral norms, jobs, professions for women and men, etc.

Traditionally understanding of **sex** depends on identification of physiological and morphological differences. The term of gender was introduced in the science to denote socially learnt behaviors, features and attitudes. The concept of gender is used to express socio-cultural aspect of sex belonging.

Two main groups of gender research could be singled out: 1. study of gender conscious (gender social roles, masculinity – femininity, gender stereotypes, values, etc.); and 2. study of gender reflection in social, political, economical and cultural institutes of the society. Such kind of studies created the term – gender approach, which in various sciences means study of impact consequences of gender as a psychic construct. For example, political aspects of gender, gender approach in pedagogy, family gender aspects, etc.

**Exercise:** *To better understand the term of gender, students are asked to name the examples of the functions, social roles, features and activities of women and men. The students together with the lecturer shall have to define which of them is determined by sex and which - by gender.*

*The following terms of gender research will be defined: sexual-role ideology, gender stereotypes, masculinity/femininity.*

**Sex-role (gender-role) ideology** is classified as a continuum from traditional to modern. Traditional ideologies indicate that a man is more “important”, than a woman; that a man should have power over a woman and control her. Modern ideologies represent egalitarian approach, sometimes called feministic approach, since these ideologies attach equal importance to men and women in the society and reject domination of one sex by another.



**Gender stereotypes** – are psychological characteristics and behavior, which at a certain historical period in this or other society (culture) is considered as more characteristic for one sex. For example: “Men are too aggressive” or “Men are cleverer”, “Women are too emotional”, “Women cannot drive well” or “Men could be real friends, but women could not”, etc. Stereotypes facilitate to learning gender roles and represent socialization models for children.

**Masculinity-femininity** – is an extent of certain features in self-perception of women and men, which in their culture are considered as more characteristic either for men or women.

Cross-cultural researches show that the main factors of gender-role ideology change from traditional to egalitarian are: education level, urbanization level, economical level of a country, family, individualization of a society and religion.

The results of study of gender-role ideology in 14 countries carried out by Williams and Best showed that the most modern ideology is in European countries – the Netherlands, Germany, Finland, England and Italy. The USA was found in the middle of the list, as to the most traditional ideologies, they were found in Asian and African countries – Nigeria, Pakistan, India, Japan and Malaysia.

*Social roles theory by Eagly, formation of gender stereotype models by Williams & Best and their data of cross-cultural survey, also observations by Gilmore and M. Mead will be also discussed.*

*For every seminar each student will have: 1. to prepare (write down and present) at least 10 gender behavior norms; 2. to record professions, employment fields, positions, social status of men and women on the examples of randomly recollected families.*

## **Reference:**

